საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

გრ. მარგიანი

ბოსლეველი

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1986

83.3ქ1
ბ 295

ნაშრომში გაშუქებულია 1870—1880-იანი წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკისა და პოლიტიკური პუბლიცისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის ე. მჭედლიძის (ბოსლეველის) ცხოვრება და მოღვაწეობა, ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი.

ნაშრომი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ისტ. მეცნ. დოქტორი პ. რატიანი

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. დოქტორი ა. ბენდიანიშვილი,
ისტ. მეცნ. კანდიდატი ჯ. ლომაშვილი

ბ $\frac{0505020000}{М\ 607(06)-86}$ 172—86

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

წინათქმა

XIX საუკუნე — საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამორჩეული ეპოქა — ღრმა გარდაქმნებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში. ეპოქალური ძვრების საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთზე სამოღვაწეო სარბიელზე გამოვიდნენ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ეტაპისა და ნაკადის წარმომადგენლები, რომელთა დაფასებისათვის სტიმულსა და გასაღებს იძლევა „მემკვიდრეობის“ ლენინური გაგება. „დრომ წარმოშვა“ ქართველი ხალხის ეროვნული თავისთავადობისათვის მებრძოლი პატრიოტები — მწერლები, პუბლიცისტები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, რომელთა შორის არაერთზე ცოტა რამ ვიცით. მოცემული თვალსაზრისით გამოირჩევა XIX საუკუნის 80-იანი წლებიც, როცა საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული დემოკრატიული ლიტერატურული და პოლიტიკური პუბლიცისტიკის ბრწყინვალე წარმომადგენელთაგანი ევსტათი მჭედლიძე, რომელმაც თავისი ნაწერების უმეტესობა ბოსლეველის ფსევდონიმით გამოაქვეყნა. მისი პუბლიცისტიკა, რეალისტურად და შთამბეჭდავად რომ ასახავდა მშრომელი ხალხის ცხოვრების საჭირბოროტო ფაქტებს და მოვლენებს, ორგანულად დაკავშირებულია წინამორბედ და მომდევნო თაობათა ნაფიქრ-ნააზრევთან.

ბოსლეველმა, ისევე როგორც საერთოდ XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა უმრავლესობამ, სამსახურებრივი, საზოგადოებრივი და ლიტერატურული საქმიანობა ქუთაისში დაიწყო[1].

ბოსლეველი 31 წლისა ტრაგიკულად დაიღუპა ქუთაისში. ქართველმა საზოგადოებამ, მოწინავე ინტელიგენციამ მართებულად შეაფასა, თუ როგორი დიდი ნიჭი დაკარგა ეროვნულმა დემოკრატიულმა კულტურამ და რა მომავალი დიდი მოღვაწე — ქართულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ.

---

1 სხვათაშორის, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე აუხსნელია ის, თუ როგორ მოხდა, რომ საგუბერნიო ქალაქში — ქუთაისში — დაიწყო მუშაობა XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის ქართველი ინტელიგენციის თითქმის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელმა. რამ მიანიჭა ქუთაისს ეს მადლი? ასახსნელია, ალბათ, არა მარტო და არა იმდენად ქალაქის წარსულის, მისი ტრადიციების გათვალისწინებით...

თავისი პუბლიცისტიკით ე. ბოსლეველი დაამშვენებდა ნებისმიერ დიდ ერს, რომელიც დღეს კულტურით და მეცნიერებით დაწინაურებულია და სხვებთან ერთად კაცობრიობის მოწინავე ძალებსა და საზოგადოებრივ პროგრესს წინამძღოლობს.

ჩვენი პუბლიცისტიკა, რომელიც სათავეს იღებს არა XIX საუკუნეში, როგორც ეს ზოგ ავტორს მიაჩნია, არამედ უფრო შორეულ წარსულში, გასულ საუკუნეში დიდი აღმავლობის გზაზეა, მიუხედავად იმისა, რომ თვითმპყრობელობა ბეჭდვით ორგანოებს ძლიერ ავიწროებდა და ცენზურის მარწუხებში აქცევდა. XIX საუკუნის დემოკრატიულ ქართულ ლიტერატურულ და პოლიტიკურ პუბლიცისტიკას ამშვენებდნენ ოცდათორმეტიანელები და ნიკოლოზ ბარათაშვილი, თერგდალეულთა თაობანი დიდი ილიას მეთაურობით, 70-იანი წლების ხალხოსნები და 80-იანი წლების შავბნელი რეაქციის ხანის მოწინავე მოღვაწენი და, უპირველეს ყოვლისა, 90-იანი წლების ქართველ მარქსისტ-ლენინელთა სახელოვანი თაობა.

სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსავე ეტაპთან დაკავშირებულია ქართული საზოგადოებრივი აზრის მრავალი წარმომადგენლის წმინდა სახელი. ზოგიერთმა მათგანმა, როგორც იმპერიის მასშტაბით გაშლილი მოძრაობის ხელმძღვანელთაგანმა, მრავალგზის განიცადა რეპრესიები.

XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობასა და აზრს დამამშვენებელ ზოლად გასდევს „საერთო დემოკრატიის" მძლავრი ნაკადი, რომლის შეუფასებლობა ჩვენში, რთული პროცესისადმი მარტივი მიდგომის გამო, სამწუხაროდ დღემდე იგრძნობა.

XIX საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკაში აღბეჭდილია კლასობრივ ძალთა განლაგება, გამოხატულია საზოგადოებრივ კლასთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, ასახულია საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზრის მიმდინარეობათა ჭიდილი. ამ ნაკადთა შორის კარგა ხანს საგანგებო მნიშვნელობას ინარჩუნებდა რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკა, რომელსაც მოწინავე ადგილი განეკუთვნება საბჭოთა ხალხების ისტორიაში. მას ამშვენებს სოციალურ-პოლიტიკური თემატიკის აქტუალობა, მაღალი იდეურობა, მეცნიერული სიღრმე, აზრის სიცხადე, სტილის სინატიფე.

XIX საუკუნის მარქსამდელმა ქართულმა დემოკრატიულმა პუბლიცისტიკამ თავისი საქმე გააკეთა — ამხილა რეაქციული თვითმპყრობელური რეჟიმის ბოროტებანი. სტიმული მისცა მშრომელთა პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, ხელი შეუწყო პროგრესული ძალების დარაზმვას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. პუბლიცისტიკაში ჩვენში პირველად გამომჟღავნდა ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის

ანტიხალხური, ექსპლოატატორული ბუნება, დასაბუთდა სოციალიზმის უპირატესობანი და გარდუვალობა.

ამ გზით მიემართებოდა ე. ბოსლეველი, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე 1870-იანი წლების დამლევს და 1880-იანი წლების დამდეგს გამოვიდა. მეორე რევოლუციური სიტუაციისა და მისი მომდევნო რეაქციის ეს ხანა ჩვენში განათლებისა და კულტურის საწინააღმდეგო აქციების ველური მეთოდების გამოყენებით აღინიშნა.

60—80-იანი წლების ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკის მაღალი ღირსება ძირითადად ახასიათებს ე. ბოსლეველის ნაწერებსაც. მისი პუბლიცისტიკაც მრავალჟანრიანია და მრავალთემიანი, საზოგადოებრივად აქტუალურ, სასიცოცხლო პრობლემებს შეეხება, — თავისი დროის დიდი და მწვავე პრობლემების პუბლიცისტიკაა. ქართული კულტურის წარსულის, აწმყოს და მომავლის მგზნებარე ქომაგის ნაწერები თავის დროის ისეთ პრობლემებს შეეხება, როგორიცაა ქართველი ხალხის ეროვნული მეობის დაცვა ასიმილატორთაგან, ხალხის აღზრდა და განათლება, სამეურნეო, საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებათა მდგომარეობა. ამ პრობლემებს ბოსლეველი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციიდან განიხილავს. მისი პუბლიცისტიკა გაცისკროვნებულია მოწინავე მოაზროვნის პროგრესული მსოფლმხედველობით. პუბლიცისტი ცდილობს განმათავისუფლებელ მოძრაობას მისცეს ორიენტაცია, გაათვითცნობიეროს არსებულ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში.

ბოსლეველის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, როგორც დავინახავთ, გააჩნია ძირითად იდეათა სისტემა, რომლის მეშვეობით ცდილობს ახსნას ისტორიულ მოვლენათა თანმიმდევრობა და კანონზომიერება, გაარკვიოს მკითხველი საზოგადოებრივი პროგრესის პერსპექტივაში, რათა მშრომელმა მასებმა შეიგნონ მათ წინაშე დასმული ისტორიული ამოცანა, ძირეული ინტერესების დასაცავად იმოქმედონ შეგნებულად, მიზანსწრაფულად.

ბოსლეველზე დღემდე მეტი უნდა თქმულიყო. მისი ცხოვრება და პუბლიცისტიკური მოღვაწეობა შემდგომ შესწავლას საჭიროებს, რისთვისაც დღეს ხელსაყრელი სიტუაცია და პირობებია შექმნილი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, გაშუქებულია ე. ბოსლეველის მოღვაწეობის ხანა, ის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარება, რომელშიც მისი შეხედულებები ჩამოყალიბდა, თვალი აქვს გადევნებული პუბლიცისტის ცხოვრების გზას, მოკლედ დახასიათებულია მისი ესთეტიკური სამყარო, განხილულია მოაზროვნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული კულტურის და, კერძოდ, პუბლიცისტიკის შესასწავლად რევოლუციამდე არაშეღავათიანი პირობები არსებობდა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქმეს აფერხებდა ვულგარული სოციოლოგიზმი, დოგმატიზმი, რაპული შეხედულებები.

XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის და, სახელდობრ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის სპეციალურ კვლევას ერთ-ერთი პირველთაგანი შეუდგა სიმონ ხუნდაძე, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში კითხულობდა სოციალიზმის ისტორიას და ზოგად კურსში, პუბლიცისტური მემკვიდრეობის განხილვის საფუძველზე, ქართული სოციალიზმის მიმოხილვასაც იძლეოდა. ს. ხუნდაძემ 1927—28 წლებში გამოსცა ორ ტომად „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში" და სხვა გამოკვლევები, რომლებიც. შეიძლება ითქვას, დღესაც გზას გვინათებენ ახალი ხანის ქართული საზოგადოებრივი აზრის მდიდარ მასალაზე პირველი წარმოდგენის შესამუშავებლად. ამ მასალას მეცნიერი ჩინებულად იცნობდა და ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს გულმოდგინედ, გაბედულად იკვლევდა.

ს. ხუნდაძის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობაზე დაკვირვება მოწმობს, რომ მას სამეცნიერო მუშაობის პროცესში ბევრი დაბრკოლების დაძლევა მოუხდა, ბევრი უსიამოვნება იგემა არაერთი ქართველი მეცნიერისაგან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეთაგან. მაშინ ზოგიერთი უფრო ასაკოვანი და სახელმოხვეჭილი მეცნიერი თუ გავლენიანი ოფიციალური პირი ეჭვის ქვეშ აყენებდა ს. ხუნდაძის მოღვაწეობას და თამამად, გულარხეინად აცხადებდა: „ჩიტი ბრდღვნად არ ღირს, უკან დევნა მეტიაო". სხვანაირად, მეცნიერის მიერ შესასწავლად შერჩეულ სფეროში „საკვლევი არაფერიაო".

ს. ხუნდაძემ საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამით ს. ხუნდაძემდე გაკეთებულის უარყოფის გზას არ ვადგებით.

XIX საუკუნის ქართველ პუბლიცისტთა ნააზრევის შეფასების მეტ-ნაკლებად წარმატებული ცდები ადრეც შეინიშნებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს არც 80-იანი წლების თაობა (ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ევსტათი მჭედლიძე, ილია ხონელი...) წარმოადგენდა.

ს. ხუნდაძემდე იქნა აღიარებული, რომ ამ თაობამ „თავი თვისი ერთიანად სამშობლოს შესწირა“, რომ მისი წარმომადგენლები „ყველანი ერთად მტლად დაედვნენ სამშობლოს“. რომანოზ ფანცხავას (ხომლელის) სიტყვით, „ამ თაობას სწამდა, რომ ის ახალი ხანა, რომელიც მოჰყვა საქართველოში ყმების განთავისუფლებას, ჩვენს ხალხსაც შთაბერავდა უკვდავების სულს, გულში აუნთებდა უკეთესი მომავლის იმედს და ეროვნული ძარღვის ცემაც დაიწყებოდა უფრო ძლიერად და ღრმად“, მან „იმ დროში უკვე დაწყებულ ნაციონალურ მოძრაობას ნამდვილი სამსახური გაუწია“[1]. 1911 წელს ბოსლეველს მოკლედ შეეხო კიტა აბაშიძეც, რომელმაც იგი ნიჭიერ კრიტიკოსად აღიარა, თან შენიშნა: დიდი ილიას „განდეგილზე“ მას არასწორი აზრი გამოუმუშავდა, ამ „ნაწარმოების III თავის გავლენით კრიტიკოსმა მწერლის პესიმიზმი, კინადამ ბაირონის პესიმიზმზედ უფრო ძლიერად არ იცნო“[2].

ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ქართული პუბლიცისტიკის მკვლევართაგან ს. ხუნდაძემ პირველმა ჩაუყარა საფუძველი XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის სისტემურ გაშუქებას და მან პირველმა გაამახვილა ყურადღება ბოსლეველზე, რომელიც შეაფასა როგორც „უტოპიურ-ნაროდნიკული სოციალიზმიდან მარქსისტულ სოციალიზმზე გადასავლელი ერთ-ერთი დიდი რგოლი“[3].

ს. ხუნდაძის განსაზღვრით, „ბოსლეველი ერთი იმ მწერალთაგანია, რომელიც თითქმის სავსებით დავიწყებული იყო ჩვენს მწერლობაში და უკანასკნელ ხანამდე მას სათანადო ყურადღება არ ღირსებია“[4]. გამოჩენილი მეცნიერის ეს განცხადება მოწოდებადაც იქცა ბოსლეველის შესასწავლად.

ს. ხუნდაძის მეტად უდროოდ გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ ყველა მკვლევრისათვის ნათელი გახდა, რომ XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს, რომელიც საკაცობრიო კულტურის თვალსაჩინო ნაკადია, დიდი აღმავლობა ახასიათებდა და ისიც ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ აქ ერთი კაცის შესაძლებლობა, რა დიდი თავდადებული, უნარიანი და განათლებულიც არ უნდა ყოფილიყო, საკმარისი არ იყო, რამდენიმე სიცოცხლეც რომ ჰქონოდა.

---

1 ციტ. ლევან ასათიანი, ლიტერატურული ნარკვევები და წერილები, თბ., 1955, გვ. 251—252.

2 კიტა აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 1962, გვ. 157, 173.

3 ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, გვ. 131.

4 ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 221.

ს. ხუნდაძის მიერ ნაჩვენებ გზას მალე რამდენიმე მკვლევარი გაჰყვა და ასეთ ვითარებაში არც ე. ბოსლეველი დარჩა უყურადღებოდ. ს. ხუნდაძის ნარკვევს ბოსლეველზე[5] მოჰყვა სხვა მეცნიერთა გამოკვლევებიც და საქმე იქამდე მივიდა, რომ სოლომონ ხუციშვილმა. კოლოსალური შრომის შედეგად, ბოსლეველის „ნაწერები" გამოსცა ვრცელი გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით (თბ., 1961). ეს გამოცემა და გამოკვლევა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბოსლეველის მოღვაწეობისა და პუბლიცისტიკის შემდგომი კვლევისათვის.

ს. ხუციშვილის გამოკვლევაში მოკლედ და მკაფიოდაა მიმოხილული ბოსლეველის ცხოვრება და იდეური მემკვიდრეობა. ფასეულია ბოსლეველის მოღვაწეობის ეპოქის ავტორისეული დახასიათება.

ს. ხუციშვილის ნაშრომში „ბოსლეველის პუბლიცისტიკა" შეფასებულია გასული საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის განვითარება, ღრმად გაშუქებულია და მართებული პოზიციიდან შეფასებული ქართული პუბლიცისტური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის მემკვიდრეობა. ავტორი ბოსლეველის ნაწერების დეტალური ანალიზით ცხადყოფს მისი პუბლიცისტიკის თემატიკის მრავალფეროვნებას და აქტუალობას. პუბლიცისტურ თუ კრიტიკულ წერილებში ბოსლეველმა გამოამჟღავნა აქტუალურ საზოგადოებრივ პრობლემებთან დამოკიდებულება და „გამოიმუშავა მსოფლმხედველობა, რომელიც ორგანულ კავშირში იმყოფება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან".

---

5 მხედველობაშია მოკლე ცნობა ბოსლეველზე (იხ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949, გვ. 220—222), აგრეთვე იმ კამათის მიმოხილვა, რომელიც ბოსლეველმა კ. მარქსის ავტორიტეტის მოშველიებით გ. მაიაშვილს, ასევე „ნაროდნიკული სოციალიზმის თეორიისა და პროგრამის" ავტორებს გაუმართა (იხ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტომი მეორე, თბ., 1927, გვ. 128—140). ს. ხუციშვილის მიერ „სალიტერატურო გაზეთიდან" (1933, № 9) მოტანილი ცნობით, სახელგამს განზრახული ჰქონდა ბოსლეველის რჩეული ნაწერების გამოცემა, რომელსაც თანდართული ექნებოდა ფ. მახარაძის წერილი და ს. ხუნდაძის მონოგრაფია — „ბოსლეველი". „ბოსლეველის ნაწერების გამოცემისა და კომენტირებისათვის მას გარკვეული მუშაობაც ჰქონია" ჩატარებული, პუბლიცისტ-კრიტიკოსის მცნობთაგან და მომსწრეთაგან (ვინც ამ საუკუნის 20—30-იან წლებში კიდევ ცოცხალი იყო) მას შეუკრებია მემუარული მასალა, ბოსლეველის კერძო წერილები, დღიურის ფრაგმენტები და სხვა" (იხ. ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი. წინასიტყვაობა. „ბოსლეველი. ნაწერები", გვ. 7), მაგრამ ს. ხუნდაძეს განზრახვის ასრულება არ დასცალდა.

სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ ს. ხუნდაძის ამაგი ქართული მეცნიერებისა და კულტურისადმი ჯეროვნად არაა დაფასებული.

ასეთსავე თვალსაზრისს ავითარებს ს. ხუციშვილი, როცა დაასკვნის: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა „ბოსლეველის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის საფუძველი იყო“[6], რაც, მისი აზრით, ხალხსნობისათვის თითქმის უცხო იყო. ჩვენი ავტორის განსჯით, ბოსლეველი, როგორც მოღვაწე და მოაზროვნე, განეკუთვნებოდა არა ტიპიურ ხალხსნებს[7], არამედ ქართველ სამოციანელ რევოლუციონერ-დემოკრატებს. „ბოსლეველი ისევე დასტრიალებდა თავს თავის ქვეყანასა და მშობლიურ ხალხს, როგორც ის მოღვაწენი, რომელთა ღვაწლი მას სანიმუშოდ . ჰქონდა აღიარებული, ღვაწლი ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა... ბოსლეველი იზიარებდა მათ ნააზრევს და ამაგრებდა იმ ფრონტს, რომლის ძალა მიმართული იყო ეროვნული შემოქმედებითი ძალებისა და ეროვნული ენერგიის გამოჩინება-აღდგენისაკენ, ხალხის პოლიტიკური გათვითცნობიერებისაკენ“ და შემდეგ: „ბოსლეველის მოსაზრებებს ლიტერატურისა და კრიტიკის აზრსა და დანიშნულებაზე ბევრი რამ ჰქონდა საერთო ქართველ და რუს რევოლუციონერ დემოკრატთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებთან“[8].

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ბოსლეველის მემკვიდრეობის ყოველმხრივი შესწავლისათვის ჯერ კიდევ მეტია გასაკეთებელი ვიდრე გაკეთდა. მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი არაა ჯეროვანი სისრულითა და სიზუსტით განხილული და შეფასებული. აი, ერთი მაგალითი: 1964 წელს გამოქვეყნდა ვახტანგ გაგოიძის კაპიტალური გამოკვლევა „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში“, სადაც საინტერესოდაა გადმოცემულ-შეფასებული ბოსლეველის ნააზრევი. ამასთან, ავტორის ერთ-ერთი პრინციპული დებულების თანახმად, ბოსლეველი რეფორმისტია, მისი მსოფლმხედველობით თანდათანი და მშვიდობიანი განვითარებაა ასაღიარებელი, ხოლო რევოლუცია უაზრო ნგრევაა და არასასურველია, ისტორიისათვის არაკანონზომიერი და არანორმალური მოვლენაა. ვ. გაგოიძე წერს: ბოსლეველმა „უარყო განვითარების რევოლუციური ხასიათი და ევოლუციონიზმისა და რეფორმიზმის თვალსაზრისზე შეჩერდა. აქაც, როდესაც ეკონომიურსა და პოლიტიკურ გარდაქმნათა შესახებ ლაპარაკობს, მას იგი

---

[6] ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ბოსლეველის პუბლიცისტიკა (იხ. ბოსლეველი, ნაწერები, გვ. 152—153, 154).

[7] ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ბოსლეველის მოღვაწეობის ეპოქა (იხ. ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 35).

[8] ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ბოსლეველის პუბლიცისტიკა (იხ. ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 153—154.)

წარმოდგენილი აქვს როგორც თანდათანობითი ღონისძიება, რომელიც საზოგადოებას ყველაფრის დამნგრეე რევოლუციამდე არ მიიყვანს"[9].

ვფიქრობთ, ვინც ჯეროვანი სიფრთხილით მოეკიდება ბოსლეველის ნაწერების შესაბამის სტრიქონებს, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ იგი არა რეფორმისტული, არამედ რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის წარმომადგენელია. ე. ბოსლეველს არაერთხელ განუცხადებია, რომ ქადაგებითა და ჭკუის დარიგებით საზოგადოებაში სამართლიანობას ვერ დაამყარებ, რომ ისტორიული ვითარება გარკვეულ მომენტში სისხლისა და რკინის პოლიტიკას, მონური მდგომარეობის ძალადობის გზით შემუსვრას მოითხოვს. თავის „პოლიტიკურ მიმოხილვაში" ბოსლეველი 1883 წელს გარკვევით წერდა: „ხალხს დღეს შეძლება აქვს... უსამართლო სამართლიანობა მ ო ს პ ო ს და უკეთესი ურთიერთშორისობა ჩამოაგდოს ცხოვრებაში". იგი მძიმე ცენზურულ პირობებში შთააგონებდა მაიაშვილს „იმ ცხოვრებითს ჭეშმარიტებას, რომ პოლიტიკური თვითმდგომარეობა პირველი არსობაა ცხოვრების ყოველმხრივის გაუმჯობესებისათვის", ცოტა ქვემოთ დაბეჯითებით ლაპარაკობს ამერიკელი პლანტატორებისაგან დამონებული „ზანგების" მიერ ძალის გამოყენებით „მონობის მოსპობაზე". „საჭირო იყო მონობის მოსპობა და ამ მოსპობისათვის სისხლისა და რკინის პოლიტიკა". ავტორი ასე მიანიშნებდა მკითხველს სამშობლოს ხსნის საშუალებაზე.

მოცემულ კონტექსტში დაკვირვებისათვის დამატებით მასალას იძლევა გ. მაიაშვილისა და ე. ბოსლეველის დავა. პირველი ამბობს: „უფლების მოპოვებისათვის მოღვაწე თავდაპირველად ეკონომიურის ცვლილების მოხდენას უნდა მისდგესო, რადგან „პოლიტიკური და ეროვნული მოვლენა პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ეკონომიურის მოვლენებისას. შესცვალეთ ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური თავისთავად შეიცვლებაო"; მეორე პასუხობს: „მაიაშვილის პრაქტიკული რჩევა რომ ტყუილია... ამას მოწმობენ ევროპის სხვა და სხვა ხალხის მოძრაობანი და ამ მოძრაობის უკეთესნი წარმომადგენელნი. კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი თავის 1847 წლის მანიფესტში, სხვათა შორის, ამბობს, რომ მუშა ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უღელი შემუსროს [ცენზურა]"[10].

---

[9] ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 307.

[10] იხ. ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 166—167, 171; გაზ. „შრომა", № 1, № 3, 1883.

როგორც ქვემოთაც ვნახავთ, საკითხის ისტორიოგრაფიაში საკმარ. საფუძვლიანობით არის დასაბუთებული, რომ ბოსლეველი იყო არა რეფორმისტი, არამედ რევოლუციის მომბრე[11]. ამასთან, ვ. გაგოიე იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბოსლეველი „ხალხოსნობისა და მისსუბიექტურ-იდეალისტური სოციოლოგიური იდეების პირველი სერიოზული კრიტიკოსია საქართველოში“[12].

მთავარი კი ისაა, რომ ბოსლეველი დღემდე არ გამხდარა ყოველმხრივი შესწავლის საგანი, თუმცა მისი მოღვაწეობისა და აზროვნების არაერთი ასპექტი ჯეროვანი სისრულითა და სიზუსტითაა გაშუქებული.

მარქსისტთაგან ბოსლეველით ერთ-ერთი პირველთაგანი დაინტერესდა ფილიპე მახარაძე, რომლის დაკვირვებითაც პუბლიცისტის ნაწერებს ამჩნევია მარქსიზმის თავისებური გავლენა. «„შრომაში“, სხვათა შორის, პირველად ვხვდებით ჩვენ რამდენიმედ მარქსისტული აზროვნების გამომხატველ წერილებს». „მარქსის გავლენა უფრო ძლიერად სჩანს ბოსლეველის წერილებზე“. რა თქმა უნდა, ბოსლეველი „ჰეშმარიტი მარქსისტი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა“[13].

ბოსლეველის გარდაცვალების 65 წლისთავთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა სოლომონ ცაიშვილმა. მან ხელშესახებ მონაცემებზე დაყრდნობით, მოკლედ, მკაფიოდ დაახასიათა ბოსლეველის ცხოვრების გზა და მისი მემკვიდრეობა[14].

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე (ქართულად და რუსულად) მრავალგზის გამოიცა პაატა გუგუშვილის მონოგრაფია „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში“, სადაც დახასიათებულია ყოველკვირეული ქუთათური გაზეთის „შრომის“ სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, მისი წამყვანი მუშაკების დ. კეზელის, გრ. უმწიფარიძის, ე. ბოსლეველის და სხვათა ნააზრევი. მათ ნაწერებში, — პ. გუგუშვილის შეფასებით, — „ხშირად გამოსჭვივის დას. ევროპელ უტოპისტ-სოციალისტების იდეები. ისინი იცნობენ კ. მარქსის ნაწერებს“. ავტორი ეხება და აფასებს ე. ბოსლეველის ცნობილ დავას გ. მაიაშვილთან[15]. ეს დისკუსია მით უფრო საინტერესოდ მიაჩნია, რომ ისტორიის მამოძრავებელ ძალად ეკონომიკური ფაქტორის გამო-

---

[11] იხ. Г. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, ч. II, Тбилиси, 1961.

[12] ვ. გაგოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 305.

[13] ფ. მახარაძე, ეგნატე ნინოშვილი, თბ., 1930, გვ. 34—35.

[14] იხ. ჟურნ. „მნათობი“, № 8, 1951, გვ. 140—144.

[15] პ. გუგუშვილი, კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, თბ., 1971, გვ. 69, 161—163.

ცხადებისას ბოსლეველი, როგორც გ. მაიაშვილი, „აუცილებლად სთვლის საკუთარ მოსაზრებათა განსამტკიცებლად მოიშველიოს ისევ კ. მარქსის სახელი“[16].

პ. გუგუშვილი აღნიშნავს, რომ ბოსლეველის შეფასებით „სოციალიზმი“ თანამედროვე ეკონომიურის ურთიერთ-შორობის პირმშოშვილია“, რომ „წმინდა ეკონომიურის ნიადაგზე აღმოსრული და გაძლიერებული მოძღვრება“ — სოციალიზმი — მიზნად ისახავს „ისევ იმავე ეკონომიურის ურთიერთ-შორობის შეცვლას“, რომ ყოველ პიროვნებას „თავისი მოღვაწეობის საგნად უნდა ჰქონდეს... ხალხის ეკონომიური მდგომარეობის განკარგება, რისთვისაც პოლიტიკური ბერკეტი უნდა აამოძრაოს, რომ ეს ასე იყო ძველადაც და შუასაუკუნეებშიც“[17].

პ. გუგუშვილის აზრით, ბოსლეველს კიდევ სხვა მოტივი შემოაქვს გ. მაიაშვილთან პოლემიკაში; როცა აქცენტს აკეთებს დროთა ვითარების, ანუ „განსაკუთრებული პირობების“ როლზე საზოგადო მოღვაწეთა მოქმედებაში, აგრეთვე იმაზე, რომ „პოლიტიკური თვითმდგომარეობა“, ანუ დამოუკიდებლობა, პირველი პირობაა ცხოვრების ყოველ მხრივი გაუმჯობესებისათვის“. ჩვენი ავტორის დაკვირვებით, ბოსლეველი ხალხთა ისტორიულ ბედთან დაკავშირებით მკითხველისათვის გასაგებ ანალოგიებს მიმართავდა და „ხაზს უსვამდა თავისი სამშობლოს და მის საზოგადოებრივ მოღვაწეთა განსაკუთრებულს მდგომარეობას, რაც უწინარეს ყოვლისა, დ ა ც ე მ უ ლ ი ვ ი ნ ა ო ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ი ს ა თ ვ ი ს ზ რ უ ნ ვ ა ს კარნახობდა. ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეს გეზი ბოსლეველს საკუთარ დევიზად მიაჩნდა“[18].

ლეონიდე გორგილაძემ სტატიაში „ნაროდნიკობა საქართველოში“, ისევე როგორც ა. გოგუაძემ წერილში „ლიბერალურ ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფი“, ბოსლეველი ხალხოსანთა შორის მოიხსენია[19], რის გამოც მათ მკვლევარი ს. ხუციშვილი გამოეკამათა[20].

ლ. გორგილაძის მონოგრაფიაში „მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (თბ., 1956) ჩვენში მარქსიზმის გავრცელებასთან დაკავშირებით გაშუქებულია გასული საუკუნის 70—80-იანი წლების

---

16 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კარლ მარქსი. ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, თბ., 1971, გვ. 161.

17 იქვე, გვ. 161—162.

18 იქვე, გვ. 163.

19 პირველი იხ. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომებში (XXXII, 1947), მეორე — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში (XVI, 1955).

20 იხ. ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 35.

ქართული საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობანი, ხაზგასმულია, რომ გ. მაიაშვილის ცნობილი წერილის საპასუხოდ „მეტად საინტერესო და დასაბუთებული წერილით გამოვიდა ნიჭიერი პუბლიცისტი ბოსლეველი...“ ავტორი საფუძვლიანად განიხილავს ე. ბოსლეველის დავას გ. მაიაშვილთან და მის სწორ ინტერპრეტაციას იძლევა. ლ. გორგილაძის შეფასებით, „თუ მაიაშვილი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთ განმსაზღვრელ ძალად ეკონომიურ ფაქტორს თვლის, ხოლო პოლიტიკურ მხარეს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, ბოსლეველი აღიარებს ეკონომიურ ფაქტორს, როგორც ცხოვრების ძირითად განმსაზღვრელს და ამავე დროს მიუთითებს იმ უკუგავლენაზე, რომელსაც პოლიტიკა ეკონომიკაზე ახდენს“[21].

მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ ბოსლეველის აზრით, „ეკონომიურად დამონებული მდგომარეობა საზოგადოებაში ძირითადი ცვლილების მოხდენის სურვილს აღვიძებს და აუცილებელს ხდის რევოლუციას“, რომ „თანამედროვე სოციალიზმიც გარკვეულ ეკონომიურ ნიადაგზე არის აღმოცენებული და საბოლოო მიზნად ხალხის ეკონომიური მდგომარეობის შეცვლას ისახავს“[22], რომ „ბოსლეველი უარყოფს მაიაშვილის აზრს ეკონომიური ბრძოლის პირველადობის შესახებ და ფაქტებით ცდილობს დაასაბუთოს, რომ პოლიტიკური და უფლებრივი მდგომარეობა წარმოადგენს „ყველა იმ პირველდაწყებით პირობას, რომელთა გარეშე შეუძლებელია საზოგადოდ ცხოვრების რიგიანად მოწყობა, რა მხრითაც უნდა იყოს“[23]. ლ. გორგილაძე მიუთითებს რომ „ბოსლეველი ყველა თავის ნაშრომში ყოველნაირად ცდილობს თანმიმდევრულად და ბოლომდე გაატაროს მატერიალისტური თვალსაზრისი და დაამტკიცოს საზოგადოებრივ-ისტორიული ვითარების პირველობა. მისი აზრით, „საზოგადოებრივ-ისტორიული ვითარება განსაზღვრავს საზოგადოებრივ შეხედულებათა ხასიათს“[24]. ავტორი იწონებს ბოსლეველის მცდელობას დაასაბუთოს „ის ზეგავლენა, რომელიც აქვს პოლიტიკას ეკონომიკაზედ. მისი შეფასებით, ბოსლეველი მხოლოდ უახლოვდება ეკონომიკისა და პოლიტიკის დამოკიდებულების საკითხის მარქსისტულ გადაწყვეტას[25].

ლ. გორგილაძის შეხედულებით, 80-იანი წლების ქართველმა პუბლიცისტებმა (მაიაშვილმა, ბოსლეველმა, ვოლსკიმ, ხიზანიშვილმა, ჯა-

---

21 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1956, გვ. 113.

22 იქვე, გვ. 110—111.

23 იქვე, გვ. 112.

24 იქვე, გვ. 111.

25 იქვე, გვ. 113.

ბადარმა) „მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმის გავლენით საინტერესო, ზოგ შემთხვევაში სწორი აზრები გამოთქვეს, ვერ შეძლეს საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური და სულიერი მხარის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის სწორი, მარქსისტული გადაწყვეტა. ეს შეუძლებელიც იყო, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ ნაროდნიკულ პოზიციებზე იდგნენ. ძველ მსოფლმხედველობას ეთხოვებოდნენ, მაგრამ ახალ მსოფლმხედველობამდე ვერ ამაღლებულან"[26].

ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიიდან" (თბ., 1967) ლ. გორგილაძე ზემოხსენებულ პუბლიცისტებზე წერს: „ისინი ცდილობდნენ უტოპიური სოციალიზმი მეცნიერულ სოციალიზმთან შეეერთებინათ, მათ უნდოდათ გაეგოთ მარქსის მეცნიერული სოციალიზმი და იგი პრაქტიკულ მოღვაწეობაში გამოეყენებინათ". ბოსლეველის „ისტორიული დამსახურება ისაა, რომ იგი მეცნიერული სოციალიზმისაკენ იცქირება და მისკენ ნაბიჯს დგამს"[27].

უაღრესად ფასეულია გაბრიელ მეგრელიშვილის მონოგრაფია „XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრი, ტ. I, ნაწ. II" (თბ., 1961, რუსულ ენაზე), სადაც ბოსლეველის პოლიტიკურ შეხედულებებს სპეციალური თავი აქვს დათმობილი. მას ერთვის პუბლიკაცია, — ბოსლეველის „კრიტიკული მიმოხილვა", რაც მაიაშვილის ცნობილი „წერილის..." საპასუხო სამ სტატიას შეადგენს.

გ. მეგრელიშვილის ნაშრომში საზოგადოებრივი მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით არის გაშუქებული მაიაშვილის პოლიტიკური შეხედულებები. ავტორის შეფასებით, რუსეთსა და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ბოსლეველის იდეურ-მრწამსი ყალიბდებოდა, ერთი მხრივ, ხალხოსნობის, ხოლო, მეორე მხრივ, მარქსიზმის გავლენით. ისტორიული პროცესის სუბიექტივისტურ გაგებას პუბლიცისტმა დაუპირისპირა „ობიექტური კანონების" საკუთარი გაგება. ბოსლეველი წერდა: ხალხის მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესება თუ გაუარესება, ზოგჯერ ხალხის დაღუპვა ან მისი განვითარება შიმდინარეობს არა რაღაც უეცარი მოქმედებით, არამედ განისაზღვრება კანონებით, რომლებიც აღმოაჩინა სოციოლოგიურმა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, ეთნოგრაფიულმა, ფიზიკურმა და სხვა მეცნიერებებმა[28].

---

26 ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1956, გვ. 116.

27 ლ. გორგილაძე, სოციალიზმის ისტორიიდან, გვ. 344, 345.

28 იხ. Г. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая

გ. მეგრელიშვილის აზრით, ბოსლეველის „შეხედულებები წინგადადგმული ნაბიჯი იყო და უდავოდ ხელს უწყობდა ზოგიერთი სუბიექტივისტური შეხედულების გაცამტვერებას და თეორიულად ასაბუთებდა მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობას მათი პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებისათვის“[29]: ბოსლეველს ესმის, რომ საზოგადოების განვითარება ბუნებრივი ისტორიული პროცესია, რომ ის ხორციელდება, როგორც შეუქცევადი პროგრესი დაბალი საფეხურიდან მაღალზე ნახტომისებური გადასვლით, ე. ი. რევოლუციით. გ. მეგრელიშვილი ასევე სწორად შენიშნავს, რომ ისტორიულ განვითარებაში ბოსლეველი შორსაა ევოლუციის ვულგარული თეორიისაგან, რომლის თანახმად საზოგადოება მშვიდობიანად და თანდათან ვითარდება. პუბლიცისტს ესმის, რომ „საზოგადოება ვითარდება ადამიანთა აქტიური მოღვაწეობის, კლასობრივი ბრძოლის მეოხებით“[30].

პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობის და, კერძოდ, სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის ურთიერთმიმართების განსაზღვრასთან დაკავშირებით მაიაშვილსა და ბოსლეველს შორის მიმდინარე კამათში, გ. მეგრელიშვილის დაკვირვებით, პირველი ჩერნოპერედელელის თეორიულ-პრაქტიკულ თვალსაზრისზეა, მეორის მსჯელობა ნაროდოვოლელობისა და მარქსიზმის ნარევია. სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას ბოსლეველი არ გამოდის რუსი რევოლუციონერი ხალხსნების გაგების ფარგლებიდან, თუმცა, როგორც ცნობილია, ეს საკითხი სწორად მხოლოდ რევოლუციონერმა სოციალ-დემოკრატებმა გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

მაიაშვილმა ზემოხსენებული საკითხი ჩერნოპერედელურად გადაწყვიტა. მისი ხაზი ამ საკითხში ბაკუნინისა და პლეხანოვის ხაზია. ეს მიმართულება პოლიტიკურ რადიკალიზმს გამორიცხავს, მხოლოდ ეკონომიკურ რადიკალიზმს ცნობს. ეს გაგება, ბოსლეველისაგან განსხვავებით, არ ცნობს პოლიტიკის უკუმოქმედებას ეკონომიკაზე, ზედნაშენისა — ბაზისზე. საკითხის ასეთ გადაწყვეტასთან შედარებით, ნაროდოვოლელური გადაწყვეტა წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა არც უკანასკნელი იძლევა საკითხის საბოლოო გადაჭრას[31].

გ. მეგრელიშვილი სამართლიანად მიუთითებს: რაკი ნაროდოვო-

мысль во второй половине XIX века, т. I, ч. I[1], с. 158; გაზ. „შრომა“ № 27, 1882.

[29] გ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ, ნაშრომი, გვ. 161.

[30] იქვე.

[31] იქვე, გვ. 162—163.

ლელებს არ გააჩნდათ ეკონომიკაზე პოლიტიკის უკუქმედების ფარგლების ნათელი გაგება, არ ესმოდათ ეკონომიკის მამოძრავებელი ძალები, მათ ვერ განსაზღვრეს უახლესი პოლიტიკური და ეკონომიკური გადატრიალების ხასიათი და მამოძრავებელი ძალები რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ ნაროდოვოლელები ცნობდნენ და იძულებულიც იყვნენ ეცნოთ პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა, მათ ვერ შეიმუშავეს სწორი წარმოდგენა სოციალიზმზე და პოლიტიკურ ბრძოლაზე. ნაროდოვოლელური იდეების წრეში ტრიალებდა ბოსლეველი, რომელიც მაიაშვილს „ეთანხმება იმაში, რომ პოლიტიკური მოძრაობის მთავარი მიზეზი ეკონომიკური ურთიერთობაა, მაგრამ პირველი მეორეს საყვედურობს პოლიტიკის როლის იგნორირებას, მისი მნიშვნელობის უარყოფას ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში“[32].

გ. მეგრელიშვილის დახასიათებით, ბოსლეველი შემდეგნაირად ხსნის თავის თანადროულ სახალხო მოძრაობას და მის მიზანდასახულობას: ეკონომიკური ნიადაგი, ეკონომიკა — აი, რა აძლევს დიდ ძალას და დიდ მნიშვნელობას მის მიერვე გამოწვეულ სახალხო მოძრაობას, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა და რომელსაც „სოციალისტურ მოძრაობას უწოდებენ“. სოციალიზმი თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობის ღვიძლი შვილია და ის წარმოშვა იმ მდგომარეობამ, რომლის შედეგადაც საკუთრება და სიმდიდრე იმათ ხელში კი არ მოექცა, ვინც თავისი დაუღალავი ინტენსიური შრომით ქმნის ერთსაც და მეორესაც, არამედ იმათი, ვისაც ყველაზე ნაკლებად უნდა ეკუთვნოდეს, სამართალი რომ იყოს.

რა მიზანს ისახავს ახლა „სოციალიზმი“? ეკონომიკური ურთიერთობის შეცვლას ისეთნაირად, რომ შესაძლებელი გახდეს განხორციელდეს პრინციპი: „ვინც არ შრომობს, არ უნდა ჭამდეს“. ის მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ისე მოწყობას, რომ მუშას თავის განკარგულებაში დარჩეს საკუთარი შრომის პროდუქტი. სოციალიზმი, რომელიც სძულთ და რომელსაც ავიწროებენ ამა ქვეყნის ძლიერნი, ძმობა, თავისუფლება და თანასწორობაა.

ბოსლეველი ეთანხმება მაიაშვილს იმაში, რომ ყოველგვარი პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ეკონომიკური მდგომარეობიდან მომდინარეობს და მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს პირველ რიგში ეკონომიკური სამართლიანობის დამყარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ისინი ერთმანეთს სცილდებიან ზემოხსენებული ამოცანის მიღწევის გზის დასახვისას. ბოსლეველს ეკონომიკური გადატრიალების ბერკეტად მიაჩნია პოლიტიკა. იგი შორსაა პოლიტიკური ინდი-

---

[32] იქვე, გვ. 165.

ფერენტიზმისაგან, მისი შეხედულებით, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება ეკონომიკური ჩაგვრის ლიკვიდაციის გარანტიაა. ბოსლეველი, ნაროდოვოლელთა მსგავსად, დემოკრატიულ-პოლიტიკურ გადატრიალებაში ხედავს „სოციალური რეფორმის“ ყველაზე საიმედო საშუალებას.

გ. მეგრელიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბოსლეველი არ ეთანხმება მაიაშვილს პოლიტიკის იგნორირებაში. პირველი ასევე არ ეთანხმება მეორეს, როცა ის ფიქრობს, რომ მარქსის „კაპიტალში“ საზოგადოების პოლიტიკურ წყობილებას უმნიშვნელო ადგილი განეკუთვნებაო, როცა ის ფიქრობს, რომ ეკონომიკური რევოლუცია მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველზე ბრძოლით უნდა განხორციელდეს. „ჩვენ გვინდა, — წერს ბოსლეველი, — ფაქტებით დავარწმუნოთ მაიაშვილი, რომ პოლიტიკური ფაქტორი ძ ი რ ი თ ა დ ი პირობაა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი გაუმჯობესებისათვის“[33]. ბოსლეველს ესმის, რომ პოლიტიკური ხელისუფლება ყოველთვის და ყველგან იყო ბერკეტი, რომლის დახმარებითაც გაბატონებული კლასი ახორციელებდა საზოგადოებრივ გადატრიალებას, აუცილებელს მისი კეთილდღეობისა და განვითარებისათვის.

გ. მეგრელიშვილის დაკვირვებით, ბოსლეველმა დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ გასცა კითხვაზე: რა ამოცანა დგას დასავლეთის მუშათა კლასის წინაშე? ამ საკითხზე მისი მსჯელობა ასეთია: მუშათა კლასი ეკონომიურად ჩაგრულია, მას ექსპლოატაციას უწევენ კაპიტალისტები, დასავლეთის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილება ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს, მუშამ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებები, რომ შემუსროს ბურჟუაზიის ბატონობა. ბოსლეველის ამ პასუხიდან არ ჩანს კონკრეტულად რას ნიშნავს მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვება, ნიშნავს ის პროლეტარიატის შემდგომ ბრძოლას დემოკრატიული თავისუფლების გაფართოებისათვის ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში თუ ბრძოლას პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის. მოცემულ კითხვაზე ბოსლეველის მიერ გაცემული პასუხის ავკარგზე მსჯელობა, — გ. მეგრელიშვილის მართებული შენიშვნით, — მით უფრო ძნელია, რომ ჩვენს ხელთ არაა ბოსლეველის სტატიის დაუმახინჯებელი ტექსტი[34].

ბოსლეველის მიხედვით, პოლიტიკური ბრძოლა სოციალისტური მოძრაობის აუცილებელი ელემენტია, თუმცა მან ვერ შეძლო რუსეთ-

---

33 „შრომა“, № 1. 1883.

34 მხედველობაშია ცენზურის ხელი: აკი ბოსლეველის მიერ მაიაშვილის საპასუხოდ დაწერილი 9 წერილიდან მხოლოდ სამი ეღირსა გამოქვეყნებას და ისიც დამახინჯებულად.

სა და საქართველოში სოციალისტური მოძრაობის მიზნების სწორი განსაზღვრა. ცხადია, რომ მას სოციალიზმის განხორციელება არ წარმოედგინა პოლიტიკური წანამძღვრის — დემოკრატიული პოლიტიკური გადატრიალების გარეშე. ამასთან, ძნელია იმაზე მსჯელობა თუ რა მიაჩნდა ბოსლეველს რევოლუციური ძალების მიერ აბსოლუტიზმის დამხობის საშუალებად — გლეხური რევოლუცია თუ ნაროდოვოლელთა ტერორისტული ტაქტიკა, თუმცა, გ. მეგრელიშვილის დაკვირვებით, იგი გლეხური რევოლუციის მომხრე იყო. ჩანს, ბოსლეველი მუშათა კლასს, როგორც პოლიტიკური გადატრიალების მომხდენ გადამწყვეტ ძალას, ვერ ამჩნევდა.

გ. მეგრელიშვილის აზრით, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე ბოსლეველის დამსახურებაა სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათის, კერძოდ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბუნების სწორად გაგება. მისი ფიქრით, ეს დაეხმარა საქართველოს რევოლუციურ მოძრაობას გაეგო პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობა კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლებისათვის.

საზოგადოების ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი პოლიტიკური წყობილების სტრუქტურაზე მსჯელობისას ბოსლეველი ვერ ამაღლდა ბაზისისა და ზედნაშენის მარქსისტულ გაგებამდე.

გ. მეგრელიშვილის განმარტებით, ისტორიის გაგებაში ბოსლეველმა სუბიექტივიზმი უარყო, თუმცა მშობელი ქვეყნის განვითარების პერსპექტივა ვერ დასახა. რა ფორმაცია დამკვიდრდა ჩვენში გასული საუკუნის რეფორმების შემდეგ? ამ კითხვაზე ბოსლეველმა გარკვეული პასუხი ვერ გასცა. საქართველოში იგი ხედავდა კლასებს და კლასობრივ ბრძოლასაც, კლასთა წარმოშობას და საზოგადოების კლასებად დაყოფას საზოგადოებისავე მატერიალურ-ეკონომიკურ საფუძველს უკავშირებდა. ისტორიისა და სინამდვილისადმი ფორმაციული მიდგომისას მისი განსაზღვრებანი ასეთია: ფეოდალიზმი პოლიტიკური და ეკონომიკური დამონებაა, კაპიტალიზმი პოლიტიკურად ათავისუფლებს საზოგადოებას ყმობისაგან, ხოლო ეკონომიკურ ყმობას ინარჩუნებს და აძლიერებს. იგი საღი თვალით ხედავს კაპიტალისტების კეთილდღეობას და მუშათა უკიდურეს სიდუხჭირეს. აქედან მომდინარეობს კაპიტალიზმისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც, გ. მეგრელიშვილის განსჯით, 1880-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში წინ გადადგმული ნაბიჯია. იგივე ითქმის საგლეხო რეფორმისადმი ბოსლეველის დამოკიდებულებაზე, რითაც იგი ხალხოსნური შეხედულებების ფარგლებს სცილდება.

წინააღმდეგ მაიაშვილისა, რომლის შეფასებითაც არა კლასები და კლასობრივი ბრძოლა, არამედ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ ე გ ნ ე-

ბ ი ს დ ო ნ ე განსაზღვრავდა საგლეხო რეფორმის ხასიათს ჩვენში, ბოსლეველი აღნიშნავდა, რომ რეფორმის ხასიათი განაპირობა არა მხოლოდ რეფორმატორთა „მოსაზრებებმა“, არამედ საგლეხო რეფორმის ფესვები გამჯდარია ქვეყნის ცხოვრებაში. ბოსლეველი მიხვდა, — დაასკვნის გ. მეგრელიშვილი, — რომ რეფორმის ირგვლივ იდეურ ბრძოლას საფუძვლად ედო მატერიალური ინტერესები, რომ რეფორმატორები და მთავრობა პრივილეგირებული წოდების ინტერესებს იცავდნენ, ხოლო გლეხური მასები და მათი იდეური ხელმძღვანელები გამოდიოდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური ჩაგვრის წინააღმდეგ, მიწაზე მსხვილი მემამულური საკუთრების წინააღმდეგ და თავისუფლებისათვის[35].

„საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში ბოსლეველი (ე. მჭედლიძე) შეფასებულია „როგორც ხალხსნობასთან ახლოს მდგომი“ და „მათი მოძრაობის მონაწილე“[36]. ბოსლეველი (ხომლელთან, ვოლსკისთან, კეზელთან და ხუდადოვთან ერთად) ასეეა დახასიათებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“[37].

ბოსლეველის დავას გ. მაიაშვილთან გაკვრით შეეხო აკაკი სურგულაძე. მისი აზრით, გაზეთი „შრომა“ „არაა ხალხსნური ორგანო“. ბოსლეველიც „არ ყოფილა ხალხსანი“. „შრომის“ ირგვლივ „მართლაც „ქუთაისის დემოკრატიული ძალები იყვნენ შემოკრებილი, მაგრამ მისი მიმართულება არასოდეს მარტოდმარტო ნაროდნიკული პროგრამით არ შემოფარგლულა“. „შრომის“ ყველაზე აქტიური მოღვაწე, ბოსლეველი, „სოციალ-პოლიტიკური შეხედულებებით ყველაზე მეტად თერგდალეულთა იდეოლოგიას შეესატყვისება“. ა. სურგულაძის შეფასებით, „ის, რაც ნიჭიერი პუბლიცისტისაგან დაგვრჩა, სრულ უფლებას გვაძლევს იგი XIX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწედ ვაღიაროთ“[38].

როგორც ვხედავთ, ბოსლეველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები კარგა ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია, თუმცა სასურველი სიღრმე-სისრულით არაა გაშუქებული. ამას მოწმობს პუბლიცისტის ნაზრევის შეფასებისას სხვადასხვა ავტორთა

---

35 გ. მ ე გ რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—176.

36 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 547.

37 „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. V, თბ., 1970, გვ. 810.

38 ა კ ა კ ი ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1973, გვ. 386—387.

მიერ გამოთქმული შეხედულებების პრინციპული სხვადასხვაობა, ზოგჯერაც მისი მემკვიდრეობის ანალიზის გარეშე ჩამოყალიბებული ურთიერთსაპირისპირო დებულებები.

ბოსლეველის ბედ-იღბალზე გარკვეული გავლენა იქონია გერასიმე ქიქოძემ (გაბრიელი), როგორც მისმა მფარველმა და მოამაგემ, რაც გასათვალისწინებელია საკითხის ისტორიოგრაფიაშიც. ამ მხრივ საყურადღებოა მ. კელენჯერიძის* ბიოგრაფიული ნარკვევი „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)", წყაროების პუბლიკაციითურთ, სადაც დახასიათებულია ის, როგორც პიროვნება. ავტორი ასე აყალიბებს თავის მიზანდასახულობას: „ჩვენი სურვილი იყო მოგვესწრო და შეგვეკრიბა თანამედროვე, ჯერ ისევ ცოცხალ საზოგადოებაში ყველა ის ცნობები და მოგონებანი, რაც კიდევ კარგად ახსოვს ყველას, ამას გარდა გვესარგებლნა არხივებში და კერძო ოჯახებში დაცული მასალებით და ეს მასალა ჩვენი შეძლებისდაგვარად დამუშავებული დაგვეტოვებინა შემდეგ მკვლევართათვის"[39]. მ. კელენჯერიძეს განზრახული ჰქონდა გაბრიელის (გერასიმე ქიქოძის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნაშრომი ორ წიგნად გამოეცა. მან გამოაქვეყნა პირველი წიგნი, სადაც გადმოცემულია გ. ქიქოძის ბიოგრაფია, დახასიათებულია მისი ცხოვრებისა და საქმიანობის უმთავრესი ეპიზოდები, მოღვაწის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოხმაურებანი.

მ. კელენჯერიძეს სურდა მეორე წიგნში შედგომოდა „გაბრიელის დიდ-დიდი საქმეების ყოველმხრივ განხილვა-დაფასებას და მათ შესახებ საბუთების გამოქვეყნებას"[40], თუმცა ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

გასაკვირი არაა, რომ მ. კელენჯერიძის შეხედულებანი რიგ შემთხვევაში კლერიკალურია[41]. ამის მიუხედავად, დაინტერესებული

---

* ყოფილი სასულიერო პირი მელიტონ კელენჯერიძე 40 წელი მასწავლებლობდა (მათ შორის 10 წელი 1921 წლის შემდეგ). კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ „დაუღალავად მუშაობდა კულტურის ფრონტზე". იგი ათეისტი გახდა და ლექცია-მოხსენებებს კითხულობდა მუშათა წრეებში, მონაწილეობდა ლიტერატურულ დისპუტებში. ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა-ფშაველასთან, იროდიონ ევდოშვილთან დაახლოებულმა მ. კელენჯერიძემ არაერთი წიგნი გამოსცა ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე, 40 წელი მიუძღვნა ფოლკლორული მასალების შეგროვებას. იგი იყო მწერალთა კავშირის წევრი, გახდა „საბჭოთა პატრიოტი" (იხ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. კელენჯერიძის პირადი საარქივო ფონდი, № 107, № 101, № 54, № 39, № 38, № 35).

39 მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ქუთაისი, 1913, გვ. V.

40 იქვე, გვ. 321.

41 მის ნაწერებში შეინიშნება კლერიკალური აზრები: „ადამიანისათვის... მომა-

მკითხველი მის წიგნში უთუოდ იპოვის გ. ქიქოძის სწავლა-აღზრდისა და საზოგადოებრივი საქმიანობის უმთავრესი მომენტების დოკუმენტურ თხრობას და არსებითად სწორ გააზრებას. ჩვენთვის არანაკლებ ფასეულია ხსენებული პიროვნების სამოღვაწეო ეპოქის ავტორისეული ინტერპრეტაცია. მისი თქმით, გ. ქიქოძე იმ დროს სწავლობდა პეტერბურგში, როცა „რეალიზმმა თავი წამოყო რუსეთში", დაიწყო „სოციალიზმის ქადაგების ხანა, ხანა ბატონყმობის მოსპობის წინამორბედი, ხანა პისარევისა, დობროლიუბოვისა, ჩერნიშევსკისა", მაშინ როცა „რუსეთის ზღვას გრიალი გაჰქონდა,... ეროვნული მოტივები მოქალაქეობრივ უფლებებს პოულობდნენ ძწერლობაშიც და, რასაკვირველია, სტუდენტობას, ამ ეროვნულ ბარომეტრს, აქაც პირველი ადგილი ეჭირა"[42].

ავტორს მშვენივრად ესმის რუსეთში პირველი რევოლუციური სიტუაციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული მოვლენები.

წიგნში გ. ქიქოძე წარმოდგენილია სასიცოცხლო ეროვნული მნიშვნელობის საქმეებისათვის უშიშარ და თავდადებულ მებრძოლად. ავტორის სიტყვით, გ. ქიქოძე „ვითარებამ წამოისროლა XIX საუკუნის წყვდიადიდან მომასწავებლად იმისა, რომ ქართველ ერს კიდეკ სიცოცხლე სწყურია, კიდეკ არ დაშრობია ცხოვრების წყარო", იგი ისეთი პიროვნებაა, რომელსაც „არ შეუძლია სასიკეთოდ არ იმოქმედოს კაცზე. თითოეული სიტყვა და საქმე მისი კანონად დასადებია"[43]

მ. კელენჯერიძეს დაბეჯითებით სწამს განსვენებულ გ. ქიქოძეზე წიგნის შექმნის „ეროვნული მნიშვნელობა", რადგან ასეთი ადამიანები, მისი სიტყვით, „ზეზეც ანათებენ და საფლავებიდანაც"[44]. მან მრავალფეროვანი წყაროების მოშველიებით მნიშვნელოვანწილად რეალისტურად, მეტისმეტი იდეალიზაციის გარეშე, შეაფასა ცნობილი პიროვნება, რის წყალობითაც წიგნმა დროის გამოცდას გაუძლო.

გ. ქიქოძის, როგორც მოაზროვნის, შეფასების თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებოა ვ. გაგოიძის გამოკვლევა „ფილოსოფიური აზრის მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში", სადაც რელიეფურადაა წარმოდგენილი გ. ქიქოძის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი, განხილულია მისი წიგნი „ცდისეული

ვალი ის ხილია, რომლის მოწყვეტას ვცდილობთ და ჯერ ვერ მივსწვდით და ვერც მივწვდებით"; „კაცი კარგის მოლოდინით უფრო ბედნიერია ვიდრე კარგის განცდით"; „იდეალი მუდამ საძებარი ხილია და არა სრულიად შესაპმელი" (გვ. III) და ა. შ.

[42] მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი... გვ. 31.

[43] იქვე, გვ II, III.

[44] იქვე. გვ. VII, II.

ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც 1858 წელს გამოიცა და საქვეყნოდ გახმაურდა. ვ. გაგოიძე აღნიშნავს, რომ გ. ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ იმჟამად დიდ მოვლენას წარმოადგენდა თვით რუსეთის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანოების აღიარებით. ის „დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოდ 60-იანი წლების რუსულ სემინარიებში“.

გ. ქიქოძის წიგნს გამოეხმაურა რუსული და უცხოური პრესა. სახელგანთქმულმა „სოვრემენნიკმა“ გამოაქვეყნა ნ. დობროლიუბოვის რეცენზია, სადაც „კრიტიკულ მოსაზრებებთან ერთად, წიგნის დადებითი მომენტიც იყო ხაზგასმული“[45]. წიგნი, რომელიც ავტორმა თავისი დიდი მეგობრის ალექსანდრე რუდაკოვის ხელშეწყობით გამოსცა, პეტერბურგის სასულიერო წრეების ზოგიერთ წარმომადგენელს არ მოეწონა: რეცენზენტმა კარპოვმა ავტორს ერეტიკოსი უწოდა.

ვ. გაგოიძის აზრით, გ. ქიქოძის ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები „იმითაა საინტერესო, რომ თუ ერთი მხრივ გ. ქიქოძე აგრძელებს ი. ხელაშვილთან, იოანე და დავით ბაგრატიონებთან დასმულ პრობლემებს, მეორე მხრივ იგი ნიადაგს უმზადებს ი. თარხნიშვილს“[46].

სასულიერო განათლებამ და სოციალურმა მდგომარეობამ ხელი ვერ შეუშალა გ. ქიქოძეს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის არსებითად სწორად გაგებაში. ასეთი ცენტრალური საკითხია სულისა და მატერიის, ცნობიერების და ყოფიერების, ადამიანისა და გარემოს მიმართების საკითხი. თუმცა აღზრდამ და სოციალურმა მდგომარეობამ იქონია თავისი გავლენა, მაგრამ გ. ქიქოძემ მაინც მატერიალურად გადაწყვიტა ფილოსოფიის ძირითადი საკითხი და უდავოდ მიიჩნია ისიც, რომ ადამიანს შეუძლია მისგან დამოუკიდებელი სამყაროს შემეცნება. „მაგრამ იგი ამავე დროს უშვებდა ღმერთის არსებობას, სულიერ სუბსტანციას და სულის უკვდავებას“[47]. აქ საქმე გვაქვს ერთმანეთთან შეუთავსებელ მოსაზრებათა ხელოვნურ შერიგებასთან. ვ. გაგოიძე საფუძვლიანად განმარტავს ასეთ დაპირისპირებას გ. ქიქოძის მსოფლმხედველობაში და განსაზღვრავს სულიერი სუბსტანციის როლს მის ნააზრევში.

„გ. ქიქოძეს უნდა განეცადა და კიდევაც განიცადა მატერიალიზმის გავლენა“. იგი შორს მიდის „იდეალიზმის და კერძოდ სუბიექტური იდეალიზმის კრიტიკაში.“

---

45 ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1964, გვ. 225.

46 იქვე, გვ. 204.

47 იქვე, გვ. 205.

გ. ქიქოძის ნააზრევის მრავალი ასპექტის ვ. გაგოიძისეული ინტერპრეტაციიდან ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთეული წარმოდგენებიდან მსჯელობებისა და დასკვნების გამომდინარეობის საკითხი, რომლისთვისაც გ. ქიქოძეს დიდი ყურადღება დაუთმია და რითაც იგი „ყველაზე უფრო ნათლად წარმოგვიდგება, როგორც ი. თარხნიშვილის წინამორბედი". „მსჯელობებისა და დასკვნის ანალიზზე გ. ქიქოძემ აჩვენა, რომ აზროვნება არაფერია გარემოს ზემოქმედების გარეშე: ობიექტური სინამდვილეა ერთადერთი საგანი, რომელიც ავითარებს აზროვნებას და აძლევს მას შინაარსს"[48].

ვ. გაგოიძე უთუოდ სამართლიანად ახასიათებს გ. ქიქოძეს, როგორც „ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო და საეკლესიო პირთა შორის ყველაზე უფრო პროგრესულ პიროვნებას საქართველოში", იმდენად თვალსაჩინოს, რომ „მას დიდ ანგარიშს უწევდა ახალი იდეებით გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა". გ. ქიქოძის შეხედულებებს იგი აფასებს როგორც „ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების საუკეთესო გამოხატულებას"[49].

ზემოაღნიშნულს თითქოს ეხმიანება გ. ქიქოძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის ხ ა ნ ი ს ა და საზოგადოებრივი ა ზ რ ი ს ა ხ ა ლ ი დ ი ნ ე ბ ი ს ა დ მ ი მისი დამოკიდებულების მ. კელენჯერიძისეული შეფასება. ეს უკანასკნელი წერდა: ეს ხანა იყო გარდამავალი დრო, როცა „თავდებოდა იდეალიზმის პარპაშობის ხანა და იწყებოდა რეალიზმ-მატერიალიზმის ხანა", შენიშნავდა, რომ გ. ქიქოძე, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ახალ აზრებსა და იდეებს თანაგრძნობით ეკიდებოდა[50].

ამიტომაც, ვფიქრობთ, გასაკვირი არაა, რომ გ. ქიქოძე (გაბრიელი) უდიდესი მზუნველობით მოეკიდა სიდუხჭირით შევიწროებულ ახალგაზრდა პუბლიცისტს, ე. მჭედლიძეს (ბოსლეველს), რომელიც მან შეიკედლა და შეიფარა.

ასეთია, ზოგადად, ბოსლეველის ცხოვრებასა და პუბლიცისტურ შემკვიდრეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის გათვალისწინებითაც დაისახა ბოსლეველისადმი მიძღვნილი ჩვენი ნაშრომის მიზანმიმართულება, მოიხაზა შესასწავლ საკითხთა წრე.

წინამდებარე გამოკვლევაში წარმოდგენილია ბოსლეველის ეპოქის მიმოხილვა, მისი ბიოგრაფია, მოკლედ დახასიათებულია პუბლიცისტის ესთეტიკური შეხედულებანი. საამისოდ დაკვირვება ვაწარ-

---

48 ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 206, 220.

49 იქვე, გვ. 225—226.

50 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელი, გვ. 45—46.

მოეთ იმაზე, თუ როგორ ესმის ბოსლეველს ლიტერატურის არსი და თავისებურება, მსოფლმხედველობისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართება, პოეზია და მისი დანიშნულება, „წმინდა ხელოვნების“ თეორიის სიყალბე, რეალიზმის პრინციპები, ლიტერატურული კრიტიკის არსი და დანიშნულება, ჟანრების თეორიის საკითხები, ქართული ლიტერატურის პრობლემები. ამით ვცადეთ, თუნდაც ზოგად შტრიხებში, წარმოგვესახა ბოსლეველის ესთეტიკური სამყარო.

ნაშრომის უმთავრესი მიზანია ბოსლეველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების გაშუქება და შეფასება, რისთვისაც ვცადეთ, რამდენადაც შეიძლებოდა, ცხადგვეყო პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის ბოსლეველისეული გაგება, ის თუ როგორ ესმოდა მას ფეოდალიზმი და მისი მანკიერებანი, კაპიტალიზმი როგორც ისტორიული საფეხური თავისი ექსპლოატატორული არსითა და კლასობრივი სტრუქტურით, როგორ გაიაზრა სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი. ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების დამპყრობლური ომებისა და კოლონიური პოლიტიკის ბოსლეველისეული გაგება, ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიტიკა და კაპიტალიზმის დაღუპვის გარდუვალობის აღიარება, რაც ბოსლეველის პუბლიცისტიკის ძლიერი მხარეა. მისი ნააზრევის არსის განსაზღვრის თვალსაზრისით ჩვენთვის პირველხარისხოვანია საკითხი, თუ როგორ ესმოდა ბოსლეველს ევროპის სოციალისტური მოძრაობა, სოციალიზმის ძირითადი ნიშნები და მისი განხორციელების გზები, მშობელი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წარსული, აწმყო, მომავალი.

იმისათვის, რომ ზემოთ დასმული საკითხების გააზრებით მთლიანობაში წარმოგვედგინა ბოსლეველის ესთეტიკური სამყარო და მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ჩვენ ვხელმძღვანელობდით შესაბამისი ისტორიული პროცესისა და, კერძოდ, მემკვიდრეობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, ვეყრდნობოდით საბჭოური მეცნიერების მიღწევებს საზოგადოებრივი აზრის კვლევაში, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის ისტორიოგრაფიას.

გამოკვლევის წყაროთა შორის, ბუნებრივია, უმთავრესია ბოსლეველის პუბლიცისტური, აგრეთვე ეპისტოლარული მემკვიდრეობა, მნიშვნელოვან მონაცემებსა და ცნობებს შეიცავენ მის თანამედროვეთა მოგონებები, ნარკვევები და ჩანახატები, წერილები და სტატიები.

მუშაობის პროცესში ამჯერადაც დავრწმუნდით, რომ XIX საუკუნის ისტორიული პროცესის, სახელდობრ საზოგადოებრივი აზრის სერიოზული მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს კავკასიის ადმინისტრაციის ორგანოების საარქივო ფონდებში შემონახულ წყაროებს. ბოს-

ლეველის ბიოგრაფიისათვის, ასევე მისდამი სასულიერო უწყების წარმომადგენელთა დამოკიდებულების ცხადსაყოფად, სანდო მონაცემები შემოინახა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის“ (ფ. 489) და მხარის სასწავლო უწყების (440) ფონდებში, ხოლო პუბლიცისტის, როგორც „არაკეთილსაიმედო“ ავტორის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა დასახასიათებლად და შესაფასებლად განსაკუთრებით ფასეულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში (480) შემონახული მასალები, მეტადრე ბოსლეველის ის კორესპონდენციები, რომელთა გამოქვეყნება ცენზურამ აკრძალა, რის გამოც გაზეთების ანაწყობიდან ამოიღო.

გარკვეული სამსახური გაგვიწია ოფიციალური წყაროების იმ ჯგუფმა, რომელიც საშუალებას იძლევა დაკვირვება ვაწარმოოთ მთავრობის საშინაო პოლიტიკაზე 1880-იანი წლების რეაქციის პერიოდში და სხვ.

ნაშრომში ნაცადია მთელი ამ მასალის კრიტიკული განხილვა, გააზრება და განზოგადება.

რევოლუციური სიტუაციიდან სუსხიანი რეაქციისაკენ

XIX საუკუნის 70—80-იანი წლების მიჯნაზე რუსეთის იმპერიაში ახალი (მეორე) რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა: მშრომელი მასების სიდუხჭირე უკიდურესად გამწვავდა. „ქვედაფენების“ აქტივობა ამაღლდა. „ზედაფენების“ პოლიტიკა კრიზისს განიცდიდა. სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი 1879 წლის 20 აპრილს წერდა დღიურში: „მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება ძირეულ რეფორმას მოითხოვს, ბოლოდან თავამდე“. ცარიზმის სამინისტროს მეორე ბურჯი პ. ვალუევი მილიუტინთან თითქმის ერთდროულად წერდა თავის დღიურში (1879 წლის 3 ივნისს): „იგრძნობა, რომ ნიადაგი მერყეობს, შენობას დანგრევა ემუქრება: ობივატელები თითქოს არ ამჩნევენ ამას, ბატონპატრონები ბუნდოვნად გრძნობენ არასასიკეთოს, მაგრამ შინაგან მღელვარებას მალავენ“[1].

70-იანი წლების დამლევს რუსეთში რევოლუციურმა მოძრაობამ უმაღლესი გაქანება „ჰპოვა. მას ბიძგი მისცა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომმაც, რომელმაც რუსეთის გამარჯვების მიუხედავად თვითმპყრობელობის სიდამპლე გამოავლინა. ცნობილი გახდა არმიის მომარაგების შემაშფოთებელი ხარვეზები და ბოროტმოქმედებანი, სამხედრო შეიარაღების ჩამორჩენილობა. სამხედრო ოპერაციების წარმართვაში ცარიზმის სარდლობის მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, ჯარისკაცთა გაუმართლებელმა მსხვერპლმა საზოგადოების სხვადასხვა წრეებში გულგატეხილობა და აღშფოთება გამოიწვია. ამავე მიმართულებით მოქმედებდა ომის არასასურველი ეკონომიკური შედეგები — საგადასახადო ტვირთის სიმძიმე, გლეხური მეურნეობის შემდგომი დაცემა. ძლიერ შელახა თვითმპყრობელობის პრესტიჟი აგრეთვე ბერლინის კონგრესზე ცარისტული მთავრობის დიპლომატიურმა უკანდახევამ.

დაძაბული პოლიტიკური ვითარება უაღრესად შთამბეჭდავად გამოხატა იმ თავდასხმამ, რომელიც 1878 წლის იანვარში ნაროდოვო-

---

[1] ციტ. История СССР с древнейших времен до наших дней, т. V, М., 1968, с. 346.

ლელმა ვერა ზასულიჩმა მოაწყო პეტერბურგის ქალაქისთავ ტრეპოვ-ზე. ვერა ზასულიჩმა ტრეპოვს ესროლა, რითაც შურს იძიებდა ციხე-ში პოლიტიკური პატიმრის, ზემლევოლელი ბოგოლიუბოვის ღირსების ხელყოფისათვის. ნაფიცთა სასამართლომ ზასულიჩი გაამართლა. ამ განაჩენს აღტაცებით შეეგება საზოგადოების უფართოესი მასები.

ამ დროიდან ხალხისნები პოლიტიკურ ტერორს უფრო ხშირად მიმართავდნენ. 1878 წელს ს. კრავჩინსკიმ მოკლა ჟანდარმთა შეფი მეზენცოვი. 1879 წელს ა. სოლოვიოვმა მოაწყო ალექსანდრე II-ზე თავდასხმა, რაც წარუმატებელი გამოდგა. სოლოვიოვი დასაჯეს. ხალ-ხისანთა რიგებში ჩამოყალიბდა მიმდინარეობა, რომელსაც თვით-მპყრობელობის მოსპობის ყველაზე ეფექტურ საშუალებად ტერორი მიაჩნდა. ამას ერთგვარად ხელს უწყობდა ისიც, რომ რევოლუციო-ნერებს მასებთან ფართო და საიმედო კავშირი არ გააჩნდათ.

1878—1881 წლების პოლიტიკური კრიზისის პერიოდში მღელ-ვარება საგრძნობი იყო საზოგადოების თითქმის ყველა წრეში. ომმა გამოაცოცხლა გლეხობა, მათ შორის მიწის ახალი გადანაწილების მოლოდინი წარმოშვა. სოფლად გრძელდებოდა გლეხთა შეჯახებები მემამულეებსა და ხელისუფლებასთან, რაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუკი 1875—1879 წლებში იმპერიაში 152 გლეხთა მღელვარება მოხდა, მომდევნო ხუთ წელიწადში (1880—1885) 325-მდე გაიზარდა.

70—80-იანი წლების მიჯნა საქართველოშიც გლეხთა ახალ-ახალი აჯანყებებით აღინიშნა: 1875—1876 წლებში აჯანყება მიმდინარეობდა სვანეთში, 1876 წელს — სამეგრელოში, 1878 წელს სიღნაღში, 1881 — 1882 წლებში — გურიაში. გლეხთა ყველა ეს სტიქიური აჯან-ყება ცარიზმმა სისხლში ჩაახშო, თუმცა, დამარცხების მიუხედავად, მათ უკვალოდ არ ჩაუვლიათ, — ერთგვარად ხელი შეუწყვეს მშრო-მელი ხალხის გათვითცნობიერებას. იმ დროს, როცა საქართველოს მუშათა კლასი რევოლუციური ბრძოლის ასპარეზზე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული, მშრომელი გლეხობის ინტერესებს იცავდნენ სახე-ლოვანი თერგდალეულები და ხალხისნები.

მუშათა მოძრაობა რუსეთში უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ჩვენ-ში. 1870-იანი წლების მიწურულს დიდი გაფიცვები მოეწყო პეტერ-ბურგში, ხარკოვში და სხვაგან. იმ დროს მუშათა გამოსვლები რუსეთ-ში საერთოდ ჯერ კიდევ სუსტი იყო, მაგრამ 1878—1879 წლების გამოსვლებში პეტერბურგში რევოლუციონერ მუშებთან ერთად ინ-ტელიგენციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდის საზოგადოებრივ მოძრაობაში არსებითი წვლილი შეიტანა სტუდენტობამ. მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში, სამედიცინო-ქირურგიულ აკა-

დემიაში, ტექნიკურ სასწავლებლებში ხშირი იყო მღელვარება, ზოგჯერ მთავრობის აშკარა საწინააღმდეგო გამოსვლები. როგორც ცნობილია, მეორე რევოლუციური სიტუაციის პერიოდში ჩვენშიც გახშირდა გიმნაზიისა და სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა გამოსვლები.

ახალ საზოგადოებრივ აღმავლობას ლიბერალთა წრეებში ერთგვარი გამოცოცხლება მოჰყვა. 1878 წლის მეორე ნახევარში მთავრობამ საზოგადოებას მიმართა მოწოდებით რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ დახმარების თაობაზე. ბევრი საერობო კრება გამოეხმაურა მოწოდებას და მეფეს „ადრესები" გაუგზავნა. ეს უკანასკნელნი მეტწილად გამოთქვამდნენ „უქვეშევრდომილეს" გრძნობებს და მზადყოფნას აცხადებდნენ ხელისუფლებასთან ერთად სამოქმედოდ, მაგრამ ცალკეული ერობები, მათ შორის ტვერის, ჩერნიგოვის, ხარკოვისა, გამოვიდნენ მთავრობის პოლიტიკის კრიტიკით, ლიბერალური რეფორმების სურვილებით, კონსტიტუციის შემოღების მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი მოთხოვნით[2]. 1879 წლის გაზაფხულზე ლიბერალური მოძრაობის გაერთიანების მიზნით მოსკოვში შედგა ლიბერალების საიდუმლო ყრილობა. მოცემულ პერიოდში ლიბერალურ წრეებში ჩვენშიც დაიწყო გამოცოცხლება და თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო პროტესტები, რამაც დიმიტრი ყიფიანი შემდეგში იმსხვერპლა.

ქვეყანაში აშკარა უკმაყოფილობისა და რევოლუციური აქტივობის ვითარებაში მერყეობისა და არასიმყარის ნიშნებმა თავი იჩინა თვით მთავრობაში. 1878—1879 წლებში მკაცრი ზომები იქნა მიღებული რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხელისუფლება კვლავ უფრო ხშირად მიმართავდა პოლიტიკურ ტერორს. უსირცხვილოდ იყენებდა სამხედრო სასამართლოს. ერთიმეორეს მიაყოლეს რევოლუციონერთა სასიკვდილო განაჩენები. მაგრამ დევნა და შევიწროება ვერ ამშვიდებდა საკუთრივ მთავრობასაც. „არავის სწამს არსებული წესრიგის სიმტკიცე" — აღიარებდა (1879) სამხედრო მინისტრი დ. მილიუტინი.

იმ დროს, როცა ზემოხსენებული სტრიქონები იწერებოდა, ლიპეცკში იატაკქვეშა ყრილობაზე შეიკრიბნენ რევოლუციონერები — ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები. საზოგადოება „ზემლია ი ვოლიაში" ადრინდელი „პოლიტიკური მიმართულების" მომხრეებსა და სისტემატური ტერორის გზით პოლიტიკური ბრძოლის იდეის დამცველთა შორის უთანხმოება ძლიერ გამწვავდა. ზემლევოლელთა საერთო ყრილობაზე ვორონეჟში მიღებული კომპრომისული გადაწყვეტილება უშედეგო გამოდგა. 1875 წლის 26 აგვისტოს „ზემ-

[2] Краткая история СССР, в двух частях, часть первая, Тбилиси, 1972, с. 284.

ლია ი ვოლია“ გაითიშა. მის ადგილზე წარმოიშვა ორი ახალი რევოლუციური ორგანიზაცია — „ნაროდნაია ვოლია“ და „ჩორნი პერედელი“.

1879 წლის აგვისტოში „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელმა კომიტეტმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ალექსანდრე III-ს. ნაროდოვოლელების ხელმძღვანელები: ა. ჟელიაბოვი, ა. მიხაილოვი, ა. კვიატკოვსკი, სოფიო პეროვსკაია, ვერა ფიგნერი, ნ. მოროზოვი იმედოვნებდნენ, რომ მეფის სიკვდილი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას ხელს შეუწყობდა.

1879 წლის ნოემბერში ყირიმიდან დედაქალაქში მეფის დაბრუნებისას ნაროდოვოლელებმა მოსკოვის მახლობლად მოამზადეს რკინიგზის ხაზის აფეთქება. აქცია წარუმატებელი აღმოჩნდა. მეფის მოკვლა არ მოხერხდა არც ზამთრის სასახლეში (1880 წლის თებერვალში) „ნაროდნაია ვოლიას“ დავალებით სტ. ხალტურინის მიერ მოწყობილი აფეთქებით. ზამთრის სასახლეში მომხდარი აფეთქების შემდეგ მმართველმა წრეებმა კიდევ უფრო დაკარგეს მოსვენება. თვითმპყრობელობამ გადაწყვიტა ისეთი დიქტატურის დამყარება, რომელიც რევოლუციონერთა გადამწყვეტ განადგურებას შეძლებდა და ლოიალურ საზოგადო მოღვაწეებთან, ანუ „კეთილმოაზროვნეებთან“ ლაციცსაც მოახერხებდა. დიქტატორად მოიწვიეს გრაფი მ. ლორის-მელიქოვი, გენერალი, რუსეთ-თურქეთის ომის ცნობილი მონაწილე. ერთი კვირაც არ გასულიყო ლორის-მელიქოვის დანიშვნიდან, როცა მას 18 თებერვალს ესროლა იპოლიტ მლადეცკომ, რომელიც ამის გამო 20 თებერვალს ჩამოახრჩვეს. ამას მოჰყვა ახალი ზომები, მიმართული პოლიტიკური ძებნის გაძლიერებისაკენ და პოლიტიკური პოლიციის საქმეების ლორის-მელიქოვის ხელში თავმოყრისაკენ.

ლორის-მელიქოვმა დახურა უმაღლესი განმკარგულებელი კომისია (III განყოფილება) და ყოველგვარ პოლიტიკურ საქმეს თავი მოუყარა შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომელსაც III განყოფილების საქმეებიც შეუერთა. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ლორის-მელიქოვმა, საკუთარ ხელში თავი მოუყარა უზარმაზარ ძალაუფლებას[3].

მ. ლორის-მელიქოვის დანიშვნასთან დაკავშირებულ მისალმებაში პოპულარული ლიბერალური გაზეთი „გოლოსი“ აცხადებდა, რომ ამიერიდან ადმინისტრაციული თვითნებობა თავის საფუძველშივე დაგმობილია და ყოველი კერძო მოქალაქის პირადი უშიშროება ხელშეუხებელი ხდება, რომ „მისი დიქტატურა — გულის და აზრის დიქტატურაა“. მაგრამ „გულის“ ამ დიქტატურამ ძალზე ცოტა რამ გაა-

---

[3] История СССР, с древнейших времен... т. V, М., 1968, с. 351—352.

კეთა ნამდვილი ლიბერალური წამოწყებების თვალსაზრისით: ცენზურული რეჟიმის რამდენადმე შერბილება, ერობასთან მიმართებაში რამდენადმე უფრო მისაღები ტონი, ქვეყანაში სახელგატეხილი, საძულველი განათლების მინისტრის დ. ტოლსტოის გადაყენება და ა. შ. სამაგიეროდ არაფერს არ მოერიდა „გულის“ ეს დიქტატურა ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი რადიკალური ელემენტების დევნაში.

„ნაროდოვოლელებმა“ ლორის-მელიქოვის პოლიტიკა შეაფასეს როგორც რევოლუციონერთა იზოლაციის და ობივატელთა საიმედო „დაბმის“ ცდა. ამიტომ მათ არ შეანელეს აქტიური მოქმედება ალექსანდრე II-ის მთავრობის წინააღმდეგ. 1881 წლის 1 მარტს ნაროდოვოლელებმა შეძლეს სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა. პეტერბურგელი სტუდენტის ი. გრინევიცკის ნასროლმა ბომბმა მოკლა მეფე და თვითონ თავდამსხმელი. მაგრამ ნაროდოვოლელებმა თავის ძალთა უკმარისობისა და მასობრივი მოძრაობის სისუსტის გამო ვერ ისარგებლეს მმართველ წრეებში აღმოცენებული დროებითი არეულობით. მათ ჯერ კიდევ 1 მარტამდე, მეფის მოკვლის მომზადებისას, განიცადეს რეპრესიები, დაპატიმრებათა შედეგად დაკარგეს თავისი ყველაზე გამოჩენილი ლიდერები. 1 მარტი იყო ქვეყანაში მეორე რევოლუციური სიტუაციის კულმინაციური პუნქტი[4], რის შემდეგაც რევოლუციური პარტიის — „ნაროდნაია ვოლიას“ ხელმძღვანელობას თავს დაატყდა მეფის მთავრობის ახალი დარტყმები. პოლიციის სამძებრო სამსახურის მეთაურმა სუდეიკინმა ცნობილი ჯაშუშის დეგაევის მეშვეობით შეძლო „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასკომის წევრთა ნაწილის ხელში ჩაგდება.

მეფის მოკვლის შემდეგ „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის გადარჩენილმა წევრებმა გამოაქვეყნეს ღია წერილი ალექსანდრე III-სადმი. ისინი დაპირებას იძლეოდნენ, რომ ტერორისტულ ბრძოლას შეწყვეტდნენ, თუკი მთავრობა გამოაცხადებდა პოლიტიკურ ამნისტიას და საარჩევნო აგიტაციას, სრული თავისუფლების ვითარებაში მოიწვევდა სახალხო კრებას რუსეთის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების გარდასაქმნელად სახალხო მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ნაროდოვოლელთა მოთხოვნები მოკლებული აღმოჩნდა ხალხთა მასების გამოსვლის მხარდაჭერას.

რევოლუციონერებს კრიტიკულ მომენტში მხარი კვლავ არ დაუჭირა საზოგადოების ლიბერალურმა წრეებმა, რომლებიც დასჯერდნენ

---

[4] В. И. Ленин и русская общественно-политическая мысль XIX—начала XX в., Ленинград, 1969, с. 231—233.

გაუბედავ მოწოდებებს რეფორმების გაგრძელებაზე და ყრუ მინიშნებებს კონსტიტუციის სასურველობაზე.

რუსეთის მუშათა კლასსაც ჯერ კიდევ არ გააჩნდა მტკიცე ორგანიზაცია, კვლავაც სტიქიური და დაქსაქსული იყო გლეხთა მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ ხანმოკლე დროით მისცა ერთგვარი სტიმული 1880 წლის მოუსავლიანობამ, შიმშილობამ, ასევე ეკონომიურმა კრიზისმა. მეფის მოკვლის შემდეგ პირველ კვირეებში გლეხობაში ძლიერ გავრცელდა ხმა, რომ მეფე მემამულეებმა მოკლესო, რომ ახლა გლეხობას კვლავ დააყმევებენო. ამან მთავრობა დააფრთხო, რის გამოც ლორის-მელიქოვმა 27 მარტს გაავრცელა ცირკულიარი, რომლითაც გუბერნატორებს წინადადება მიეცათ „უდიდესი სიფრთხილით" განემარტათ გლეხობისათვის, რომ „რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი წოდება", თავადაზნაურობა, არაა 1 მარტის საქმის მონაწილე. მთავრობა ხალხის დამშვიდებას ესწრაფვოდა.

ყოველივე ამის გამო ახალი საზოგადოებრივი აღმავლობა, რითაც რუსეთ-თურქეთის ომის მომდევნო წლები აღინიშნა, რევოლუციით არ დაგვირგვინდა. „რევოლუციონერებმა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პირველ მარტს ამოსწურეს თავიანთი ძალები, მუშათა კლასში არ იყო არც ფართო მოძრაობა და არც მტკიცე ორგანიზაცია, ლიბერალური საზოგადოება ამჯერადაც იმ ზომამდე პოლიტიკურად განუვითარებელი აღმოჩნდა, რომ ის ალექსანდრე II მოკვლის შემდგომაც შუამდგომლობებს ვერ გასცილდა"[5]. ცარიზმმა კვლავ შეინარჩუნა ხელისუფლება. კიდევ მეტი, ის უფრო გაბედულად გადავიდა მებრძოლურ რეაქციულ კურსზე. I მარტიდან მთელი წლის მანძილზე მმართველ წრეებში საშინაო პოლიტიკის წარმართვაში მერყეობა და უთანხმოება შეინიშნებოდა. განიხილებოდა საერობო კრების მოწვევის გეგმებიც კი, რაშიც სლავიანოფილების იდეების გავლენაც შეიმჩნეოდა.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ალექსანდრე III მთავრობამაც, იმის შემდეგაც კი, როცა მანიფესტი გამოსცა თვითმპყრობელობის დამკვიდრების შესახებ, ერთბაშად კი არ გამოაჩინა თავისი ბრჭყალები, არამედ საჭიროდ სცნო რამდენიმე ხნით ესინჯა „საზოგადოების" გაბრიყვება"[6]. მაგრამ ყოველივე ეს მალე მიტოვებულ იქნა და მკვეთრად შემობრუნების შედეგად უმძიმესი რეაქციის ხანა დადგა. ახალმა თვითმპყრობელმა, ალექსანდრე III-მ თავისი მეფობა ნაროდოვოლელ ჟელიაბოვის, სოფიო პეროვსკაიას და კიბალჩიჩის ჩამოხრჩობით დაიწყო. იგი ზიზღით ეკიდებოდა ეპოქის პროგრესული მოძრაობის

---

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები, თხზ., ტ. 5, გვ. 56.

[6] იქვე.

ყოველგვარ გამოვლინებას, უსაზღვროდ სწამდა პოლიციური ხელკეტისა და მამის ბედით დამფრთხალი „გატჩინოს პატიმარი“ დევნის მანიით იყო დაავადებული.

1881 წლის 14 აგვისტოს დამტკიცდა დებულება „გაძლიერებული და საგანგებო დაცვის შესახებ“, რომლის ძალით ადგილობრივ ხელისუფალთ ათასგვარი რეპრესიების გატარების უფლება ენიჭებოდათ. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა საგანგებო სათათბირო, რომელსაც სასამართლოს გარეშე შეეძლო ნებისმიერი პირის გადასახლება იმპერიის ყველაზე შორეულ კუთხეში. ხელისუფლება განუყოფლად აღმოჩნდა „თვითმპყრობელობის შეუდრეკელ მომხრეთა ფრიად ძლიერი და შეკავშირებული პარტიის ხელში, რომელიც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა“[7].

ულტრაკონსერვატიულ პოლიტიკას განასახიერებდა თვითონ ალექსანდრე III, რომელიც მთავრობის მაღალ თანამდებობაზე მხოლოდ რეაქციონერებს იწვევდა. ახალი თვითმპყრობელის აღმზრდელი, სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი უპირველეს მოხელედ იქნა აღიარებული. 80-იანი წლებისა და მომდევნო ხანის რეაქციული პოლიტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, პობედონოსცევი, საზოგადოებრივი აზრის მიმართ უმნიშვნელო დათმობაშიც „რუსეთის დაღუპვას“ ხედავდა. პობედონოსცევი „ვიცე-იმპერატორად“ იწოდებოდა. იგი არ იყო უნარიანი სახელმწიფო მოღვაწე. გრაფი ს. სტროგანოვის სიტყვით, „პობედონოსცევმა ჩინებულად იცის რა არაა საჭირო, მაგრამ არასოდეს არ იცის რა არის საჭირო“. თვითონ ალექსანდრე III-ს ს. ვიტესთან საუბარში უთქვამს „პობედონოსცევი შესანიშნავი კრიტიკოსია, მაგრამ მას არასოდეს არ შეუძლია რაიმეს შექმნა“, რაზეც ვიტეს უპასუხნია: „მხოლოდ კრიტიკით ცხოვრება შეუძლებელიაო“[8].

დ. ტოლსტოი, რომელიც 1882 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა, პობედონოსცევის მსგავსად, ალექსანდრე III-ის დროს უზარმაზარი გავლენით სარგებლობდა. ლიტერატურის, ბეჭდვითი სიტყვის და ნამდვილი განათლების ეს დაუძინებელი მტერი გამოსადეგი კაცი აღმოჩნდა მემამულური რეაქციის პოლიტიკის გამტარებლად, რაც ალექსანდრე III-ის მეფობის პერიოდში გაიფურჩქნა.

დ. ტოლსტოის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნიდან, ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, იწყება „აღვირახსნილ, წარმოუდგენლად უაზრო და მხეცურ რეაქციაზე“ გადასვლა[9]. მეფის კანცელა-

---

7 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები, თხზ., ტ. 5, გვ. 52—53.

8 История СССР. С древнейших времен... т. V, с. 356.

9 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 336.

რიის მესამე განყოფილება გაუქმდა, მის ნაცვლად შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა პოლიციის დეპარტამენტი და ჟანდარმთა სამმართველო. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება მიენიჭათ საეკვო მოქალაქეთა სასტიკი დასჯისა. პოლიცია და ჟანდარმერია ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს დევნიდა, აპატიმრებდა, ციხესა და კატორღაში აგზავნიდა. ბატონყმური რეაქციის წარმომადგენელმა, დ. ტოლსტოიმ, მაინც ვერ შეძლო ყველაფრის ისე სრულად განხორციელება, როგორც თავადაზნაურობას აწყობდა. დაბრკოლებას ქმნიდა კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც მზარდ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკის საერთო მიმართულებაზე.

ახალი მეფე დევნიდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, დარტყმებს აგემებდა უნივერსიტეტებს, პრესას, სისტემატურად და უსირცხვილოდ ახორციელებდა ეროვნებათა უფლების შეზღუდვას და ხელყოფის კურსს, რისთვისაც გადაწყვიტა ალექსანდრე II-ის რეფორმების გადასინჯვა, რომ აღეკვეთა ყოველივე ის, რაც რეაქციონერ მებატონეებს არ აწყობდა. ამგვარი „კონტრრეფორმები" გაატარა საერობო სფეროსა და საქალაქო თვითმმართველობაში.

80-იანი წლების რეაქციის „იდეური" შტაბი იყო მ. კატკოვის გაზეთი „მოსკოვსკიე ვედომოსტი". კატკოვი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა „რეაქციის საყვირი" უწოდა, პოლიტიკური ინტრიგისა და ცილისწამების დიდოსტატი იყო. მისი სახელი, როგორც მისივე მეგობრისა და თანამოაზრის პობედონოსცევისა, მოწინავე რუსეთის თვალწინ წარმოდგენილი იყო ბნელეთის მოციქულობის, რეტროგრადობის, საზოგადოებრივი აზრის აბუჩად აგდების სიმბოლოდ.

რევოლუციონერთა დამარცხების ერთ-ერთი შედეგი გახდა რუსეთის საზოგადოების ნაწილში დაცემულობის განწყობილების გავრცელება და ინდიფერენტიზმი[10].

ლიბერალური ოპოზიციის ჩახლეჩილი ხმა ახლა კიდევ უფრო გაუბედავად გაისმოდა, ვიდრე ადრე. ის უკვე არ ოცნებობდა საზოგადოებრივ უფლებათა გაფართოებაზე, მხოლოდ იმ მცირედის შენარჩუნებაზე ფიქრობდა, რაც ალექსანდრე II-ის რეფორმით იქნა მიღწეული. ზოგიერთი „ოპოზიციონერი" პირდაპირ გადაბარგდა გამარჯვებულთა ბანაკში. იწყება „მცირე საქმეთა" თეორიის, „გმირობაზე" უარის თქმის, „სინამდვილესთან შერიგების" ქადაგება. 80-იან წლებში დასაბამი ეძლევა რევოლუციური ხალხისნობის გადაგვარებას.

80-იანი წლების რეაქციის პერიოდში ისახება ისეთი მიმდინარეობა. როგორიცაა „ტოლსტოველობა". ლევ ტოლსტოი გამოდის „ბო-

---

[10] Краткая история СССР, в двух частях, часть первая, Тбилиси, 1972, с. 227—228.

როტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის“ ქადაგებით, ადამიანებს მოუწოდებს პირადი მორალური სრულყოფისადმი, რაც მისი გაგებით ყაცობრიობის უბედურებათა დაძლევის ერთადერთი საშუალებაა. თვითონ ლ. ტოლსტოი „ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას“ უთავსებდა მასების ექსპლოატაციის, გაბატონებული კლასის, სახელმწიფო აპარატის, ოფიციალური ეკლესიის მიერ ხალხის დათრგუნვის მკაცრ და გაბედულ მხილებას. მაგრამ „ტოლსტოველებს“ შორის ცოტა არ იყო ისეთები, რომელთაც განსაკუთრებით იზიდავდა ტოლსტოის სწავლების ყველაზე სუსტი, მცდარი ელემენტები — „შერიგებისადმი“ მოწოდება, რევოლუციური მოღვაწეობის განქიქება და დადანაშაულება“[11].

ამასთან, შეცდომა იქნებოდა 80-იანი წლები მარტოოდენ დაცემულობის ხანად რომ წარმოგვედგინა. სალტიკოვ-შჩედრინი, შელგუნოვი, დემოკრატიული ბანაკის სხვა მწერლები და პუბლიცისტები ენერგიულად იბრძოდნენ „წინააღმდეგობის გაუწევლობის“ იდეისა და „მცირე საქმეების“ თეორიის წინააღმდეგ. მათ ხმას ყურს უგდებდნენ ახალგაზრდა ინტელიგენციის ის ფენები, რომლებიც საზიზღარ სინამდვილეს არ ურიგდებოდნენ და მის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გზას ეძებდნენ.

1881 წლის მარტის ამბები, კულმინაციურ მომენტთან ერთად, 1879—1881 წლების რევოლუციური სიტუაციის დაღმავლობის დასაწყისი გახდა.

ამიერიდან ცენზურა უფრო ულმობლად მძვინვარებდა. პროგრესული დემოკრატიული პრესის დევნა გრძელდებოდა. სწორედ ის გახდა შემდეგი რეაქციის პირველი მსხვერპლი, თუმცა ვერაგი მინისტრი ტოლსტოი თავის რეაქციულ ზრახვებს ფრთხილად ახორციელებდა. 1882 წლის დეკემბერში ეს უკანასკნელი სწერდა პობედონოსცევს: „თითქმის მთელი ჩვენი პრესა საზიზღარია, სასურველია ბევრი გაზეთის გამოცემა შენელდეს, თუმცა ნუთუ უფრო გონივრული არ იქნებოდა გვემოქმედა ფრთხილად, თანდათან“.

დ. ტოლსტოიმ მინისტრთა კომიტეტში, დროებითი წესების“ სახით, ბეჭდვით სიტყვაზე ახალი კანონი გაატარა, რაც ხელმწიფემ 1882 წლის 27 აგვისტოს დაამტკიცა. ამ „წესების“ ძალით პერიოდული გამოცემები, რომლებიც მესამე გაფრთხილების შემდეგ იყვნენ შეჩერებულნი, ხელახლა გამოსვლისას ვალდებულნი იყვნენ ცენზურისათვის ნომერი წარედგინათ გამოცემის წინ, საღამოს 11 საათისათვის. ცენზორს შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ ნომრის შეჩერება. ბუნებ-

---

[11] Краткая история СССР, часть первая, с. 288—289.

რივია, რომ ასეთ ვითარებაში გაზეთის გამოცემა მეტწილად შეუძლებელი ხდებოდა ახალი მასალის უქონლობის გამო. „წესების“ ერთ-ერთი მუხლი ბეჭდვით გამოცემებში რევოლუციონერებისა და ემიგრანტების კორესპონდენციების პუბლიკაციას კრძალავდა; რეაქციები ვალდებულნი იყვნენ სათანადო უწყებისათვის ეცნობებინათ იმ სტატიების ავტორთა ვინაობა, ვინც ფსევდონიმით იბეჭდებოდა.

1883—1884 წლებში დაიხურა თითქმის ყველა რადიკალური და არაერთი ლიბერალური გამოცემა. მათ შორის ლიბერალური და რადიკალური გაზეთები „გოლოსი“ და „დელო“, მოწინავე ჟურნალი „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“. ამ უკანასკნელის აკრძალვა დიდ საზოგადოებრივ მოვლენად იქცა: ლიბერალებისაგან განსხვავებით, რადიკალური ინტელიგენცია პროტესტით გამოვიდა. დაიბეჭდა იატაკქვეშა ფურცლები, უპირატესად სტუდენტური გამოცემები, რომლებიც „სადამსჯელო ცენზურას“ მიწასთან ასწორებდნენ.

1881 წელსვე ჩამოყალიბდა ე. წ. „საღმრთო ლიგა“ ავანტიურისტ ვორონცოვ-დაშკოვისა და შუვალოვის მეთაურობით. ეს რეაქციონერები არაფერს არ ერიდებოდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის აღსაკვეთად.

ცარიზმმა ველური ხერხებით შეძლო 1879—1881 წლების რევოლუციური სიტუაციის შენელება. 60-იანი წლების რეფორმები „შეცდომად გამოცხადდა, 1881 წლის 1 მარტის გასროლა — დემოკრატიული დათმობების“ უშუალო შედეგად. მთავრობა ცდილობდა ახალი საკანონმდებლო აქტებით ერთგვარად მაინც გამოესწორებინა „შეცდომები“, რომელთა შედეგად მემამულეთა ძლიერება შესუსტდა. გატარდა კონტრრეფორმები, რითაც სასოფლო მმართველობაში, სასამართლო ორგანოებში თვითმპყრობელობა რეფორმამდელ ვითარებას აღადგენდა[12]. რეაქციულმა პრესამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „ქუჩის სასამართლოდ“ გამოაცხადა და დაუწყო მას დევნა“[13].

განათლების სფეროში რეაქციის ხანა ახალი წესდებების გატარებით, საერო სასწავლებლების შევიწროებით და სკოლებიდან „ინოროდცების“ ენის განდევნით აღინიშნა. განათლების მინისტრი ი. დელიანოვი დ. ტოლსტოის უახლოესი თანაშემწე იყო. შემთხვევითი არ იყო, რომ ბ. ჩიჩერინმა პობედონოსცევთან საუბარში დელიანოვს „ადამიანთა მოდგმის ნაძირალა“ უწოდა.

განათლების სამინისტრომ საშუალო სკოლებისათვის შეიმუშავა 1882 წლის 20 ნოემბრის ცირკულიარი, რომლის მოთხოვნით დისციპ-

---

12 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, 80-იანი წლების რეაქცია და საქართველოს საზოგადოებრივი ძალები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 639).

13 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 482.

ლინარულ და აღმზრდელობით სფეროში მტკიცედ უნდა დაცულიყო დ. ტოლსტოის მიერ განათლების მინისტრად ყოფნისას გამოცემული განკარგულებები.

უმაღლეს სკოლაშიც ძველი, ტოლსტოის დროის წესები გატარდა. 1884 წელს დამტკიცებული საუნივერსიტეტო წესდებით მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა უნივერსიტეტის ავტონომია, რომელსაც მას 1863 წლის წესდება ანიჭებდა. ამიერიდან 1863 წლის წესდებით ასარჩევი ყველა თანამდებობა (რექტორის, დეკანისა და პროფესორისა) დ ა ნ ი შ ვ ნ ა ს ექვემდებარებოდა, ამასთან, დანიშვნისას გასათვალისწინებელი იყო „არა მეცნიერული ღირსებები და დამსახურება", არამედ „რელიგიურ-ზნეობრივი და პატრიოტული" მიმართულება (ანუ პოლიტიკური კეთილსაიმედობა). ასე რომ, უნივერსიტეტები განათლების სამინისტროსა და „მზრუნველის" დიქტატს დაექვემდებარა.

თვითმპყრობელობამ დაამტკიცა თავადაზნაურობისათვის ადრე ბოძებული წყალობის სიგელი და აღნიშნა მისი ასი წლისთავი. ახალი თვითმპყრობელი ამბობდა: „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის საჭიროდ ვცანით, რომ რუსეთის თავადაზნაურობას როგორც წინათ იყო, ისე ახლაც... შერჩეს პირველობა სარდლობაში, ადგილობრივ მმართველობაში და სასამართლოში"[14]. ალექსანდრე III-ის მთავრობის რეაქციული პოლიტიკის ერთ-ერთი ნიშანთვისება იყო მისი პროთავადაზნაურული მიმართულება. მმართველი წრეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმის ცდაში, რომ დაეცვათ ეს წოდება, რომლის შუასაუკუნეობრივი პრივილეგიები ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების მთელ მსვლელობას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „80-იან წლებშიც გადაიდგა „ნაბიჯი უკან" თავადაზნაურობისაკენ, „მაგრამ ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი რეფორმის შემდეგდროინდელი რუსეთის საფეხურზე, რუსეთისა, რომელიც შორს იყო წასული ნიკოლოზის ეპოქის დროიდან, როდესაც აზნაური მემამულე ბრძანებლობდა „უპლუტოკრატიოდ", ურკინიგზოდ, მზარდი მესამე ელემენტის ჩაურევლად"[15].

რეაქციის გამძვინვარების კვალდაკვალ გაძლიერდა დიდმპყრობელური შოვინიზმის იდეოლოგია, რომელიც რუსეთის სახელმწიფოში შემავალ არარუს ხალხთა დამოუკიდებელი განვითარების უფლებას უარყოფდა და მათს ძალდატანებით ასიმილაციას მოითხოვდა. შოვინისტები სიძულვილს აღვივებდნენ რუსეთის იმპერიაში შემავალი

---

[14] ციტ. ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი („საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 640).

[15] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, საარჩევნო კომპანიის პრინციპული საკითხები, თხზ, ტ. 17, გვ. 488—489.

ჩაგრული ერების მიმართ, მცირე ერებს აბუჩად იგდებდნენ და ერთმანეთს უსისინებდნენ.

თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერებამ საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. ქართველი ხალხის ისედაც აუტანელმა ჩაგვრამ 80-იან წლებში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ალექსანდრე III-ის მთავრობამ ერთიმეორეზე მიყოლებით გაატარა მკაცრი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო ქართული კულტურის მოსპობა და ქართველი ხალხის ძალდატანებითი ასიმილაცია.

1882 წელს ცვლილებები იქნა შეტანილი კავკასიის უმაღლეს მმართველობაში: გაუქმდა მეფისნაცვლობა კავკასიაში, მის ნაცვლად დაწესდა მთავარმართებლის თანამდებობა. ამით კავკასიის ადმინისტრაციის ავტონომია მოისპო და ადგილობრივი გუბერნიები უშუალოდ იმპერიის მთავრობას დაემორჩილა. ეს იმას მოასწავებდა, რომ ცარიზმი არ ცნობდა კავკასიის ხალხთა რაიმე თავისებურებას, ესწრაფვოდა მათ ასიმილაციას, რისთვისაც ხელყო ის შეზღუდული ადმინისტრაციული ავტონომია, რომელიც განაპირა მხარეს ვორონცოვის დროიდან ჰქონდა მინიჭებული.

დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც 18 წელიწადი იყო მეფისნაცვალი კავკასიაში, უკან გაიწვიეს. მთავარმართებლად დანიშნეს თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1890 წლამდე შემორჩა. ეს უკიდურესი რეაქციონერი ქართველ ხალხს დაუნდობლად ჩაგრავდა, მის გადაგვარებას ენერგიულად ესწრაფვოდა.

80-იანი წლებიდან მოკიდებული, თვითმპყრობელობამ გააძლიერა საქართველოს კოლონიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა მიწის სიმცირეს განიცდიდა, საუკეთესო მიწებზე ცარიზმი უცხო ელემენტებს ასახლებდა. კოლონიზაციამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბი მიიღო საქართველოს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში, სადაც მასობრივად მოჰყავდათ მოსახლეობა შიდა რუსეთიდან. ამავე დროს უმიწაწყლო ქართველ გლეხებს ამ ადგილებში არ ასახლებდნენ. თვითმპყრობელობის ასეთი პოლიტიკა ქართველი ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა[16].

თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში ტარდებოდა. 1881 წელს ქართული ეკლესიის მესვეურად, ეგზარქოსად, არქიეპისკოპოსი პავლე დაინიშნა, ხოლო კავკასიის ოლქის მზრუნველად იანოვსკი. ისინი უკიდურესი რეაქციო-

---

16 პ.რატიანი, ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერება... (იხ. საქართველოს ისტორია, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 164).

ნერები და ასიმილატორები იყვნენ. რელიგიის, კულტურის, პრესის სფეროებში, საერო და სასულიერო სწავლებაში უმკაცრესი ზედამხედველობა და ცენზურა მძვინვარებდა.

ამავე ხანებში გაძლიერდა ქართველი ხალხის მოწინავე წარმომადგენელთა დევნა, სასტიკი ცენზურა დაწესდა ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემაზე, გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი ქართული ენის მოსასპობად. იმისათვის, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობის ძალა შეესუსტებინა და ქართველი ერის მოსპობა გაეადვილებინა, ცარიზმი შეეცადა გაეთიშა ერთიანი ქართველი ერი ცალკე ნაწილებად და მისი სხვადასხვა კუთხე ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა. ამ მიზნით ცარიზმის მოხელეებმა გააჩაღეს კამპანია დედა სამშობლოსგან აჭარის, სამეგრელოს და სვანეთის ჩამოსაშორებლად და ერთმანეთთან დასაპირისპირებლად, რის წინააღმდეგ ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები გაბედულად გამოვიდნენ.

80-იანი წლების რეაქციის პერიოდში ქართული ენის დასაცავად გამოვიდნენ საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის სხვადასხვა ნაკადის წარმომადგენლები. მაგალითად, თერგდალეულებთან ერთად ქართული ენის დასაცავად ხმა აიმაღლა დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც იანოვსკის 1881 წლის განკარგულების გაუქმება მოითხოვა და დაუნდობლად დაგმო მეგრული და სვანური ანბანისა და სახელმძღვანელოების შეთხზვა, სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან ქართული ენის განდევნა. ასიმილატორთა ბოროტი განზრახვა მთელი ქართველი ხალხის შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა.

რეაქციის გაძლიერებამ, შოვინისტურმა იდეოლოგიამ და ასიმილატორულმა პოლიტიკამ, უპირველეს ყოვლისა, თავი იჩინა თვითმპყრობელობის „კულტურულ-საგანმანათლებლო აქციებში", ქართული სკოლის განადგურებისა და ქართულ ენაზე სწავლების აღკვეთის განუწყვეტელ ცდებში. საამისოდ თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ 1860-იანი წლებიდან გულმოდგინეობდა და საქართველოს სკოლებიდან ქართულ ენას დაბეჯითებით დევნიდა. 80-იან წლებიდან ქართული მთლიანად განიდევნა ადგილობრივი სკოლებიდან.

მთავრობამ ჯერ კიდევ 1873 წელს გამოსცა დებულება საშუალო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მნიშვნელოვნად შესაკვეცად. თუკი ადრე ჩვენს სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო იყო, ამიერიდან ის მხოლოდ პირველ ოთხ კლასში ისწავლებოდა, თანაც არასავალდებულო საგნად ითვლებოდა. 1878 წელს, როგორც აღინიშნა, კავკასიის სასწავლო უწყების მესვეურად („სასწავლო ოლქის მზრუნველად") დაინიშნა ცნობილი რეაქციონერი კ. იანოვსკი,

რომელმაც ქართული ენის წინააღმდეგ დიდი სისასტიკე გამოიჩინა. მან 1881 წელს შეადგინა ახალი სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვით დაწყებით სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება მხოლოდ პირველ და ნაწილობრივ მეორე კლასში იყო დაშვებული და ისიც მხოლოდ გაკვეთილების ბოლოს. მოწაფეებს პირველი კლასიდანვე უნდა დაეწყო რუსული ენის შესწავლა, მეორე კლასიდან კი საგნები ძირითადად რუსულად უნდა ესწავლათ, მესამე კლასიდან ქართული ენა სავსებით განდევნილი უნდა ყოფილიყო. შექმნილ ვითარებაში ქართველი ბავშვები ვერაფერს ისწავლიდნენ. თვითმპყრობელობა არც ამ ღონისძიებას დასჯერდა. მან განიზრახა ჩვენი სკოლიდან ქართული ენის მთლიანად და სამუდამოდ განდევნა და საწადელსაც მიაღწია. 80-იანი წლების მიწურულს ქართული ენა განიდევნა დაწყებითი სკოლებიდან და საგნების სწავლება პირველი კლასიდანვე რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. საქართველოს სკოლებში ამ დროს გავრცელდა სწავლების „მუნჯური მეთოდი", რომლის თანახმად რუსული სიტყვების მნიშვნელობის გასაგებად მასწავლებელი იძულებული იყო საგანი თუ მოვლენა ბავშვებისათვის თვალსაჩინოდ ეჩვენებინა[17]. სწავლების ამგვარი „მეთოდი" პედაგოგს დიდი სიძნელეებისა და უხერხულობის წინაშე აყენებდა, მოსწავლეებს გონებასა და სულს უსახიჩრებდა, აზრსა და ენას უჩლუნგებდა[18].

სკოლებში ქართულ ენაზე ლაპარაკი სასტიკად აიკრძალა. ქართველ მასწავლებლებს სკოლებიდან ერეკებოდნენ, მათ ადგილზე ქართული ენის არამცოდნე პედაგოგებს ნიშნავდნენ. დედაენის შესწავლა ოფიციალურ საოჯახო საქმედ იქნა აღიარებული. საქართველოს სკოლებიდან ქართულის განდევნის შემდეგ განათლების რეაქციონერმა მესვეურებმა ბრძანეს სამეგრელოს, სვანეთის, აჭარის სკოლებში ქართულის ნაცვლად სწავლება მეგრულად, სვანურად და თურქულად ეწარმოებინათ და ამ ენების გამოყენებით ესწავლებინათ რუსული ენა ყველა ეროვნების ბავშვისათვის.

---

17 მაგალითად, „ჩაის დალევა" რომ აეხსნა, მასწავლებელს მოწაფეთა წინაშე თვითონ უნდა დაელია ჩაი; სიტყვა „ცურვის" ასახსნელად მას ხელები და ფეხები მოცურავესავით უნდა ამოძრავებინა. როგორც ცნობილია, მხატვარმა შმერლინგმა გაზეთ „ცნობის ფურცელში" წარმოადგინა კარიკატურა, სადაც აისახა თუ როგორ უნდა ესწავლებინა პედაგოგს უენოდ, ხელების, ფეხების და მთელი სხეულის მოძრაობით ისეთი რამ, როგორიცაა ძაღლის ყეფა, ყირამალა გადასვლა, ტანისამოსის გახდა, წყლის გადასხმა, თავის ჩამოხრჩობა და ა. შ. იხ. პ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი (საქართველოს ისტორია. ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 165).

18 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. დასახ. ნაშრომი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 645).

ბუნებრივია, ქართული ენის და საერთოდ ეროვნული ღირსების შებღალვას ქართველი ხალხი და მისი მოწინავე დემოკრატიული ინტელიგენცია ვერ შეურიგდა. ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ბუნებრივ-ისტორიული პროცესის საწინააღმდეგოდ ცარიზმის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს და ქართველთა ტომობრივი დანაწევრებისა და ასიმილაციის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას წინ აღუდგნენ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საუკეთესო ძალები, რომლებიც რეაქციის უმძიმეს წლებშიც მედგრად და თავდადებით იბრძოდნენ მშობელი ხალხის კულტურის, ენის, ეროვნული თავისთავადობისა და ღირსების დასაცავად და შესანარჩუნებლად. საამისოდ მოწინავე ქართველი მოღვაწენი ეფექტურად იყენებდნენ პროგრესულ ბეჭდვით ორგანოებს, გაზეთებს: „დროებას“, „ივერიას“ „ობზორს“, „შრომას“, ჟურნალ „იმედს“, სადაც გამუდმებით ქვეყნდებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საუკეთესო წარმომადგენელთა კორესპონდენციები, რომლებიც, ცენზურის სულშემხუთველ პირობებშიც, თვითმპყრობელობის რეაქციულ პოლიტიკას ააშკარავებდნენ და ქართველი ხალხის ეროვნულ არსებობას გაბედულად იცავდნენ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი — დიდი ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვები ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდნენ ადგილობრივ საზოგადოებრივ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ქართულ თეატრს, ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებებს.

კავკასიის ადმინისტრაციის მიერ ქართული ენის დევნის წინააღმდეგ ერთ-ერთი პირველთაგანი გამოვიდა ს. მესხი, რომელმაც 1880 წელს გამოაქვეყნა „ღია წერილი“ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მესვეურ იანოვსკისადმი, სადაც გაცამტვერებულია ასიმილატორის ვერაგული ნაბიჯები და გამოსვლები სკოლებში ქართულის სწავლების მოსასპობად. ს. მესხი იანოვსკის შეახსენებს: „ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს... თითო მტკაველი თავისი სამშობლო მიწისა... ყველა ლექსი თავისი სამშობლო ენისა ათას და ათი ათას საუკეთესო შვილად უღირს... მთავრობა არასოდეს არ ცდილა, რომ თავის ქვეშევრდომ ხალხისათვის მოესპო სამშობლო ენა, სარწმუნოება, ერობა... და კი გნებავთ ახლა... უეცრად მოსპოთ ხალხის ენა... არავის არ აქვს უფლება ამისთანა სიტყვებით მიმართოს ქართველ ხალხს... ქართველების სურვილი იგივეა, რაც

ყველა ხალხისა: დაიცვან თავისი სამშობლო ენა, მამული, რჯული და სარწმუნოება... თქვენი სურვილია კი, რო? ქართველებს ქართული დაავიწყოთ"[19]...

ხსენებულ „ღია წერილს" მხარი დაუჭირა დ. ყიფიანმა, რომელმაც კითხვა დაუსვა იანოვსკის: „ახლა მიხვდით თუ ვერა, რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს. ჩინგისხანმა, ლანგ თემურმა, შაჰ-აბაზმა, ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხის ნება და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ?" შემდეგ მოაგონებდა: „ჩვენ, ჩვენის კეთილი ნებით სიყვარულით და სასოებით მივენდვეთ რუსეთს, რომლის გარს შემოუწერელი ერთგულება შეურყეველად გვაქვს გულში ჩანერგილი. არა, ბატონებო: თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა: ბატონი იანოვსკი შემცდარი კი არა, შემცოდავი იქნებოდა ორგვარად. ჯერ რუსეთის წინაშე, რომ ერთი უერთგულესი თაყვანისმცემელი ხალხის გაორგულება განუზრახავს, და მეორე მეცნიერების წინაშე..., რომელიც ბრძანებს — პირველ წელსა ყრმასა ჯერ საშინაო ენას ასწავლიან და მერე სხვა ქვეყნისაო"[20].

იანოვსკი იძულებული გახდა ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში" თავი ემართლებინა საზოგადოების წინაშე, თუმცა ამან ვერ დაამშვიდა ქართველი საზოგადოება. დავაში ჩაება დიდი ილია, რომელმაც „დროებაში" გამოაქვეყნა წერილი „ბატონ იანოვსკის წერილის გამო". ავტორი იწონებს იანოვსკის მობოდიშებას იმის გამო, „რაც მართლაც საკადრისი არ არის განათლებულის კაცისათვის". ამასთან ილია პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებზე, მათ შორის გამოჩენილი რუსი პედაგოგის უშინსკის მოძღვრებაზე დაყრდნობით გადაჭრით გმობს დედა ენაზე სწავლების უარყოფას და დასძენს: „ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელ გზას სასწავლებლებში — ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა და განა ეს სასურველია ვისიმე?" მეორე მხრივ, ილია თვითონ ასაბუთებს რუსული ენის შესწავლის საჭიროებასა და სარგებლიანობას; ამ ენის შესწავლა — განაგრძობს ავტორი — „ჩვენ გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმდენად ძლიერია, შეუძლიან გონება გახსნილ კაცს სულის საზრდო მისცეს... იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყვე-

---

19 „დროება", № 254, 1880.

20 „დროება", № 262, 1880.

ლაფერში და ყველგან, რაკი შინიდან გარეთ ფეხს გავდგამთ, მაგრამ ისე მოგვიწყეთ სკოლა, რომ რუსული ენის ცოდნა ნამდვილი და მართლაც ცოდნა იყოს იმდენად მაინც, რომ კაცმა ცხოვრებაში და ცხოვრებისათვის გამოიყენოს"[21].

იანოვსკის წინააღმდეგ გამოვიდა ი. გოგებაშვილიც. საამისოდ მან გამოიყენა იმპერატორის 1864 წლის რესკრიპტი მშობლიურ ენაზე სწავლების ნებართვის თაობაზე, სადაც დაშვებული იყო ზოგად, მეტადრე დაწყებით სასწავლებლებში მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე სწავლება. ი. გოგებაშვილი ადანაშაულებდა ამ კანონის უარმყოფელ კავკასიელ მოხელეებს და ხაზს უსვამდა კანონის დამრღვევთა მხილების საჭიროებას ქართულ სკოლებში ენის აღსადგენად[22].

ჩაგრულ ეროვნულ უმცირესობათა ენების სკოლებიდან განდევნის თაობაზე ოფიციალურ გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციას ი. გოგებაშვილი აკრიტიკებდა პედაგოგიკის პოზიციიდან. „კავკაზის" პუბლიცისტი სკოლებში ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების აკრძალვას იმით ასაბუთებდა, რომ მათ საკუთარი ლიტერატურა არ გააჩნიათ, რომ ქართლში 12 ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა ხალხი ცხოვრობსო, სკოლებში ვხვდებით სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ბავშვებს, რომელთაც ერთმანეთისა არ გაეგებათო და ამიტომ მათთვის მასწავლებელი მეტყველი ვერ იქნებისო.

როგორც ვხედავთ, კორესპონდენცია სწავლების „მუნჯურ მეთოდს" ამართლებდა. ამის საპასუხოდ ი. გოგებაშვილი კითხულობდა: „როგორ იბადება ჩვენში აზრი სახალხო სკოლების მუნჯ მასწავლებელთა" შესახებ. ისეთი მასწავლებლებისა, რომელთაც შესაძლებლობა არ ექნებათ ერთი გასაგები სიტყვა მაინც უთხრან თავიანთ მოსწავლეებს?"[23]. ი. გოგებაშვილის გამოსვლებს სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების დასაცავად და, რაც მთავარია, მის უკვდავ სახელმძღვანელოებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ენის გადარჩენისათვის.

ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის წინააღმდეგ იყო ზოგიერთი რუსი პედაგოგიც, მათ შორის ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ა. სტოიანოვი, რომელიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველისადმი 1880 წელს წარდგენილ ანგარიშში წერდა: „ჩემი აზრით, ქართულ ენაზე სწავლება დაყენებული უნდა იქნეს სათანადო სიმაღ-

---

21 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, ბ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1951, გვ. 551—554.

22 ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, გვ. 200.

23 იქვე, გვ. 73; ა. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 652).

ლეზე... ქართული ენა მშობლიური ენაა. პირველდაწყებითი განათლება უნდა წარმოებდეს მშობლიურ ენაზე, შემდეგი განათლებაც დედა ენის საშუალებით უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ მოსამზადებელ კლასებში მასწავლებლად ქართველები უნდა იყვნენ, ან ისეთი რუსები, რომლებმაც ქართული იციან... საქართველოში მცხოვრები რუსების შვილები ამთავრებენ გიმნაზიას, უმაღლეს სასწავლებლებს, მსახურობენ საქართველოში და არ იციან ქართველების არც ენა და არც ზნე-ჩვეულება. ინგლისელმა მოხელეებმა, რომლებიც თბილისის რკინიგზას აშენებდნენ, 5—6 თვეში შეისწავლეს ქართული ენა. რუსებმა კი მიუხედავად იმისა, რომ ნახევარ საუკუნეზე მეტია საქართველოში არიან, არც ერთი სიტყვა ქართული არ იციან. აუცილებელია, რომ შემოღებულ იქნას ქართული ენის სავალდებულო სწავლება... უფროს კლასებში კი ქართული ლიტერატურის სწავლება"[24].

ქართულ ენასთან ერთად, 1880-იანი წლებიდან იდევნებოდა ქართული ეკლესიაც. აღნიშნულ სფეროში ასიმილატორულ პოლიტიკას დაბეჯითებით ატარებდა ეგზარქოსი პავლე. ი. გოგებაშვილის სიტყვით, ახალმა ეგზარქოსმა „მოგვცა ქართველთა ელემენტარული უფლებების მიმართ უპატივცემულობის იმდენი აშკარა საბუთი, რომ გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა"[25]. საქმე იქამდე მივიდა, რომ სასულიერო წოდების ასიმილატორები ირწმუნებოდნენ: „ქართული გალობა სარწმუნოებრივს გრძნობას ხელს უშლისო"[26].

მართლაც, „ქართულ ეკლესიას რეაქციონერთა თავდასხმისაგან იცავდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნიც, მაგრამ არა ქრისტიანული რელიგიის დოგმების განმტკიცებისა და ხალხში რელიგიური გრძნობის გაღვიძების, არამედ არსებითად ქართული ენისა და კულტურის გადარჩენის მიზნით"[27].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები ცარიზმის ასიმილატორულ პოლიტიკას განუწყვეტლივ ებრძოდნენ, ქართველი ხალხის ეროვნულ კონსოლიდაციას, ეროვნული

---

24 ა. სტოიანოვის ასეთი შეხედულება ოფიციალურად დაგმეს, მალე იგი გათავისუფლეს თანამდებობიდან და ბათუმში განაწესეს. ამის შემდეგ მან თავისი ადრინდელი შეხედულება დაგმო და ასიმილატორების პოზიციაზე გადაინაცვლა. ციტ. ა. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 653).

25 ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზ., I, გვ. 455.

26 სსა, ფ. 480, ანაწ. I, საქ. 548, ფურც. 25.

27 ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, გვ. 654).

სიამაყის გრძნობის გაღვივებასა და ეროვნული შეგნების ამაღლებას დაბეჯითებით ესწრაფვოდნენ. საამისოდ გამოჩენილმა მოღვაწეებმა შექმნეს ეროვნული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათი ხელშემწყობი საკრედიტო დაწესებულებები, — თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკები, რომლებიც ეროვნული კულტურის აღორძინების მეცადინეობაც იყვნენ მოწოდებული და საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედ ეროვნულ დაწესებულებებს გარკვეულ ნივთიერ მხარდაჭერას უწევდნენ.

ასეთი დაწესებულება იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", რომელიც 1879 წელს დააარსეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებმა (დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ბ. ღოღობერიძე, რ. ერისთავი, ნ. ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, ვ. თულაშვილი...). ეს საზოგადოება სასწავლებლებს აარსებდა და განათლებას ავრცელებდა, ეროვნული კულტურის ძეგლებსა და განძეულობას თავს უყრიდა, იცავდა და პოპულარიზაციას უწევდა. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ცარიზმის ოფიციალური მოხელეები დევნიდნენ, ისინი მას ნათლავდნენ როგორც „სახელმწიფოს სახელმწიფოში". მთავრობის ასეთი დამოკიდებულება ხსენებული საზოგადოებისადმი ხატოვნად ასახა ბოსლეველმა, როცა გაკვირვებით აღნიშნა „რატომ გავიწყდებათ, „ბატონებო, რომ მგელი კრავს არ დაინდობს", „ცეცხლი და წყალი ერთად ვერ მოთავსდებიან"[28].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლების მეცადინეობით 1880 წელს ჩამოყალიბდა „ქართული დრამატული საზოგადოება", რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურისა და ენის დაცვაში, ქართველთა ეროვნული სიამაყისა და შეგნების ამაღლებაში. სახელოვანმა ჩვენმა მოღვაწეებმა შექმნეს პროგრესულ-დემოკრატიული თეატრი, — სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების შთაგონებული დამცველი და ასიმილატორებთან თავგამოდებით მებრძოლი დაწესებულება. ქართული მწერლობის შესანიშნავ წარმომადგენელთა ქმნილებებისა და სხვა ენებიდან თარგმნილ ნაწარმოებთა წყალობით ქართული თეატრის ნიჭიერი კოლექტივი ჭეშმარიტად მამულიშვილურ საქმეს აკეთებდა.

„ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ" და ქართულმა თეატრმა დააარსა პირველი ორგანო გაზეთი „თეატრი" (1885—1890), რომელიც ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

80-იანი წლების სუსხიანი რეაქცია ჩვენში, ერთი მხრივ, ცარიზ-

---

[28] სსა, ფ. 480, ანაწ. I, საქ. 548, ფურც. 25.

მის მიერ კულტურისა და განათლების წინააღმდეგ მიმართული ვეერაგული აქციებით აღინიშნა, მეორე მხრივ, ასიმილატორული პოლიტიკის საპირისპიროდ ქართული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა ძალუმ ფრთებს ისხამდა. ამ წლებში, ცენზურის სიმკაცრის მიუხედავად, იხილა სინათლე არაერთმა პერიოდულმა გამოცემამ და პრესაში საზოგადოებრივი აზრის მიმდინარეობებს შორის კამათი ფართოდ გაიშალა. „დროების" (1885 წლამდე) და „ივერიის" გარდა თბილისში გამოდიოდა ხალხოსნური ჟურნალი „იმედი" (1881—1883 წწ.), ქუთაისში — ხალხოსნურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „შრომა" (1881—1883 წწ.), რომელშიც თანამშრომლობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები (დაწყებული ბურჟუაზიული დემოკრატებიდან და ნაროდოვოლელი ხალხოსნებით დამთავრებული). 1884 წელს დაიწყო პედაგოგიური ორგანოს „ნობათის" გამოცემა, 1884 წლიდან გამოდიოდა „ნოვოე ობოზრენიე" და „იურიდიჩესკოე ობოზრენიე". 1883 წელს დაიწყო კლერიკალურ-რეაქციული ორგანოს „მწყემსის" გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე[29].

ქართული დემოკრატიული პრესა 80-იანი წლების რეაქციის ჟამსაც სიფხიზლეს იჩენდა, მტკიცედ იდგა სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, — ცარიზმის ასიმილატორულ პოლიტიკას ააშკარავებდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე იდეებს ქადაგებდა, მშრომელთა ინტერესებს რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან იცავდა. მისი ქმედითობა უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ არა მეფის ცენზურის სისასტიკე.

რეაქციის პერიოდში ცენზურა უფრო და უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდა ყოველგვარი პროგრესული იდეების წინააღმდეგ. მეფის ცენზურა ქართველ მოღვაწეებს უსაშველოდ ავიწროებდა. ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი წერდა: „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად ერთი რამ უფრო მაფრთხობდა ყველაზე და საფლავშიც ქარცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე". ცენზურა მართლაცდა სულს უხუთავდა ქართულ პრესასა და ლიტერატურას[30].

რეაქციის პერიოდის საცენზურო პირობების თაობაზე გაზ. „ივერია" ხატოვნად წერდა: „გულში რომ ჩაიხედო, თითქოს ზღვაო, ისე დუღს და გადმოდის ბალღამი ყოველდღიური ბოროტებისა, მაგრამ რას იზამ? ამისთანა პაპანაქებაში. როცა მზე უწყლოთა გვწვავს, ჰსდაგავს ქვეყნიერებასა, რა საკვირველია, რომ გამხმარი ენა მშრალ სასას მიეკრას, სიტყვას ფრთა მოეკვეთოს, ძალღონე წაერთვას, კბილი

---

29 ს. ხუნდაძე, შასალები..., გვ. 211.

30 „ივერია", № 1, 1885.

მოეჭრას. ჩვენი ლიტერატურის სარბიელი ლამის [გადახმეს, ამ ახირებულის გვალვისაგან"[31].

სასტიკ ცენზურულ პირობებში ქართული პუბლიცისტიკა და მწერლობა ცარიზმის ველურ პოლიტიკას არა მარტო ეზოპეს ენით კიცხავდა, არამედ ხშირად ცენზურის გაუვლელად ცდილობდა სიმართლის გაპარებას, თუმცა ამის აღკვეთას ცენზურა მეტწილად წარმატებით ახერხებდა. კავკასიის საცენზურო კომიტეტის საარქივო ფონდში შემოინახა ათასობით გაზეთი თუ ცალკეულ ნაწარმოებთ› ამონაბეჭდები, მათ შორის გაზეთ „შრომის" და კერძოდ ბოსლეველის სტატიები, რომელთა გამოქვეყნება ცენზურამ აკრძალა, რადგან ისინი ცარიზმისათვის სასიკეთოს არაფერს შეიცავდნენ.

იმის ცხადსაყოფად თუ როგორ და რანაირად ესწრაფვოდნენ ჩვენი მოწინავე პუბლიცისტები „საზიზღარი სინამდვილის" გამოაშკარავებას, ტიპიური და ნიშანდობლივია, მაგალითად, გაზეთ „შრომის" 1883 წლის 25 აპრილის ნომრისათვის გამზადებული და ცენზურის მიერ ამოღებული ვრცელი სტატია, რომელიც ბოსლეველის („მანელის") კალამს ეკუთვნის და ქარაგმულად, მაგრამ ხატოვნად და შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს ჰეშმარიტებისა და ცოცხალი აზრის წინ›აღმდეგ ყალყზე შემდგარ ცენზურას, რომელიც გამოსაქვეყნებელ მასალას ისე „ალამაზებდა", რომ თითქმის ყოველგვარი ბოროტება სიკეთედ ყოფილიყო აღიარებული.

ამ სტატიიდან ჩანს პუბლიცისტიც და ცენზურაც. ამიტომ ვრცელ ამონაწერებს მოვიტანთ: „საითკენაც არ გავიხედავ, ყველა ერთსა და იმავეს ჩამჩხავის ყურში: შენ... ჰესიმისტური შეხედულება გაქვს ცხოვრებაზედო... ყველგან მარტო ბნელს მხარეებს ჰხედავო... რა ვქნა, რომ ბრწყინვალე მხარე ვერსად გამომიჩხრეკია. „შეთხზვით" კი შევთხზავ, მაგრამ, როგორც ჭკვიანი კაცისაგან გამიგონია, თვალის დაბრმავება არ ვარგა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უამისოდაც ბრმა ხარ, ე. ი. რომ ვთქვათ, როდესაც არავითარი ზნეობითი უფლება არა აქვს თქვენს ორ ფიზიკურ თვალს (გონებითმა თვალებმა კარგა ხანია თქვენ ჭირი წაიღო) დაინახოს და გაარჩიოს, რასაც ხედავს, და თუ მაინც და მაინც მამაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინა და არადასანახავი დაინახა, მაშინ ნება არა აქვს ცუდი ცუდად იგრძნოს და ბნელი ბნელად. მაშინ ენას ოცდათორმეტი კბილი უნდა მოუჭიროს ძალიან მაგრად, მაგრად, რომ ვინცობაა, არა წამოტარტლოს რა... აქ კი ფრთხილად უნდა იყოს, თორემ შენს ენას ამასაც არ აკმარებენ დარაჯად, არამედ ისეთ პატივს სცემენ, რომ კბილიანებს დაუყენონ პაჩოტნი ყარაულად"[32].

---

31 გაზ. „ივერია", № 1, 1885.

32 სსა, ფ. 480, ანაწ. I, საქ. 548, ფურც. 25.

ე. ბოსლეველი გარკვევით ლაპარაკობს თვითმპყრობელობის დესპოტურ რეჟიმზე, რომელიც ადამიანთა ყურმოჭრილ მონობას ამ-კვიდრებდა: „მოგვახსენებენ მეცხრამეტე საუკუნეში ვცხოვრობთო... ვითომც ასეა!... მე კი იმას ვფიქრობ, რომ მეცხრამეტე საუკუნეს ჩვენს ცხოვრებაში ჯერ ცხვირი არ გამოუჩენია (ვურჩევთ არ გამოაჩინოს, თორემ ძირში მოაწინწკლიან)... ამ საუკუნეში... დიდ, უშველებელ ცოდვად მიაჩნიათ ჩვენში ის, რასაც მეჩვიდმეტე საუკუნეშიც კი დიდი პატივისცემით იღებდნენ სხვაგან; რაც მაშინაც კი კეთილად მიაჩნდათ სხვაგან, ამას ჩვენში ახლაც ბოროტებად სთვლიან. ჩვენში ამ, მეცხრამეტე საუკუნეში სავუცხოოდ განუზრახავთ ცხოვრების მომართვა! ერთი რომ დაიძახებენ „სტოი!“, ყველანი უნდა საყესავეით გამოიჭიმონ; თუ გიკამანდეს „შაგომ!“, ნაბიჯით უნდა წახვიდე წინ და სწორედ იმდენი ნაბიჯი გადადგა წინ რამდენსაც გიბრძანებენ, და თუ დაიძახეს „ბეგომ!“ უნდა გაიქცე... ერთი ვინმე ამტკიცებდა, რომ ამგვარი კამანდობა ხეირს არც მოკამანდეს დააყრის და არც იმას, ვისაც უკამანდებენო“.

ასეთი იყო ცარისტული რეჟიმი, როცა, ბოსლეველის სიტყვით, „ბრძანება არის გამოსული, ენას კლიტე-ბოქლომი დაადევითო“, როცა „ჭეშმარიტებამ ავადმყოფობის გამო „ოტპუსკი“ აიღო და წავიდა ევროპისაკენ მჟავე წყლებზედ“, როცა „როგორც ზოგნი ამბობენ, ჭეშმარიტება სამსახურიდან გამოურიცხავთო და შტატგარედ დაუტოვიათო, რადგან დიდ ჯამაგირს ამოკლებენ“, როცა „დაუდგრომელ, მუდამ უკმაყოფილებას ხმა ჩააკმედინეს“[33].

ამის შემდეგ პუბლიცისტი კითხულობს: „მერე დააკლდა ამით რამე ქვეყანას?“ და დამცინავად უპასუხებს: სრულიად არაფერი! პირიქით, ახლა უფრო დამშვიდებული გვაქვს გული, როდესაც აღარც „ხმას“ აქვს ხმა, აღარც „წესიერებას“ ადგილი, აღარც „იფრინდას“ ფრთები. აღარავინ გვიჩიჩინებს მაინც სხვადასხვა უსიამოვნო ამბებზედ“. შემდეგ ბოსლეველი დასძენს: „ჩვენ, კერძოდ ქართველები, კი ვერ დავემდურებით, ღვთის წინაშე მეცხრამეტე საუკუნეს“ და ბოლოს პუბლიცისტი აღიარებს, რომ ჩვენში „ვიღაცეები აქა-იქ“ ბედავენ სათქმელის თქმას, თუმცა ირონიულად შენიშნავს: „მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმათაც ჩასჩრიან პირში ბურთს“[34].

ერთი სიტყვით, ცენზურა მართალ სიტყვას ვერ იტანდა. ამგვარი დევნის კერძო მაგალითია გაზეთ „შრომის“ ცენზურის ჭუთაისიდან თბილისში გადმოტანა, რასთან დაკავშირებითაც ე. ბოსლეველს გუ-

---

33 სსსა, ფ. 480, ანაწ. I, საქაღ. 548, ფურც. 25.

34 იქვე.

ლისტკივილით უთქვამს: „ამჟამად ვითარება შეიცვალა. ტირანია ბატონობს და ადამიანს ხალისი ეკარგება...“[35].

სისტემატური რეპრესიების მიუხედავად, 80-იანი წლების რეაქციამ ვერ ჩაახშო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა — ასიმილატორებმა ვერ აღკვეთეს ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული არსებობისათვის, ვერ მოსპეს მისი ენა და კულტურა. რეაქციის ღრმად ეშელონირებული ძალების საპირისპიროდ ქართული ლიტერატურა და პუბლიცისტიკა ძალებს იკრებდა. სწორედ ამ დროს, 80-იან წლებში ქართული მწერლობის რიგებში ჩადგნენ ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, ხოლო პუბლიცისტიკასა და ლიტერატურულ კრიტიკაში — ივ. მაჩაბელი, ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი...), სტ. ჭრელაშვილი (ტატალა, სანო), ი. ბახტაძე (ი. ხონელი), დ. კეზელი (დავთ სოსლანი, არაგველი, ზოილი), რ. ფანცხავა (ხომლელი), ალ. ნანეიშვილი (ა. ნა-ლი), გრ. ყიფშიძე... ე. მჭედლიძეც (ბოსლეველი) ამ „დრომ გამოიწვია“ სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს უკანასკნელიც ამ „დრომვე“ იმსხვერპლა (1885 წლის 8 მაისი), ისევე როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი დიმიტრი ყიფიანი (1887 წლის 26 ოქტომბერი).

ხანმოკლე ცხოვრების გზა

გასული საუკუნის 80-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის ნიჭიერმა წარმომადგენელმა, ბოსლეველმა (ევსტათი მჭედლიძემ), ხანმოკლე სიცოცხლეში შექმნა ორიგინალური ნარკვევები, რითაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თავისი დროის ქართული დემოკრატიული ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებაში.

ევსტათი სიმონის ძე მჭედლიძე დაიბადა 1854 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. სვირში, ღარიბი მღვდლის ოჯახში. „მჭედლიძეები სოფ. ბოსლევში ცხოვრობდნენ, საიდანაც ესტატეს მამა, მღვდელი სიმონ მჭედლიძე, სვირში გადასულა სამოსახლოდ. იქ შემდეგ ცხოვრობდა ესტატეს უფროსი ძმა მიხეილი, რომლის სახლი უცოლშვილო ესტატესათვის მშობლიურად ითვლებოდა“[36]. მან დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სა-

---

35 ხ ო მ ლ ე ლ ი, მოგონებები, გაზ. „ლომისი“, № 4, 1922.

36 ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, წინასიტყვაობა (ბოსლეველი, ნაწერები ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით, თბ., 1961, გვ.II).

სულიერო სემინარიაში, სადაც ოთხი წელი დაჰყო[37], თუმცა სემინარია არ დაუმთავრებია. ჩანს, „მოწაფეობის დროს იგი მონაწილეობდა მოწაფეთა წრეებში"[38]. 1877—1880 წლებში მასწავლებლობდა ქუთაისის ქალთა სკოლაში. 1880 წლის ივნისში გაემგზავრა მოსკოვში უმაღლესი აგრონომიული განათლების მისაღებად პეტროვსკო-რაზუმოვსკის აკადემიაში (ახლანდელი ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია), რომელიც მაშინ და შემდეგაც სტუდენტთა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ცენტრთაგანი იყო. მოსკოვში ევსტათი ინტენსიურად მეცადინეობდა, ბეჯითად სწავლობდა თავის თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. ახალგაზრდა ისე იყო გართული და გატაცებული წიგნებით, რომ მისთვის არაერთარი სხვა სიამოვნება არ არსებობდა, რის გამოც მას „დაყუდებულ ბერს" ეძახდნენ. მოსკოვში მჭედლიძემ წელიწადნახევარი დაჰყო. განზრახვა ხელმოკლეობის გამოც ვერ აღასრულა და მოსკოვიდან ქუთაისს დაბრუნდა. 1881 წლის ბოლოს სოფ. ლაშედან გაუგზავნია წერილი თავისი მეგობრისათვის — გრ. ვოლსკისათვის (უმწიფარიძისათვის): „მეც თვითონ აღარ მიმაჩნია ჩემი თავი ცოცხალთა შორის. წყაროდან წყლის დაულევლად წამოსვლამ გამათავა..." მკვლევარ სიმონ ხუნდაძის განცხადებით, ე. მჭედლიძე „მონაწილეობას ღებულობდა 70—80-იანი წლების რევოლუციურ მოძრაობაში", ჯერ მოწაფეთა წრეებში, ხოლო „შემდეგ მოსკოვში, სადაც იგი ისმენდა ლექციებს". რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებულ ჭაბუკს ხელისუფალნი არც აქ ასვენებდნენ[39].

ამ განცხადების დასადასტურებლად არც ავტორს მოაქვს ხელშესახები მონაცემები და არც ჩვენ მოგვეპოვება, თუმცა ამაშიც დაუჯერებელი არაფერია, მით უფრო, რომ იმ დროს ე. მჭედლიძე რადიკალურად მოაზროვნე პროგრესულ პუბლიცისტად ყალიბდებოდა.

ამასთან ერთად, როგორც აღინიშნა, ე. მჭედლიძეს მოსკოვში სწავლაში ხელი შეუშალა მატერიალურმა ხელმოკლეობამ.

ე. მჭედლიძემ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ქუთაისში მას-

---

37 სსსა, ფ. 489. საქ. 39653, ფურც. 2—6.

38 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949, გვ. 221.

39 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949, გვ. 221. გაზეთ „დროების" ცნობით, ე. მჭედლიძე თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. იქ მონაწილეობდა კავკასიელ სტუდენტთა ყრილობაში... რუსეთში დიდხანს ვერ დარჩენილა ხელმოკლეობის გამო („დროება", 1885, № 98). ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, წინასიტყვაობა (ბოსლეველი, ნაწერები, გვ. 9).

წავლებლობა დაიწყო, თუმცა განათლებაზე სათანადო საბუთების უქონლობის გამო მასწავლებლად არ დაამტკიცეს. ასე რომ, მისთვის პედაგოგიური სარბიელი ფაქტობრივ გამოირიცხა. 1882 წლის 13 მაისს უმუშევრობით დანაღვლიანებული ბოსლეველი თავის მეგობარს სწერდა: „რა ვქნა არ ვიცი, სამუშაო ვერ მიშოვნია“[40].

ე. მჭედლიძეს, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეს, ხელისუფლება, ჩანს, მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგაც „მეთვალყურეობდა“. მოსვენებადაკარგული და მატერიალურად გაჭირვებული ახალგაზრდა იძულებული გახდა 1881 წლის 16 დეკემბრიდან (ძვ. სტ.) თავი შეეფარებინა და მუშაობას შედგომოდა იმერეთის ეპარქიალურ კანცელარიაში, სადაც იგი მიიღო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (გერასიმე ქიქოძემ), რომლის სახითაც მან გავლენიანი მფარველი, ჭეშმარიტი ქომაგი და მზრუნველი იპოვა. ხსენებული მღვდელმთავრის ნებით, ე. მჭედლიძე 1882 წლის 28 აგვისტოდან არქივარიუსია (ეპარქიალური კანცელარიის მდივნის მეორე მოადგილეცაა), 1883 წლის 4 იანვრიდან — კანცელარიის მდივნის მოადგილეა, 1884 წლიდან — მდივნის მოვალეობის შემსრულებელი, 1885 წლიდან — მდივანი[41].

იმერეთის ეპარქიალურ კანცელარიაში მიღების დროისათვის ე. მჭედლიძე ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეებში და მკითხველთა შორის ცნობილი პუბლიცისტი იყო. მისი პირველი კორესპონდენციები ჯერ კიდევ 1874 წელს დაიბეჭდა „დროებაში“, რის შემდეგაც წერილებს ბეჭდავდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. 1881—1883 წლებში იყო გაზეთ „შრომის“ წამყვანი მუშაკი, ხშირად აქვეყნებდა წერილებს „დროებასა“ და „ივერიაში“, გვარითა და სახელით, ან ინიციალებით („ე. მ.“, „მჭ-ე“), უპირატესად კი ფსევდონიმებით („ბოსლეველი“, „გარეშე მაყურებელი“, „მანელი“).

ე. მჭედლიძე განსაკუთრებით ნაყოფიერად თანამშრომლობდა გაზ. „შრომაში“. მკვლევარ ს. ხუციშვილის მოწმობით, რ. ფანცხავას ს. ხუნდაძესთან საუბარში უთქვამს, რომ ბოსლეველის ხელმძღვანელობით გამომავალ გაზეთ „შრომას“ მაშინდელი ახალთაობის სულიერ აღზრდაში საგრძნობი როლი უთამაშნია[42]. ს. ხუნდაძე აღნიშნავდა: „ჩემთვის პირადად არაერთხელ გადმოუცია ხომლელს ის, თუ როგორის აღფრთოვანებით შესცქეროდა ახალგაზრდობა კრიტიკოს ბოსლეველს: მოსწავლე ახალგაზრდობა თავის წრეებში კითხულობდა ბოსლეველის ნაბეჭდსა, თუ ხელნაწერ შრომებს, რომელნიც ცენზურის

---

40 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 427.

41 სსსა, ფ. 489. საქ. 39653, ფურც. 5—6.

42 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 6.

გამო ვერ იბეჭდებოდა, და ადგენდა მათ კონსპექტებსო"[43]. ყოველივე ეს არც შეიძლებოდა არ სცოდნოდა იმერეთისა და მთელ საქართველოს ცხოვრებაში საუცხოოდ ორიენტირებულ მღვდელმთავარს, გაბრიელს (გ. ქიქოძეს).

გ. ქიქოძის ბიოგრაფის, მ. კელენჯერიძის მოწმობით, იმერეთის ეკლესიის მღვდელმთავარმა, ეპისკოპოსმა გაბრიელმა ახალგაზრდა პუბლიცისტი „მოიწვია, როგორც პატიოსანი კაცი, გადაყენებული მექრთამე მდივნის ადგილზე"[44]. მხოლოდ გაბრიელს, როგორც გავლენიან და პოპულარულ პიროვნებას, მეცნიერსა და განათლებულ პედაგოგს, რომელმაც საღად შეაფასა ეპარქიაში ფეხმოკიდებული დაცემულობა და უზნეობა. შეეძლო გაებედა კანცელარიის მდივნად „გარედან" მოეწვია პატიოსანი და ერთგული საერო პირი, ისიც მაშინ, როცა მღვდელმთავარს ამ სამუშაოზე „შიგნიდან" არაერთი სასულიერო პირი კარგა ხანს დაბეჯითებით ეძალებოდა.

გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ახალბედა პუბლიცისტისა და პედაგოგის, ე. მჭედლიძის (ბოსლეველის) მიღება იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის თანამშრომლად საგანგებო ინტერესს იმსახურებს, უპირველეს ყოვლისა, თვით მჭედლიძის და საკუთრივ გაბრიელის პიროვნების დასახასიათებლად. ეს ფაქტი, ჩვენი დაკვირვებით, განაპირობა სულ მცირე, ორმა გარემოებამ: ჯერ ერთი, ეპარქიაში დამკვიდრებულმა ქაოსმა და ზნედაცემულობამ, რის აღსაკვეთადაც გაბრიელი თავგამოდებით იღვწოდა, მეორეც, მღვდელმთავრის სურვილმა მფარველობა და მზრუნველობა გაეწია იმერეთში პოპულარული პუბლიცისტისათვის, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. საერო ცხოვრებისაგან ბედუკულმართობით განდგომილი საეკლესიო მოღვაწე და სწავლული გაბრიელი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) ვერ შეურიგდა ეპარქიის სასულიერო წრეებში დაბუდებულ უმსგავსოებას და თანამშრომლად მოიწვია სპეტაკი ახალგაზრდა პუბლიცისტი, რომელიც განათლების თაობაზე საბუთების უქონლობის გამო ძასწავლებლად დამტკიცებას ვერ ეღირსა.

რაკი ზემოხსენებული ორი გარემოება (ე. მჭედლიძის ტრაგიკულ ბედთან დაკავშირებით) სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაა განხილული და ერთმანეთთან კავშირში გააზრებული, ვფიქრობთ, საგანგებო დაკვირვებას იმსახურებს, მით უფრო, რომ ახალგაზრდა პუბლიცისტის ცხოვრების აღსასრულიც ამ გარემოებითაა გაპირო-

---

43 ს. ხუნდაძე, ხომლელი. 1861—1928 (ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1928, № 4); მისივე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949, გვ. 223.

44 მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი... გვ. 110.

ბებული და გაცხადებული. ხსენებულ გარემოებათა გამო, გაბრიელმა ბოსლეველის მიმართ გულმოწყალეობა გამოიჩინა. მართლაც, ქუთაისის ეპარქიაში გაბრიელის დროსაც კარგა ხანს ვერ აღკვეთილა ზნედაცემულობა და მექრთამეობა[45]. მ. კელენჯერიძის სიტყვით, „სამღვდელოებაც და საზოგადოებაც დიდად აღვირახსნილი დახვდა გაბრიელს, ყველანი უზნეობის მორევში სცურავდნენ. ბეზღობა, გაიძვერობა, ცრუ საჩივარი, ცილის წამება, შური, მტრობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროს“[46].

იმერეთში ეპისკოპოს გაბრიელს „ცუდი სამწყსო“ დახვდა. მ. კელენჯერიძის ხატოვანი თქმით, იმერეთის საეპისკოპოსო „წარმოადგენდა ეკლით, ანწლით, გვიმრით და ყოველი ჯაგით მოცულს უდაბნოს, რომელსაც დიდი ხნით სჭირდებოდა წალდით წალდვა და ცეცხლით წვა, რომ ღვარძლი ძირიანად ამოვარდნილიყო და ახალ მომწვარ უყზე ახალი ყანა გაშენებულიყო, ახალი სულიერი მოქალაქეობა დაწყებულიყო“. ასეთ ვითარებაში გასაკვირი არაა, რომ „ეპარქიის სასულიერო წოდების მსხვერპლი გახდა ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე), რომელიც გაბრიელმა მოიწვია, როგორც პატიოსანი კაცი, გადაყენებული მექრთამე კაცის ადგილზე“. ჩვენთვის ფრიად საგულისხმო ისაა, რომ გაბრიელმა შეიფარა გაჭირვებული ახალგაზრდა პუბლიცისტი, რის გამოც პირველი ყურადღებას იმსახურებს მეორის პიროვნების შეფასების თვალსაზრისით. ბოსლეველისადმი გაბრიელის უაღრესად გულისხმიერი დამოკიდებულება შემთხვევითი არაა, რადგან ეს მღვდელმთავარი განუყრელად იყო დაკავშირებული თავისი დროის დემოკრატიულ ქართველ ინტელიგენციასთან.

გერასიმე ქიქოძე ღარიბულ ოჯახში გაიზარდა, უმაღლეს გახათლებას ეზიარა, წარმატებით შეუდგა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას, დაოჯახდა, თუმცა მალე მეუღლე და ხუთი შვილი ერთმანეთზე მიყოლებით ამოუწყდა, რის შემდეგაც ბერმონაზვნად აღიკვეცა და მალე გახდა იმერეთის ეპარქიის მესვეური, სადაც მან თავიდანვე სცადა მდგომარეობის მოწესრიგება. გ. ქიქოძის პიროვნების ჩამოყალიბებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა იმ წრემ, რომელშიაც ბავშვობიდანვე იზრდებოდა.

გერასიმე ქიქოძე დაიბადა 1825 წელს სოფელ შუა ბახვში, გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელის კარისმოძღვრის ოჯახში. იზრდებოდა სოფლურად, გლეხურად, ღარიბულად. გ. ქიქოძის ბიოგრაფის, მ. კელენჯერიძის, თქმისა არ იყოს, „...გერასიმე არ იყო თეთრხელა, ნაზად ზრდილი, ნასათუთები, ნაფუფუნები, გააზატე-

---

[45] მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი... გვ. 110.
[46] იქვე, გვ. 101, 110.

ბული, თავგასული ქართველი ბატონიშვილი, ბამბაში და ვარდებში ხვეული, ძიძის გაზრდილი, ფარეშებით გარშემორტყმული, სუსტი. ის იყო სოფლის უბრალო, ღარიბი ხუცის შვილი, გაზრდილი დედასთან მამის ღარიბ კერასთან, კვამლიან ქოხში, უბრალო დიაკვნებთან მჭადით და ღომით"[47]. ბავშვობიდანვე დაუდეგარ, ხალისიან და შრომისმოყვარე გერასიმეზე მართლაცდა შეიძლებოდა ეთქვათ: იგი „იყო შვილიც და მუშაც, შეგირდიც და ბიჭიც, მოჭიდავეც და მომღერალიც, ნამდვილი სოფლის შვილი, ე. ი. ნამდვილი სოფლის შვილი პირდაპირი აზრით, შვილი ბუნებისა, თანშეზრდილი მუშა ხალხთან, ბიჭებთან, მწყემსებთან, მათთან სიმინდის მარგვლაში, პირუტყვებთან და ფრინველებთან ერთად და იმიტომაც მარტივი და ლაღი იყო მისი სახე, მისი ხასიათი, მისი გული"[48].

გერასიმემ წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა, რუსული ენის შესწავლა განიზრახა, რაც მას რუსებისადმი სიმპათიურად განწყობილმა მამამ აგრეთვე რუსი ჯარისკაცების გაცნობამაც შთაუნერგა. გერასიმე სხვათაშორის ოავის მოგონებაში შენიშნავდა: „მე და ბევრ სხვა ჩემს ტოლ ოზურგეთელ ბავშვებს დიდად შეგვიყვარდა რუსის ჯარისკაცები და ისინი ალერსიანად გვექცეოდნენ, გვეფერებოდნენ, ხშირად თავიანთ შავ პურს გვაძლევდნენ"[49].

გერასიმემ 1837 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში და ორი კურსი დაამთავრა. მოამაგე სემინარიელმა მასწავლებელმა, სიტყვიერების პროფესორმა კლიმენტი კანევსკიმ, მოსწავლე 1841 წელს თავის ხარჯზე გადაიყვანა ფსკოვის სემინარიაში, სადაც 1843 წლამდე სწავლობდა. 1844 წელს გერასიმე გადავიდა პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1845 წელს დაასრულა. იმავე წლის აგვისტოში შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1849 წელს დაამთავრა.

ამ დროს რუსეთში პირველი რევოლუციური სიტუაცია იქმნებოდა. შემდეგში, კერძოდ XIX საუკუნის 50—60-იანი წლების მიჯნაზე, ის აღინიშნა მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებით, კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე უფრო გამწვავებით. რეფორმის წინარე ხანის რუსეთისა და საქართველოს ცხოვრებაში მიმდინარე ძვრებმა განაპირობეს ახალი, ანტიბატონყმური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყა-

---

47 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი... 1913, გვ. 13; აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, ანაწერის შესავალი.

48 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი, გვ. 14.

49 იქვე, გვ. 20.

ლიბება. იმჟამინდელი რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობასა და აზროვნებაზე გავლენას ახდენდა ევროპის პროგრესული საზოგადოებაც. დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვათა ნააზრევმა, რუსეთის ცენტრების სტუდენტთა რევოლუციურმა გამოსვლებმა სტიმული მისცა იქ მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის იდეურ ჩამოყალიბებას, კერძოდ იმ თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რომელსაც გერასიმე ქიქოძე განეკუთვნებოდა.

ევროპისა და რუსეთის პროგრესული მოძრაობისა და აზრის გავლენით, XIX საუკუნის რეფორმის წინარე ხანის საქართველოშიც ჩამოყალიბდა ანტიბატონყმური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ქართველი სამოციანელები, ანუ თერგდალეულები ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, დ. ჭონქაძე, რ. ერისთავი, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, ბ. ღოღობერიძე[50]....

იმ დროს, როცა გერასიმე ქიქოძე პეტერბურგის სასულიერო აკადემიას ამთავრებდა, მისი ბიოგრაფის შეფასებით, რეალიზმმა თავი წამოყო რუსეთში, „დაიწყო სოციალიზმის ქადაგების ხანა, ბატონყმობის მოსპობის წინამორბედი, ხანა პისარევისა, დობროლიუბოვისა, ჩერნიშევსკისა. რუსეთის ეროვნულ ზღვას გრიალი გაჰქონდა“[51]... მ. კელენჯერიძის დაკვირვებით, „ახალგაზრდა გერასიმე სავსებით მისცემია საზოგადოებრივ ცხოვრების ტალღებს სატახტო ქალაქში“, აზღვავებულ ახალგაზრდა პირთა წრეში“ გერასიმე „მთელი მისი ბუნებრივი სიფხიზლით, ჭკუამახვილობით, წყლიანი ენით, წრფელი გულით,... ცეცხლი ტემპერამენტით და ფირალური გაბედულებით პირველ ადგილზე დგას“[52].

სტუდენტობის წლებში გერასიმეს ძლიერ აღელვებდა შორეული სამშობლოს ბედი, მუდამ თვალწინ ედგა საქართველო, პეტერბურგში იგი დაუახლოვდა გიორგი XII-ის შვილს, ქველმოქმედ მიხეილ ბატონიშვილს.

გ. ქიქოძემ პეტერბურგის სასულიერო აკადემია 1849 წელს დაამთავრა მაგისტრის ხარისხით, „ძაან კაი ნიჭით, მხურვალე მუყაითობით და ძლიერ პატიოსანი ყოფაქცევით“. მას რუსეთში სამსახური უღიმოდა, დიდ მომავალს უქადდა, მაინც სამშობლოში დაბრუნება არჩია და იმთავითვე მოითხოვა ინსპექტორის ადგილი თბილისის სემინარიაში, სადაც ადრე ერთ ხანს თვითონ იზრდებოდა.

---

[50] დაწვრ. იხ. Нечкина М. В. Встреча двух поколений. М., 1980.

[51] მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი.. გვ. 31.

[52] იქვე.

25 წლის გ. ქიქოძე დაქორწინდა 19 წლის მარია ვლადიკინაზე, მერე გამოემგზავრა საქართველოში, რომელიც 7 წელი არ ენახა. იგი დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ. დიდი სიბეჯითით შეუდგა მუშაობას. „ერთბაშად იმსახურებს ყურადღებას... და ჯილდოს ჯილდოზე პედაგოგიური მოღვაწეობისათვის“. მ. კელენჯერიძის თქმით, ძნელი იყო სემინარიაში მუშაობა „სამოციანი წლების წინ, როცა თავისუფლების სიო ბერვას იწყებდა“[53].

გ. ქიქოძე სამსახურში „ყველას ლმობიერად, მამობრივი სიყვარულით და მზრუნველობით ეპყრობოდა“[54].

მათემატიკური ნიჭითა და ცოდნით დაჯილდოებული გ. ქიქოძე 1851 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებლად. იგი მალე გახდა თბილისში პირველად შემოღებული .საგნების განთქმული მასწავლებელი. 1854 წლიდან დაინიშნა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლადაც. იმავე წალს გ. ქიქოძემ თავი გაანება ადმინისტრაციულ სამსახურს, — ინსპექტორობას, რაც „არაფრად ეპიტნავებოდა“, „მას ჰსურდა მეტი ნაყოფიერი შრომა, სამეცნიერო და საპედაგოგო მოღვაწეობა, წერა, ქადაგობა“[55].

სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საუცხოოდ მომზადებული ერუდიტი შეუდგა კვლევით საქმიანობას ფსიქოლოგიაში, რამდენიმე წელიწადში შექმნა და 1858 წელს პეტერბურგში გამოსცა ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რითაც იგი, მკვლევარ ვ. გაგოიძის შეფასებით, თავისი დროის „საბუნებისმეტყველო ფილოსოფიური მიმდინარეობის გამგრძელებელი“ და „ახალ იდეებზე მისი ერთ-ერთი დამფუძნებელია“ საქართველოში[56].

სპეციალისტთა აღიარებით, გ. ქიქოძე თავისი დროის ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების საუკეთესო გამომხატველია. საეკლესიო პირთა შორის ყველაზე პროგრესული პიროვნებაა საქართველოში. მას ანგარიშს უწევდა ახალი იდეებით გატაცებული ქართველი ახალგაზრდობა.

მაგრამ გ. ქიქოძეს მალე თავს დაატყდა მძიმე ოჯახური უბედურება, რამაც იგი ერთხანს ჩამოაშორა სამეცნიერო მუშაობას. 1850-იანი წლების შუახანებში მას, როგორც აღინიშნა, ზედიზედ მოუკვდა

---

53 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი... გვ. 39.

54 იქვე.

55 იქვე, გვ. 42.

56 ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XIX საუკუნის საქართველოში, გვ. 204.

5 შვილი, ხოლო 1856 წელს დაქვრივდა. მ. კელენჯერიძის სიტყვით, „სავსე საოჯახოდ გამოწყობილი, ბედნიერი კაცი დაიღუპა და საბერ-ოდ გაუხდა საქმე“[57]. 1856 წელსვე 32 წლის გ. ქიქოძე გამოეთხოვა საერო ცხოვრებას და ბერად აღიკვეცა, — მღვდელ-მონაზონი გახდა. ბერად შემდგარმა გაბრიელმა თავი გაანება კეთილშობილ ქალთა ინ-ტიტუტში მუშაობას. მასწავლებლებთან და მოწაფეებთან მისი ამა-ღლევებელი გამოთხოვება დიდი გულითადობით აღიბეჭდა. შემდეგ გ. ქიქოძე სასულიერო კარიერას გაჰყვა: დავით გარეჯის წინამძღვა-რი — არხიმანდრიტი გახდა, 1858 წლიდან გორის ეპისკოპოსი, 1860 წლიდან — იმერეთის ეპისკოპოსი. მღვდელმთავარმა ეს მდგომარეობა გარდაცვალებამდე (1896 წლამდე) შეინარჩუნა. გაბრიელ ეპისკოპო-სის პირველად გამოცხადება ქუთაისში ზეიმით და ზარების რეკვით აღინიშნა.

მღვდელმთავარი სამეცნიერო მუშაობას გამოეთხოვა და ქადა-გებას შეუდგა[58].

მღვდელმთავარს იმერეთში დახვდა გარყვნილი სამღვდელოება, რასაც ვერ შეურიგდა უზადო ადამიანური თვისებებით შემკული კე-თილი და გულმოწყალე პიროვნება. მისი საარაკო თვისებები ერთნა-ირი აღტაცებითაა შექებული ახლო ნაცნობთა მოგონებებში, ასევე მისი ბიოგრაფიის ნარკვევში, რომელიც ცხადყოფს, რომ გაბრიელი „ყველა საქვეყნო საქმეს ერთგულ გუშაგად უდგია“, რომ „ობოლი და ქვრივი, ღარიბი და სნეული, გასათხოვარი ქალი და თვალცრემლიანი დედა, დამწვარი და ბრმა, ბერი და მღვდელი, გარეშე და მოყვასი, მონათლული, ურია, თათარი, ყველანი თანაგრძნობას პოულობენ ამ მღვდელმთავრის გულში და ნუგეშობენ მით“[59]. მით უფრო ბუ-

---

57 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი..., გვ. 48. იხ. ნ. ნიკოლაძის აზრი გაბრიელზე (газ. „Новое обозрение“, 1888, № 1665).

58 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელი, გვ. 311—316. გაბრიელის ქადაგებები ქვეყნდებოდა, „დროებასა“ და „მწყემსში“. მისი ქადაგებების პირველი გამოცემა ითარგმნა ინგლისურად და 1871 წელს გამოიცა ლონდონში.

59 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი..., გვ. 149. თავისი დროის გავლენიანი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი გაბრიელი თავგამოდებით იცავდა ქართული ენის სწავლებას ყველა ტიპის სასწავლებელში, გაბედულად ეკამათებოდა შავრაზმელ მოხელეებს, რომლებიც სასწავლებლებში ზედამხედველებად „ტუზემ-ცების“ დანიშვნას კრძალავდნენ. მათ წინააღმდეგ იგი შენიშნავდა: ბუნების ნებით ერთი დიდი ერის ყველა შვილი კარგი რომ ყოფილიყო, ხოლო ყველა სხვა ერის ცუდი, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა ეროვნული კუთვნილებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება (აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრი-ელ ეპისკოპოსის ფონდი, № 59, ფურც. 1—6; № 58, ფურც. 1—3). გაბრიელმა არ დაინდო ჩაგრულ ხალხთა ასიმილაციის აპოლოგეტი გ. მუხრანსკი, რომელიც „მცირე ხალხებს“ მოსპობას უწინასწარმეტყველებდა. პირველი მეორის მისამართით

ნებრივია, რომ გ. ქიქოძე, „კაცი მეცნიერი, სპეტაკი სულის პატრონი და მშობლიური ერისადმი წრფელი სიყვარულით გამსჭვალული“, ილია ხონელის სიტყვით, „გლეხი, გამტანი და მტკიცე გურული გლეხი, გულისტკივილამდე, თავდავიწყებამდე მოყვარე თავისი მიწა-წყლისა, თავისი ღარიბი, ზოგჯერაც ჭირვეული თანამემამულეებისა, გამოვლინდა მასში მთელი თავისი უცნაურობებით“[60]. გაბრიელი,

---

ირონიულად შენიშნავდა: „ამ შენმა წიგნმა, კარგად დაწერილმა, გაამტყუნა წამკითხველნი, რომელნიც ამბობენ: უთუოდ მან თვითონაც კარგად არ იცის ის უბედური ქართული ენა, რომელსაც სხვათა შორის უწინასწარმეტყველა მოსპობა და განქარვება“. შემდეგ გაბრიელი ედავება გ. მუხრანსკის, რომელსაც სწამდა, რომ „მცირე ხალხის ენა უნდა მოისპოს, დიდი ხალხის ენა განვრცელდეს“, და რომლის იდეალია „სუყველა მცირე ენები განქარდეს, ოღონდ სახელმწიფო გამაგრდეს“. გაბრიელი გ. მუხრანსკის შეახსენებდა, რომ „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოდ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის“ და, რომ „თუ ეს ასეა ხალხისათვის ძნელია ენის მოსპობა“, თან საყვედურობს: ზემოთქმულს ვერაფრით ვერ ამტკიცებ, ვერაკითარი გამოცდილებით: „გაეიწყდება, რომ თეორია ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა...“ შემდეგ გაბრიელი ედავება გ. მუხრანსკის: „მომეტებული დეცენტრალიზაციაც არ არის კარგი, მაგრამ ისევე ის სჯობია ცენტრალიზაციას“; „ნუთუ მარტო მონარქია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა?“ (იხ. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, გაბრიელ ეპისკოპოსის ფონდი, № 49). საგულისხმოა ისიც, რომ გაბრიელს მთავრობა სეპარატისტობას აბრალებდა“ (აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. კელენჯერიძის პირადი საარქივო ფონდი, № 101).

60 მ. კ ე ლ ე ნ ჯ ე რ ი ძ ე, გაბრიელ ეპისკოპოსი... გვ. 229, 317.

მართალაც, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხზე არსებული მრავალფეროვანი წყაროები, ასევე პუბლიცისტური და ისტორიული ლიტერატურა ცხადყოფს, რომ გ. ქიქოძე არ იყო ჩვეულებრივი მღვდელმთავარი. იგი, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, ღარიბ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა უბრალოდ, გლეხურად, ხელმოკლე, მაგრამ კეთილი საზოგადოების გარემოცვაში, ამიტომ იყო იგი „ცხოვრებაში უბრალო, სადა, არაჩვეულებრივი, გულმოწყალე“, ამიტომ „უყვარდა ფიზიკური მუშაობა“. იმავე გარემოებათა ძალით გ. ქიქოძემ „მთხოვნელის გარჩევა არ იცოდა. დიდი და პატარა, შორეული თუ ახლობელი, თავადი თუ გლეხი მისთვის ერთი იყო. უკანონობას არ მოითმენდა და უზნეო თხოვნას არავისას არ შეასრულებდა“ (მ. კელენჯერიძე, გაბრიელი, გვ. 180). მისი ადამიანური თვისებები მუდამ ვლინდებოდა ბავშვებისადმი დამოკიდებულებაში: ისინი „თავდავიწყებით უყვარდა, ეფერებოდა, კოცნიდა...“ (იქვე), მთელი დასი მოსწავლეებისა იზრდებოდა მის სახლში, მისსავე ხარჯზე, სახსრებს არ ზოგავდა სვანების აღსაზრდელად, საუფლო ჩაუყარა სასულიერო სასწავლებელს ქუთაისში, „ნათესაკების შემწეობაში სული ეფანტებოდა“, „არც გარეშე გაჭირვებულები ატოკებდნენ მის გულს ნაკლებად“ (იქვე, გვ. 151, 157). გაბრიელი „თვითონ იმიტომ იკლებდა სმას, ჭამას, ტან-ფეხს, რომ მეტი მოწყალება გაეცა...“ ციხეში ტუსაღებს ფულს და პურს უგზავნიდა, ქერვ-ობლებს ფულს ურიგებდა (იხ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. კელენჯერიძის პირადი ფონდი, № 101).

ყოველივე ეს არ იყო გასაკვირი, რადგან გ. ქიქოძე იყო თავისი დროის მოწინავე მოაზროვნე, მეცნიერი, განთქმული პედაგოგი, ორატორი, მშობელი ქვეყნისა

ვაჟა-ფშაველას სიტყვით, იყო „სწავლა-აღზრდის ეროვნულ ნიადაგზე დამფუძნებელი“, „ნათლით შემოსილი მღვდელთმთავარი“[61].

მთავარი კი ისაა, რომ თავისი ქვეყნის დიდებული მცოდნე და მისი გარემომცველი სიბნელის მოძულე გაბრიელი, რომელსაც დიდმა ილიამ და ნიკო ნიკოლაძემ ამაღელვებელი სტრიქონები მიუძღვნეს[62], 1860 წლიდანვე ამაოდ ცდილობდა იმერეთის ეპარქიაში დამკვიდრებულ უმსგავსოებისა და ბოროტმოქმედების აღკვეთას.

და ხალხის პატრიოტი, მისი ინტერესების მედგარი დამცველი. აი ამის მაგალითები: გაბრიელმა გაბედულად ამხილა იმერეთის საეკლესიო ხაზინის გამძარცველები („გამრეკლოვის საქმე“), სერგეი მესხთან, ნიკო ნიკოლაძესთან ერთად, ხმა აიმაღლა გელათის ნივთების გაძარცვის გამო, მათთან ერთად გაბედულად შეებრძოლა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, ლევაშოვს, ამხილა იგი ეკლესია-მონასტრების ძარცვაში, აიძულა მთავრობა ლევაშოვი გაეძევებინა კავკასიიდან (იხ. ლ. ჩიქოვანის წერილი ჟ. „ლიტერატურნაია გრუზია“ № 6, 1966). გაბედულად დაგმო სკოლიდან ქართულის განდევნა, რის გამოც მზრუნველ იანოვსკის დაეჯახა, შეებრძოლა ქუთაისის სასწავლებლის რეაქციონერ მესვეურებს და არაერთ ეგზარხოსს, ბატონყმობის მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა თავადაზნაურობაზე, ე. მჭედლიძის ვერაგული მკვლელობის გამო, იმერეთის სამღვდელოებაზე შეშფოთებული დაბეჯითებით აპირებდა რუსეთში გახიზნას, ქართული ენის დასაცავად მიწასთან გაასწორა რეტროგრადი გიორგი მუხრანსკი. ასეთი იყო გ. ქიქოძე — მებრძოლი, მამულიშვილი, მოქალაქე.

გ. ქიქოძე 36 წელი იყო იმერეთის მღვდელმთავარი, მან დატოვა ანდერძი, რომლითაც საკუთარი ქონება და ფულადი დანაზოგი „ღარიბებს“, სასწავლებლებს და საქველმოქმედო დაწესებულებებს უანდერძა (იხ. მ. კელენჯერიძე, გაბრიელი, გვ. 226).

61 იხ. ა. -ლი-ბაასი — IV (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წლის 20/II, № 2749).

62 როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ სიტყვა წარმოთქვა გ. ქიქოძის დასაფლავებაზე, სადაც იგი შეაფასა ვითარცა „მადლით მოსილი კაცი, რომლის მარტო სახელის ხსენებაც კი გვწვრთნის ჩვენ“. ილია განაგრძობდა: „თითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის, ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა... მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი... რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება“... ილიას შეფასებით, გ. ქიქოძე სხვა არაფერი იყო, „გარდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის. შეუბღალავად და დაუმორჩილებლად...“ მოცემულ კონტექსტში ილია ნიუტონს მოიხსენიებს და მასთან ადარებს გაბრიელს, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“ (იხ. მ. კელენჯერიძე, გაბრიელი, გვ. V—VI). დიდი ილიას ეს გამონათქვამი განთქმული სასულიერო პირისა და საერო მოღვაწის ჰარმონიულად წარმოჩენის ნიმუშია.

6. ნიკოლაძემ 1888 წელს სპეციალური სტატია მიუძღვნა გ. ქიქოძეს, სადაც იგი დაახასიათა როგორც „ჩვენი დროის ერთ-ერთი ღირსეული ფიგურა, მთლიანი

ამგვარი მცდელობის კერძო მაგალითია ე. მჭედლიძის მიწვევა ეპარქიალურ კანცელარიაში, სადაც, როგორც ფოკუსში, თავს იყრიდა სამღვდელოებისათვის თანდაყოლილი უმსგავსოებები.

ეპარქიის კანცელარიაში მუშაობა ე. მჭედლიძისათვის დიდად უსიამოვნო, თუმცა სასიცოცხლოდ აუცილებელი აღმოჩნდა. აქ გაეცნო იგი სამღვდელოების რეაქციულ ნაწილსაც. „მე მოვხვდი, — წერდა ე. მჭედლიძე,—ყაჩაღებისა და ბილწი ინტრიგანების ბრბოში. ჩვენი კანცელარია ნამდვილი საღორეა, სამაგალითო უწესრიგობაა და სრული ქაოსი“.

კანცელარიის ახალგაზრდა მოხელემ მახვილი თვალით შეხედა იმერეთის სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენლის საეჭვო საქმიანობას, რის კურსშიც მღვდელმთავარს აყენებდა[63]. ე. მჭედლიძე გაბრიელ ეპისკოპოსის, როგორც მოქალაქის, დიდი პატივისმცემელი იყო. „ეპისკოპოსი რომ ასეთი კაცი არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა აქ გაჩერება“, — შენიშნავდა ე. მჭედლიძე ერთ-ერთ პირად წერილში. მღვდელმთავარი და მისი მოხელე ე. მჭედლიძე უმსგავსობათა იმთავითვე აღკვეთას ესწრაფვოდნენ. ასეთ ვითარებაში ე. მჭედლიძეს გადაეკიდა იმერეთის სამღვდელოების არაერთი წარმომადგენელი.

ახალგაზრდა „მდივნის“ ირგვლივ სახიფათო სიტუაციის შექმნა იმან დააჩქარა, რომ მან გამოაშკარაცა „ის სიბინძურე და მუქთახორობა, რომელიც გამეფებული იყო იმერეთის სამღვდელოებაში. მანვე გამოაქვეყნა ბლაღოჩინ დ. ღამბაშიძის დასმენა ქართულ პრესაზე, რომლითაც ეს უკანასკნელი ასაბუთებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების დაკეტვას და კლერიკალური „მწყემსის“ გამოცემას“[64]. დამ-

---

და უნაკლო, რომელიც ჩვენს დღეებში თავისი სახით, ქადაგებითა და საქმეებით ცოცხლად განასახიერებს საეკლესიო ისტორიის საუკეთესო ეპოქების წმინდა სახეებს“ („Новое обозрение“, 1888, № 1665). აქაც შეინიშნება გაბრიელის პიროვნების ერთგვარი იდეალიზაცია, რომელიც მისი ნაღვაწის ჯეროვნად დაფასების სურვილითაა ნაკარნახევი.

63 ახალგაზრდა პუბლიცისტი გაჭირვებამ აიძულა ემუშავა ეპარქიალურ კანცელარიაში, რითაც მუშაობის დაწყების დღიდან ტრაღიკულ აღსასრულამდე იყო უკმაყოფილო. დაღუპვამდე 15 დღით ადრე ე. მჭედლიძე სწერდა თავის მეგობარს: „ლუკმა ქე მაქვს, არ გშია, არც გცივა... მაგრამ, რაღა გითხრა. მეწვია უსაძაგლესი გრძნობა: მე სიმძულვარე და ზიზღი იმ პირთადმი, რომელთაც მე უგულითადესს წადილსა და მისწრაფებას მომაკლეს. ახლა ეზიარ ჩინოვნიკად კანცელარიაში аккуратно с 8 до 2—3-х часов дня отписываю бумаги и пересматриваю дела самого грязного, кляузного свойства. ეს კიდევ არაფერი, რომ ოხერ კაცებში არ ჩავვარდნილიყავი“ (იხ. ბოსლეველი. ნაწერები, გვ. 430).

64 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და აზროვნებისათვის, გვ. 221.

ბეზღებელი წერდა: მთელს საქართველოში არ არის ერთი სასულიერო გაზეთი, ანუ ჟურნალი. „მართალია, ჩვენს საქართველოში არის რამოდენიმე ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ მათში მართლმადიდებელი ხალხი და სამღვდელოება სულიერ საზრდოს (духовной пищи) ვერ ჰპოვებს“[65].

იმერეთის სამღვდელოების რეაქციულ ნაწილსა და ე. მჭედლიძეს შორის ურთიერთობა მაშინ დაიძაბა, როცა იგი, როგორც ეპარქიალური კანცელარიის მდივნის მოადგილე 1885 წლის დამდეგს გაბრიელ ეპისკოპოსმა მდივნად დანიშნა და დასამტკიცებლად მთავარმართებელი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორაში წარადგინა. ამით ისარგებლეს ე. მჭედლიძის მოწინააღმდეგეებმა. საჩივრები და დასმენები გააგზავნეს სათანადო ორგანოებში, რათა ე. მჭედლიძე ეპარქიის კანცელარიიდან მოეცილებინათ. შედეგმაც არ დააყოვნა.

როგორც სანდო საარქივო დოკუმენტი ცხადყოფს, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მიიღო საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებულება, სადაც ვკითხულობთ: „მისი უდიდებულესობის ბრძანებულებით“ უწმინდესი მთავარმართებელი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორამ მოისმინა: 1. იმერეთის ეპისკოპოსის 26 სექტემბრის „რაპორტი, რომლითაც იგი მოითხოვდა განკარგულებას თავისი კანცელარიის ვაკანტურ ადგილზე ამავე კანცელარიის მდივნის თანაშემწის, ესტატე მჭედლიძის, დანიშვნაზე და 2. ორი განცხადება, პირველი — ტიტულიარული მრჩევლის ზაქარია ჭეიშვილისა და მეორე — იმერეთის საეპისკოპოსოს თანამშრომლებისა“. იქვე იყო აღნიშნული, რომ ორივე განცხადებაში ე. მჭედლიძეს ბრალი ედება სხვადასხვაგვარ საძრახის თვისებებსა და რელიგიის საწინააღმდეგო მოქმედებაში, რის გამოც პირველი განმცხადებელი, ჭეიშვილი, მოითხოვს მჭედლიძის ნაცვლად თვითონვე დანიშნონ კანცელარიის მდივნად, რადგან მას მჭედლიძესთან შედარებით სამსახურეობრივად და განათლებით უპირატესობა გააჩნია; კანცელარიის მოხელეთა განცხადებაში კი ნათქვამია, რომ ე. მჭედლიძე, როგორც უხასიათო და წამხდარი ზნეობის ადამიანი, კანცელარიის მდივნად არ უნდა დაინიშნოს.

ამასთანავე ეპისკოპოს გაბრიელს „კანტორიდან“ აცნობებდნენ, რომ ჭეიშვილმა წარმოადგინა გაზ. „მწყემსის“ ერთი ნომერი, სადაც მოტანილია ციტატები მჭედლიძის სტატიიდან, რომელიც ხელისუფლებისა და რელიგიის წინააღმდეგ არის მიმართული. ყოველივე აქედან გამომდინარე, იმერეთის ეპისკოპოსს უბრძანებდნენ: კანცელარიის

---

65 „დროება“, № 107, 1883.

მდივნის ადგილზე ვისმეს დანიშვნამდე განეხილა ჭეიშვილისა და კანცელარიის მოხელეთა განცხადებები, ასევე თანდართული გაზეთის სტატია და სინოდალური კანტორისათვის წარედგინა სათანადო მონაცემები და თავისი მოსაზრებანი[66].

ზემოაღნიშნულის საპასუხოდ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1885 წლის იანვარში ვრცელი „რაპორტი" გაუგზავნა მთავარმართებელი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორას. ეს პასუხი ფრიად საყურადღებოა როგორც ე. მჭედლიძის წინააღმდეგ განწყობილი საეკლესიო პირთა ზნეობის წარმოსადგენად, ისე გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნების შესაცნობად.

ამის გამო, ვრცელი ამონაწერი მოგვაქვს ხსენებული პასუხიდან, სადაც გაბრიელი შენიშნავდა: „მართალია, კანტორის ბრძანებულებით არ იყო მოთხოვნილი... ფორმალური გამოძიება ჩემი კანცელარიის თანამშრომელთა განცხადების შინაარსისდა მიხედვით, მაგრამ მე მაინც აუცილებლად ჩავთვალე და განკარგულება გავეცი მკაცრი და მიუდგომელი გამოძიების ჩატარებაზე, რადგან განცხადებებით მჭედლიძეს სახელდობრ მძიმე და მრავალგვარი ბრალდებები წაუყენეს".

გაბრიელი კატეგორიულად აცხადებდა: ძიებამ, ასევე დასმენის ზოგიერთმა თანაავტორმა, აგრეთვე კანცელარიის იმ მოსამსახურეებმა, რომლებიც დასმენაში არ მონაწილეობდნენ და მჭედლიძეს, მის მოღვაწეობას ახლოს იცნობდნენ, ცხადყვეს, რომ ეს უკანასკნელი არ ხასიათდებოდა ცუდი და დასაგმობი ქცევითა და მოქმედებით არც სამსახურში, არც პირად ცხოვრებაში, რომ მსგავსი რამ არც თვითონ იციან და არც სხვისგან გაუგონიათ; პირიქით, ყველა ისინი ერთსულოვნად აღიარებენ ე. მჭედლიძის შრომისმოყვარეობას, თავისი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, მის აკურატულობას და სიფხიზლეს სამსახურში და ა. შ. გაბრიელი განაგრძობდა: შეიძლება ვიწამოთ, რომ თვით დასმენის მთავარი წამომწყებნიც ვერაფრით ვერ ახერხებენ წაყენებული ბრალდებების დადასტურებას და ეს ნაწილობრივ ჩანს მათი იმ ჩვენებიდან, რომლის თანახმად მათ დასმენა დაწერეს იმის შეგნებით, რომ მჭედლიძე თითქოსდა მდივნად დანიშვნისთანავე ფიქრობდა კანცელარიის ყველა ძველი თანამშრომლის დათხოვნას, რაც მჭედლიძის მიმართ წაყენებული სრულიად უსამართლო ბრალდებაა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მდივნის საქმე არაა კანცელარიაში თანამშრომელთა დანიშვნა და დათხოვნა და მეორეც, მჭედლიძეს ჩემთან არასოდეს არ დაუსმენია კანცელარიის თანამშრომლები და მათ შესახებ ძვირი არასდროს უთქვამს, რომ მჭედლიძე შენიშნული მყავს ამ თანამშრომლების მიმართ ზედმეტ გულმოწყალე-

66 სსსა, ფ. 489, საქ. 40055, ფურც. 12.

ბაში და თანამოსამსახურეებთან დამოკიდებულებაში მტკიცე ხასიათისა და სასურველი დამოუკიდებლობის უნარის უქონლობაში.

გაბრიელი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ დამსმენი თვითონ ვერავითად შემთხვევაში ვერ დაწერდნენ განცხადებას, ვინაიდან ყველა ისინი მცირემცოდნეებია და უხეში შეცდომების გარეშე თვით უბრალო ქაღალდსაც ვერ შეადგენდნენ. ეს მაშინ, როცა განცხადებაში გვხვდება ისეთი ადგილები და გამოთქმები, რომლებიც მათთვის უთუოდ გაუგებარია.

გაბრიელის აზრით, ზემოხსენებული არაკეთილგანმზრახველი პირები ისინია, ვინც უპატიოსნო განზრახვით ცდილობენ ხელთ ეგდოთ ჩემი კანცელარიის მდივნის მათთვის მომგებიანი თანამდებობა და როცა პირდაპირი გ'ზით ეს ვერ შეძლეს, მჭედლიძის საწინააღმდეგო საჩივრებისა და დასმენების შედგენას შეუდგნენ, მას შემდეგ, როცა ჩემი კანცელარიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად სხვის ნაცვლად მჭედლიძე დავნიშნე. ნამდვილად, — განაგრძობდა გაბრიელი, — უცნაურიც იქნებოდა ახალგაზრდა, 30 წლის მჭედლიძეში, რომელმაც ახლა დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება, დაგვენახა ყველა მანკიერებისა და საშინელების განსახიერება და ერთობლიობა, ისე რომ, მასში ვერ გვეპოვა ვერავითარი ადამიანური ღირსება და არც ერთი წმინდა მხარე, დამსმენთა სიტყვით, მჭედლიძე ლოთიცაა, მატყუარაც, დებოშის ამტეხი, მექრთამე, ყველას მიერ პატივცემულ ადამიანთა შეურაცხმყოფელიც, უღმერთოც და ა. შ.

გაბრიელ ეპისკოპოსმა გააბათილა დამსმენთა მიერ ე. მჭედლიძისადმი წაყენებული ყველა ცილისმწამებლური ბრალდება, აჩვენა მათი უსაბუთობა და სიყალბე; მიუთითა, რომ ჭეიშვილის ერთადერთი ზნეობრივი მოტივი, რამაც გააბედვინა ე. მჭედლიძესათვის უმძიმესი ბრალდებები წაეყენებინა, მისივე სიტყვით ისაა, რომ ამით იგი გამოვიდა შეურყვნელი, ყველას მიერ პატივცემული, პიროვნებების წმინდათაწმინდა რწმენის და ღირსების დამცველად.

დაბოლოს, გაბრიელ ეპისკოპოსი დასძენს: „ე. მჭედლიძე მე დავნიშნე მდივნის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად (რაც სინოდალურმა კანტორამაც დაამტკიცა) იმიტომ, რომ იგი გაცილებით უფრო უნარიანი, გათვითცნობიერებული და გამოცდილია კანცელარიის საქმის მწარმოებლად, ვიდრე სხვა მაძიებლები. თუკი იგი განაგრძობს სამსახურს პატიოსნად, კეთილსინდისიერად და გულითადად, საბოლოოდ დაინიშნება მდივნად და დამტკიცდება, როცა ჩინს მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დავითხოვ. ამჟამად მდივნად ან ჭეიშვილის, ანდა, სანებლიძის დანიშვნა მხოლოდ იმიტომ, რომ პირველს ტიტულიარული მრჩევლის ჩინი გააჩნია, ხოლო მეორეს უმაღლესი

განათლება, საქმისათვის მიუღებელი იქნებოდა, ამიტომ მე ისინი არ დავნიშნე, რადგან ამ მონაცემების გარდა აუცილებელია დარწმუნებული ვიყო პრეტენდენტის სულისა და გულის სიკარგესა და კეთილთვისებაში, რომ მე მათ კარგი მხრით პირადად უნდა ვიცნობდე. რაკი ეს ასე არ იყო, ისინი ჩემს მდივნად ვერ დავნიშნე...“ გაბრიელი განაგრძობდა: მჭედლიძემდე მე სამი მდივანი მყავდა, ჩემივე არჩეულები, ყველა ისინი მეტ-ნაკლებად უნარიანი და საიმედონი იყვნენ. ვიმედოვნებ და სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ მეოთხე, ე. ი. მჭედლიძე, უკეთესი იქნება, ვიდრე ადრინდელნი და სავსებით გაამართლებს ჩემს არჩევანს, ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ სინოდალურ კანტორას მჭედლიძე დაამტკიცოს ჩემი კანცელარიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად“, მით უფრო ჯერ ერთი, რომ თუ არ გამოდგება მისი უცერემონიოდ განთავისუფლება ყოველთვის შეიძლება, მეორეც, არსად არ ხდება და შეუძლებელიცაა თავს მოვახვიოთ არასასურველი და უცნობი კაცი მდივნად პიროვნებას, რომელსაც მინდობილი აქვს ცალკე არსებული მნიშვნელოვანი ეპარქიის მართვა-გამგებობა[67].

როგორც ვხედავთ, გავლენიანმა მღვდელმთავარმა დაიცვა თავისი თანამშრომელი, რომლის ხელყოფაშიც ბნელ და ანგარებიან სასულიერო პირებს მხარს უჭერდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორაც. ე. მჭედლიძის ირგვლივ ასეთი ატმოსფერო მაშინ შეიქმნა, როცა იგი დაძაბულ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა, როცა გაბრიელმა, ე. მჭედლიძისადმი, როგორც მოწინავე პუბლიცისტისადმი, თავისი სიმპათიების ოფიციალურად გაცხადების გარეშე, დაიცვა იგი და ეპარქიის კანცელარიის მდივნად დატოვა.

როგორც აღინიშნა, ბოსლეველი ინტენსიურ პუბლიცისტურ საქმიანობას მოსკოვიდან ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, 1881 წლიდან, შეუდგა უფრო ენერგიულად კი 1882 წლის დამდეგიდან. მისი წერილების უმეტესობა დაიბეჭდა გაზეთ „შრომაში“, რომლის ერთ-ერთი თანამშრომელთაგანი და ხელმძღვანელთაგანი თვითონ იყო. ვერც კი მოასწრო ე. მჭედლიძემ (ბოსლეველმა) საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მუშაობის სრულიად გაშლა და ამ დროს იმერეთის სამღვდელოების რეაქციული წრეების წარმომადგენლებმა მისი ფიზიკურად მოსპობა განიზრახეს.

ამ „ბინძურთა და უნამუსოთა მიერ მოსყიდულმა ნაძირალამ და ავაზაკმა, ვინმე ქელბაქიანმა, 1885 წლის 8 (20) მაისს, დილის 9 საათზე, ქუთაისში, ბაგრატის ტაძრისაკენ (ეპარქიის კანცელარიისაკენ) მი-

---

67 სსა, ფ. 489, საქ. 40055, ფურც. 26—31.

შავალი აღმართის (გაბაშვილის მთის კიბის) დასაწყისში, ზურგიდან მიპარვით ნასროლი ტყვიით ვერაგულად მოკლა 31 წლის ნიჭიერი კრიტიკოსი და პუბლიცისტი ევსტათი სიმონის ძე მჭედლიძე (ბოსლეველი).

საზარელმა მკვლელობამ შეძრა მთელი საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა, რუსეთში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა. უკიდურესად აღშფოთებული ფართო საზოგადოებრიობა, პროგრესული ქართული და რუსული პრესა ღრმა მწუხარებით გამოეხმაურა პერსპექტიული პუბლიცისტის ტრაგიკულ დაღუპვას. ამ მკვლელობაზე და პუბლიცისტის ვინაობაზე კარგა ხანს ყოველდღე ქვეყნდებოდა მეტ-ნაკლებად ზუსტი და ვრცელი ცნობები და ინფორმაცია. გაზეთ „დროების" რედაქციაში საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულიდან მოდიოდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის, ქართველი ახალგაზრდობისა და საზოგადოების სხვადასხვა წრეების წარმომადგენელთა წერილები, რომლებიც მომხდარ ტრაგიკულ აქტს გმობდნენ.

გაზეთი „დროება" წერდა: „ამ საშინელმა ამბავმა თავზარი დაგვცა. ყველანი, ვინც კი იცნობდნენ ამ პატიოსნებით აღსავსე ყმაწვილკაცს და ნიჭიერ მშრომელს, ღრმა მწუხარებით კითხულობენ: რათა? როგორ? რისთვის?"[68].

თელავიდან გაზეთ „დროებას" აცნობებდნენ: „პატიოსანის მოღვაწის ევსტათი მჭედლიძის საზარელმა მოკვლამ შეაძრწუნა მთლად მთელი თელავის ახალგაზრდობა! სულითა და გულით სწუხან არა თუ მარტო თელავის ახალგაზრდობა, არამედ ყველა, ვინც ყური მოკრა ამ საზარელ ამბავს"[69].

ოზურგეთიდან (ილია ჭყონია, ივსიხი და ზაქარია ნაკაშიძეები, ანტონ ღლონტი) წერდნენ: „უმორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ... ჩვენი უგულითადესი მწუხარება განვუცხადოთ ჭირისუფლებს პატიოსანის მწერლისა და მოღვაწის ევსტათი მჭედლიძისას, რომელიც ასე უდროოდ იმსხვერპლა მისგან დევნილი არამზადების ანგარებამ და მათმა მუხანათურმა შურისძიებამ. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არ აქვს... ერთობ ადრე იყო მისი სიკვდილი; ის ჩვენთვის ფრიად საჭირო იყო; ჯერ კიდევ ბევრს პატიოსანს და სასარგებლო სიტყვას თუ საქმეს მოველოდით მისგან... ჩვენ გულგანგმირულნი ამხანაგის მოკლებით, ვნუგეშობთ და ვანუგეშებთ ევსტათის ჭირისუფლებობით, რომ იგი ეწამა პატივისა და პატიოსნებისათვის და „სანამ იყო კაცად

---

68 „დროება", 1885, № 98.
69 „დროება", 1885, № 106.

იყო“... საფლავი მისი იქნება ლამპრად პატიოსნებისა მისს ამხანაგთათვის“[70].

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების ტელეგრამა: „დღეს გავიგეთ ახალგაზრდა პუბლიცისტის ევსტათი მჭედლიძის მხეცური მკვლელობის ამბავი. გთხოვთ გადასცეთ მის ნათესავებს ჩვენი გულითადი მწუხარება ასე უდროოდ დაკარგულს პატიოსანს მშრომელზედ“[71].

მოსკოვიდან ქართველმა სტუდენტებმა ასეთი ტელეგრამა გამოგზავნეს: „ღრმად შეგვაძრწუნა დაუვიწყარის ევსტათი მჭედლიძის საზარელმა მკვლელობამ. გულითა ვწუხვართ, რომ საზოგადოებას უდროოდ მოაკლდა პატიოსანი მოღვაწე. საუკუნო იყოს ხსენება შენი, ძვირფასო მეგობარო“[72].

თბილისის საზოგადოებრიობის გულისწუხილს შემდეგი სიტყვები გამოხატავდნენ:

„ავაზაკის ხელმა, შინაურ ბოროტმოქმედთაგან წაქეზებულმა და შესყიდულმა, საუკუნოდ გამოასალმა თავის სამშობლოს ყმაწვილკაცი, რომელსაც თავის ცხოვრების იდეალად ამ სამშობლოს სამსახური მიაჩნდა... გამოტეხილი სჯობიან, — პირველში ასეთმა მოვლენამ გული გაგვიტეხა და იმედი დავკარგეთ იმერეთის საზოგადოებაზედ... მაგრამ რაკი პატარა ხანმა გაიარა და დრომ თავისი ჰქმნა, სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ერთისა და ორის პირის დანაშაულის მთელს საზოგადოებაზედ გადატანა უსამართლობა იქნებოდა... ორმა კვირამ გაიარა მას აქეთ, რაც ევსტ. მჭედლიძე მოჰკლეს და ორის კვირის განმავლობაში მოსულმა წერილებმა და დეპეშებმა განგვიახლეს ის აზრი, რომ საზოგადოების საუკეთესო და მომეტებული ნაწილი ყოველსავე კარგს თანაუგრძნობს და ყოველსავე ბოროტსა სდევნის. ევსტ. მჭედლიძე თუმცა მუყაითი, პატიოსანი და მამულის უერთგულესი მშრომელი იყო, მაგრამ იგი ფარულად მოღვაწეობდა და თავის სრულის სახელის მოწერაც კი მეტიჩრობად მიაჩნდა. ამის მიუხედავად მისმა სიკვდილმა გულწრფელი მწუხარება გამოიწვია ყველასი და საზოგადოების იმისთანა ნაწილისაც კი, რომელსაც ლიტერატურასთან ძალიან შორეული კავშირი აქვს. გასაკვირველი არ არის, რომ პეტერბურგელი და მოსკოველი სტუდენტებისათვის ევსტ. მჭედლიძის სიკვდილს გული მოეკლას და სრული თანაგრძნობა გამოეწვიოს“[73].

---

70 „დროება“ 1885, № 103.
71 „დროება“, 1885, № 104.
72 „დროება“, 1885, № 103.
73 „დროება“, 1885, № 105.

საზოგადოებრივი განწყობილება ხატოვნად ასახა პოეტმა სილ
ვან ხუნდაძემ ლექსში „ე. მჭედლიძის გარდაცვალებაზე“, სადაც ვკ
თხულობთ:

„მოკლეს, მაგრამ მკითხეთ: რისთვის?
ნუთუ ცუდი ჩაიდინა?
ჩვეულებრივ ვერ მოკრთამეს:
სახელი არ წაიხთინა!
ქურდსა ქურდი დაუძახა,
ავაზაკს ვერ მოუთმინა,...
ამით თავი მოიკვდინა —
მწარე ცრემლით თვალთ გვადინა.
წახთა, წახთა ეგ სოფელი
და დაეცა მწარეთ ერი:
სინიდისსა გადაუდგა
ყრმა, მოხუცი, მღვდელი, ბერი...
უგუნურნო! ცოტა არის
დასაჩეხი, დასაკერი,
რომ მოძმეთა მისდგომიხართ,
ელეტთ და ხოცავთ, ვითა მტერი?!
ვერ ხედავთ, რომ კარს გვადგია
მილიონი გასაკირი?
სანთლით არის საძებარი
მშრომელი და წრფელი პირი...
თუ გამოჩნდა ერთი-ორი,
ქე დაუხშეთ მათაც პირი?!
ჰე, თქვენ, მხეცნო, ავაზაკნო!
არ გვეყოფა ჩვენ სხვა ჭირი?!“74

საზარელ ამბავს ამაღელვებელი წერილებით გამოეხმაურნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, მათ შორის გრიგოლ უმწიფარიძე. იგი თავის ერთ-ერთ მეგობარს სწერდა: „...გვიღალატა ვიღაცამ და მოგვაშორა ჩვენი გულითადი მეგობარი... ესტატე მჭედლიძე... აი რა გულსაკლავი ამბავი მომიტანა სამშობლოდამ ორმა თავზარდამცემმა წერილმა ზედიზედ... გინდა, რომ ეს იყოს საძაგელი მოჩვენება, სიზმარი, გულდასაღონი, შავი სიზმარი, მაგრამ სად წაუხვალ ამა სოფლის ნამდვილ სიმწარეს... მოჰკლეს, გაჰგმირეს გული, რომელიც ყოველ წამს ფეთქავდა მოძმისადმი უმაღლესის და უპატიოსნესის სიყვარულით. ვერ იგუა, ვერ შეითვისა სოფელმა ეს სიყვარული და დღეს ესტატე, რომელიც ერთ წამსაც არ დაფიქრდებოდა, რომ თავისი მოძმის, თავისი სამშობლოს სადღეგრძელოდ, თუ მოითხოვდა გარემოება, შეე-

74 გაზ. „დროება“, № 100, 1885; სილოვან. ლექსები, 1878—1891, ქუთაისი, 1892, გვ. 41—44.

წირა სული და ხორცი, სიცოცხლე, იმავე მოძმის ხელით, ღალატით გამოეთხოვა დღის სინათლეს, სამშობლოს, საყვარელ მშობელთ, ტოლს, მეგობარს, გრძნობას, ოცნებას... მწარეა და საზარელია მოხუცებულის სიკვდილი, ბევრად უფრო მწარე და საზარელია ცხოვრებაში ახლად ფეხშედგმულის ახალგაზრდასი... სიმწარე მატულობს როცა ეს ახალგაზრდა იყო სამშობლოს მსახურებით გამსჭვალული, პატიოსანი და ნიჭიერი მუშაკი... სიმწარეს აღარა აქვს სამზღვარი, თუ სიკვდილი, როგორც ახლა, მოხდა არა უსულო ბუნების აუცილებლობის წყალობით, როცა არც სენს მოუკლავს კაცი, არც მთიდან წამოსულ ზვავს, არც ადიდებულ წყალს, არც ტყის ნადირს, არც მხეცს, არც გრიგალს... საწყალი ესტატეს მკვლელობას დიდი საზოგადო მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ ის იყო ლიტერატურაში ნიჭიერად გამოსული მწერალი... არც იმიტომ, რომ იგი პატიოსანი პრინციპების მტკიცედ მიმდევარი მოღვაწე იყო; ეს მკვლელობა მწარედ აფიქრებს და შავად უბურავს გულს ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი საზოგადოებისათვის, ვინც აკვირდება მისი ცხოვრების ავსა და კარგს"[75].

ზოგიერთ კორესპონდენციაში ხაზგასმული იყო ე. მჭედლიძის მაღალი მოქალაქეობა და პატრიოტიზმი: „განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყველაფერს კარგ საქმეში. აგრეთვე მხურვალე მონაწილეობა მიიღო მან უკანასკნელად წიგნების თარგმანში და წიგნების გამოსაცემად ფულების შეგროვებაში..."[76].

დავით კეზელი ე. მჭედლიძის მკვლელობის გამო წერდა: „...შურისძიების მსხვერპლი გახდა ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორი, რომელიც ესოდენ დიდ შესანიშნავ იმედებს იძლეოდა... პირველსავე კრიტიკული წერილიდან, მან მიიპყრო მკითხველი ქართველი საზოგადოების ყურადღება, ყველა ფიქრობდა, რომ ფსევდონიმის ქვეშ იმალება ქართული ლიტერატურის რომელიმე ვეტერანი. მისმა მომდევნო სტატიებმა კიდევ უფრო დააინტერესეს საზოგადოება და საყოველთაო ცნობისმოყვარეობა გააღვივეს"[77].

ე. მჭედლიძის მკვლელობასთან დაკავშირებით „დროება" კარგა ხანს ყოველდღიურად ღებულობდა „ძლივს-ძლივობით დაჯღაბნილ წერილებს", რომლებიც ძნელი წასაკითხი იყო, „მაგრამ აქა-იქ გამორკვეული სიტყვებით ვხედავთ მხოლოდ, რომ ეს წერილები უბრალოდ გულმარტივად და კალამ-მარტივად თანაგრძნობით იხსენიებენ

---

75 „დროება", 1885, № 115.

76 „დროება", 1885, № 100.

77 газ. „Новое обозрение", 1885, № 474.

ევსტ. მჭედლიძეს და გულმარტივადვე სწყეველიან და კრულავენ მის მკვლელს"[78].

ე. მჭედლიძის ვერაგული მკვლელობის გამო მართლაცდა ფეხზე დადგა მთელი საქართველო. გულშემზარავი ფაქტისადმი დამოკიდებულებაში გამომჟღავნდა ქართველი ხალხის მაღალი ეროვნული თვითშეგნება. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მსგავს საშინელებას ხალხი არასოდეს შეურიგდება. ამ შთაბეჭდილებით ცარიზმის ადგილობრივი ადმინისტრაცია, სუსხიანი რეაქციის პერიოდში, იძულებული გახდა საგანგაშო ამბავთან დაკავშირებით პრესაში გამოსაქვეყნებელი მასალის მიმართ ცენზურის სიმკაცრე რამდენადმე შეერბილებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ე. მჭედლიძის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ბევრი კორესპონდენცია მზის სინათლეს ვერ ეღირსებოდა.

ე. მჭედლიძის პანაშვიდი იმერეთის ეპარქიის რეაქციული წრეების საწინააღმდეგო მანიფესტად იქცა. მას „დიდი საზოგადოება დაესწრო", იქ გაბრიელ ეპისკოპოსმა, როგორც სპეტაკმა პიროვნებამ „გრძნობური სიტყვა წარმოსთქვა"[79].

ე. მჭედლიძე (ბოსლეველი) 1885 წლის 12 მაისს დაასაფლავეს სოფელ სვირში. განსვენებულს გახმაურებული გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა მეგობარმა თეოფილე ხუსკივაძემ.

ე. მჭედლიძის მკვლელობა ქართულმა საზოგადოებამ შეაფასა როგორც რეაქციის მიერ გამოწვევა: „ამ ამბით, — წერდა გრ. ყოფშიძე, — შეურაცხყოფილია, შეგინებულია მთელი ჩვენი ზნეობა, მთელი ჩვენი სიკეთე, მთელი ჩვენი კაცური კაცობა. ამ სირცხვილის ასახდელად თითოეული ჩვენთაგანი ყოველის გზით უნდა ცდილობდეს მკვლელი იპოვოს, რომ მისგან გაბიაბრუებულს და აღელვებულს სინდისს ადამიანის შესაფერი კმაყოფილება მიეცეს"[80].

ე. მჭედლიძის ტრაგიკული აღსასრულით დამწუხრებული და შეშფოთებული ქართველი საზოგადოება დამნაშავეთა სასწრაფოდ გამოძზეურებას მოითხოვდა. ამგვარ გულისთქმას გამოხატავდა პოეტ სილოვან ხუნდაძის ლექსის სტრიქონები: „ღალატობით მოკლეს კაცი გამოწვრთნილი, გამოზრდილი... გული ითხოვს: „ავაზაკებს სატანჯველი და სიკვდილი!" დიდი ილიას ჟურნალი „ივერია" გულისწყრომით განაგრძობდა: „ღრმად ჩასაფიქრებელია ამბავი ესტატე მჭედლიძის მკვლელობისა, პატიოსანი, საქმის ერთგული ყმაწვილი კაცი დღის სინათლეზე. საგუბერნიო ქალაქში, ზედ შუა გზაზე დამბაჩით მოჰკლეს... და

---

78 „დროება", 1885, № 104.

79 „დროება", 1885, № 118.

80 „ივერია", 1885, № 6 „შინაური მიმოხილვა".

მკვლელი ხელიდან წარუვადეს სამართალსა! ეს მაგალითი ვერაფერი სასიქადულო სარკეა იმ საზოგადოებისა, სადაც აგრე მოხდა"[81].

თავის მხრივ „დროება" შფოთავდა: „მკვლელი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ, თუმცა ეს ზარდამცემი მკვლელობა ქუთაისის ისეთ ნაწილში მომხდარა, რომელიც საკმაოდ დასახლებულია და მერე 8 საათზე დილით, როდესაც თითქმის მთელი ქუთაისი ფეხზე დგას. დილის 8 საათზე რომ მკვლელობა მოხდა, ქუთაისის პოლიცია ნაშუადღევს შეუდგა მკვლელის ძებნასო. საქმე დღესაც არ გადაუციათო განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმის გამომძიებლისათვის"[82]. „დროება" პოლიციას ადანაშაულებდა: „როცა საჭიროა და სადაც აუცილებელია, იქ არასოდეს არ არის პოლიცია და არც მფარველი ვინმე, ისე კ> ათასობით დათარეშობენ ქუჩებში"[83].

როცა ცნობილი გახდა, რომ დაბოლოს „როგორც იქნა", მკვლელს ვინმე ქელბაქიანს „ხელი ჩაავლეს", „დროება" კვლავაც გაბედულად აცხადებდა: „მთელ საზოგადოებას გვიკვირს, რატომ სხვა ვზას არ დაადგა გამომძიებელი და მარტო ამ ქელბაქიანს ჩამოეკიდა! და გვიკვირს აი რატომ? თვით მტერს არაფერი არც მტრული და არც მოყვრული დამოკიდებულება არ ჰქონია განსვენებულთან. და თუ ქელბაქიანი მკვლელია, იგი მოსყიდულია სხვისგან და მოსყიდულია ძვირად. აი ამ კვალს დაადგეს გამომძიებელი, თორემ საზოგადოების თვალში სამართალი იურიდიულ კაზუისტიკად და სკეპტიკურ სოფიზმად იქცევა"[84].

ისიც შესამჩნევია, რომ აქ ნამდვილ დამნაშავეებად ნაგულისხმები იყვნენ ეპარქიაში ე. მჭედლიძისადმი მტრულად განწყობილი პირები, რომლებიც მიყუჟულიყვნენ, მათ არაფერი ეხებოდა

მოწინავე ქართველი საზოგადოებისა და დემოკრატიული პრესის პროტესტმა მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი: ე. მჭედლიძის მკვლელი დააპატიმრეს და გაასამართლეს. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის დაჟინებითი მოთხოვნით მთავრობა იძულებული შეიქმნა ბოსლეველის მკვლელისათვის 11 წლის კატორღა მიესაჯა.

მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ 1885 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში, „რომლის ავტორად ი. მეუნარგიას და ნ. ნიკოლაძეს აკაკი წერეთელი მიაჩნდათ, გადმოცემულია ამ გასამართლებისადმი უნდობლობა და პროცესის არასწორი მსვლელობა. კორესპონდენციის ავტო-

---

81 „ივერია", 1885, № 6.
82 „დროება", 1885, № 99.
83 „დროება", 1885, 109.
84 „დროება", 1885, № 156.

რი გვისურათებს ქართული გიმნაზიის მასწავლებელ სილოვან ხუნდაძის პროტესტს სასამართლოსადმი. როგორც ჩანს, სილოვან ხუნდაძე მოითხოვდა, რაკი მკვლელი გარეწარი პიროვნებაა, რომელიც ბრძა ნარალი გამხდარა ნამდვილი მკვლელობისა, „საჭიროა სასამართლოს წარუდგეს მკვლელობის ნამდვილი ორგანიზატორებიო"[85].

მეფის სასამართლოსაგან დადებითი რეაქცია არც იყო მოსალოდნელი. ასე უდროოდ დასრულდა 80-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლის, ნიჭიერი პუბლიცისტისა და ლიტერატურის კრიტიკოსის სიცოცხლე.

ესთეტიკური შეხედულებანი

I

ე. მეჭედლიძე-ბოსლეველის ნაწერებში მრავალი აქტუალური საკითხია აღძრული და გადაწყვეტილი. მისი პუბლიცისტიკა ენციკლოპედიური ხასიათისაა და მოიცავს ესთეტიკის, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის, კრიტიკის თეორიის, ასევე ეკონომიკისა და პოლიტიკის, ენისა და მეცნიერული გრამატიკის, განათლებისა და პედაგოგიკის, პრაქტიკისა და თეორიის რთული საკითხების გაშუქებისა და გადაწყვეტის მეტ-ნაკლებად წარმატებულ ცდებს.

ბოსლეველის ესთეტიკური მსოფლმხედველობის დახასიათებისას საყურადღებოა მის მიერ მხატვრული შემოქმედების ისეთი პრინციპული საკითხების გააზრება, როგორიცაა ლიტერატურის არსი და დანიშნულება, მსოფლმხედველობა და მხატვრული შემოქმედება, პოეზია და მისი თავისებურება, „წმინდა ხელოვნების" თეორიის კრიტიკა, ბრძოლა რეალიზმისათვის, რომანტიზმის კრიტიკა, ლიტერატურული კრიტიკის არსი და მოწოდება, ჟანრების თეორიის კითხვები.

ნარკვევი, ადგილის სიმცირის გამოც, ზემოაღნიშნულ საკითხებზე ბოსლეველის თვალსაზრისის დეტალურად განხილვის პრეტენზიას არ აცხადებს. მისი მიზანია ლიტერატურის კრიტიკოსის ესთეტიკური სამყაროს ზოგადი სურათის წარმოსახვა.

ბოსლეველის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ თავისი ესთეტიკური აზროვნებით იგი თანადროული ეპოქის მოწინავე კრიტიკოსთა პოზიციაზე იდგა. მან მკაფიოდ მოხაზა და სწორად გადაწყვიტა ლიტერატურის თეორიის მთელი რიგი საკითხე-

---

85 სოლომონ ცაიშვილი, ბოსლეველი. ჟურნ. „მნათობი", 1951, № 8, გვ. 144.

ბისა, სწორად განსაზღვრა ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის არსი და დანიშნულება, ჩვენს პირობებში საგრძნობლად დააწინაურა კრიტიკის საკითხების დამუშავება, მხატვრული ლიტერატურის რაობის, ლიტერატურული ქმნილებების, შინაარსისა და ფორმის მიმართების კვლევა-ძიება. ამ საკითხების გაშუქებისას ბოსლეველი იდგა მსოფლიო დემოკრატიული სოციალისტური ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის მოწინავე პოზიციებზე.

II

ბოსლეველმა დასვა კითხვა: ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მწერალი და „ივერიაში" გამოქვეყნებულ „კრიტიკულ შიმოხილვაში" მან ასე უპასუხა: მწერალი არის ნიჭიერი პიროვნება, რომელსაც დაკვირვება და ნახულის შეგნება-გადმოცემა შეუძლია, ფაქტისა და მოვლენის „ყოველის მხრით" განმარტება-ემარჯვება[86]. ერთ სატირულ „ნარკვევში" კი დასძენდა: „მწერლები საზოგადოების განვითარების გამომთქმელნი არიან, მთელი საუკუნის გონებითი საუნჯე, ზნეობითი გაწვრთნილება, ზნისა და ჩვეულების სიფაქიზე, მისწრაფება და ქვეყნიერებაზედ შეხედვა მწერლების ტვინის ნაწარმოებში სარკესავით მოსჩანს ყველასათვის, ვისაც კი თვალში ჩინი არ გამოლევია"[87].

ბოსლეველს სწამდა, რომ ჭეშმარიტი მხატვრული შემოქმედება „დიდი კითხვების" ლიტერატურაა. მწერალი ნიჭით, მოწინავე ესთეტიკური მსოფლმხედველობით, საზოგადოების ცხოვრების ღრმა გაგებით უნდა იყოს შეიარაღებული. ცხოვრების რეალისტურ მხატვრულ ასახვასთან ერთად, მწერალი მოწოდებულია იღვწოდეს საზოგადოების მორალური და ზნეობრივი აღზრდისათვის, ეძიებდეს და სახავდეს გზას და პერსპექტივას ხალხის ცხოვრების გაუკეთესებისათვის. ლიტერატურის კრიტიკოსის აზრით, მთავარია არა ნაწარმოებთა რაოდენობა, არამედ მათი „შინაგანი ღირსება". „თეატრალურ შენიშვნებში", რომელიც ქუთაისურ გაზეთ „შრომაში" გამოქვეყნდა, ბოსლეველი დაბეჯითებით წერდა: „ყოველი ნაწარმოები კაცის იმდენად ამართლებს თავის დანიშნულებას, რამდენადაც იგი სასარგებლოა ცხოვრებაში. ლიტერატორის raison dètre შეადგენს რეალურის ცხოვრების ნამდვილად დახატვა. მაგრამ ცხოვრების სურათმა უნდა დაანახოს კაცს არა მარტო ფაქტი, არამედ უნდა მოაძებნინოს მისი მიზეზიც. ცოტაა სთქვა — ადამიანის ცხოვრება ამ ცოდვილს დედა-მიწაზე ბოროტებითა და უსამართლობით

---

86 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 184.
87 იქვე. გვ. 341.

არის გატენილიო, — ეს მარტო არ კმარა. ხელოვნური ლიტერატურა ფაქტთან ერთად უნდა აძლევდეს მკითხველს მასალასაც ამ ფაქტის გაგებისა და აღსნისათვის. სწორედ ამ მხრივ მოაქვს ლიტერატურას სარგებლობა და უამისოდ ლიტერატორი ხდება უბრალო, უთავბოლო მჯღაბნელად, როგორც ამას ხშირად ვხედავთ დღეს"[88].

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ბოსლეველი, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აზრის დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენით, მწერალს ჩაგრული ხალხის მოსარჩლედ მიიჩნევდა. ამას ადასტურებს მისი შეხედულება ლიტერატურის საგანსა და მნიშვნელობაზე. „კრიტიკულ მიმოხილვაში", რომელშიც განხილული იყო „ივერიის" ერთ-ერთი ნომერი, ბოსლეველი წერდა: „თუკი ლიტერატურას უნდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს „თვით ლიტერატურა უნდა იყოს ცხოვრების გამომხატველი", ყველაზე პირველად მას მოეთხოვება სინამდვილე. მხოლოდ ამგვარ ლიტერატურას აქვს მაცხოვრებითი მნიშვნელობა და სანატრელი გავლენა კაცის გაკეთილშობილებაზედ, მის სულიერს, ზნეობითს ამაღლებაზე"[89]. მომდევნო „კრიტიკულ მიმოხილვაში, რომელიც მიმართული იყო ცნობილი ხალხოსნის, სტეფანე ჭრელაშვილის წინააღმდეგ, ე. ბოსლეველი მიუთითებდა, რომ ლიტერატურა უნდა იყოს ეროვნული და პატრიოტული. იმავე „ივერიის" „შინაური მიმოხილვის" ანალიზისას, უმძიმესი ცენზურული პირობების მიუხედავად, ბოსლეველი გარკვევით აცხადებდა: „ლიტერატურას ჩვენში — და არა მარტო ჩვენში — მ ხ ო ლ ო დ ი ს დ ა რ ჩ ე ნ ი ა, რ ო მ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს ც ნ ო ბ ი ე რ ა დ გ ა ა ა გ ე ბ ი ნ ო ს ს უ ლ ი ე რ ი ს ა დ ა ხ ო რ ც ი ე ლ ი ს ტ ა ნ ჯ ვ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ი ზ ე ზ ი, ა მ ტ ა ნ ჯ ვ ი ს მ ო მ ს პ ო ბ ი წ ა მ ა ლ ი..."[90] ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

იმისათვის, რომ მწერლობა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას წარმატებით ემსახურებოდეს, ბოსლეველის აზრით, „საჭიროა, რომ თვითონ ლიტერატურას ჰქონდეს ცხოვრების გაგება; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დაერქვას მას ცხოვრების გამომთქმელი; ამასთან, ლიტერატურას გარკვეული უნდა ქონდეს სახელმძღვანელო აზრები და ილუზიებს არ უნდა მისდევდეს"[91].

ბოსლეველს მშვენივრად ესმოდა, რომ საზოგადოება თავისი კლასობრივი სტრუქტურით და გარდამავალი ფენებით რთული ორგანიზ-

---

88 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 254—255.

89 იქვე, გვ. 182—183.

90 იქვე, გვ. 199. (ხაზგასმა ჩვენია. — გ. მ.)

91 იქვე.

მია, რომ ცხოვრება, ადამიანთა ურთიერთობა სხვადასხვანაირი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და პიროვნული თვისებების ნაირფეროვნებით ხასიათდება და ის უაღრესად ჭრელია. ამიტომ გმობდა მხატვრულ ნაწარმოებში რთული საზოგადოებრივი ცხოვრების გამარტივებულ-გაუბრალოებულ წარმოსახვას, როცა „რომანებში, მოთხრობებში და დრამებში დასდასად აწყობდნენ გმირებს: ერთს მხარეს აყენებდნენ კეთილს გმირებს, ხოლო მეორე მხარეს ბოროტებს“.

მას არ მოსწონდა, როცა კეთილი გმირი ყოველმხრივ უმაგალითო იყო, „იმისი ყოველი გრძნობა წმინდა და უმანკო... ყველი სიტყვა, ყოველი მიმოხვრა ზრდილობიანი, ყოველი მოქმედება უზადო და მართებულიანი, ერთი სიტყვით, კეთილი განხორციელებული ანგელოზი უნდა გამოსულიყო, როგორც მოქმედებით, ისე თავის გარეგანის შეხედულებითაც“. ამის საწინააღმდეგოდ საპირისპირო გმირი ბოროტი უნდა ყოფილიყო „სიტყვით, საქმით და თითქმის პირისახითაც კი“. მოკლედ რომ ვთქვათ, „კეთილი გმირი გამოჰყავდათ ხორცშესხმულ ანგელოზად და ბოროტი გმირი ხორცშესხმულ ეშმაკად“[92].

ეს ცრუ შეხედულება ადამიანის ბუნებაზე, — შენიშნავდა ბოსლეველი, — გააცამტვერა ცხოვრებაზე დაკვირვებამ და განსაკუთრებით მეცნიერების წარმატებამ, რის გამოც ახლა აღარავისთვის არაა საიდუმლო ის ჭეშმარიტება, რომ „კაცი ყოველთვის კაცია, ხორციელი არსება, რომ ცას-ქვეშეთში უმიზეზო კეთილსა და შეუდარებელ ბოროტს ადამიანს ვერ შეხვდებით, მიტომ, რომ ამგვარი მოვლენა უბუნებოა. ამიტომ ლიტერატურული ტიპი ყოველთვის დაშორებული იქნება ნამდვილზედ, თუ იგი ან უზადო კეთილს წარმოადგენს, ან შეუდარებელ ბოროტს“[93]. ასე დახატული გმირი, კრიტიკოსის რწმენით, მკითხველს „ბოროტს“ ვერ შეაზიზღებს და „კეთილს“ ვერ შეაყვარებს, რადგან ამგვარი გმირის სიცრუე მისთვის ადვილი გამოსაცნობია. ამგვარმა ცრუ მიმართულებამ ჩვენს ლიტერატურაში „მაზანდა დაკარგაო“.

რა მოთხოვნილებას უყენებს საზოგადოება მხატვრულ ლიტერატურას, როგორ, რა საშუალებით უნდა მოემსახუროს ის ადამიანის ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდას? აი კითხვები, რომელთაც ბოსლეველი აყენებდა და ასე პასუხობდა: „ეხლანდელს ლიტერატურისაგან საზოგადოდ და პოეტისაგან კერძოდ ქადაგებასა და ჭკუის დარიგებას არ მოითხოვენ, არამედ ნამდვილი ცხოვრების სურათების ხელოვნურად დახატვას, ე. ი. ისე, რომ ყოველი მხარე მისი განათლებული იყოს საკმაოდ, ცუდი ცუდსა ჰგავდეს და კარგი კარგს, რომ ამ სურათმა თავისი

---

92 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 224.

93 იქვე.

ყიცხოველით მნახველის გულში ცუდისადმი ზიზღი აღძრას და კარგისადმი ვნებითი ლტოლვილება. პოეტის სამრღთო ძალა, მისი კალამის ბაცხოვრებითი მნიშვნელობაც სწორედ ამ მხატვრობაში ჩნდება და არა ზნეობით ჭეშმარიტებათა მშრალად ქადაგებაში, როდესაც ის ჭეშმარიტება არ არის ხორც-შესხმული, სულ-შთაბერილი"[94].

80-იანი წლების სუსხიანი რეაქციის დროს, როცა ცენზურა ხშირად ჩეხავდა ან ანაწყობიდან ხსნიდა ბოსლეველის წერილებსაც[95], ბუნებრივია, ბეჭდურ სტატიებსა და ნარკვევებში მას შეეძლო მხოლოდ მიენიშნებია, რომ მწერალმა ცხოვრებაში დაბუდებული ბოროტებანი და სიმახინჯენი უნდა გამოაშკარავოს და მიზეზ-შედეგობრივად შეაფასოს. იგი წერდა: „მწერლის სამღვთო მოვალეობას და მთავარ ძალას ის შეადგენს, რომ აჩვენოს მკითხველს ის გარე შემორტყმული საზოგადოება, რომელმაც აღზარდა გმირი", გაანალიზოს ის „პირობები, რომელთაც ეს გმირი შეუქმნია და თვითონ საზოგადოება დაუმახინჯებია"[96].

ბოსლეველი დიდ მოთხოვნებს უყენებდა მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის სხვადასხვა თაობის მხატვრულ შემოქმედებას, სახელდობრ, „მამათა" და „შვილთა", ასევე ხალხისან მწერალთა ნაწარმოებებს პრინციპული პოზიციიდან აფასებდა. ისინი მან გენეტიკურად დაუკავშირა „დროებას", დროთა ბრუნვას. რომანტიკოსების ქმნილებების მაღალმხატვრულობას ჯეროვან შეფასებას აძლევდა, თუმცა ფიქრობდა, რომ ქვეყნის წარსულ დიდებაზე ყურადღების გამახვილება აწმყოსა და მომავლის საჭირბოროტო კითხვებისადმი ინტერესს შეასუსტებდა, „მამათა" და „შვილთა" ბრძოლაში მისი სიმპათიები „შვილთა" მხარეზე იყო. 60-იანი და 80-იანი წლების მხატვრული ლიტერატურის შედარებისას ბოსლეველმა უყოყმანოდ აღიარა პირველის უდავო უპირატესობა მეორესთან შედარებით, რაც დროის ცვალებადობითაც ახსნა.

თავადაც 80-იანელი კრიტიკოსი, ბოსლეველი, ამავე თაობის ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას, კერძოდ ხალხსნურ მწერლობას რამდენადმე მუქ ფერებში წარმოგვიდგენს, მიაჩნია, რომ მათი შემოქმედება ყოველგვარ მხატვრულობას მოკლებულია, რის გამო ამ ეან-

---

94 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 240—241.

95 როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოსლეველის არაერთი აწყობილი წერილი, რომელთა დასტამბვაც აიკრძალა, შემონახულია კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდში. ამავე დროს ბოსლეველის მრავალი წერილი ცენზურამ შეკვეცა, რის გამოც გაზეთში მის სტატიას თან ახლდა რედაქციის მობოდიშება: „ვწუხვართ, რომ ამ კრიტიკულს მიმოხილვას ისე ვერ ვაქვეყნებთ, როგორც ჩვენ გვინდოდა" („შრომა", № 3, 1883).

96 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 225.

რის ლიტერატურას არ განეკუთვნება. მოცემულ კონტექსტში იგი წერდა: „ახალი მწერლები ჯერ კიდევ არ გამოჩენილან და ძველები კი თავიანთს დროს ვეღარ განშორებიან... ჩვენი დრო ლიტერატურაში არის უმეტესად დრო კორესპონდენციების, ვითომ პუბლიცისტურის წერილებისა და თავხედურის, აღვირახსნილის პოლემიკური სტატიებისა... სად არის აქ შემოქმედებითი ძალი? იქ ხომ არ გინდათ ეძიოთ ეგ ძალი, სადაც ლიტერატორობა ჩინოვნიკობად გარდაუქცევიათ „ყოველს რწმუნებას“ მოკლებულებს. იმ წრეში ხომ არ გაუკეთებია თავშესაფარი ამ ძალას, სადაც „გონიერ საზოგადო მოღვაწეს“ იმას ეძახიან, ვინც ბრძოლაზედ ხელს იღებს... ვინც ცხოვრებითს ბრძოლაში ყოველთვის უკან დგება „ნაყოფთა მოსახვეჭად?“[97]

როგორც ვხედავთ, ხალხოსნური მხატვრული ლიტერატურის მიმართ ბოსლეველი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა და ხშირად შეაცრადაც აკრიტიკებდა.

სამაგიეროდ სამოციანელთა მხატვრული ქმნილებები მას მუდამ იზიდავდა და ატკბობდა. კიდევ მეტი, ირკვევა, რომ ბოსლეველი თავისი მსოფლმხედველობით, მათ შორის ესთეტიკურითაც ენათესავებოდა სამოციანელ ქართველ რევოლუციონერ დემოკრატებს, რომელთა ნააზრევს ხშირად ეყრდნობოდა და მრავალი ლიტერატურული ფაქტის განხილვა-შეფასებისას შემოქმედებითად იყენებდა. ამავე დროს ბოსლეველი სახელოვან წინამორბედთა მხატვრულ შემოქმედებას კრიტიკულად განიხილავდა და ამაში ბევრ შემთხვევაში სიმართლე მის მხარეს იყო.

იმასთან დაკავშირებით, რომ თერგდალეულები, ილია ჭავჭავაძის შეთაურობით, სამოღვაწეო ასპარეზზე 60-იანი წლების რეფორმების ძომზადებისა და გატარების პერიოდში გამოვიდნენ, ეს ხანა ბოსლეველმა შეაფასა, როგორც „დრო დიდებულის მოძრაობისა“. ამ დროს, კრიტიკოსის სიტყვით რომ ვთქვათ, „ჩვენს ლიტერატურაში ჩნდებიან პოეტური და ბელეტრისტული თხზულებები, რომელთაც ახლაც სიამოვნებით წავიკითხავთ. იმ დროის წარმომადგენლებით უდგია, როგორც არის, სული ჩვენს ლიტერატურას; დღესაც კიდევ მათი კალამი ასაზრდოებს ჩვენს მკითხველს საზოგადოებას“[98].

ეს „დიდებული დრო“, ბოსლეველის შეფასებით, მაშინ დადგა, როდესაც „ჩვენს მიძინებულს და ბატონ-ყმობის უღლით გაუნდილებულს და გაბედითებულს ცხოვრებაში ბუკი დაჰკრეს ილ. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, გ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ და როდესაც ბუკმა ძითელემილი საზოგადოება გამოიყვანა აპატიურის მდგომარეობიდან“.

97 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 215.
98 იქვე, გვ. 214

აქვე პუბლიცისტი ყურადღებას მიაპყრობს იმას თუ როგორ შეაშფოთა „ახალი თაობის“ მოძრაობამ „ძველი დგმა, უდარდელსა და უზრუნველს ცხოვრებაში აღზრდილი და სიცრუეს შეჩვეული და გონებითის უვარჯიშობისაგან ტვინგაშეშებული“. ეს ის ღირსახსოვარი დრო იყო, როცა ჩვენში „ძველი დაობებული და დამყაყებული ცილის წამებით შეიარაღდა და შეეტაკა ურცხვად ახალს, ჭაბუკს, მაგრამ ცხოვრებითის ელემენტებით ძლიერს. ეს დრო იყო დრო დიდებულის მოძრაობისა ახალ-თაობაში“[99]. რეფორმების ხანა ბოსლეველმა „ბედნიერ დროდ“ ჩათვალა „მოწინავე აზროვნების საზოგადოებისათვის“ რომელიც „ძალუმად დაეწაფა მისადმი მინიჭებულ ფიქრსა და ფიქრთა გამოთქმის უფლებას და რომელმაც ლიტერატურის საშუალებით დაუწყო ცხოვრებას ღრმა ანალიზი“[100]. ამ დროსვე დაიწყო ცხოვრების „დამყაყებულ და დროგადასულ მოვლენათა“ „უწყალო დევნა“, როცა „ერთგულნი დარაჯნი წარსულის უმსგავსობისა“ წინ აღუდგნენ „ახალ წყობილებათა შემოღებას და დამკვიდრებას ცხოვრებაში“[101].

პირველი რევოლუციური სიტუაციისა და რეფორმების „დროის“ განდიდებისას ბოსლეველი სწორია იმ თვალსაზრისით, რომ ამ ეპოქამ დასაბამი მისცა განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აზრის მეორე ეტაპს, როცა რუსეთში და ჩვენში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლები — რევოლუციონერი დემოკრატები. ის ქებას იმსახურებს იმ გაგებითაც, რომ დასაბამი მისცა ფორმაციული ხასიათის გარდატეხას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რაც ძველი წოდებრივი ურთიერთობების რღვევითა და ახალი კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებითაც აღინიშნა.

ხსენებული ეპოქის შეფასებას სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა ბოსლეველი, ვიდრე ხალხოსანი „დემოკრატები“, რომლებიც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, „ახლა — როცა ჩერნიშევსკის გენიალური წინასწარგანჭვრეტა ფაქტად იქცა, როცა 30 წლის ისტორიამ შეუბრალებლად გააბათილა ყოველგვარი ეკონომიკური და პოლიტიკური ილუზიები, — ქება-დიდებას უძღვნიან რეფორმას, „სახალხო“ წარმოების სანქციად სთვლიან მას, იქ როგორადაც ისეთი გზის შესაძლებლობის დამტკიცების პოვნას ახერხებენ, რომელიც გ ვ ე რ დ ს ა უ ხ ვ ე ვ დ ა მშრომელისადმი მტრულად განწყობილ საზოგადოებრივ კლასებს... დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი — იმის ყველაზე უფრო

---

99 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 214.
100 იქვე, გვ. 229.
101 იქვე.

თვალსაჩინო დამამტკიცებელია, თუ რა ღრმად გაბურჟუაზდნენ ჩვენი დემოკრატები"[102].

ბოსლეველის ესთეტიკური სამყაროს დასახასიათებლად საგულისხმოდ წარმოგვიდგება მისი დამოკიდებულება გასული საუკუნის შუა ხანების რუსული და ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთმიმართების შეფასებისადმი. მოწინავე რუსული ლიტერატურისა და „ცოცხალი აზრის" გავლენა 60-იანი წლების ქართულ მწერლობაზე და საზოგადოებრივ აზრზე ბოსლეველმა ასე შეაფასა ილია ჭავჭავაძის „განდეგილისადმი" მიძღვნილ „კრიტიკულ მიმოხილვაში": გასული საუკუნის შუა ხანებში რუსეთის ცხოვრებას ლიტერატურის მეშვეობით „მთიდან მოვარდნილი ნაკადულივით მოასკდა" ახალი აზრები და შეხედულებები ქვეყნიერებაზედ, საზოგადოების წოდებათა, წევრთა დამოკიდებულებაზედ და მოქალაქის დანიშნულებაზედ". ამ მძლავრმა მოძრაობამ რუსეთის ცხოვრება მოკლე დროში ძირიანად ვერ შეცვალა, მაგრამ „გასწვრთნა ბრძოლისათვის ახალი აზრების გასატარებლად და განსახორციელებლად რეალურს ცხოვრებაში მთელი დასი მოღვაწეთა, რომელნიც ერთის ენით ალაპარაკა, ერთის წადილით და მისწრაფებით აცხოვრა და ერის საქმისათვის აუტოკა გული და მაჯისცემა. ამ მოძრაობას შეესწრენ რუსეთში და მის გავლენის ქვეშ აღიზარდნენ ჩვენი მწერლობის უკეთესი წარმომადგენლები, რომელთაც ჩვენშიაც გამოუცხადეს სასტიკი ომი ცხოვრების წესებს, ბატონყმობის წამბილწველს და ადამიანის პირუტყუულად გარდამქცევს ზეგავლენას..."[103] ხალხოსნურ ჟურნალ „იმედთან" პოლემიკაში ბოსლეველმა მართებულად შენიშნა, რომ ქართველი ახალგაზრდები შემთხვევით არ იზრდებოდნენ „რუსეთში გუმანიურ და სოციალისტური ნაწერებით დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკისა"[104].

ამრიგად, ცხადია, რომ ბოსლეველს საუცხოოდ ესმოდა დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების კეთილმყოფელი გავლენა ქართველ სამოციანელებზე და მათი, როგორც „თავისი დროის საუკეთესო ადამიანების დიდი ისტორიული დამსახურება"[105].

იმავე „კრიტიკულ მიმოხილვაში" ბოსლეველი შენიშნავს, რომ ახალ მიმართულებას ჩვენშიც აღმოაჩნდენ მოწინააღმდეგენი, რომელთაც მისი დედააზრი არ ესმოდათ და არ სურდათ ცხოვრების ძველ

---

102 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები" და ჩოგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ? (თხზ., ტ. I, გვ. 332—333).

103 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 230.

104 იქვე, გვ. 267.

105 ვ.ი. ლ ე ნ ი ნ ი, რანი არიან „ხალხის მეგობრები..." (თხზ., ტ. I, გვ. 308).

წესს განდგომოდნენ, „შვილების“ ბრწყინვალე აზრებს ხალხის გამრ-ყვნელად აცხადებდნენ..

ლიტერატურის კრიტიკოსი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას აფა-სებდა როგორც ორი პრინციპულად დაპირისპირებული თვალსაზრი-სის შეჯახებას. „მამათა“ ზოგიერთ წარმომადგენელს ნაწარმოებთა მხატვრულობას უფრო უქებდა, ვიდრე მათ დედააზრს, „შვილებს“ კი არსებითად ორივეს. „შვილთა“ შორის ბოსლეველის ყურადღების ცენ-ტრში იდგა ილია ჭავჭავაძე, „რომელსაც საკმაოდ მოსდევდა როგორც თავისი გარემო ცხოვრების ცოდნა, ისე ლიტერატურული ნიჭი“. მისი ნაწარმოებები „ერთსა და იმავეს დასტრიალებენ თავს, ერთსა და იმა-ვე ცხოვრებას გვიხატავენ სხვა და სხვა მხრით და ერთსა და იმავე ჰუმანურს აზრებს ავრცელებენ საზოგადოებაში“.

ილიას მოთხრობებითა და პოემებით, ბოსლეველის შეფასებით, ჩვენს ლიტერატურაში ახალი ხანა დაიწყო, თან, მათი წყალობით, ჩვენს ლიტერატურაში თავიდან იქნა აცილებული მიმბაძველობითი მიმარ-თულება. ბოსლეველს ილიასთან ერთად ხიბლავდნენ ჩვენი ლიტერა-ტურის სხვა საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც საზოგადოებას საყვედურობდნენ „საქვეყნო საქმისათვის გულ-ქვაობას და დაუდევ-ნელობას“, ააშკარავებდნენ კერძო, პირადი ინტერესის მიერ საზოგა-დო ინტერესის შთანთქვას, ჩიოდნენ, რომ „ყოველს კაცს თავის სა-კუთარი წრე გაუკეთებიაო, რომლის გარეშე მას თავის საზრუნავად და მოქმედების საგნად აღარაფერი მიაჩნიაო და ამიტომ მშობლიურს ქვეყანას, მშობლიურს ხალხს ერთგული და გულშემატკივარი მუშაკი, მოღვაწე და მოჭირნახულე აღარ ჰყავსო“[106]. კრიტიკოსი სოლიდარო-ბას უცხადებს ჩვენი მწერლობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პირადი ინტერესის სასარგებლოდ საზოგადო ინტერესის ხელყოფას აფასებდნენ როგორც „უმთავრესს მიზეზთაგანს ჩვენის ერის ზნეობი-თად დაცემისა და მისგან თავისი ვინაობის დავიწყებისა. აქედან ნაშო-ბი ოხვრა ნატკენის გულისა და დაობლებულის სულისა იყო მიუცი-ლებელი ელემენტი ყოველის ლექსისა, თუ მოთხრობისა ჩვენს ჭაბუ-კურს ლიტერატურაში“[107].

ჩვენი ლიტერატურის მიღწევები ბოსლეველმა შეაფასა როგორც შედეგი „გარემო ცხორების პატიოსანი და კეთილსინდისიერი დაკვირ-ვებისა“, ლიტერატურის „მომავლიან მხარედ“ კი გამოაცხადა „ნამდვი-ლი და პირუთვნელი ანალიზი ცხოვრების პირობებისა“[108].

რაკი ილიას შემოქმედება, ბოსლეველის რწმენით, ხალხის სამ-

---

106 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 208.
107 იქვე, გვ. 209.
108 იქვე.

სახურისთვის იყო მოწოდებული, მით უფრო აღტაცებული იყო მისი ქმნილებებით[109], რადგან, კრიტიკოსის აზრით, ლიტერატურის უმთავრესი მოწოდება არის ხალხის სამსახური, ურომლისოდაც ის კარგავს საკუთარ დანიშნულებას. ბოსლეველს ისიც უეჭველად მიაჩნდა, რომ ხალხის ცხოვრება პოეზიას ყოველთვის აძლევს საკმაო მასალას, თუკი თვითონ პოეტი მოწოდების სიმაღლეზეა და ცხოვრებას არ ჩამორჩება, თუკი პოეტს საკმაო დაკვირვების ნიჭი და მრავალმხრივი შემოქმედებითი შესაძლებლობა გააჩნია.

ბოსლეველმა ფრიად ანგარიშგასაწევი მოსაზრებები ჩამოაყალიბა ხელოვნებისა და ლიტერატურის ფორმისა და შინაარსის მიმართებაზე. მისი შეხედულებით, უშინაარსო ხელოვნებას და ლიტერატურას, კერძოდ პოეზიას, არავითარი მხატვრობა და მაღალი ესთეტურობა არ შეუძლია დაბადოს, რომ ლიტერატურული შედეგი არ შეიძლება არ იყოს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პოეტური იდეისა და მხატვრულობის ერთიანობა, შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, მათი მთლიანობა. ლიტერატურის კრიტიკოსის სიტყვით, „პოეტი შობილი უნდა იყვეს... მას უხვის ხელით უნდა ჰქონდეს მიწყული ბუნებისაგან მდიდარი წარმოდგენა, მრავალგვარი ფანტაზია; მაგრამ მარტო ესეც არა ჰმარა ნამდვილის პოეტისათვის... განსაკუთრებით ახლა, როდესაც პოეზიისაგან მარტო ფორმას კი არა, აზრსაც ითხოვენ, არამედ მიუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს მისთვის აგრეთვე გონებითი ძალაც, რომ თვითონ მისს ფანტაზიას და ამ ფანტაზიის წყალობით ტილოზედ გადმოტანილს სურათებად განკერძოებულს მოვლენებს აზრი მიეცეს და ამ სურათებმა საგრძნობელი, რეალური სარგებლობა მოუტანოს საზოგადოებას. უამისოდ პოეტი მხოლოდ სასიამოვნო, დროის გასატარებელი საკითხავი იქნება, რომელიც წაკითხვისთანავე დაავიწყდება მკითხველს«[110].

ამიტომაცაა, რომ ბოსლეველი პოეტისაგან მოითხოვდა არა ცხოვრების განცალკევებული სურათების ერთმანეთისაგან გათიშულად დახატვას, არამედ მათი გამაერთიანებელ-გამამთლიანებელი აზრის დადგენა-წარმოსახვას. მისი შეხედულებით, ილია ჩვენში ერთადერთი პოეტია, რომელსაც „ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრე-

---

109 ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ბოსლეველი ცდებოდა, როცა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას ორ პერიოდად (რეფორმამდელად და მის მერმინდელად) დაყოფისას თვლიდა, რომ პირველ პერიოდში მისი შემოქმედება ყოველმხრივ უფრო დიდებული, რეალისტური და სოციალური პრობლემატიკით აღსავსეა, ხოლო მეორე ძლიერი შენელებით და მოდუნებით ხასიათდებაო, რადგან რეფორმა საკმარისად ჩათვალა და ბრძოლის საჭიროებაც მოხსნაო.

110 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 233 (ხაზგასმა ჩვენია. — გ. შ.).

ბა, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა სურათის გამოქანდაკება შეუძლიან... სხვაგან, თითქმის ყველგან, ჩვენ ვატყდებით თავს პაწაწინა ტიპებს, პორტრეტებს, ხშირად ავტორისაგან გაუგებელს..., რომელნიც თან დაშორებულნი არიან ცხოვრებაზედ და რეალურს სინამდვილეს მოკლებულნი...[111]

„კრიტიკული მიმოხილვის" სხვა ადგილას ბოსლეველი ასე მსჯელობს ილიას პოეზიაზე: „პოეტის თხზულებათა შორის ჩვენ იმისთანა თხზულებას ვაძლევთ უპირატესობას, რომელშიც მშვენიერ ლექსს გარდა, ხელოვნურად დაწერილს სურათებს გარდა ვპოულობთ რომელსამე ხელოვნურადვე თავიდგან ბოლომდის გატარებულ იდეას, აზრს. იმ პოეტს ჩვენ ბევრად არ ვაფასებთ, რომელიც მარტო მოვლენის გარეგანის მხრით, ზედა-პირით სარგებლობს თავისის პოეტურის ნაწარმოებისათვის, რომლის პოეტური ნიჭი საზოგადოებრივის ცხოვრების მოვლენათა შორის ვერ ჰპოვებს ერთს დაფარულს დედა-აზრს და ამ დედა-აზრს ვერ გადასცემს მკითხველს, სურათებად დახატულს..."[112]

„თეატრალურ შენიშვნებშიც" იმას ასაბუთებდა ბოსლეველი, რომ „ყოველი ხელოვნური თხზულებისათვის საჭიროა ერთობა ძირითადის აზრისა, რომელიც ყველა მის ნაწილებს უნდა აკავშირებდეს ერთიმეორესთან"[113]. მისი აზრით, „პოეზიის საღვთო დანიშნულებაა" მკითხველი გააცნოს რეალური ცხოვრების ავ-კარგს, გააცნოს არა მშრალად, ლოგიკური, დიალექტიკური მსჯელობით, არამედ პორტრეტებისა და ტიპების დახატვით, „რომელნიც უნდა გახდნენ კერძო მოვლენათა ერთად თავმომყრელ ფოკუსად". ამ მიზანს „პოეტი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც იგი მდიდარ ფანტაზიასთან ერთად ჰფლობს გამკვეთის, მდიდარის გონებითის ძალით, როდესაც იგი შეიარაღებულია მოვლენათა ღრმა ანალიზის ნიჭით"[114].

გამჭრიახობა და სიმართლე ამშვენებს ბოსლეველის განსჯას ილია ჭავჭავაძეზე, როცა ცხადყოფს, რომ „გონებითის ძალით, გონებითის ანალიზით და მოვლენათა ტიპების გამოთქმით იგი თითქმის ყველას ბატონობს". კრიტიკოსს ძლიერ მოსწონს ილია ჭავჭავაძის „სურათების შინაგანი მხარე, არსება მათი... ტიპების სისრულე, სიგრძე, სიგანე, მათი დასრულებულება და ცხოვრებასთან სინამდვილე". შემდეგ აღტაცებით ამბობს: „რომელი პოეტური ნაწარმოებიც უნდა

---

111 იქვე, გვ. 234.
112 იქვე, გვ. 233.
113 იქვე, გვ. 249.
114 იქვე, გვ. 233.

აიღოთ ამ პოეტის... ყველგან შეხვდებით ხელოვნურად გამოყვანილს ტიპებს, რომელნიც პირდაპირ ჩვენის ცხოვრებიდან არიან ამოღებულნი"[115].

ბოსლეველმა მახვილი თვალით შეხედა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, ჯეროვნად შეაფასა მისი ნააზრევის სასიცოცხლო მნიშვნელობა ქართველი ხალხის შემდგომი ბედისათვის. დიდი მოაზროვნის სახელმა, კრიტიკოსის დაკვირვებით, იმიტომ „გაიდგა ბურჯი" ქართველ ახალგაზრდობაში, ყოველი ქართველის გული იმიტომ გადაება „დაერღვეველის სიმპათიით ი. ჭავჭავაძის გულთან", რომ მან ლიტერატურაში „გარკვევით და განსაზღვრულად განხორციელდა ის აზრები, რომელნიც ბუნდად ტრიალებდნენ საზოგადოების უკეთესის ნაწილის ტვინში"[116]. ილიას შემოქმედების (პირველი პერიოდის) განხილვისას ბოსლეველი, როგორც ცნობილია, „განდეგილის" მესამე თავის შეფასებისას შეცდა, რაცა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ „ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქო მიანება თავი ცხოვრებითის კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწყრა და მის ავსა და კარგს გვერდი აუქცია"[117].

ამასთან, როგორც ცნობილია, ზოგიერთნი, სხვანი განდეგილის „სიდიადით გატაცებულნი, „ვერ პოულობდნენ „განდეგილის" იდეის საწყისს თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ვერ პოულობდნენ იმ ძირს, რომელზეც ილია ჭავჭავაძის შეხედულებები იყო ამოზრდილი, ვერ იგებდნენ იმ ფორმულას, რაც ილია ჭავჭავაძემ ნიკო ბარათაშვილისაგან აიღო და უნიჭიერესად გაიზიარა..." ბოსლეველმა, როგორც ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" ერთ-ერთმა პირველმა კრიტიკოსთაგანმა ეს ნაწარმოები „დაუახლოვა, დაუნათესავა ბარათაშვილისებურ ნაოვლიან კილოს..., დაუახლოვა და დაუკავშირა აგრეთვე გრ. ორბელიანის უდროოდ დამჭკნარსა... გრძნობას"[118].

III

რა ამოცანა ეკისრებოდა, ბოსლეველის გაგებით, მის თანამედროვე ქართულ ლიტერატურას? მას უნდა მოეცა ცარიზმისა და რეაქციული კოლონიური რეჟიმის არსებითი კრიტიკა, დაესაბუთებინა ამ რეჟიმის დამსხვრევის აუცილებლობა, დაესახა არსებული ვითარების

---

115 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 234.

116 იქვე, გვ. 267.

117 იქვე, გვ. 238.

118 ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ბოსლეველის პუბლიცისტიკა (ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 135, 139).

უარყოფის გზები, ეჩვენებინა სოციალური იდეალი და მისი განხორციელების გზები, იმ ძალების ხასიათი და რევოლუციური შინაარსი, რომლებიც ახლისათვის იბრძვიან.

ბოსლეველის თვალსაზრისით, ხელოვნებასა და ლიტერატურას მასებში უნდა აღეძრა მოქმედებისადმი ინტერესი და დაერაზმა ისინი საზოგადოების გარდაქმნისათვის პრაქტიკულ ბრძოლებში.

მეცნიერებასთან ერთად, ლიტერატურა ბოსლეველს მიაჩნდა საზოგადოების რევოლუციური ძალების სულიერ იარაღად. მისი აზრით, ლიტერატურის საგანი და მიზანი იგივეა, რაც მეცნიერებისა. ხელოვნება და ლიტერატურა მეცნიერებისაგან ჩინური კედლით არ არის გათიშული. მწერლობას და მეცნიერებას, ბოსლეველის სამართლიანი აზრით, ერთი და იგივე საზრუნავი აქვთ, ერთი და იგივე სინამდვილე აქვთ შესასწავლი. ნამდვილი ხელოვნება და ლიტერატურა არ შეიძლება შემოიფარგლოს მარტო დატკბობის, სიამოვნების ფუნქციით. მეცნიერებასთან ერთად, ის მოწოდებულია დაგვანახოს სინამდვილე, გვითხრას სიმართლე, გვიჩვენოს ისტორიული პერსპექტივა, ჩასწვდეს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს და გაგვარკვიოს მათ მოქმედებაში.

ბოსლეველის სამართლიანი შეხედულებით, ლიტერატურა იდეოლოგიის ერთ-ერთი სახეობაა, მოკლედ რომ ითქვას, ის გარკვეულ ფორმით სახეებით აზროვნებაა.

ბოსლეველი აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს მნიშვნელოვანი პოეტური იდეა და სრულყოფილი ფორმა უნდა გააჩნდეს. ის გაჟღენთილი უნდა იყოს მოწინავე იდეოლოგიით.

როგორც აღიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსისა და ფორმის ურთიერთობისა და მათი დიალექტიკური ერთიანობის გაგებაში ბოსლეველი აგრძელებდა სახელოვანი წინაპრების გზას, „გარკვეულად იდგა ჩერნიშევსკის შეხედულებათა საფუძველზე და მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძის აზრებს, მის მიერ პოეზიის არსის განსაზღვრისას გამოთქმულს“[119].

ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდა ბოსლეველი, როცა ქართველ ხალხოსნებთან კამათში მიუთითებდა, რომ ყოველგვარ სოციალისტურ ლიტერატურას და ხელოვნებას არ შეიძლება მივესალმოთ.

ზოგიერთი ჯურის სოციალისტურმა ლიტერატურამ შეიძლება დეზორიენტაცია მისცეს მასებს და შერყვნას კიდევაც მათი პოლიტიკური შეგნება, ხელი შეუშალოს განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორ გზაზე გამოყვანას, ამ მოძრაობაში რეაქციული როლი ითამაშოს. შეი-

---

119 იხ. ს. ხუციშვილი, ბოსლეველის პუბლიცისტიკა (ბოსლეველი, ნაწერები, გვ. 143).

ძლება მწერალმა ასახოს ხალხის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ თუ ის გამოსავალს ნამცეცა რეფორმებში ეძებს, თუკი ის ასწავლის მასებს, რომ საკმარისია პრივილეგირებულ კლასებს აჩვენო ხალხის მძიმე მდგომარეობა, რომ ისინი გადაიქცნენ რადიკალურ რეფორმატორებად და თვითონ დაადგნენ საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას, ასეთი ლიტერატურა მხოლოდ შეაფერხებს ისტორიულ განვითარებას. მხოლოდ რევოლუციურ ლიტერატურას, რომელიც ცხოვრების მძაფრ კითხვებზე პირდაპირ და ნათელ პასუხებს იძლევა, ძალუძს მოამზადოს ცხოვრების გაჯანსაღების პირობები და დააჩქაროს საზოგადოებრივი წინსვლა.

IV

ბოსლეველმა მოგვცა ბურჟუაზიულ-მემამულური თეორიის — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — მრავალმხრივი და ღრმა კრიტიკა. მან შესანიშნავად დაასაბუთა და უჩვენა თავის მკითხველებს, რომ ნამცეცური, უმნიშვნელო თემის ლიტერატურა და ეგრეთწოდებული „წმინდა ხელოვნება“ არ არის ნამდვილი ხელოვნება და ლიტერატურა. ბოსლეველის ღრმა რწმენით, მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც არ არის გამოსახული საზოგადოების ძირეული ინტერესები, არ ტოვებს არავითარ კვალს და არარაობაა წმინდა ესთეტიკური, მხატვრულობის აზრით. ხელოვნებას თავის სრულყოფილებას, სრულფასოვნებას ანიჭებს მისი საზოგადოებრივი ხასიათი. ნაწარმოების მაღალმხატვრულობა იმითაცაა განპირობებული თუ რამდენად მოწინავე და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველია შინაარსობრივად ლიტერატურისა და ხელოვნების ქმნილებანი. ხელოვნების ამ ერთი ძირეული კანონის დადასტურებაა, ბოსლეველის სამართლიანი აზრით, მთელი მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიის გამოცდილება, მათ შორის რუსული და ქართული ლიტერატურის ისტორიისა.

ბოსლეველი უიდეობისა და „ზეკლასობრიობის“, მისტიკური და არაჯანსაღი მოძღვრების მოწინააღმდეგეა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ისევე როგორც თავის დროზე რუსი და ქართველი რევოლუციონერები, იგი ლიტერატურასა და ხელოვნებას საზოგადოების სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების საშუალებად მიიჩნევდა.

თავის წინამორბედ მოაზროვნეთა მსგავსად, ბოსლეველიც თვლიდა, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის ქმნილების დამახასიათებელი ნიშანია ცხოვრების ასახვა, ცხოვრების ახსნა, ცხოვრების მოვლენებზე მსჯავრის გამოტანა. ამ გზით მხატვარი და მწერალი ახალი საზოგადოებისათვის მებრძოლი, ხალხის მსახური და ცხოვრების გარდამ-

ქმნელთა მომხრე უნდა გამხდარიყო. ისინი პროგრესის სამსახურში უნდა ჩამდგარიყვნენ.

ბოსლეველს სჯეროდა, რომ იდეურ მხატვრულ ლიტერატურას დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს თავისუფლებისათვის მებრძოლ მასებს. მას ესმოდა და სწამდა ქართველ სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია და ლიტერატურულ-ესთეტიკური თეორია, რითაც ისინი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დიდ წინამორბედებს `ენათესავებოდნენ.

V

ბოსლეველს მეტად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ლიტერატურულ კრიტიკაზე. მისი, როგორც კრიტიკოსის, პოზიცია აქტიურია: „...გვსურს, — წერდა იგი, — თვალყური ვადევნოთ ჩვენს ღარიბ ლიტერატურას, როგორც ჟურნალ-გაზეთებს, ისე სხვადასხვა საკითხავ თუ საყმაწვილო წიგნებს. თუ დრო და შეძლება გვექნება, ერთს საყურადღებო მოვლენასაც არ დავსტოვებთ ჩვენის მწიგნობრობისას“[120].

ბოსლეველი აყალიბებს თავის აზრს „რეცენზიაზედ და კრიტიკაზედ“, მოკლედ მიუთითებს იმაზე, თუ რას თხოულობს „ლიტერატურის სარბიელზედ გამოსულის კაცისაგან“. იგი თვლის, რომ ლიტერატურის მოღვაწისათვის „სანთლად და დედა-აზრად“ ასარჩევია ის „თეორიული მოსაზრება“, რომ „კაცს ყოველ თავის მოქმედებაში ჭეშმარიტების მსახურების გარდა სხვა არაფერი არ უნდა ჰქონდეს მხედველობაში. ვისაც გულში კაცობრიობის ბედნიერებისადმი ლტოლვილება აქვს, ის ყველაზედ პირველად და ყველაზედ უმეტესად უნდა ავრცელებდეს თავის გარშემო მოძმეთა შორის ჭეშმარიტს შეხედულებას ყოველს ნივთზედ, ყოველს მოვლენაზედ. თავს იტყუებს და ქვეყანას თვალში ბდღვირს აყრის ის, ვინც პირში მოფერებით, რაღაც კარგად ვერ გაგებულის მიზნის მისაღწევად ტყუილის თქმით ქვეყნის აშენებას განიზრახავს. მწარედ შემცდარია იგი, ვისაც ჰგონია, რომ თვალის ახვევა რომელსამე გულისათვის მახლობელს მოვლენაზედ სარგებლის მომტანია; საბრალოა იგი თავისი აწმყოთი და მომავლით, ვისაც მწარე ჭეშმარიტების გაგებას სასიამოვნო გზა — დაბნევა ურჩევნია“[121]. აი, ეს უნდა ჰქონდესო სახელმძღვანელოდ რეცენზიას და კრიტიკას!

მიზანმიმართული, აზრიანი კრიტიკა, ბოსლეველის რწმენით, მარ-

---

120 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 181.

121 იქვე, გვ. 182.

ტო ლიტერატურული ნაწარმოებებით არ კმაყოფილდება, ის „ღრმად უნდა შეიჭრეს ცხოვრების სიღრმეში, მის საიდუმლო კუთხეებში, საიდანაც თვითონ ლიტერატურული ნაწარმოები იღებს თესლს“, ღრმად უნდა ჩასწვდეს გმირების ცხოვრებას, უკვირდებოდეს „ცხოვრების სხვადასხვა მოვლენას, კაცთა შორისს დამოკიდებულებახ, ეკონომიკურს და სოციალურს ელემენტებს, რომელნიც ამ თესლს პოხიერს საზრდოს აძლევენ და ავითარებენ“[122]. უამპირობოდ კრიტიკა თავის მისიას ვერ შეასრულებს ლიტერატურის წინაშე, მით უფრო, რომ თვითონ ლიტერატურის ნორმალური ზრდისათვის ხომ „კრიტიკა მიუცილებელს მასალას შეადგენს“: იგი აფასებს და შესაფერის ადგილს უთმობს ლიტერატურაში „ყოველი სიტყვის ნამოქმედარს, უჩვენებს ნამდვილ გზას, რომელზედაც უნდა ადგეს ლიტერატურა, თუკი მას უნდა, რომ თავის მრავალ-მნიშვნელოვანი ადგილი კაცის ცხოვრებაში შეარჩიოს“[123]. სხვანაირად, კრიტიკა მოწოდებულია ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახულ ცხოვრებას ღრმად იცნობდეს და აქედან გამომდინარე აყალიბებდეს საკუთარ აზრს რეალური სინამდვილის ლიტერატურულ ასახვაზე.

მისი შემდგომი მსჯელობის ლოგიკა მოკლედ ასეთია: ნამდვილი ლიტერატურა სოკოსავით ერთობ კი არა, ჩვილი ბავშვივით, თანდათან იზრდება, ვითარდება, ღონიერდება და „ერთს მშვენიერს დღეს აცხადებს იგი თავის თავს სრულწლოვანად“. რა მნიშვნელობა აქვს ამგვარი ლიტერატურის ზრდაში კრიტიკას? „ის ადგილი და მნიშვნელობა, რაც ყმაწვილის აღზრდაში გონიერს და საქმის მცოდნე პედაგოგს. კრიტიკა, თვითონ ლიტერატურის შვილი, ხდება მისივე აღმზრდელი, გზის მაჩვენებელი შემდეგს მის ზრდაში“[124]. კრიტიკა თვალს უხილავს ლიტერატურას „და შეახედებს იმ საგნებს, რომელთაც იგი თავს უნდა დასტრიალებდეს“. ამავე დროს, რა აზრიანიც არ უნდა იყოს კრიტიკა, მას არ ძალუძს ლიტერატურის, მწერლობის შექმნა. კრიტიკა უნიჭო მწერალს ვერაფერს უშველის, ის „იქერს საქმეს ტალანტთან, რომელსაც პირდაპირი გზის ჩვენებით, შეცდომების გასწორებით ეხმარება“. მეორე მხრივ, კრიტიკა მკითხველ საზოგადოებას ეხმარება ლიტერატურული ნაწარმოებების ავ-კარგის გაგებაში, — „უნიჭოს მოკვლით და ნიჭიერის ამაღლებით“.

ბოსლეველის ეს მსჯელობა ცხადყოფს, რომ მას კარგად ესმოდა ლიტერატურული კრიტიკის მნიშვნელობა როგორც მწერლობისათვის, ისე მკითხველი საზოგადოებისათვის. ხანმოკლე სიცოცხლის

---

122 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 182.

123 იქვე.

124 იქვე, გვ. 182—183.

მიუხედავად, მან მრავალი კრიტიკული მიმოხილვა დაწერა, გზა და გზა განიხილა ჩვენი ლიტერატურა, რათა ჩვენი „მკითხველის გონება ჩვენის ლიტერატურისა და ცხოვრების კითხვებზედ" შეეჩერებინა[125].

ბოსლეველის მოსაზრებები ლიტერატურული კრიტიკის არსზე და განვითარებაზე დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. იგი არის არა ეგრეთწოდებული ესთეტიკური კრიტიკის, არამედ რეალისტურის წარმომადგენელი. ლიტერატურულ კრიტიკოსმაც ღრმად უნდა იცოდეს ცხოვრება, შეიარაღებული უნდა იყოს მოწინავე იდეოლოგიით. ამავე დროს, ბოსლეველის აზრით, ლიტერატურული კრიტიკა უნდა იყოს ღრმად პრინციპული, ობიექტური და ემყარებოდეს მატერიალისტური ესთეტიკის მეცნიერულ პრინციპებს. კრიტიკას პირუთვნელობა და მიუდგომლობა ანიჭებს ნამდვილ საზოგადოებრივ ხასიათს. თუ კრიტიკა ობიექტურ ხასიათს დაკარგავს, მას არ შეეძლება შეასრულოს თავისი დანიშნულება, — გააძლიეროს დემოკრატიულ-სოციალისტური ლიტერატურა, აღზარდოს ხალხი მოწინავე საზოგადოებრივ იდეებზე და განუვითაროს მას ესთეტიკური გემოვნება. ბოსლეველმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიტერატურული კრიტიკა მსჯავრდადებაა ლიტერატურულ ნაწარმოებზე, ის ცუდის დაგმობაა და ნიჭიერ მწერალთა წახალისება. კრიტიკის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ესთეტიკურ-მეცნიერული მსოფლმხედველობის და ლიტერატურის განვითარებაზე, მაგრამ თავის მხრივ კრიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლიტერატურის განვითარებაზე, რადგან ის ააშკარავებს მხატვრულ ნაწარმოებთა სუსტ მხარეებს და მიუთითებს ლიტერატურის აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე.

ბოსლეველი მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართული დემოკრატიულ-სოციალისტური კრიტიკის თეორეტიკოსია. მან ბევრ შემთხვევაში ახალი სიტყვა თქვა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში — შეაფასა მრავალი ნაწარმოების მხატვრული ღირსება და ესთეტიკური მრწამსი, მეტწილად ახლებურად და მართებულად დაახასიათა ლიტერატურული ფაქტების პოლიტიკური აზრი, მიზანი, დანიშნულება. ამიტომ, როგორც აღიარებულია, „ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებაში მან საპატიო ადგილი მოიპოვა"[126].

ბოსლეველი შეუნელებელ ინტერესს იჩენდა ლიტერატურული ჟანრების თეორიის საკითხებისადმი, მათი გენეზისისა და განვითარების შკაფიო მიმოხილვებს და ანგარიშგასაწევ დასკვნებს იძლეოდა. მისი რწმენით, არა მარტო მხატვრული ლიტერატურა, არამედ ბეჭდვითი

---

125 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 183.

126 დაწვრ. იხ. ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, ბოსლეველის პუბლიცისტიკა (ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 114).

სიტყვა საერთოდ „საზოგადოების საჭიროებას, ტკივილს“ უნდა „გამოსთქვამდეს“[127].

ზემოთ გავეცანით მხატვრული ნაწარმოების და კერძოდ ბელეტრისტიკის, აგრეთვე, ნაწილობრივ, პოეზიის დანიშნულებისა და თავისებურებების ბოსლეველისეულ გაგებას, რომელიც დღემდე ინარჩუნებს გარკვეულ მნიშვნელობას. აქ კი დავსვამთ კითხვას, თუ როგორ ესმოდა კრიტიკოსს დრამის, პოეზიის, იგავ-არაკის და ფელეტონის არსი და დანიშნულება.

„დრამატიული თხზულება“, ბოსლეველის მიხედვით, ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენებისა და ფაქტების რეალისტურ მხატვრულ ასახვას უნდა იძლეოდეს, ხალხის აწმყოსა და მომავლის გაუკეთესებას უნდა ემსახურებოდეს, „ძირითადი აზრის“, დედააზრის ერთიანობით გამოირჩეოდეს. მისი თქმით, „დრამაში ეს დედააზრი აძლევს ერთობას ყველა სცენებსა და თვით მოქმედების მსვლელობაც გამომდინარეობს სწორედ ამ დედააზრის განვითარებიდან. ავტორს არავითარი უფლება არა აქვს მეტი სცენა, გინა მოქმედი პირი შეაჩხიროს პიესაში. ამით პიესა ჰკარგავს რეალურს სინამდვილეს, ცხოვრებას შორდება და ხდება უფერული“[128]. დრამატულ ნაწარმოებში მთავარია მოქმედების დამაჯერებლობა და არა „დიდებული ფრაზები“. პიესის გმირები მოქმედი პირები უნდა იყვნენ და არა მქადაგებლები და ჭკუის დამრიგებლები[129].

ბოსლეველს არც დრამაზე მსჯელობისას ავიწყდება იმის თქმა, რომ ის ხალხს უნდა ემსახურებოდეს და მისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდეს. იგი გულისტკივილით ჩიოდა, რომ „ჩვენი პიესები, თითქმის ყველანი ხელმოსმით ვერ დაგაკვირვებენ ცხოვრების დუღილს, თანამედროვე ცხოვრების ვარამსა და „ბოროტებას“ ვერ წამოგიყენებენ თვალწინ“[130].

პოეზიისა და იგავ-არაკის ბოსლეველისეული გაგება, ზოგად ხაზებში, ასე წარმოგვიდგება: „პოეტი „საგალობლის“ არჩევაში თავისუფალია“[131]. „ლექსს იდეის შესაფერისი ფორმა თუ არა აქვს, ის პოეზიის ნაწარმოებს არ ეკუთვნის“[132]. პოეტური ნაწარმოები იმითაც შეიძლება დამშვენდეს, რომ სახალხო ლექსს ჰგავდეს როგორც შინაარსით, ისე ფორმით[133]. პოეტურ ქმნილებას მოეთხოვეთა ფერთა მოხ-

---

127 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 207.
128 იქვე, გვ. 249.
129 იქვე.
130 იქვე, გვ. 254.
131 იქვე, გვ. 169.
132 იქვე, გვ. 188.
133 იქვე, გვ. 189.

დენილად შეხამება, სურათის წარმოსახვა, ზედმეტსიტყვაობისაგან დაზღვევა. ერთ-ერთ „კრიტიკულ მიმოხილვაში“ ბოსლეველი წერდა: „პოეზია... ხელოვნებას ითხოვს, როგორც სურათში ერთი უკანასკნელი ფერი არც მეტი, არც ნაკლები არ უნდა იყოს, ისე პოეტურს თხზულებაში ყოვლისფერი უნდა იყოს თავის ადგილას და სწორედ იმდენად, რამდენადაც სურათის სისრულისათვის საჭიროა. როგორც სურათი, ისე პოეტური თხზულებაც ყველა თავის ნაწილებით ერთს მკაცრად განსაზღვრულ შთაბეჭდილებას უნდა მოახდენდეს კაცზედ. ეს ითქმის საზოგადოდ პოეტურს თხზულებაზედ და განსაკუთრებით ლექსით დაწერილზედ, რომელსაც უფრო ხშირად ეკუთვნის იგავ-არაკი. ლექსს ერთი ნამეტანი სტრიქონი კი არა, თითქმის სიტყვაც კი აფუჭებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სიტყვა მხოლოდ რითმისთვის არის ნახმარი. „მრავალსიტყვაობა“ ლექსის მომკვლელია...“[134]

იგავ-არაკი, ბოსლეველის სიტყვით, პოეზიის ნაწარმოებია, „უბრალო ზღაპრის შვილია, აღმოსავლეთში დაბადებული და აღზრდილი. ზღაპარმა თანდათან მიიღო იგავის ხასიათი და „შეიქმნა ზნეობის სწავლის გარდმომცემი ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ“[135].

კრიტიკოსი მიმოიხილავს იგავ-არაკის განვითარების გზას უძველესი დროიდან გასულ საუკუნემდე, აღნიშნავს მის პროგრესს ბერძნულსა და რომაულ ლიტერატურაში, ახალი ხანის ევროპაში, აუცილებლად თვლის, რომ იგავ-არაკების ხასიათი დიდხანს ერთი და იგივე იყო. „ეს იყო დიდაქტური, ანუ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მოძღვრებითი, დარიგებითი... იგავ-არაკებში პირველი ადგილი ეჭირა ზნეობითს სწავლას; ამ-ითონ მოთხრობას იმდენად აძლევდნენ მნიშვნელობას, რამდენადაც ეს საჭიროდ მიაჩნდათ ზნეობითი სწავლის განმარტებისათვის, იმის უფრო გასაგებად გარდაცემისათვის. განსაკუთრებით ეს ხასიათი მივიდა უკიდურესობამდის საშუალო საუკუნეებში, როდესაც იგავ-არაკი დაემსგავსა მშრალს ქადაგებას“[136]. ლესინგის იგავ-არაკიც მეცნიერულ მსჯელობას დაემსგავსაო, „თითქო ზნეობითის ფილოსოფიიდგან ამოღებული ნაწყვეტებიაო“[137].

ბოსლეველმა თვალი გაადევნა იგავ-არაკის ევოლუციას ახალ დროში, როცა მისი დამახინჯებული მიმართულება დაგმობილ იქნა. ამ დროს იგავ-არაკის შინაარსის მიმზიდველად გადმოცემისათვის ესწრაფვოდნენ შესაბამისი მოვლენის თუ ფაქტის მკაფიო სურათის დახატვას ისე რომ ზნეობრივი სწავლება ხშირად არც კი იგრძნობოდა და-

---

134 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 241.
135 იქვე, გვ. 239.
136 იქვე.
137 იქვე.

თუ იყო, ისიც ორ-სამ, ან ერთ სტრიქონში გამოხატული, მაგრამ „ისე მოჭრილად, მარჯვედ და ლამაზად, რომ იგი პირდაპირ გადადიოდა ხალხში ანდაზად“[138].

იგავ-არაკი, ბოსლეველის გაგებით, პატარა მოთხრობაა, რომლის შინაარსია ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება ოჯახსა და საზოგადოებაში. მისი ასახვა არა პირდაპირ, არამედ ალეგორიულად, იგავით. მისი გმირი ადამიანის მაგიერ ხშირად არის პირუტყვი ან უსულო საგანი, ხანაც თვითონ ადამიანი. „იგავ-არაკის მწერალს ნამდვილის ცხოვრების ცოცხლად გამოხატვით სურს დაანახოს საზოგადოებას მისი ცუდი მხარეები, გაასწორებინოს იგინი“[139]. ბოსლეველი იმასაც შენიშნავს, რომ იგავ-არაკს, როგორც სატირულ თხზულებას „მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და მნიშვნელობა, როდესაც იგი მოსწრებულად, ცოცხალის ენით არის დაწერილი, როდესაც იგი წარმოადგენს აზრიანს მახვილობას და არა რაღაც „უმარილო გინებას“[140].

გონებამახვილი ფელეტონისტი, ბოსლეველი, ამ ჟანრის ნაწარმოებსაც ჯანსაღი ესთეტიკური თვალსაზრისით ახასიათებს, მიუთითებს, რომ ფელეტონი „უაზრო ოხუნჯობის სალაყბო“ არაა, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არც ისაა წარმატება, რომ „შეფელეტონემ“ „მკითხველი რომელსამე მოსწრებულად გამონატყორცნის სიტყვით გააცინოს“. ფელეტონი მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ ფაქტს თუ მოვლენას კრიტიკულად, მკვირცხლად და გონივრული იუმორით უნდა ასახავდეს, მისი შინაარსი და კილო „ყოველთვის მარჯვე და მახვილი უნდა იყოს“[141].

რა თქმა უნდა, ჩვენს შორს ვართ იმის მტკიცებისაგან, რომ ბოსლეველი თითქოსდა ჟანრების თეორიის, მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკის თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხის გაშუქებისას ერთნაირად ორიგინალურია. ამ საკითხების ბოსლეველისეული ინტერპრეტაცია არაერთ შემთხვევაში წინამორბედთა, უპირველეს ყოვლისა, სახელოვან ქართველ სამოციანელთა ნააზრევს იყენებდა, ითვალისწინებდა, ეყრდნობოდა ან შემოქმედებითად ავითარებდა, ამავე დროს, მრავალ საკითხს მატერიალისტური ესთეტიკის მოწინავე პოზიციიდან მკაფიოდ და ღრმად აშუქებდა. მართლაც, როგორც აღიარებულია, იგი იზიარებდა თერგდალეულთა „ნააზრევს და ამაგრებდა იმ ფრონტს, რომლის ძალა მიმართული იყო ეროვნული შე-

---

138 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 240.
139 იქვე.
140 იქვე, გვ. 242.
141 იქვე, გვ. 184.

მოქმედებითი ძალებისა და ეროვნული ენერგიის გამოჩინება-აღდგინებისაკენ, ხალხის პოლიტიკური გათვითცნობიერებისაკენ"[142].

* * *

ბოსლეველმა ფრიად მნიშვნელოვანი მოსაზრებები ჩამოაყალიბა და განავითარა ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის საგანსა და დანიშნულებაზე, თავის შემოქმედებას საფუძვლად დაუდო იმის აღიარება, რომ ლიტერატურის საგანია ხალხის ცხოვრება, მოწოდება — ცხოვრებისეული სინამდვილის რეალისტური ასახვა, შეცნობა, ზრუნვა ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის.

ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორიის საკითხებში ბოსლეველი ავითარებდა არა რეაქციულ, იდეალისტურ, კანტიანურ შეხედულებებს, არამედ მატერიალისტურ-განმანათლებლურ თვალსაზრისს. იგი ამოდიოდა მატერიალისტური ესთეტიკის უდიდესი კორიფეების — ლესინგის, დიდროს, ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის, ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისიდან. მისი სტატიები ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაზე პროგრესს მოასწავებენ ქართული ესთეტიკური აზრის მატერიალისტური მიმართულების წინსვლაში.

ბოსლეველი თავს ესხმოდა სუბიექტივისტურ-იდეალისტურ ესთეტიკას. ხელოვნებას, კერძოდ მხატვრულ ლიტერატურას, კი არ თიშავდა სინამდვილისაგან, არამედ მას, როგორც მატერიალისტური ესთეტიკის წარმომადგენელს, ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის საგნად ამქვეყნიური სინამდვილე მიაჩნდა.

ბოსლეველი, ისევე როგორც თავის დროზე ილია ჭავჭავაძე, აღიარებდა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება და ლიტერატურა უნდა ცოცხლობდეს ერთი სიცოცხლით, თავის ხალხთან ერთად, რომ მწერლობის ძირეული ინტერესი უნდა იყოს ერის სამსახური. ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის საგანია სინამდვილე, მიზანი კი ისტორიული პროგრესის დაჩქარება. ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულება, ისე როგორც მეცნიერებისა, ისაა, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ განვითარებას, გააღვივოს და გააძლიეროს პროგრესული ტენდენციები; ხელოვნება და ლიტერატურა არ ქმნიან საზოგადოებრივ კანონზომიერებებს და არ აყალიბებენ ადამიანთა მატერიალურ ინტერესებს. ამავე დროს, ბოსლეველი მხატვრულ ლიტერატურას შემოქმედებით ძალებს უკავშირებდა, იმ აზრით, რომ თუკი ის იქნებოდა დიდი კითხვების ლიტერატურა, მას შეეძლო გაეძლიერებინა

---

142 ს. ხუციშვილი, ბოსლეველის პუბლიცისტიკა (ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 153).

რევოლუციური ტენდენციები და შეეფერხებინა რეაქციული. მისი რწმენით, ხალხური და ჰუმანისტური მხატვრული ლიტერატურა ადამიანის სულიერი და მორალური აღმზრდელია, მისი ესთეტიკური გემოვნების ჩამომყალიბებელია.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი

მწერლის თუ პუბლიცისტის იდეების შესწავლისა და შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია რა ეპოქაში, რა ვითარებაში და ვისთვის წერდა ის, საზოგადოების რომელი კლასის, წოდების თუ ფენის დაცვას ცდილობდა, ვისზე აპირებდა ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, წარმოსადგენია ე. მჭედლიძე-ბოსლეველის სამოღვაწეო ეპოქა, კონკრეტულად დასადგენია მისი დამოკიდებულება ისტორიული პროცესის თუ თანადროული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენებისადმი, ის თუ როგორ ესმოდა მას ფეოდალიზმი, ბურჟუაზიული რეფორმები, კაპიტალიზმი და მისი ექსპლოატატორული ბუნება, ფეოდალური და კაპიტალისტური საზოგადოების წოდებრივ-კლასობრივი სტრუქტურა, კლასობრივი ბრძოლა და სოციალიზმი, ბურჟუაზიული დემოკრატია, სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი საერთოდ და ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბუნება კერძოდ, პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობა, ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული აქციები და კოლონიური ექსპანსია და სხვ.

ისტორიული მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით ზემოხსენებული საკითხების გაშუქებისას ვცადეთ ჩვენი პუბლიცისტის ნააზრევის შედარება საკაცობრიო საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის მაგისტრალურ მიმართულებასთან, ამ უკანასკნელის მიერ 1880-იანი წლებისათვის მიღწეულ დონესთან. ასეთი მიდგომით ბოსლეველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების განხილვისას ვხელმძღვანელობდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ზოგადი და კონკრეტული დებულებებით, „მემკვიდრეობის“ ლენინური მოძღვრებით, რომელიც ისტორიულ პიროვნებათა ნაღვაწ-ნააზრევის მართებულად შეფასების საიმედო მეთოდოლოგიური არსენალია.

I

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბოსლეველი სამოღვაწეო ასპარეზზე თავისებურ სოციალურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ ვითარებაში გამოვიდა.

ამ დროს მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმი იმპერიალიზმის სტადიაში შევიდა. წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალი დონე ნიადაგს ამზადებდა მონოპოლიათა წარმოქმნა-ბატონობისათვის. იმპერიალიზმის ეპოქის ზღურბლზე ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის წინააღმდეგობა გამწვავდა. სწრაფად მიმდინარეობდა საშუალო კლასების დიფერენციაციისა და განადგურების პროცესი. ამის საფუძველი იყო მსხვილ, მოწინავე, ტექნიკურად უკეთ შეიარაღებულ კაპიტალისტურ საწარმოებსა და წვრილ საწარმოთა შორის კონკურენცია.

ამ პერიოდში მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასი რიცხობრივად იზრდებოდა, მისი კლასობრივი შეგნების დონე მაღლდებოდა. კაპიტალისტური კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი მუშათა კლასს დიდ კოლექტივებად კრებდა ქალაქებში და მას არა მარტო მძიმე სასიცოცხლო პირობებში აყენებდა, არამედ სულიერი განვითარების შესაძლებლობასაც უქმნიდა.

პერიოდი პარიზის კომუნიდან მოყოლებული 1885 წლამდე არის მუშათა კლასის რიცხობრივი და გონებრივი ზრდის პერიოდი, საერთაშორისო ასპარეზზე მკაფიოდ მოსჩანს მუშათა კლასის სოციალისტური ინტერესები, ის რომ იგი თანმიმდევრული სოციალისტური კლასია, მატერიალური ძალაა სოციალიზმის განსახორციელებლად.

ამ პერიოდის კლასობრივმა ბრძოლებმა დასავლეთში ნათელყო. რომ ბურჟუაზია არსებული ექსპლოატატორული წყობილების დამცველია, რომ მისი ინტერესები ანტაგონისტურად არის დაპირისპირებული მუშათა კლასთან, რომელიც რადიკალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებისათვის მებრძოლი კლასია.

ამ პერიოდმა ცხადყო, რომ ბურჟუაზია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში გადაქცეულია რეაქციულ კლასად და მას შექმნილი აქვს სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც ექსპლოატატორულ ურთიერთობებს იცავს და ულმობელი სისასტიკით ანადგურებს ყოველგვარ დემოკრატიულსა და პროგრესულს ევროპის სინამდვილეში.

როგორი იდეოლოგიური ვითარებაა ბოსლეველის მოღვაწეობის პერიოდში?

ამ დროს მარქსიზმი დაუფლებულია საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, მუშათა კლასის უმეტესობა მარქსიზმს იყენებს როგორც ბრძოლის სწორ, მეცნიერულ იდეოლოგიურ არსენალს.

მარქსისა და ენგელსის გვერდით მოღვაწეობენ სახელგანთქმული მათი მოწაფეები, რომლებიც ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებში იდეოლოგიურად წვრთნიან მუშათა კლასს და აყალიბებენ მას ცალკეულ ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ, დამოუკიდებელ მუშათა პარტიებში.

ამ პერიოდში მარქსიზმი ვითარდება და მუშათა კლასის გაბატონებული იდეოლოგიური მიმდინარეობა ხდება.

პარიზის კომუნის ღრმა ანალიზის საფუძველზე მარქსმა და ენგელსმა განავითარეს მეცნიერული კომუნიზმი, კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის თეორია.

პარიზის კომუნის მაგალითზე მარქსმა და ენგელსმა დააბუთეს, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად ძირითადი გზა და საშუალება არის მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობა, რომელმაც უნდა დაანგრიოს ბურჟუაზიული სახელმწიფო და მუშათა კლასს გზა გაუხსნას პოლიტიკური ბატონობისაკენ. მხოლოდ პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლას შეუძლია, მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი, სოციალიზმი მიიყვანოს გამარჯვებამდე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გარეშე ყოველგვარი ფიქრი სოციალიზმის განხორციელებაზე ფუჭი და მავნე ოცნებაა.

პარიზის კომუნის გამოცდილების განზოგადებით მარქსი და ენგელსი ასწავლიდნენ მუშათა კლასს, რომ პოლიტიკა, პროლეტარიატის დიქტატურა არის ის უმთავრესი და უძირითადესი საშუალება, რომლითაც მუშათა კლასი შემუსრავს ბურჟუაზიის ბატონობას და თავს დააღწევს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩაგვრას. ამ პერიოდში მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მუშათა კლასი არათუ განზე უნდა დადგეს პოლიტიკისაგან, როგორც ამას ათასგვარი ისეთი წვრილბურჟუაზიული მოაზროვნენი ასწავლიდნენ, როგორიც არიან პრუდონისტები და სხვა, როგორც ეს გამოუდიოდათ საფრანგეთში ბლანკისტებს, არამედ მუშათა კლასმა უნდა განავითაროს უძლიერესი პოლიტიკური ენერგია, მოძრაობაში მოიყვანოს ჩაგრულთა უდიდესი მასები და პირველ რიგში რევოლუციურ-პოლიტიკური ბრძოლით გზა გაიკაფოს პოლიტიკური ბატონობისაკენ.

მარქსი და ენგელსი გაფრთხილებას იძლეოდნენ, რომ თუ პროლეტარიატი პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს გამოიჩენს, თუ ის ვერ დარწმუნდება იმაში, რომ პოლიტიკა არის ძირითადი საშუალება და იარაღი მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, მუშათა კლასი და სოციალიზმი განწირული აღმოჩნდება, რომ კაპიტალიზმის პირობებში, ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის ვითარებაში, სოციალიზმის მშვიდობიანი, რეფორმისტული გზით განხორციელება უტოპიაა[143].

---

143 ჩვენ დროში, ახალი ვითარების შესაბამისად, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის არაერთმა რაზმმა, არაერთმა კომპარტიამ, აღიარა რეფორმების გზით სოციალიზმისათვის ბრძოლის შესაძლებლობა, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პარტიების პროგრამებში. „ახალ ისტორიულ ვითარებაში ბევრი ქვეყნის მუშათა კლასს ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დამხობამდე შეუძლია თავს მოახვიოს ბურჟუაზიას ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც სცილდებიან

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, მუშათა მოძრაობის თანდათანი გამოცოცხლებისა და მარქსიზმის ფართოდ გავრცელების პირობებში, ბურჟუაზიული იდეოლოგია უფრო და უფრო აპოლიგეტური ხდება და გააფთრებულ იდეურ ბრძოლას აწარმოებს მარქსიზმის წინააღმდეგ. მარქსიზმის წინააღმდეგ ასევე აქტიურდებიან წვრილბურჟუაზიული იდეური მიმდინარეობანი, ისინი რეფორმისტულ-ანარქისტულ შეხედულებებს ქადაგებდნენ და ყველა მათგანი ილაშქრებდა პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული მოწოდების წინააღმდეგ. ასეთია, ზოგად ხაზებში, სოციალური და პოლიტიკური ბრძოლების არსი მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

როგორია ვითარება რუსეთსა და საქართველოში?

რუსეთში ამ პერიოდში კაპიტალიზმი ვითარდება, ყალიბდება ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი კლასები. ამ პერიოდის დამახასიათებელია მუშათა კლასის გამოსვლა ისტორიულ ასპარეზზე, მისი როგორც დამოუკიდებელი სოციალური ჯგუფის გამოჩენა. ამასთანავე ბურჟუაზიული ტენდენციები თავს იჩენენ გლეხობაში, მიმდინარეობს გლეხობის ძირითადი მასის დიფერენციაცია, ჩნდება კულაკური მეურნეობანი. ყველა ეს ფაქტი თავის გავლენას ახდენს იდეურ ცხოვრებაზე. რევოლუციურ ხალხოსნობაში თავს იჩენს ლიბერალური ტენდენციების გაბატონება და ამასთან წარმოქმნას იწყებს რუსული მარქსიზმი. იმართება მძაფრი ბრძოლები რუს მარქსისტებსა და ხალხოსნებს შორის. ამ პერიოდში ხალხოსნების ნაწილი მარქსიზმის მოწინააღმდეგედ იქცევა და მის მიმართ მტრულ პოლიტიკას აწარმოებს. აღსანიშნავია ისიც, რომ გიორგი პლეხანოვი, რომელიც ამ დროს მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსია, ცნობილია საქართველოში და მის მოსაზრებებს ქართულ რევოლუციურ წრეებში, კერძოდ მის შეხედულებებს პოლიტიკასა და პოლიტიკურ ბრძოლის მნიშვნელობაზე, იზიარებს საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე.

მეორე მხრივ, ამ პერიოდში საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოითქვა მარქსიზმისაგან განსხვავებული მოსაზრებანი და ერთგვარი გავლენით სარგებლობენ ცალკეული რეფორმისტულ-რევოლუციურ-უტოპიური სოციალიზმის იდეები. პროპაგანდის სფეროში ექცევა დებულება, რომ საქართველოს გააჩნია სოციალიზმზე გადასვლის ევროპისაგან განსხვავებული გზა. ჩვენს განმათავი-

---

ჩვეულებრივი რეფორმების ფარგლებს და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ როგორც მუშათა კლასისათვის და რევოლუციის გასამარჯვებლად, სოციალიზმისთვის, მისი შემდგომი ბრძოლის განვითარებისათვის, ისე ერის უმრავლესობისათვის" (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1971, გვ. 53).

სუფლებელ მოძრაობაში ფრიად მნიშვნელოვანია რუსული სოციალიზმის იდეების გავლენა.

ასეთ იდეოლოგიურ ვითარებას 80-იანი წლების საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებები აპირობებდა. ამ დროს ჩვენში გარდამავალი პერიოდი მთავრდებოდა, ფეოდალურ-ბატონყმური „წესრიგი" გადმონაშთის სახით არსებობდა, კაპიტალისტური ურთიერთობა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ფეხს იკიდებდა და მკვიდრდებოდა. მაგრამ რაკი კაპიტალიზმის განვითარების დონე მაღალი არ იყო, მისი კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება არ იყო დასრულებული, რის გამოც რევოლუციური მოძრაობა არ იყო ჯეროვნად დანაწევრებული, დაქირავებული „მუშათა მასა" ჯერ კიდევ ვერ გადაქცეულიყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ინტერესების მქონე „კლასად თავისთავად", მით უფრო „კლასად თავისთვის". სხვანაირად, პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი რევოლუციური ბრძოლის ავანგარდად. კლასობრივი ბრძოლის ძირითადი შინაარსი იყო არა იმდენად მუშათა კლასის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რამდენადაც გლეხობის ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში მოძრაობის გადამწყვეტ ძალად უფრო გლეხობა გამოიყურებოდა, ვიდრე პროლეტარიატი[144]. ამიტომ რევოლუცი-

---

144 ასე რომ, მოცემულ პერიოდში გლეხობის ბრძოლა მემამულეებთან თავისი ხასიათით განსხვავდება ბატონყმობის დაცემის ეპოქაში მათ შორის მიმდინარე ბრძოლისაგან. მაშინ მემამულეებსა და გლეხებს შორის ბრძოლა წარმოებდა იმის გამო, თუ რა წესით განხორციელებულიყო რეფორმა. ორივენი იცავდნენ ბურჟუაზიულ-ეკონომიკური განვითარების პირობებს (ამის შეუგნებლად), თუმცა პირველნი ისეთი განვითარების პირობებს, რომელიც უზრუნველყოფდა მემამულეთა მეურნეობის, ექსპლოატაციის მემამულური (კაბალური) წესების მაქსიმალურად შენარჩუნებას, მეორენი კი, ისეთი განვითარების ინტერესებს, რომელიც უზრუნველყოფდა საერთოდ კულტურის არსებულ დონეზე გლეხობის შესაძლებელ, რაც შეიძლება მეტ კეთილდღეობას, მემამულეთა ლატიფუნდიების მოსპობას, ექსპლოატაციის ყველა ბატონყმური წესის მოსპობას და „თავისუფალი მიწათმფლობელობის გაფართოებას" (ვ. ი. ლენინი, ს. -დ. აგრარული პროგრამა რუსეთის პირველ რევოლუციაში, თხზ. ტ. 13, გვ. 292—293). პირველის, ანუ რეფორმის გზით, მემამულური მეურნეობის გარდაქმნის (პრუსიული) გზის მომხრენი იყვნენ მემამულურ-ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წარმომადგენლები. მეორის, ანუ რევოლუციის მეშვეობით, მემამულური ლატიფუნდიების მოსპობის (ამერიკული) გზის დამცველად კი გამოდიოდა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის რევოლუციური ნაწილი.

იმის გამო, რომ ისტორიას ადამიანები ქმნიან, მასში არაფერია წინასწარ მკაცრად განსაზღვრული. საზოგადოებრივ განვითარებას მუდამ გაჩენია რამდენიმე შესაძლებლობა. ამა თუ იმ კანონზომიერების გამოვლენისას ადგილი აქვს ერთმანეთის საპირისპირო ძალების, სხვადასხვა ტენდენციების ბრძოლას, სხვადასხვა შესაძლებ-

ურ-დემოკრატიული იდეოლოგია, როგორც გლეხური რევოლუციური მოძრაობის თეორიული გამოხატულება, განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა იდეოლოგიურ მიმდინარეობებთან თანაარსებობდა. ასე რომ, 1880-იან წლებში ჩვენში დემოკრატიზმი და სოციალიზმი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გათიშული, თუმცა მათ განუყოფელ მთლიანობას საფუძველი ეცლება. მოცემული თვალსაზრისით ეს ეპოქა, საქართველოს სინამდვილეში, რამდენადმე განსხვავდება 1860-იანი წლებისაგან, როცა ფეოდალური ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და კლასობრივ-წოდებრივ ძალთა განლაგების რეალური ვითარების შესაბამისად „დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთ გაუთიშველ, განუყოფელ მთელს წარმოადგენდა“[145].

ამავე დროს, 1880-იან წლებში საქართველოში, როგორც რუსეთში, მარქსამდელი სოციალიზმი კრიზისს განიცდის, მარქსიზმი ფეხს იკიდებს.

არსებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ვითარებაში როგორ თვალსაზრისებს ავითარებს გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი ე. ბოსლეველი — მჭედლიძე? როგორია მისი დამოკიდებულება ცარიზმთან და მის კოლონიურ პოლიტიკასთან, ფეოდალიზმთან და მის გადმონაშთებთან, კაპიტალიზმთან და კაპიტალისტურ ურთიერთობის განვითარებასთან ჩვენში, როგორია მისი დამოკიდებულება სოციალიზმთან, რას წარმოადგენს მისი სოციალიზმის არსი და როგორია მისი მოსაზრება სოციალიზმის განხორციელების გზებსა და საშუალებებზე? სწორედ ამ კითხვებზე უნდა გაიცეს პასუხი, რათა გაირკვეს პუბლიცისტის ნააზრევის მრწამსი, დადგინდეს მისი ადგილი საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიაში.

II

ბოსლეველი ღრმად იკვლევდა საქართველოს მატერიალურ ცხოვრებას XIX საუკუნეში, მეტადრე რეფორმების შემდგომ პერიოდში.

ლობების შეჯახებას. ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ ის ისტორიული ძალები, რომლებსაც ძალუძთ შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა. ამის გათვალისწინებით გასაზრებელია ვ. ი. ლენინის შეხედულება რუსეთის სოფლის მეურნეობის „პრუსიულ“ და „ამერიკულ“ გზებზე, ე. ი. ის, რომ პირველი რევოლუციური კრიზისისა და ბურჟუაზიული რეფორმების ხანაში რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარების ორი გზა არსებობდა.

145 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. რანი არიან „ხალხის მეგობრები“, თხზ., ტ. I, გვ. 318, ამ მხრივ ვითარება 1890-იან წლებში არსებითად შეიცვალა, რამაც გამოხატულება ჰპოვა მუშათა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვა-განვითარებაში.

ფეოდალიზმი და ფეოდალური კერძო საკუთრება მას რეაქციულ მოვლენად მიაჩნდა. რეფორმამდე ფეოდალიზმის რეაქციულობას იგი ხედავდა ფეოდალური ურთიერთობის მიერ საწარმოო ძალთა განვითარების გზაზე დაუძლეველი დაბრკოლების შექმნაში. მას კარგად ესმოდა, რომ ფეოდალური ურთიერთობა არ ქმნიდა მატერიალურ საშუალებებსა და არ ავითარებდა სტიმულებს საწარმოო ძალთა წინსვლისათვის. ფეოდალური მსხვილი კერძო საკუთრება მემამულეთა კლასს პარაზიტულ კლასად აქცევდა და გულგრილს ხდიდა ტექნიკური პროგრესისადმი. მძიმე ექსპლოატაციით დატანჯული გლეხობა მოკლებული იყო შეურნეობის რაციონალურად წარმართვის საშუალებებს. ფეოდალიზმი, ბოსლეველის სამართლიანი აზრით, ბუნებრივ რესურსებს ფლანგავდა, ადამიანთა საწარმოო ძალებს ანადგურებდა. იგი ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „ბატონყმობა იყო ის უმთავრესი სენი, რომელიც ჰრყვნიდა სახელმწიფოს სხეულს და რომელიც შეუძლებლად ხდიდა ცხოვრების წარმატებას“[146].

ბოსლეველის გაგებით, ბატონყმობამ თავისი დრო მოჭამა, რასაც მთელი უეჭველობით ადასტურებდა იმპერიაში 1859—1861 წლებში შექმნილი რევოლუციური სიტუაცია. მოახლოებული რევოლუციის შიშით, ცარიზმი იძულებული გახდა „ზემოდან“, რეფორმების გატარებით, გაეუქმებინა ბატონყმობა.

რეფორმებზე საზოგადოდ, და იმპერიაში გატარებულ გარდაქმნებზე კერძოდ, გარკვეული წარმოდგენა გააჩნდა ბოსლეველს, რომლის აზრით „ყოველი რეფორმა პირდაპირი ბუნებრივი შედეგია წინამავლის ცხოვრებისა, ნახტომი კი არა, ერთი ფეხის წინ გადადგმაა, ნაბიჯი... ხალხი ყოველთვის მომზადებულია ამ ნაბიჯისათვის... იმიტომ, რომ წინამავლის ცხოვრებას მისი ტვინი პოლიტიკურად განუვითარებია“[147]. სხვა ადგილას ბოსლეველი შენიშნავდა, რომ ცხოვრების ყოველი მომენტი მოითხოვს „რომელსამე ძველი წესის განდევნას და ახლის შემოღებას, ე. ი. რეფორმას, ამ რეფორმისათვის ამ ცვლილებისათვის ამზადებს და წვრთნის ხალხს თვითონ ცხოვრება“[148].

რეფორმის ბოსლეველისეული ინტერპრეტაცია, რასაც მისი არაერთი ნარკვევი შეიცავს, გვაფიქრებინებს, რომ ის არ იყო მისი იდეალი.

ბოსლეველის სიტყვით, რუსეთის საზოგადოება და ხელისუფლება ხედავდა, რომ ბატონყმობის „ძირიანად აღმოფხვრის“ გარეშე ყოვ-

---

146 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 174.

147 იქვე.

148 იქვე, გვ. 278.

ლად შეუძლებელი იყო რუსეთი ევროპის სხვა ქვეყნების ტოლი და სწორი გამხდარიყო, რომ „ბატონყმობასთან მოუფიქრებელი იყო... რუსეთის საზოგადოება განათლებას, ცივილიზაციას და კულტურულ წარმატებას ზიარებოდა“[149]. ამიტომ ხელისუფლებამ „საზოგადოების შეგნებულის ნაწილის დახმარებით მოსპო ბატონყმობა და შემოიღო სხვაგვარი რეფორმები“[150].

პუბლიცისტმა საინტერესო აზრი გამოთქვა რუსეთში რეფორმების გატარების განმსაზღვრელ ზოგიერთ მიზეზზე, მათ შორის დაასახელა ყირიმის ომი, ფეოდალური ქვეყნის უკიდურესი ჩამორჩენილობა რომ გამოავლინა. მას მხედველობიდან არ გამორჩა უმთავრესი მიზეზი, სახელდობრ ის, რომ რეფორმები გატარდა რევოლუციური სიტუაციის მომწიფებულობის ვითარებაში, გლეხური რევოლუციის თავიდან ასაცილებლად. ბოსლეველს თითქოს შეუმჩნეველი არ დარჩა საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით გლეხურ დემოკრატიასა და მებატონე ლიბერალებს შორის გაშლილი ცხარე ბრძოლაც.

ბოსლეველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არსებითად მართებულად შეაფასა 1860-იანი წლების რეფორმების კლასობრივი შეზღუდულობა, მათი მებატონური ხასიათი, როცა მათ „ნახევრად გაკეთებული საქმე“, გარდაქმნის „მხოლოდ დაწყება“ უწოდა[151] და დასძინა, რომ რეფორმებმა „სრულიად ვერ გაამართლა საზოგადოების იმედი“[152]. იგი უყოყმანოდ დაეთანხმა „რეფორმის თაყვანისმცემლებს“, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ „ამ რეფორმებს ფრთები შეაკვეცეს, აზრი, შინაარსი წაართვეს და დაუტოვეს მხოლოდ ფორმა“. ამასთან დაკავშირებით პუბლიცისტმა ხატოვნად შენიშნა: „ძმარი თვითონ არაფერი შვილი იყო და კიდევ წყალს ურევდნენო იმისი არ იყოს, ისე მოუვიდა რეფორმებსაც“[153].

ბოსლეველისათვის ნათელი იყო, რომ 1861 წლის რეფორმა კომპრომისული ხასიათისაა და მან მხოლოდ შეარყია ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძვლები. მისთვის არც ის იყო საეჭვო, რომ რეფორ-

---

149 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 174.

150 იქვე.

151 იქვე, გვ. 176.

152 იქვე, 174. სხვათა შორის, ჩვენი პუბლიცისტი მკაცრად აკრიტიკებდა რეაქციონერ კატკოვს და მის თანამოაზრეებს, რომლებიც 1880-იან წლებში ირწმუნებოდნენ, რომ „უკანასკნელ დროს რაც უწესობა მოხდა რუსეთში ყველა რეფორმების შედეგი არისო, აგრეთვე ე. წ. ნიგილიზმი, სოციალიზმი და სხვა ათასგვარი „იზმი“ რეფორმების ნიადაგზე ამოვიდაო. რეფორმებმა საზოგადოება გარყვნაო... უმცროს-უფროსობა მოსპოო, მთა და ბარი გაასწორაო...“ (ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 175).

153 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 176.

მებმა ხელუხლებელი დატოვა მსხვილი მემამულური კერძო საკუთრება, რომ მემამულეთა მიერ გატარებული რეფორმები ასე თუ ისე გზას უხსნიდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას. ხალხოსნებისგან განსხვავებით, ბოსლეველი აღიარებდა, რომ რეფორმების შემდეგ საქართველოში, როგორც რუსეთში, სამეურნეო-ეკონომიკური წინსვლა ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდა. მან ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების გამო ისეთი შიში არ გამოთქვა, როგორიც ხალხოსნებს ახასიათებდათ, მეორე მხრივ, იგი არც ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის პოზიციაზე დამდგარა.

რეფორმისადმი ფორმაციული გარდატეხის კუთხით მიდგომისას, იმის გათვალისწინებით, რომ ამ გარდაქმნამ დასაბამი მისცა ფეოდალური ურთიერთობებიდან კაპიტალისტურზე გადასვლის დაჩქარებას, ბოსლეველმა მას მაღალი შეფასება მისცა: „რეფორმების შემოღება ნაბიჯი კი არა, **ნახტომი იყო, თითქმის სრული და თითქმის მოუბრუნებელის კავშირის გაწყვეტა იყო წარსულის ცხოვრებასთან**"[154]. ეს მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, რეფორმა საერთოდ, როგორც აღინიშნა, შეაფასა ვითარცა „ერთი ნაბიჯი". ბოსლეველს სწამდა, რომ „თუ ამ რეფორმებით არა, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი, მისი პოლიტიკური შეხედულება და გამოცდილება ასე შორს ვერ წავიდოდა, თვითონ განათლება და მეცნიერებაც ფეხს ვერ აიდგამდა"[155].

მეორე მხრივ, პუბლიცისტი საღი თვალით უყურებდა იმასაც, რომ რეფორმებმა არ მოსპო ჩაგვრის სისტემა, რომ მან ექსპლოატაციის ერთი ფორმა მეორეთი შეცვალა: „გათავდა ბატონყმობა და გახდა იგი ისტორიულ მოვლენად, დადგა სხვანაირი ბატონყმობა, ცხოვრება ახალ პირობებში ჩადგა, საზოგადოებას სხვა გამოსაკვლევი და გადასაწყვეტი ვითარებები წარმოუდგა თვალწინ"[156].

მთავარი კი ისაა, რომ საზოგადოების სტადიალური (ფორმაციული) განვითარება დაბალი საფეხურიდან მაღალზე ბოსლეველს ესმოდა როგორც ნახტომისებური აღმასვლა, რაც საზოგადოების პროგრესის ბუნებრივი ისტორიული პროცესის გამოხატულებად მიაჩნდა. ასე რომ, საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესის გაგებაში მისთვის უცხოა ევოლუციის ვულგარული თეორია, რომლის თანახმადაც განვითარება მუდამ მშვიდობიანად, უმტკივნეულოდ და თანდათანობით მიმდინარეობს.

ბოსლეველი გარკვევით ხედავდა იმას თუ რა განასხვავებს ფეოდალიზმს და კაპიტალიზმს, აგრეთვე იმას, რაც მათთვის საერთო იყო.

---

154 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 176. (ხაზგასმა ჩვენია. — გ. ბ.).
155 იქვე, გვ. 174.
156 იქვე, გვ. 231.

მან ამხილა ამ წყობილების ექსპლოატატორული ბუნება. ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ტიპოლოგიურად განსხვავებულ ნიშან-თვისებებზე მსჯელობისას იგი წერდა: „დღეს ევროპაში მიწისმფლობელობა ჩამოაყენა კაპიტალმა, ბურჟუაზიის საკუთრებამ და აი ეს საკუთრება არის ბევრად თუ ცოტად განთავისუფლებული ხარკისაგან“[157]. აქ პუბლიცისტი მიანიშნებს პატრიარქალური (ფეოდალური) მეურნეობის ნაცვლად კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებაზე, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად ფეოდალურ „საბაჟოთა“ მოშლაზე. მეორე ადგილას ბოსლეველი შენიშნავდა, რომ ფეოდალიზმი პოლიტიკური და ეკონომიკური მონობაა, რომ კაპიტალიზმი პოლიტიკურ ყმობას აუქმებს (პირადი თავისუფლების დამკვიდრებით), ხოლო ეკონომიკურს ინარჩუნებს და აორკეცებს. იგი გმობდა კაპიტალიზმის მგლურ ბუნებასაც: „იმისთანა დროში ვცხოვრობთ, რომ ვინც არ იგებს, ის აგებს, ვინც არ ჰგლეჯს, იმას ჰგლეჯენ ისე, როგორც ომის ველზეა“[158]. ბურჟუაზიული ურთიერთობების ეს ხანაც, ბოსლეველის სიტყვით, ბლომად იძლევა იმის მაგალითებს, რომ „სიცოცხლეს სიკვდილი ერევა, სამართალს უსამართლობა, კეთილს ბოროტი“[159].

გამჭრიახი პუბლიცისტი იმასაც ამჩნევდა, რომ მის თანადროულ საქართველოში, სადაც ბურჟუაზიული და ფეოდალური ჩაგვრა თანაარსებობდა, ბურჟუაზია და ფეოდალი, მათ შორის არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მოკავშირეებად გამოდიოდნენ ხალხის ძარცვაში, მშრომელთა გარჯით შექმნილ ღირებულებათა მითვისებაში. მას არ შეეძლო არ გაეგო, რომ ხალხის ინტერესები ორივეს წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვდა.

III

ბოსლეველისათვის ცხადი იყო, რომ კაპიტალიზმი ვერ უზრუნველყოფდა მშრომელი ხალხის მატერიალურ-კულტურულ კეთილდღეობას, მაგრამ, ამავე დროს, კაპიტალისტური ურთიერთობანი, მისი მართებული შეხედულებით, უკეთეს პირობებს ქმნიდნენ საწარმოო ძალთა სწრაფი პროგრესისათვის.

ბოსლეველმა შენიშნა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი მთელი რიგი საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი. იგი კარგად ხედავდა, რომ კაპიტალისტური წარმოებისა და საზოგადოებ-

---

157 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 170—171.
158 იქვე, გვ. 345.
159 იქვე, გვ. 309.

რივი სიმდიდრის ზრდას თან სდევდა მასების სიღატაკე, საარსებო პირობების უკიდურესად დაბალი დონე და უმუშევრობა. პუბლიცისტისათვის უეჭველი იყო, რომ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წვრილმწარმოებელ გლეხობას გაჩანაგება და განადგურება ელოდა. ამჩნევდა, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია საწარმოო ძალთა რაციონალური მართვა, რომ კაპიტალისტური წარმოება ანარქიული ხასიათისაა, რომ კაპიტალისტური განვითარებისათვის დამახასიათებელია კრიზისები, რაც მუშათა კლასს დროდადრო მძიმე პირობებში აყენებს.

ბოსლეველს კარგად ესმოდა, რომ კაპიტალიზმი საზოგადოებას პოლარულად დაპირისპირებულ ჯგუფებად ყოფს: მცირერიცხოვან მდიდართა პარაზიტულ ჯგუფად და მშრომელი მოსახლეობის უმრავლესობად, რომელიც ნორმალურ ცხოვრებას მოკლებულია და ქანცგამომლევი შრომით სულდგმულობს.

ბოსლეველი თითქმის გარკვეული იყო კაპიტალის წარმოქმნის პროცესის „ტეხნოლოგიაში", იმაში, რომ კაპიტალი მუშა ხალხის ძარცვისა და გაღატაკების ხარჯზე წარმოიქმნება და იზრდება. აქედან იღებდა სათავეს პუბლიცისტის ანტიკაპიტალისტური შეხედულება, რაც 1880-იან წლებში პროგრესს მოასწავებდა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინსვლაში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ სახელოვანი თერგდალეულები იყვნენ კაპიტალიზმის ღრმა კრიტიკოსები.

ბოსლეველი ამჩნევდა, რომ კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივი განვითარება, საწარმოო ძალთა წინსვლა ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ყოველივე ამის საფუძვლად მსხვილ-კაპიტალისტური საკუთრება მიაჩნდა. მას განიხილავდა როგორც ყოველგვარი საზოგადოებრივი ბოროტების საფუძველსა და წყაროს. ამ სოციალური უბედურებისაგან გამოსავალს ბოსლეველი საზოგადოების რადიკალურ ცვლილებაში ხედავდა. მას ესმოდა და მკითხველს შთააგონებდა, რომ სანამ კაპიტალისტური საკუთრება არსებობს, მანამდე შეუძლებელია მშრომელმა მასებმა თავიდან აიცილონ სიღატაკე და ჩაგვრა.

კაპიტალიზმს, ბურჟუაზიას ბოსლეველი, არაერთი თანამედროვისაგან განსხვავებით, მარტივად და ცალმხრივად არ განიხილავდა: იგი კარგად ამჩნევდა ბურჟუაზიული ურთიერთობის ბოროტებას, ამასთან, ხაზს უსვამდა კაპიტალიზმის ისტორიულ მისიას, მის პროგრესულობას ფეოდალიზმთან შედარებით. ამდენად ბოსლეველი, რომელმაც გაიგო დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციებისა და ჩვენში გატარებული რეფორმების პროგრესულობა, კაპიტალიზმს დიალექტიკურად განიხილავდა. ერთმანეთისაგან განასხვავებდა ბურჟუაზიას მებრძოლს და ბურჟუაზიას გამარჯვებულს, კაპიტალიზმში ხედავდა ჩაგვრასაც და სამრეწველო პროგრესსაც. ამ მოვლენისადმი ისტორიულად საღი მი-

დგომით ბოსლეველი განსხვავდებოდა წვრილბურჟუაზიული სოციალისტებისაგან, ლუი ბლანისაგან და ბაკუნინისაგან, რომლებიც ბურჟუაზიას მხოლოდ რეაქციულ ძალად მიიჩნევდნენ.

ბოსლეველის მოღვაწეობის პერიოდში კვლავაც გრძელდებოდა კაპიტალიზმის ფეოდალური კრიტიკა. ამავე დროს ვითარდებოდა ანარქისტული და სხვა წვრილბურჟუაზიული თეორიები კაპიტალიზმის შესახებ. ბოსლეველის სიკვდილის შემდეგ ქართული ანარქიზმი მსოფლიო ანარქიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაკადს წარმოადგენდა. მე-19 საუკუნის დამლევიდან ქართველი ანარქისტები გამოდიოდნენ საერთაშორისო ანარქიზმის ცნობილ თეორეტიკოსებად ევროპაში. ქართული ანარქისტული თეორიები ბოსლეველის დროსაც კაპიტალიზმის ვერავითარ პროგრესულობას ვერ ხედავდნენ, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მათ არ ესმოდათ თუ რა პერსპექტივებს ქმნის ის სოციალიზმის განსახორციელებლად. პუბლიცისტი ახლოს მივიდა იმის გაგებასთან, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში, მისი შინაგანი განვითარების ძალით, იქმნება სოციალისტური საზოგადოების მატერიალური წანამძღვრები.

მართალია, ბოსლეველი ვერ ამაღლდა მარქსისტულ-პოლიტიკურ ეკონომიამდე, მაგრამ მან მაინც შეძლო უკუეგდო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული წარმოდგენები კაპიტალიზმის შესახებ. ბოსლეველისათვის კაპიტალიზმი პროგრესული მოვლენა იყო. კაპიტალიზმი ფეოდალიზმთან შედარებით აჩქარებდა საწარმოო ძალების განვითარებას. ბოსლეველი აკვირდებოდა რა დასავლეთში კაპიტალიზმის განვითარებას, ხედავდა, რომ მან რევოლუციური გადატრიალებები მოახდინა წარმოების სფეროში, განავითარა ის, აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შექმნა მსხვილი მრეწველობა. კაპიტალიზმის მისიის ბოსლეველისეული გაგება მარქსიზმის ფუძემდებელთა გავლენით ჩამოყალიბდა, სახელდობრ, მათი იმ ფუძემდებლური დებულებისა, რომ ფეოდალიზმის ლიკვიდაციის მომზადებით ბურჟუაზია აკეთებდა დიდ პროგრესულ საქმეს, გამოდიოდა როგორც კლასი, რომელიც იბრძოდა არა მარტო თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, არამედ მთელი საზოგადოების კლასობრივი ინტერესებისათვის[160].

საწარმოო ძალთა განვითარებაში ბურჟუაზიის როლზე მსჯელობისას ბოსლეველი ასევე განიცდის მარქსიზმის ფუძემდებელთა მოძღვრების გარკვეულ გავლენას. ამ მსჯელობაზე დაკვირვებისას თვალწინ წარმოგვიდგება მარქსიზმის ფუძემდებელთა ის შეფასება, რომლის

---

160 კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 56—57. ამ დებულების ინტერპრეტაცია იხ. В. П. Волгин. Очерки истории социалистических идей, М., 1975, с. 265.

თანახმად „თავისი კლასობრივი ბატონობის ხანაში, რომელიც ძლივს ერთი საუკუნეა რაც გრძელდება, ბურჟუაზიამ უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო უზარმაზარი საწარმოო ძალები შექმნა, ვიდრე ყველა წარსულმა თაობამ, ერთად აღებულმა“[161]. ასე რომ, ბურჟუაზიის „უაღრესად რევოლუციური როლი“ ისტორიაში, ისევე როგორც მის მიერ „პირადი ღირსების საცვლელ ღირებულებად“ გადაქცევა ბოსლეველს ძირითადად მართებულად ესმოდა. მისი სამართლიანი აზრით, სწორედ ფეოდალიზმის ლიკვიდაციისათვის და რევოლუციური გარდაქმნის მოხდენისათვის იყო კაპიტალიზმი პროგრესული მოვლენა. მისი შეხედულება კაპიტალიზმის არსისა და ისტორიული ადგილის შესახებ განსხვავდებოდა არა მარტო ანარქისტული შეხედულებისაგან, არამედ ბურჟუაზიული ლიბერალების თვალსაზრისისაგანაც.

ბურჟუაზიული ლიბერალიზმისათვის კაპიტალიზმი იდეალური საზოგადოებრივი წყობილება იყო, რომელსაც უნარი შესწევდა განვითარებინა საწარმოო ძალები და სამუშაო მიეცა მოსახლეობის არაშეძლებული ფენებისათვის. ბურჟუაზიულ ლიბერალთა აზრით, კაპიტალიზმი იწვევდა არა მარტო წარმოების მასშტაბის გადიდებას, არამედ მოსახლეობის ფართო ფენების სიმდიდრის ზრდასაც. ამის საწინააღმდეგოდ, ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების მაგალითზე, ბოსლეველი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი ფეოდალიზმთან შედარებით სხვა სახის ბატონყმობაა, რომ კაპიტალისტური განვითარების შედეგად მშრომელი ცუდ პირობებშია ჩაყენებული, რომ კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამახასიათებელია მშრომელი მასების ექსპლოატაცია, რომ მართალია, კაპიტალიზმმა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარება დააწინაურა, აიყვანა ის მაღალ დონეზე, მაგრამ ამ განვითარებას არ ყვება მშრომელთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება, პირიქით, კაპიტალიზმი უფრო მასობრივ სიღატაკეს ამკვიდრებს, რომ მუშათა კლასისათვის მას მოაქვს უმუშევრობა. მსგავსად რუსი რევოლუციონერი დემოკრატებისა, ბოსლეველი აღიარებდა, რომ წვრილი წარმოება კაპიტალიზმის პირობებში იშლება. ამ დაშლის მიზეზი არის საკონკურენციო ბრძოლა წვრილსა და მსხვილ წარმოებას შორის, ამ ბრძოლაში გამარჯვება მის მხარეზეა, ვინც შეიარაღებულია უახლესი ტექნიკით და ვისაც გააჩნია სხვა ეკონომიკური უპირატესობანი წვრილ მეურნეობასთან შედარებით.

ბოსლეველი აღიარებს, რომ მანქანური ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ძლიერდება მუშათა კლასის ექსპლოატაცია და იზრდება უმუშევრობა. ბოსლეველს მითითებული აქვს, რომ ბურჟუაზიის

---

161 კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი (რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950, გვ. 16).

სიმდიდრის წყარო მშრომელთა შრომაა, რომ კაპიტალიზმი კონტრასტებისა და წინააღმდეგობათა სამყაროა. ერთ მხარეზეა კაპიტალი, მეორე მხარეზეა შრომა, ერთ მხარეზეა სიმდიდრე, მეორეზე შიმშილი და სიღატაკე. მრეწველობის განვითარება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, სამრეწველო გადატრიალება არ იწვევს ხალხთა მასების მდგომარეობის განკარგებას. ეკონომიკისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევები იწვევენ უბრალო ადამიანთა უფრო მეტ ჩაგვრას და ცხოველურ მდგომარეობაში ჩაყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ ბოსლეველი ბურჟუაზიული ურთიერთობის მოუმწიფებლობის ვითარებაში, სოციალურ-ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილ ქვეყანაში ცხოვრობდა, მან შეძლო გარკვეულიყო კაპიტალისტური სამყაროს ექსპლოატატორულ ბუნებაში და ეჩვენებინა მშრომელთა მძიმე მდგომარეობა. მან ვერ შეძლო სიცხადით განემარტა პროლეტარიატის ექსპლოატაციის რაობა, მისი გაღატაკების მიზეზები, სამაგიეროდ მიანიშნა, რომ ეს მიზეზები ბურჟუაზიული წყობილების ბუნებაშია საძებარი. იგი ვერ ჩასწვდა კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას, სამაგიეროდ მისთვის დამახასიათებელი უსამართლობის უმთავრეს წყაროდ ექსპლოატაციის ბატონობა ჩათვალა.

კაპიტალიზმის კრიტიკა ბოსლეველმა ზუსტ სისტემად ვერ ჩამოყალიბა, კაპიტალიზმის კრიტიკიდან მის სრულ უარყოფამდე ვერ მივიდა, თუმცა მიუახლოვდა იმის გაგებას, რომ კაპიტალიზმი არაა მარადიული, რომ ბურჟუაზიული წყობილების მოსპობა აუცილებელია, რამდენადაც გარდაუვალია ახალი, სამართლიანი წყობილების — სოციალიზმის დამყარება. ამ ჭეშმარიტების გაგებას ბოსლეველი მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაშრომების გავლენით მიუახლოვდა.

IV

ბოსლეველის სიმპათიები მშრომელთა, პირველ რიგში, მუშათა კლასის მხარეზეა. ამ კლასის არსებობის პირობებს იგი თვალს ადევნებდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში. ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ფორმაციული ხასიათის კანონზომიერებანი და თავისებურებანი, მათი წოდებრივი თუ კლასობრივი სტრუქტურა ძირითადად სწორად ესმოდა ბოსლეველს, რომელიც წინაკაპიტალისტურ ვითარებას ასე ასახავდა: „კერძო, ანუ პირადის ინტერესების სამსახური წინეთაც სუფევდა ჩვენს ცხოვრებაში; უკმაყოფილებას, წოდებათა შორის ანტაგონიზმს ჩვენი წარსულიც კარგად იცნობდა; საზოგადოების ერთი ნაწილისაგან ოფლის ღვრას და ამ ოფლის ღვრით შეძენილის ნაყოფის მეორე ნაწილისაგან უშრომლად მოხვეჭას უფრო ფართო

ადგილი ეკავა; ადამიანის პირადის და ქონებითი უფლების უარყოფა ჩვენს წარსულში ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ეს მოვლენა ისე სამართლიანად მიაჩნდათ, რომ პროტესტსაც კი არ იწვევდა, ე. წ.-ს მამულის შვილების მხრივ"[162].

ასევე ააშკარავებდა ბოსლეველი კაპიტალიზმის „ბოროტებებს", მშრომელთა ექსპლოატაციის ყოვლად შეუწყნარებელ სისასტიკეს. იგი თანაუგრძნობდა კაპიტალისტური საზოგადოების ჩაგრულ კლასს, „მწარმოებელ მუშას", რომლის ოფლით და გარჯით ბურჟუაზია მდიდრდება, რაშიც მშრომელის სრული უუფლებობაც ვლინდება. პუბლიცისტი წერდა: „გასაკვირველიც არ არის, რომ ხანდახან მწარმოებელი მუშა „შიმშილით" და „სიცივით" კვდებოდეს და ამავე დროს სხვა მცონარე ვინმე ფუფუნებდეს. სიმდიდრის შექენა და ცხოვრების წესიერად მოწყობა, ნივთიერი კეთილდღეობა მარტო შრომაზედ არ არის დამოკიდებული, არამედ იგი განისაზღვრება იმ უფლებითაც, რომელსაც სახელმწიფო აძლევს მუშას თავის შრომის ნაყოფზედ"[163].

გასაკვირი არაა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, უმკაცრეს ცენზურულ პირობებში, ფეოდალური თუ ბურჟუაზიული საზოგადოების ნიშანდობლივი სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი უკუღმართობა უფრო მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული.

პუბლიცისტს ისიც აღაშფოთებს, რომ გაბატონებული კლასები სახელმწიფო გადასახადებსაც არ იხდიან, ხარჯები ხალხმა უნდა გაიღოს, საქმე კი გაბატონებულ კლასს უკეთდებაო: „ამით მართლდებაო იტალიელი მუშის ჩივილიც, რომ იგი სთესავს და მკის ჭირნახულს, მაგრამ თეთრ პურს ვერა სჭამსო"[164].

როგორ აქვს ბოსლეველს წარმოდგენილი ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისთვის ერთია ეს სტრუქტურა რუსეთში, მეორეა დასავლეთ ევროპაში. ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთის პირობებში ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მემამულეებსა და გლეხობას, აგრეთვე ამ კლასებიდან ცალკე გამოყოფდა ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს. ევროპის დაწინაურებული სახელმწიფოებისათვის იგი ცნობდა, რომ აქ საქმე გვაქვს ბურჟუაზიული საზოგადოების ორ ძირითად კლასად დაყოფასთან: ბურჟუაზიასთან და პროლეტარიატთან — მუშათა კლასთან. რას წარმოადგენს ბურჟუაზია, როგორი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მატარებელია ეს საზოგადოებრივი კლასი? ბოსლეველის წარმოდგენით, ეს პრივილეგიური კლასია, იგი შედგება სხვადა-

---

162 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 216.
163 იქვე, გვ. 171.
164 იქვე.

სხვა სახის სიმდიდრისა და წარმოების საშუალებათა მფლობელებისაგან. ამ კლასის წარმომადგენლებია საქმოსნები — ვაჭრები, ფაბრიკანტები, სხვადასხვა სახის სპეკულანტები და ბანკირები, მრეწველები და სოფლის აგრარიები. მათი სიმდიდრის წყაროა სამრეწველო-სამეურნეო და სავაჭრო მოსაქმეობა, ისინი მდიდრდებიან არა მარტო უსინდისო და ბინძური, კომბინატორული მაქინაციების, არამედ მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის გზით. ბურჟუაზიული კლასი წინააღმდეგობაშია არისტოკრატიულ კლასებთან — საერო და სასულიერო ფეოდალებთან მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპაში იმათ აქვთ ერთიანი ფრონტი, შეკრული მუშათა კლასის წინააღმდეგ. ევროპის სახელმწიფოებში ზოგან ბურჟუაზია ბატონობს სახელმწიფოში და ზოგანაც ის იყოფს პოლიტიკურ ძალაუფლებას მიწისმფლობელ არისტოკრატიასთან.

ბოსლეველის აზრით, ევროპის ქვეყნებში არსებობს მრავალრიცხოვანი კლასი გლეხობისა. როგორია ამ კლასის მდგომარეობა და პერსპექტივები კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ის იშლება: ძირითადი მასა პროლეტართა რიგებში ექცევა, მცირერიცხოვანი კულაკობა სოფლის ბურჟუაზიას ქმნის. მეორე ძირითად კლასს წარმოადგენს მუშათა კლასი — პროლეტარიატი. ის მშრომელთა კლასია, ქონებას, წარმოების საშუალებებს მოკლებული. კაპიტალისტურ საზოგადოებაში მას შეუძლია დაქირავებული შრომით ირჩინოს თავი. ის შრომობს ქარხნებსა და ფაბრიკებში, მისი შრომის დიდ ნაწილს კაპიტალისტი მუქთად ითვისებს. როდესაც მუშის გამოყენება წარმოებაში ზედმეტი გახდება, მას ქუჩაში გამოაგდებენ და თუ ის ხელახლა სხვა კაპიტალისტის წარმოებაში გამოყენებულ არ იქნა, უმუშევრად რჩება და შიმშილით სიკვდილი მოელის. პირველი და ძირითადი წინააღმდეგობა მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ეკონომიკურ ნიადაგზე წარმოიშობა. მუშა იბრძვის თავის პიროვნების ადამიანურ პირობებში ჩაყენებისათვის, მისი შრომისა და ცხოვრების ნორმალური ორგანიზაციისათვის, ხოლო კაპიტალისტი მას უყურებს როგორც საწველ ფურს და ესწრაფვის მუშის შრომის უნარი ჩალის ფასად იყიდოს. ასეთია ეკონომიკური აზრით პროლეტარიატი ბოსლეველის წარმოდგენაში.

ორიოდე დამატებითი შენიშვნა კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ რუსეთსა და ევროპაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხშიც ბოსლეველი განიცდის მარქსიზმის გავლენას. მისი ნაწერების შესწავლა გვარწმუნებს, რომ პუბლიცისტი ამ საკითხში დაცილებული იყო ხალხსნურ თვალსაზრისს, იგი მოითხოვდა გადასინჯულიყო ხალხსნური თვალსაზრისი კლასების როლის შესახებ. ჯერ ერთი, ის დაუპირისპირდა იმ თეორიებს, რომლებიც კლასთა ჰარმონიულობას

ქადაგებდნენ. იგი ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ურთიერთობაში ხედავდა არა კლასთა თანამშრომლობის საფუძვლებს, არამედ იმას, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა კლასებს ერთმანეთს უპირისპირებს და რომ მუშათა კლასს და მშრომელებს აქცევს ისეთ კლასად, რომელიც არ შეიძლება არსებულის რადიკალური ნგრევის მომხრედ არ გამოვიდეს. ეს იმიტომ, რომ მშრომელი კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში დაჩაგრული და ღატაკია და რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ამაე დროს ბოსლეველი ეძებდა იმ სოციალურ ძალებს, რომლებიც სოციალიზმის განხორციელებით თანმიმდევრულად იყვნენ დაინტერესებულნი. იგი ფიქრობდა, რომ ხალხსნებმა ამ მიმართულებით მოახდინეს გლეხობის იდეალიზაცია, ჩათვალეს ის რევოლუციურ სოციალისტურ ძალად. მართალია, მან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის, კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების დაუსრულებლობის შედეგად და უდროოდ დაღუპვის გამო ვერ მოასწრო დაემთავრებინა თავის შეხედულებათა განვითარება კლასების შესახებ, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სოციალიზმის განხორციელების საქმე მისი წარმოდგენით დაკავშირებული იყო მუშათა მოძრაობასთან და მუშათა კლასი წარმოადგენდა იმ სოციალურ ძალას, რომელიც დაინტერესებული იყო სოციალიზმის განხორციელებით და ევროპაში პრაქტიკულად იბრძოდა ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ბოსლეველი, უტოპიური სოციალისტებისაგან განსხვავებით, პრივილეგიურ კლასებს ანტისოციალისტურ ძალებად თვლიდა და რომ ვერავითარი სოციალისტური პროპაგანდა, რაოდენ მომხიბვლელად არ უნდა დაეხატათ სოციალიზმი, ვერ გადმოიყვანდა მათ სოციალიზმის მხარეზე. ამავე დროს, ჩვენი აზრით, ე. ბოსლეველის პუბლიცისტიკაში მოხაზული არის ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც მაშინ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იდგა. იგი არ ფიქრობს, რომ საქართველოსა და რუსეთში არ არის აუცილებელი განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური გადაიარაღება. ხალხსნობა მას არ მიაჩნდა სწორ სოციალისტურ იდეოლოგიად.

ბოსლეველი ფიქრობს, რომ რუსეთში და საქართველოში დღის წესრიგში დგას დიდი პოლიტიკური ამოცანა — ცარიზმის დანგრევა. მისი აზრით, ცარიზმის დანგრევა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, ამისთვის პირობების მომზადება, რევოლუციონერთა უძირითადესი ამოცანაა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ევროპისათვის მას სოციალიზმის განხორციელება მუშათა მოძრაობის ძირითად ამოცანად

მიაჩნდა. მის ნაწერებში დიდი თანაგრძნობაა გამოხატული მუშათა-რევოლუციური მოძრაობისადმი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი. როგორც ჩანს, იგი სერიოზულად ადევნებდა თვალს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. მართალია, ბევრი ბურჟუაზიული მოღვაწის, ეკონომისტისა და სოციოლოგის ნაწერებში იგი ვერ ხედავდა ბურჟუაზიულ ხასიათს, სამაგიეროდ მარქსი მას მიაჩნდა დიდ სოციალისტურ მოაზროვნედ.

ბოსლეველს არ დასცალდა ბოლომდე გარკვეულიყო მარქსის მეცნიერულ-პოლიტიკურ იდეებში, მაგრამ მისთვის ცხადი იყო, რომ კომუნისტური მანიფესტი წარმოადგენდა ისეთ სოციალისტურ ნაწარმოებს, რომლითაც განმათავისუფლებელ მოძრაობას უნდა ეხელმძღვანელა. რაკი კვლავ საკითხავია, უახლოვდება თუ არა ბოსლეველი მარქსისტულ წარმოდგენას პროლეტარიატის შესახებ, თუ იგი დგას უტოპიური სოციალიზმის თვალსაზრისზე, შევნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით უტოპიური სოციალიზმიდან ამ საკითხში ბოსლეველმა წინ გადადგა ნაბიჯი. ბოსლეველის წარმოდგენაში პროლეტარიატი არ არის უბრალოდ ჩაგრულთა კლასი, ესაა კლასი, რომელიც რიცხობრივად იზრდება და რომელიც კლასობრივად იწვრთნება კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ჩვენი აზრით, არ იქნება ბოსლეველის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა მოდერნიზაცია თუ ვიტყვით, რომ ევროპაში მუშათა კლასი მიაჩნდა ძალად, რომელიც ებრძვის ბურჟუაზიას და იბრძვის ბურჟუაზიული წყობილების სოციალიზმით შეცვლისათვის. რასაკვირველია, ასეთი წარმოდგენა არ არის მარქსისტული წარმოდგენა პროლეტარიატის როლის შესახებ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს მხოლოდ რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისია პროლეტარიატის შესახებ.

ბოსლეველის შეხედულებებში პროლეტარიატზე ვერ ვხვდებით მოსაზრებებს პროლეტარიატის როგორც მშრომელთა ბელადის შესახებ, როგორც მოწინავე სოციალისტური კლასის შესახებ, რომელიც თანმიმდევრულად დაპირისპირებულია ბურჟუაზიულ და მემამულურ კლასებთან და რომელმაც, მშრომელთა სხვა ფენებთან კავშირში, პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით უნდა განახორციელოს სოციალიზმი. ბოსლეველის პუბლიცისტიკაში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არ არის ვრცლად დახასიათებული სოციალიზმი და ამიტომ ძნელი წარმოსადგენია თუ რით განსხვავდება მისი სოციალიზმი მარქსისტული სოციალიზმისაგან.

ბოსლეველის ნაწერებიდან არ ჩანს, რომ საქართველოს პირობებისათვის იგი მარქსიზმის გამოყენებას უარყოფითად ეკიდებოდეს.

ამ ნარკვევში ვერ შევჩერდებით საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კონკრეტულ საკითხებზე, მაგრამ უდავოა, რომ

ბოსლეველმა ძირითადად სწორი მოსაზრებები გამოთქვა ჩვენი ქვეყნის განვითარების შესახებაც.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იგი ხედავდა ბურჟუაზიულ ურთიერთობებს საქართველოში, იმ ცვლილებების ჩანასახსაც, რომელთაც კაპიტალიზმის განვითარება იწვევდა ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში.

V

ბოსლეველი ხშირად ეხებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მუშათა კლასის მდგომარეობასა და ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მუშებს უპირისპირდება სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც პუბლიცისტის გაგებით გაბატონებული კლასის — ბურჟუაზიის ინტერესების დამცველია. მუშათა მოძრაობის აწმყოსა და პერსპექტივაზე მსჯელობისას ბოსლეველისათვის უცხო იყო აზრი, რომლის თანახმად თავდაპირველად მშრომელთა ეკონომიკური მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს და პოლიტიკური უფლება თავისთავად შოყვება ამ გაუმჯობესებას. ამის უსწორობას, ბოსლეველის თქმით, „ამტკიცებს თანამედროვე ცხოვრების გამოცდილებაც“[165].

ფრიად საგულისხმოა და ნიშანდობლივი, რომ გ. მაიაშვილის მტკიცებას: „შესცვალეთ ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკური მდგომარეობა თავისთავად შეიცვლებაო“, ბოსლეველმა დაუპირისპირა კარლ მარქსის ავტორიტეტი და „1847 წლის მანიფესტის“ ფუძემდებლური დებულება: „მუშა ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უღელი შემუსროს (ცენზურა)“[166]. ამის მიუხედავად, გამოითქვა მოსაზრება, რომ პუბლიცისტის ცენზურაგავლილი ნაწერები არ იძლევიან იმის ზუსტად დადგენის საშუალებას, თუ რას გულისხმობდა იგი მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვებაში — პროლეტარიატის შემდგომ ბრძოლას დემოკრატიული უფლებების გაფართოებისათვის ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში, თუ ბრძოლას პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის[167].

ჩვენი ფიქრით, რაკი ლაპარაკი შეეხებოდა „კაპიტალისტების უღლის შემუსვრას“, ბოსლეველთან, ისევე როგორც „1847 წლის მანიფესტში“, უნდა ვიგულისხმოთ ბრძოლა პროლეტარიატის ხელისუფ-

---

165 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 173.

166 იქვე, გვ. 171—172.

167 Г. И. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, ч. II, с. 168.

ლებისათვის და არა მუშათა კლასის უფლებებისათვის კაპიტალიზმის პირობებში, თუმცა ბოსლეველის ნაწერებში არაერთგან ვხვდებით ისეთ მსჯელობებს, რომელთა შორის ერთი მხარს უჭერს ჩვენი წინამორბედი მკვლევრის, გ. მეგრელიშვილის, მოსაზრებას, ხოლო მეორენი პირიქით, მის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. ეს, პუბლიცისტის ის გამონათქვამები, რომლებიც ჩვენი მკვლევრის მოსაზრების სასარგებლოდ უფრო გამოიყურებიან, ვიდრე საწინააღმდეგოდ. ერთგან ბოსლეველი წერს: „გერმანელი მუშა პოლიტიკურის უფლებით კი სარგებლობს, მაგრამ ამ უფლებათა ვერც იგი დაუხსნია ბურჟუაზიის ექსპლოატაციისაგან". ეს ფაქტი, პუბლიცისტის აზრით, განა იმას ნიშნავს, რომ „პოლიტიკური უფლების მოპოვებაზე ზრუნვა წყლის ნაყვა იყოს და ეს უფლება ხალხს არ ეხმარებოდეს ეკონომიკურს კეთილდღეობის მოპოვებაში?"[168] მეორე ადგილას ბოსლეველი საუბრობს დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში (საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისში) საზოგადო მოღვაწეთა მეცადინეობაზე იმისათვის, რომ პოლიტიკური უფლებების გამოყენებით მიაღწიონ ხალხის „ეკონომიური მდგომარეობის განკარგვას, მეცადინეობენ, რომ ამ უფლებათა საშუალებით მუშა ხალხი თავის ოფლის ნაყოფის მესაკუთრედ გახადონ"[169].

პუბლიცისტი აკვირდება „მოძრაობას, რომელსაც ჩვენს დროში მთელი ევროპა ხელში უპყრია", მხედველობაშია „მუშათა საქმე", რომელიც, მისივე სიტყვებით, იქ „დღეს პირველ პლანზე სდგას". „მუშა ხალხის ცხოვრების განკარგება, — ეს საქმე წარმოადგენს საზოგადო სოციალურ საგანს. მაგრამ, — განაგრძობს ბოსლეველი, — დაუკვირდით მუშების განათლებულ, წრფელსა და უერთგულეს წარმომადგენლებს და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი იღწვიან სხვათა შორის, იმაზედ, რომ პოლიტიკური უფლება, სახელმწიფო საქმეებში ხმის უფლება მიენიჭოთ მუშებს და დაბალს ხალხს უფრო მომეტებულად ფართოდ, ვინემ აქვთ მონიჭებული. რატომ? იმიტომ, რომ ამით შესაძლებელია სახელმწიფო ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილები ისე მოაწყოს, რომ მუშა-მწარმოებელი ულუკმა-პუროდ, მშიერ-მწყურვალი, შიშველი და გაუნათლებელი დარჩეს"[170].

ეს ვრცელი ამონაწერიც, ერთი შეხედვით, თითქოს უფრო იმ აზრს უჭერს მხარს, რომ ბოსლეველის გაგებით მუშათა კლასს პოლიტიკური უფლებანი უნდა მოეპოვებინა ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში და ის გამოეყენებინა იმავე წყობილების პირობებში სა-

---

168 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 170.
169 იქვე, გვ. 169.
170 იქვე, გვ. 173.

კუთარი ეკონომიკური მდგომარეობის განკარგებისათვის. არც ის ვარაუდია დასავიწყებელი, რომ ბოსლეველის აზრის არასრული სიცხადე ცენზურული პირობებით შეიძლება აიხსნებოდეს.

მეორე მხრივ, როგორც ითქვა, ბოსლეველის ნაწერებში ხშირად ვხვდებით უფრო რადიკალურ, უაღრესად გაბედულ აზრებს, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ ის მუშათა კლასის პოლიტიკურ ბრძოლას უფრო დიდ მიზანს უსახავდა, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში მშრომელთა მდგომარეობის რამდენადმე განკარგებაა.

ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია, რომ ბოსლეველს ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წყობილება გაბატონებული კლასის დამცველად და მშრომელი ხალხის მტრად მიაჩნდა და ამიტომ სახავდა პირველის წინააღმდეგ მეორის პოლიტიკური ბრძოლის გზას, მეორეც, ბოსლეველის მრავალ სტატიაში ის აზრია გატარებული, რომ ბურჟუაზიული მთავრობისა და გაბატონებული კლასებისაგან დიდი დათმობების მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს სოციალურად და ეროვნულად დაჩაგრულ მშრომელ ხალხს, რომ ხალხის საქმეს არც ქადაგება უშველის. „იყო დრო, — წერდა ბოსლეველი, — როდესაც ჰფიქრობდნენ, რომ ქადაგებით, ჰკუის დარიგებით ცხოვრებაში სამართლიანობის დამყარება, ადამიანთა გაკეთილშობილება შეიძლებოდა“[171]. იგი იქვე დასძენს, რომ იმ დროს ლიტერატურა ნამდვილ ცხოვრებას თვალს არიდებდა და მკითხველი შეჰყავდა „რაღაც თვითონ მწერლებისათვის გაუგებარს ოცნების ქვეყანაში. მაგრამ შემდეგში ამგვარს ცრუ მიმართულებას ლიტერატურაში ფასი დაეკარგაო“[172]. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს სტრიქონები გამოქვეყნდა 80-იანი წლების სუსხიანი რეაქციის პერიოდში, როცა ცენზურა მანამდე არნახული სისასტიკით მძვინვარებდა.

სწორედ ქართველი ხალხის სოციალური ჩაგვრისა და ეროვნული დევნის ვითარებაში ბოსლეველს აღმოაჩნდა მოქალაქეობრივი გამბედაობა განეცხადებინა: „ხალხის ცხოვრება, მისი აწმყო და მომავალი მხოლოდ მაშინ სდგას წარმატების გზაზედ, როდესაც... ამ ხალხის მოწინავე განათლებული ნაწილი ნამდვილს მამულის-შვილობას უწევს თავის ქვეყანას, როდესაც ამ ნაწილს თავის ღვიძლი ერის ერთგულება თბედ გადაჰქცევია, და ყოველს ძარღვში გასჯდომია. ბევრად თუ ცოტად ცნობიერი ცხოვრება, თანამედროვე ცხოვრების ვარამისა და სიბოროტის გაგება, საზოგადოებრივის ორღანიზმის ტკივილების მიზეზთა გამოკვლევა და ამ ტკივილებისათვის უებარ წამალთა

171 ბოსლეველი, ნაწერები, გვ. 240.
172 იქვე.

გ ა მ ო ძ ე ბ ნ ა დ ა მ ო ხ მ ა რ ე ბ ა, მხოლოდ საზოგადოების გონება-გახსნილის ნაწილის ხვედრია"[173].

სხვათა შორის, ბოსლეველს მშვენივრად ესმოდა, რომ მშრომელებს საკუთრივ არ ძალუძთ შეიგნონ თავისი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის ძიების აუცილებლობა და რომ ეს შეგნება მათ წრეში საზოგადოების „განათლებულ ნაწილს" უნდა შეეტანა. იგი წერდა: „სახელმწიფოს ნამდვილი ტკივილი და ამის გამჩენი მიზეზი უფრო ცნობიერად შეგნებული გონება-განათლებულსა აქვს"[174]. როგორც ცნობილია, პროლეტარიატიც კი, როცა ის ქონებამოკლებულ მასებს გამოეყო როგორც ახალ კლასის ჩანასახი, „ჯერ კიდევ სრულიად მოკლებული იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარს, ჩაგრულ, ტანჯულ წოდებას წარმოადგენდა, რადგან თავის თავის შველა არ შეეძლო, მხოლოდ გარედან, მხოლოდ ზემოდან თუ შეიძლებოდა მისი დახმარება"[175].

ბოსლეველის არაერთ სტატიაში პრინციპული საუბარია მისი თანამედროვე „ცხოვრების უკუღმართობაზე", იმაზე, რომ ბედკრულ ცხოვრებას მშრომელი ადამიანის „თავზედ კალო გაუმართავს სხვისდა სასარგებლოდ". მკითხველს იგი დაბეჯითებით შთააგონებს: თუ „ტკივილმა" ადამიანი „ე რ თ ო ბ გ ა ა მ წ ა რ ა, მ ა შ ი ნ მ ო თ მ ი ნ ე ბ ა ს ა ზ ღ ვ ა რ ს გ ა დ ა დ ი ს დ ა ხ ა ლ ხ ი ა ღ ს დ გ ე ბ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს, თ ა ვ ი ს კ ა ც ო ბ რ ი უ ლ ღ ი რ ს ე ბ ა-თ ა დ ა ს ა ც ა ვ ა დ დ ა გ ა მ ძ ვ ი ნ ვ ა რ ე ბ უ ლ მ ხ ე ც ს ა ვ ი თ მ უ ს რ ს ა დ ე ნ ს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს, თ ი თ ქ მ ი ს გ ა ნ უ რ ჩ ე ვ ლ ა დ, — მ ა შ ი ნ მ ო ხ დ ე ბ ა ხ ო ლ მ ე ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა, რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, რომელიც მხოლოდ დაქცევის წადილით არის შეპყრობილი"[176]. აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ იმაზე, რომ რევოლუციის მიერ „დაქცევის წადილი", უპირველეს ყოვლისა, „უკუღმართი" ცხოვრების აღკვეთას უნდა გულისხმობდეს. გონიერი მთავრობა, ბოსლეველის თქმით, მოვალეა საზოგადოება ზემოხსენებულ შდგომარეობამდე არ მიიყვანოს, „დროის სატკივარს შესაფერისი წამალი მოუნახოს", რომ ეს სატკივარი „საიდუმლო სნეულებად არ გადაიქცეს"[177].

პუბლიცისტის პოლიტიკური მრწამსის შეფასების თვალსაზრისით უმნიშვნელო არც ის მოწოდებაა, რომლითაც მან „ხალხის გონებითა

---

173 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 196 (ხაზგასმა ჩვენია. — გ. მ.).
174 იქვე, გვ. 197.
175 ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი დიურინგი, თბ., 1952., გვ. 304.
176 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 196—197 (ხაზგასმა ჩვენია. — გ. მ.).
177 იქვე, გვ. 197.

და ზნეობით განვითარებულ ნაწილს“, „მოწინავე დასს“, მიმართა: მაშინ, როცა საზოგადოებას შეძლება არა აქვს „ხმა აიმაღლოს თავის ტკივილებზედ, იზრუნეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად“[178].

ზოგიერთი ავტორი, როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობს, რომ ბოსლეველი რეფორმისტ სოციალისტთა კატეგორიას მიეკუთვნება. არაერთი სხვა ავტორი კი ამტკიცებს, რომ ბოსლეველს არ ქონდა ჩამოყალიბებული თავისი საზოგადოებრივი იდეალი. არც ერთი ეს შეხედულება არ არის მართებული.

იმის დასადგენად, რომ ბოსლეველი რეფორმისტი სოციალისტი არ იყო, მნიშვნელოვანია მისი მსჯელობა ცხოვრების „ჰუმანიურად“ მოწყობაზე, „ერთი ერისაგან მეორე ერის დამონავებაზე“, რაზეც მან საკუთარი მოსაზრება ჩამოაყალიბა ეროვნულ საკითხზე ერნესტ რენანის მოძღვრების განხილვისას. ბოსლეველი წერდა: თუ ერთა ძმობის, თავისუფლების და თანასწორობის იდეებს „საუბედურო, ჯერ კიდეკ არ მიუღია მოქალაქეობა პოლიტიკაში, თუ ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ მოწყობილა ამ ჭეშმარიტ... ჰუმანურის შეხედულებისდაგვარად, ეს იმიტომ, რომ უმრავლესობა ჯერ კიდევ ყრუა. მაგრამ მოვადრო, — და ეს შორსაც აღარ არის, — როდესაც დღევანდელი მდგომარეობა დამონავებულის ხალხებისა გააძლიერებს მათში თვითცნობიერებას, გამოიწვევს რეაქციას და მაშინ, ეს დამონავებული ხალხები შეანძრევენ ძალუმად თანამედროვე წყობილებას“ და მის ნანგრევებზე აღმართავენ ძმობის, თავისუფლებისა და თანასწორობის სამყაროს[179].

ამ სტრიქონების ავტორი, ვფიქრობთ, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის მომხრეა და ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში დემოკრატიული უფლებების გაფართოებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის მოტრფიალეთა ბანაკს არ შეიძლება განეკუთვნებოდეს, მით უმეტეს, რომ გ. მაიაშვილის „წერილის“ პირველ საპასუხო „კრიტიკულ მიმოხილვაში“ (1881) ბოსლეველი, ისევე როგორც მაიაშვილი, აღიარებს, რომ „გერმანელი მუშა პოლიტიკური უფლებებით კი სარგებლობს, მაგრამ ამ უფლებათა ვერც იგი დაუხსნია ბურჟუაზიის ექსპლოატაციისაგან“[180]. მკაცრი ცენზურული პირობების გამო იოლი როდი იყო რადიკალური აზრების ზედმიწევნით გასაგებად ჩამოყა-

178 ბოსლეველი, ნაწერები, გვ. 197.
179 იქვე, გვ. 207 (ხაზგასმა ჩვენია. — გ. მ.).
180 იქვე, გვ. 170.

ლიბება. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, უეჭველია ის, რომ „გერმანელი მუშის პოლიტიკური უფლებები" ბოსლეველისათვის არ იყო ის იდეალი, რისთვისაც, მისი იდეით, „მუშა ხალხის" პოლიტიკური ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო. ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ბრძოლის მიზანდასახულობა იყო მუშა ხალხის ხსნა „ბურჟუაზიის ექსპლოატაციისაგან".

მთავარი კი ისაა, რომ ბოსლეველს ესმოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი, მისი ჯალათური ბუნება და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის საჭიროება, რაც მისი დამსახურებაა გასული საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე.

საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში სრულიად ახალი სიტყვაა ბოსლეველის მიერ პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეის წამოყენება. იგი გულისტკივილით ჩიოდა, რომ ჩვენში (მაშინ) არ არსებობდა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია: „სულაც ის გახლავთ უბედურება, — წერდა ბოსლეველი, — რომ ჩვენმა ცხოვრებამ ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა არის პარტია, რა არის პოლიტიკური, გინა საზოგადოებრივი ორღანიზაცია"[181]. პუბლიცისტი იმაზეც წუხდა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ სიდუხჭირის მიზეზიც კი ვერ გაიგოო, სახელდობრ, ის რომ „ჩვენი კვნესის მიზეზი ჩვენსავე ცხოვრების ტანშია გამოკვანძული; მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერც ეს მიზეზი გაგვირკვევია ხეირიანად და ვერც ის მდგომარეობა სულისა, რომელიც პირდაპირი შედეგია ამ მიზეზისა"[182]. უამპირობოდ მშრომელთა პოლიტიკური ბრძოლის წარმართვა ბოსლეველს თითქმის შეუძლებლად და უპერსპექტივოდ ესახებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითაც, ვფიქრობთ, უდავოა, რომ ბოსლეველი იყო არა რეფორმისტი სოციალისტი, არამედ მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მომხრე რევოლუციონერი უტოპისტი სოციალისტი. მოცემულ კონტექსტში ბოსლეველზე მსჯელობისას ანგარიშგასაწევია ისიც, რომ მშვიდობიანი ხასიათის სოციალური რევოლუციისაგან უნდა განვასხვაოთ რეფორმა — საზოგადოებრივი ცხოვრების ამა

---

181 იქვე, გვ. 220—221, ბოსლეველის მიერ პარტიის შექმნის მოთხოვნას ხაზი გაუსვა მკვლევარმა ლ. გორგილაძემ, რომლის ვარაუდით ეს რუსეთის არალეგალური ნაროდოვოლელთა ორგანიზაციის გავლენით შეიძლება აიხსნას (იხ. ლ. გორგილაძე, სოციალიზმის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 352). ვფიქრობთ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიაც არაა დასავიწყებელი.

182 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 326.

თუ იმ მხარის ისეთი გარდაქმნა, რომელიც არ ცვლის არსებული სოციალური სტრუქტურის საფუძვლებს, ასევე ის, რომ სოციალური რევოლუციისაგან განსხვავებით რეფორმები არ იწვევენ ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასის შეცვლას, არც ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას, რომ ცნება რეფორმა რევოლუციის ცნების საპირისპიროა[183].

ბოსლეველს ესმოდა, რომ საზოგადოების განვითარება, გარკვეულ პირობებში, ადამიანთა აქტიური მოღვაწეობის, კლასობრივი ბრძოლისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეოხებით ხორციელდება. მისი ასეთი თვალსაზრისი XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაპოვარია, თუმცა ის უტოპიური სოციალიზმის პოზიციიდანაა ჩამოყალიბებული და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის საკმაოდ ნათელ პერსპექტივას ვერ სახავს, მის ავანგარდს ვერ ამჩნევს, ბრძოლის მეთოდებს ბუნდოვნად წარმოადგენს.

VI

ვიდრე ბოსლეველის უტოპიურ-სოციალისტურ შეხედულებებზე მსჯელობას შევუდგებით, შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი ავტორიტეტული მეცნიერის თვალსაზრისით „კომუნიზმის იდეა ისევე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია“[184]. ეს იდეა გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში იდეურ მიმდინარეობად, მოძღვრებად ყალიბდება.

მსოფლმხედველობას, თეორიას საერთოდ და, კერძოდ, სოციალისტურ მოძღვრებებს ქმნის არა მარტო განყენებული აზროვნება, არამედ, პირველ რიგში, მატერიალური ცხოვრების პირობები. „ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები გაბატონებული აზრებია, ე. ი. კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ძალას წარმოადგენს, იმავე დროს ამ საზოგადოების გაბატონებული სულიერი ძალაა“, რომ მატერიალური წარმოების საშუალებათა მფლობელი ამავე დროს „სულიერი წარმოების საშუალებებსაც განაგებს“, რომ „ამის მეოხებით მას ემორჩილება იმავე დროს საერთოდ იმათი აზრები, ვისაც სულიერი წარმოების საშუალებანი არ გააჩნია. „გაბატონებული აზრები, — განაგრძობენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — სხვა არა არის რა, თუ არა გაბატონებულ მატერიალურ

---

183 Исторический материализм, Минск, 1970, с. 152.

184 А. М. Деборин, Социально-политические учения нового времени, т. II, М., 1967, с. 7.

ურთიერთობათა იდეალური გამოხატულება, ე. ი. აზრების სახით გამოხატული გაბატონებული მატერიალური ურთიერთობანი".

ამავე დროს ისტორიული პროცესის მსვლელობაში „გაბატონებული აზრების" საპირისპიროდ ყალიბდება „იმათი აზრები, ვისაც სულიერი წარმოების საშუალებანი არ გააჩნია"[185], მათ შორის სოციალისტური და კომუნისტური იდეები.

უტოპიური სოციალიზმისა და უტოპიური კომუნიზმის იდეების აღმოცენება გენეტიკურადაა დაკავშირებული კაპიტალის პირველადი დაგროვების პროცესთან და ადრეული კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ექსპლოატაციის ფორმებთან[186]. სოციალიზმი, როგორც ყოველი ახალი თეორია, გამომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, მანამდე დაგროვილი იდეური მასალიდან[187].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ქართული უტოპიური სოციალიზმი და, სახელდობრ, ბოსლეველის უტოპიურ-სოციალისტური შეხედულება, რომელიც ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობების საწყისი ხანის პირმშოა, ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მისთვის ამოსავალი გახდა თერგდალეულთა სულიერი ჰეგემონიის ხანის იდეური მემკვიდრეობა. პუბლიცისტმა თავის წინამორბედთა — თერგდალეულთა — მდიდარი იდეური მემკვიდრეობის სახით, აგრეთვე მისი მეშვეობით და უშუალოდაც განიცადა „ჰუმანიზმის" (ვიწრო გაგებით XIV—XVI საუკუნეთა მოწინავე აზრის დიდი მიღწევის), XVIII საუკუნის „განმანათლებლობის", ამასთანავე მომდევნო ხანის მოძღვრებათა და სისტემათა გავლენა, იმ სწავლებათა ზეგავლენა, რომელნიც ცნობდნენ, რომ „ადამიანი უმაღლესი არსებაა ადამიანისათვის"[188].

როგორც ცნობილია, კარლ მარქსის დიად მოძღვრებაში (კლასობრივ ბრძოლაზე, სოციალისტურ რევოლუციაზე და მასში მუშათა კლასის როლზე) პირველად ჰპოვა არა აბსტრაქტული, არამედ კონკრეტული, თანმიმდევრულად მეცნიერული გადაწყვეტა ჰუმანიზმის მიერ პირველად დასმულმა პრობლემებმა, ისევე როგორც საერთოდ კაცობრიობის იდეოლოგიურ მემკვიდრეობაში დაყენებულმა სხვა შესაფერისმა პრობლემებმა.

მარქსიზმისათვის, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორიისათვის, ბრძოლა საქართველოშიც გახანგრძლივდა და მან

---

185 კ. მარქსი და ფ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგიიდან, გვ. 54.

186 В. П. Волгин. Французский утопический социализм, М., 1960, с. 11.

187 К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. 19, с. 189.

188 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 19, с. 189.

დიდი მსხვერპლი მოითხოვა. ამ მხრივ ანგარიშგასაწევია ის, რომ XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში საქართველო, როგორც იმპერიის განაპირა ეროვნული მხარე, ენერგიულად მონაწილეობდა და ის მოზიარე იყო რუსეთის ბედისა, რომელმაც მარქსიზმი „ჭეშმარიტად ტანჯვით მოიპოვა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით[189].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მარქსიზმის, როგორც დიდი მოძღვრების, გავლენა 1890-იან წლებამდეც არაერთმა ქართველმა მოაზროვნემ განიცადა, მათ შორის ბოსლეველმა, რომლის ნაწერებში კ. მარქსის დებულებები ხშირადაა დამოწმებული. ამიტომაცაა, რომ პუბლიცისტი ქართულ განმათავისუფლებელ მოძრაობას სოციალისტურ მიზნებს უსახავდა. სოციალიზმი მისთვის იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის მაღალი ფორმა, რომელიც თავისი არსით გამორიცხავდა მშრომელი მასების სიღატაკეს.

ბოსლეველს სოციალისტური ურთიერთობა ასე ჰქონდა წარმოდგენილი:

1. სოციალიზმი პირველ რიგში ეკონომიკური თანასწორობაა, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება, მასთან დაკავშირებული ანტაგონიზმი და ექსპლოატაცია.

2. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებები საზოგადოებრივ საკუთრებაშია და წარმოება საზოგადოების განკარგულებაშია.

3. სოციალიზმის დროს შრომა საზოგადოების ყველა წევრის მოვალეობა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის წყაროა. ჩვენი ავტორის განცხადებით, პირველად ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში სოციალიზმი ანხორციელებს პრინციპს: „იგი ვინც არ შრომობს, არც უნდა სჭამდეს“[190].

თავის პუბლიცისტურ წერილებში ბოსლეველი ყურადღებას ამახვილებს სოციალიზმის განხორციელების გზებსა და საშუალებებზე. მისი შეხედულებები ამ საკითხებში შეიძლება შეფასდნენ როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებებიდან მარქსისტულზე გარდამავალნი.

მისი სოციალიზმი მოცემული თვალსაზრისით არის არა რეფორ-

---

189 ვ. ი. ლენინი, „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში, თხზ., ტ. 31, გვ. II.

190 ბოსლეველი, ნაწერები, გვ. 163.

მისტული[191], როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, არამედ რევოლუციურ-პოლიტიკური.

რას ვგულისხმობთ როცა ვამბობთ, რომ ბოსლეველი ქართული პოლიტიკური სოციალიზმის წარმომადგენელიაო? რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს ბოსლეველის სოციალიზმს და რა და რა შემთხვევაში უსწრებს ის წინ მარქსამდელი სოციალიზმის სისტემებს?

ბოსლეველის მოსაზრებანი სოციალიზმის განხორციელების გზებსა და საშუალებებზე დიდ უტოპისტ-სოციალისტებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია.

როგორც ცნობილია, განმანათლებელთა იდეების გამგრძელებლები, რომლებმაც თავს იდვეს საზოგადოების ჰუმანისტური თეორიის შემდგომი დამუშავება, XIX საუკუნის დამდეგის დიდი უტოპისტებია. განმანათლებელთა მსგავსად, მათ, პირველ ყოვლისა, სურდათ არა განსაზღვრული კლასის, არამედ ერთბაშად მთელი კაცობრიობის განთავისუფლება[192].

XVIII საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსები, რომლებიც რევოლუციას ამზადებდნენ, გონებას მიმართავდნენ, როგორც ყოველივე არსებულის ერთადერთ მსაჯულს. ისინი ფიქრობდნენ, რომ შეიქმნებოდა გონიერი სახელმწიფო, გონიერი საზოგადოება. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მათი იმედები გააცრუა. „საჭირონი იყვნენ ადამიანები, რომელნიც დაადასტურებდნენ ამ იმედის გაცრუებას და ეს ადამიანებიც გამოჩნდნენ ახალი საუკუნის მიჯნაზე"[193]. ასეთებად ფ. ენგელსს დიდი უტოპისტები მიაჩნდა. თავისი სოციალური მნიშვნელობით XIX საუკუნის დამდეგის უტოპიური სოციალიზმი იმ გადატრიალების გამოხატულებაა, რომელიც მოხდა წარმოების წესში და ამის შესაბამისად საზოგადოების კლასობრივ აგებულებაში, რისი საგნობრივი გან-

---

191 როგორც აღინიშნა, ბოსლეველი განიცდიდა არა მარტო ქართველი „სამოციანელების", არამედ რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეების გავლენასაც, რომელნიც რევოლუციის მომხრენი იყვნენ და არა რეფორმებისა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ „Важнейшей особенностью русской революционной демократии является отказ ее идеологов от преобразования общества путем постепенных улучшений, как к тому призывали буржуазные просветители, путем реформаторской деятельности правительства, за что ратовали лакействующие либералы, или с помощью филантропических подвигов имущих, что проповедовали социалисты-утописты Запада. Все эти „рецепты" отвергались революционерами-демократами, которые открыто признавали лишь революцию" (Ю. С. Мелентьев. Революционная мысль России и Запад. М., 1966, с. 27).

192 ფრიდრიხ ენგელსი. სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ, თბ., 1970, გვ. 41.

193 ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 302.

სახიერებაა მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისა და სამრეწველო პროლეტარიატის კადრების წარმოშობა[194]. თავისი თეორიული ფორმით XIX საუკუნის დამდეგის უტოპიური სოციალიზმი თავდაპირველად გამოდის როგორც მხოლოდ იმ პრინციპების შემდგომი და უფრო თანმიმდევრული განვითარება, რომლებიც წამოაყენეს XVIII საუკუნის დიდმა ფრანგმა განმანათლებლებმა[195].

რობერტ ოუენი, სენ-სიმონი და შარლ ფურიე იყვნენ გენიალური მოაზროვნენი, რომლებმაც მოგვცეს კაპიტალიზმის ღრმა და ხშირ შემთხვევებში მეცნიერული კრიტიკა, გამოამჟღავნეს კაპიტალიზმის მთელი რიგი წინააღმდეგობანი, გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმმა მშრომელთა მასები აუტანელ პირობებში ჩააყენა, ცხოველურ მდგომარეობამდე დაიყვანა. დიდმა უტოპისტებმა გამოაშკარავეს, რომ კაპიტალისტურ სისტემას თან ახლავს დიდი სოციალური ბოროტებანი და მანკიერებანი, რომელთა გადალახვა ბურჟუაზიული ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია, გამოსავალი, მათი აზრით, სოციალიზმი იყო. მაგრამ როგორ შეიძლება ამ მაღალი და კეთილშობილი საზოგადოებრივი იდეალის განხორციელება, ჰარმონიული საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრება. საზოგადოებისა, რომელიც უზრუნველყოფს მშრომელთა ბედნიერებას, მათ მატერიალურ-კულტურულ კეთილდღეობას?

უნდა შევნიშნოთ, რომ სოციალიზმის განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ მათი შეხედულებანი უტოპიური და მეტად არარეალური იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ თუკი საზოგადოების პრივილეგიურ და შეძლებულ კლასებს, მმართველებსა და კანონმდებლებს, ე. ი. ბურჟუაზიული სახელმწიფოს წარმომადგენლებს, დაარწმუნებდნენ სოციალისტური წყობილების უპირატესობაში, სოციალიზმის ჰუმანურ ხასიათში, გაბატონებული კლასები და ბურჟუაზიული სახელმწიფო სოციალიზმის მხარეზე გადასვლას, მის განხორციელებას იმთავითვე დაიწყებდნენ. სენ სიმონს, მაგალითად, ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდა სოციალიზმის სასარგებლოდ მიაჩნდა გადამწყვეტ საშუალებებად სოციალიზმზე გადასასვლელად. იგი ფიქრობდა, რომ თუკი სოციალისტური პროპაგანდა ფართოდ შეიქრებოდა საზოგადოების მაღალ წრეებში, სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნებოდა. ამავე დროს, დიდი უტოპისტი რობერტ ოუენი ფიქრობდა, რომ მაგალითის ძალითაც შეიძლებოდა სოციალიზმისაკენ გზის გახსნა.

---

[194] В. П. Волгин. Очерки истории социалистических идей, М., 1975, с. 268.

[195] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 20, с. 16.

მიუხედავად თავიანთი გენიალობისა, დიდი უტოპისტ-სოციალისტები, კლასიკური უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლები, ყურადღებას არ აქცევდნენ კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლას და მშრომელებში არ ეძებდნენ სოციალურ ძალას, რომელსაც შეეძლებოდა ახალი საზოგადოების შემოქმედი ყოფილიყო. მუშათა კლასის შესახებ ისინი წუხდნენ, სურდათ მისი ჩაყენება ადამიანურ პირობებში. მაგრამ სოციალისტ-უტოპისტებისათვის პროლეტარიატი მხოლოდ არაფრისმქონე და ტანჯული კლასი იყო. ისინი პროლეტარიატში ვერ ხედავდნენ რევოლუციურ კლასს, რომელიც კაპიტალიზმის მესაფლავედ გადაიქცეოდა და სოციალისტურ მშენებლობას განახორციელებდა.

მართალია, ისინი მოუწოდებდნენ პროლეტარიატის განთავისუფლებისაკენ, მაგრამ აინუნშიაც კი არ მოსდიოდათ, რომ სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია მშვიდობიანი, რეფორმისტული გზით, რევოლუციური ბრძოლების, ანუ ბურჟუაზიის პოლიტიკური დაცემისა და პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის გარეშე. ამიტომ შენიშნავდა ლენინი, რომ რობერტ ოუენის, სენ-სიმონისა და შარლ ფურიეს სოციალიზმი არაპოლიტიკური სოციალიზმი იყო. ეს იყო სოციალიზმი კეთილი სურვილებისა და განზრახვათა და, რამდენადაც დრო გადიოდა, იგი, სწორედ იმიტომ, რომ რეფორმისტული იყო, მუშათა მოძრაობის განვითარების პირობებში რეაქციულ სოციალიზმად იქცეოდა და აფერხებდა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოახლოებას, რომლისთვისაც ასე გულწრფელად და თავდადებით მოღვაწეობდნენ დიდი უტოპისტები.

უდავოა, რომ ასეთი სოციალიზმის თეორიული საფუძვლები. ისტორიული იდეალიზმი და საზოგადოებრივი განვითარების კანონებში გაურკვევლობა იყო. სწორედ საზოგადოებრივი განვითარების კანონების გაუთვალისწინებლობის გამო სოციალიზმი წარმოდგენილი იყო არა როგორც ისტორიული აუცილებლობა, არამედ როგორც კეთილი ნების შედეგი და აი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი უტოპისტების ამ მოსაზრებებთან არაფერი საერთო არ ჰქონდა ბოსლეველის სოციალისტურ შეხედულებებს.

„...სოციალისტი უტოპისტები საკმაოდ უარყოფითად ეკიდებოდნენ მუშათა კლასის პოლიტიკურ მოძრაობებს, რაშიც ისინი ხედავდნენ მხოლოდ „ახალი ქრისტიანობისადმი ბრძა ურწმუნოებას“[196]. ეს უარყოფითი თვალსაზრისი „პოლიტიკაზე“ რუსეთსა და საქართველოში

---

[196] დაწერ. იხ. Г. В. Плеханов. Социализм и политическая борьба, М., 1959, с 60.

შემოიჭრა უტოპისტთა მოძღვრებებთან ერთად. ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ ბრძოლა ხელს უწყობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორ გზაზე დაყენებას.

ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ჩაგვრის სისტემის დამკვიდრებას ბოსლეველი ადამიანთა ეკონომიკურ ურთიერთობებს უკავშირებდა, მაშინ, როცა დიდი უტოპისტი სოციალისტის — რობერტ ოუენის გაგებით, წამება, რომელსაც მისი თანამედროვე საზოგადოება განიცდიდა, განაპირობა ადამიანთა მოდგმის წინაპართა ცდომილებებმა, მმართველებისა და სამართავი ხალხის უმეცრებამ. ძველ სისტემას, დაფუძნებულს ცდომილებებზე, სრულ სიცრუესა და უმეცრებაზე, სიღარიბესა და შევიწროებაზე, სისასტიკესა და დანაშაულებებზე, ოუენმა დაუპირისპირა მისი შემცვლელი ახალი რაციონალური სისტემა, დამყარებული ჭეშმარიტებაზე და მეცნიერებაზე, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ადამიანის ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობას. ოუენი გამოდიოდა კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშუალოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან, იგი ოცნებობდა სოციალიზმის დადგომაზე „მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობით“, რომელიც კლასთა ბრძოლას გამორიცხავდა[197]. იმისათვის, რომ სოციალიზმი „შემოღებული იქნეს მშვიდობიანი და გონივრული საშუალებით, უმცირესი უხერხულობით და ყველასათვის უდიდესი სარგებლიანობით“, უნდა მომდინარეობდეს შესაბამისი მთავრობებიდან, ამ უკანასკნელთა დღევანდელი ფორმის მიუხედავად[198].

ამასთან ერთად, რობერტ ოუენი ირწმუნებოდა: „რეფორმა, რომელსაც მთავრობა გაატარებს, ძირითადი და უმარტივესი გზა არის საზოგადოებრივი გარდაქმნისათვის“. ოუენი რჩევას იძლეოდა: „უნდა ვისარგებლოთ ძველი მთავრობით, როგორც სარგებლობენ ძველი გზებით, როცა შენდება რკინიგზა, რომელმაც ისინი უნდა შესცვალოს“, ძველი საზოგადოებიდან ახალზე გადასვლა, მისი აზრით, ისე ხდება, რომ არავისი ინტერესები არ შეიბღალება, გარდაქმნა, ძველიდან ახალზე გადასვლა, ხდება არა ძველსა და ახალ სამყაროს შორის ბრძოლის მეოხებით, არამედ საღი აზროვნების გამარჯვებით. საკმარისია დავაარსოთ იდეალური „თემი“, რომ ამით საზოგადოებას შთავაგონოთ სურვილი შექმნას სხვა „თემები“, რითაც საქმე ბედნიერად

---

[197] Роберт Оуэн. Избранные сочинения, т. II, М.—Л., 1950, с. 21.
[198] იქვე, გვ. 181, აგრეთვე 105, 110 და სხვ.

დაგვირგვინდება[199]. ასე მარტივად ჰქონდა წარმოდგენილი სოციალიზმის დამკვიდრება ოუენს, „თეორიების განვითარების „დაწყებამდე“ „ყველაზე პოპულარულ პიროვნებას ევროპაში“[200].

სენ-სიმონი, რომელსაც „უწინარეს ყოვლისა, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე ღარიბი კლასის“ ბედი აღელვებდა[201], ავითარებდა „მეცნიერებას ადამიანზე“. როგორც ჰუმანისტებისა და განმანათლებლების იდეების გამგრძელებელი, ცდილობდა საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი სისტემისათვის, ადამიანის ცხოვრების ახალი ორგანიზაციისათვის, ეტრფოდა ადამიანთა საზოგადოების მოთხოვნილებების, რამდენადაც შეიძლებოდა, უფრო ფართოდ დაკმაყოფილებას, თუმცა თავის იდეალურ საზოგადოებაში ინარჩუნებდა კერძო საკუთრებას, კლასებს, ასევე მეწარმის მოგებას. რაც მთავარია, საზოგადოებრივი გარდაქმნის პრობლემის გადაჭრას და ახალი „სამრეწველო სისტემის“ აშენებას მშვიდობიანი გზით, ქრისტიანობის მორალის სულისკვეთებით კაცობრიობის აღზრდით, „ახალ ქრისტიანობის“ დიადი გამარჯვებით აპირებდა. სენ-სიმონს თავისი მოძღვრება წარმოდგენილ ჰქონდა როგორც ერთადერთი საშუალება, ხელი შეეშალა ძალადობის აქტებისათვის[202]. „ჩვენ მიერ შემოთავაზებული ცვლილება, — განაგრძობდა იგი, — სრულებით არ ემტერება სამეფო ხელისუფლებას, კანონიერებას და თვით საღვთო სამართალსაც“[203].

მომავალი იდეალური საზოგადოება სენ-სიმონს „ასოციაციის“ ფორმით ჰქონდა წარმოდგენილი[204].

1816 წელს სენ-სიმონი „პოლიტიკას წარმოების მეცნიერებად“ აცხადებს და წინასწარმეტყველებს, „ეკონომიკა სავსებით შთანთქავს პოლიტიკასო“[205]. იდეალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის დასამკვიდრებლად პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობის პრობლემას იგი არ აყენებდა. სენ-სიმონის მოძღვრებაში „მხოლოდ

---

199 დაწვრ. იხ. В. П. Волгин. Очерки истории социалистических идей. Первая половина XIX века, М., 1976, с 3—31.

200 ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 307.

201 დაწვრ. იხ. В. П. Волгин. Очерки истории социалистических идей. Первая половина XIX века, с. 145—219; его же, Очерки социалистических идей с древности до конца XVIII века, М., 1975, с. 261—278.

202 Сен-Симон. Избранные сочинения, т. II, М.—Л., 1948, с. 124.

203 იქვე, გვ. 171, 328 და სხვ.

204 დაწვრ. იხ. В. П. Волгин. Очерки истории социалистических идей. Первая половина XIX века, с. 145—219; его же. Очерки социалистических идей с древности до конца XVIII века, М., 1975, с. 261—278.

205 ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 312.

ჩანასახში ვხედავთ იმ გაგებას, რომ ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკური დაწესებულებების ბაზისია", სამაგიეროდ სრულიად ნათლად გამოთქმულია ის აზრი, რომ პოლიტიკური მმართველობა, რომელიც ადამიანებს განაგებს, უნდა გადავიდეს მმართველობაში, რომელიც საგნებს განაგებს და წარმოების პროცესებს ხელმძღვანელობს, ერთი სიტყვით, ნათლად გამოთქმულია სახელმწიფოს გაუქმების აზრი... „თვალთახედვის გენიოსური სიფართოვის შემწეობითაც" მას „ჩანასახის ფორმაში მოეპოვება შემდგომი დროის სოციალისტების თითქმის ყველა აზრი, რომელიც არ ეკუთვნის წმინდა ეკონომიკურ აზრს..."[206]

თავისებურებების მიუხედავად, დიდი უტოპისტი სოციალისტის, შარლ ფურიეს, სისტემა შეიცავს ბევრ, მათ შორის არაერთ პრინციპულ დებულებას, რომლებიც XVIII საუკუნის განმანათლებელ-ჰუმანისტების შეხედულებების ანალოგიურია. ფურიეს საზოგადოებრივი ჰარმონიის ძირითადი პრინციპები განმანათლებლებისათვის უცხო, რელიგიურ სამოსელშია გახვეული, მაგრამ არსებითად ახლოსაა ამ უკანასკნელთა პრინციპებთან. მისი აზრით, ნორმალური საზოგადოებრივი მდგომარეობა ისეთი წესრიგია, როცა ადამიანთა მისწრაფებები სრულ დაკმაყოფილებას პოულობენ. „ჰარმონიაში" პირადი ინტერესები მთლიანად ერწყმის საზოგადოებრივს. მოაზროვნე აქებს სიმდიდრეს, სიუხვეს და „ჰარმონიის კომფორტს", ურომლისოდაც შეუძლებელია მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. „ჰარმონიულ საზოგადოებაში" იგი წინასწარჩვრეტდა ადამიანის ყველა უნარის სრულყოფას, ადამიანის პიროვნების მანამდე არნახულ აღმავლობას. ფურიეს სოციალისტური მოძღვრება წინააღმდეგობრივია. იგი ინარჩუნებს კერძო საკუთრებას, საზოგადოების კლასებად დაყოფას, არაშრომით შემოსავალს. მაგრამ ფურიეს მოძღვრებას არა ეს ნიშნები ანიჭებს ორიგინალობას, არამედ დებულებები, რომლებიც მას სოციალიზმთან აახლოებენ: წარმოების კოლექტიური ორგანიზაციისა და თავისუფალი, მიმზიდველი შრომის იდეები, შრომისა და არსებობის საშუალებათა უფლების პრინციპი, დაქირავებული შრომის უარყოფა და ა. შ. აი ეს არის ფურიეს ნაბიჯი ჰუმანისტური იდეების განვითარებაში, „ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაზე" გადასასვლელად[207].

---

[206] ფრიდრიხ ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 307.

[207] დაწვრ. იხ. В. П. Волгин. Очерки истории социалистических идей с древности до конца XVIII века. М., 1975, с. 271—277; его же. Очерки истории социалистических идей. Первая половина XIX века, М., 1976, с. 77 — 112.

ბრძნულია ისტორიული პროცესის ფურიესეული გაგება. მისთვის ისტორია იყო არა მარტო წარსული, არამედ აწმყო და მომავალი; ისტორიაში ადამიანის ბედი, მისი არსებობის აზრი და მიზანი გადმოიშლება და გამოიხატება პროგრესში, საზოგადოების სოციალურ აღმასვლაში დაბლიდან მაღალ ფორმებზე[208].

ისტორიული პროცესის ამგვარი გაგება დამახასიათებელია საზოგადოდ XIX საუკუნის ქართული პუბლიცისტიკისათვისაც და კერძოდ ბოსლეველისათვის.

ამავე დროს, უნდა შეინიშნოს, რომ ფურიეს, ისევე როგორც გასული საუკუნის მეორე ნახევრის არაერთ მოაზროვნეს, ბოსლეველი ყველაზე მეტად დაესესხა ბურჟუაზიული ურთიერთობის მანკიერებათა ღრმა და დაუნდობელ კრიტიკაში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ენგელსის სიტყვით, ფურიე „ულმობლად ამხელს ბურჟუაზიულ მსოფლიოს მატერიალურ და ზნეობრივ უბადრუკობას", „მუდამ ხალისიანი ბუნება" მას „სატირიკოსად აქცევს, ყველა ეპოქის უდიდეს სატირიკოსადაც კი"[209].

სამრეწველო კაპიტალის საწყისი ეპოქის დიდი კრიტიკოსის, ფურიეს გენიალურ ნააზრევში წვრილბურჟუაზიული ტენდენციებიც შეინიშნება. ამის მიუხედავად, იგი იყო თავისი თანადროული სინამდვილის სწორუპოვარი მამხილებელიც: აკი „ერთნაირად უარყოფითად ახასიათებდა საზოგადოების ეკონომიკურ წყობილებას, მის პოლიტიკურ ფორმებს, მორალს და ფილოსოფიას". იგი სვამდა კითხვას: შეიძლება სადმე ვნახოთ უფრო საშინელი უწესრიგობა, ვიდრე ის, რომელიც მეფობს დედამიწის ზურგზე?[210]

1848 წლის რევოლუციებისა და პარიზის კომუნის ამბებმა ნათელი გახადეს, რომ დიდ სოციალისტ-უტოპისტთა შეხედულებები სოციალიზმის განხორციელების გზების შესახებ არამეცნიერულია.

ბოსლეველის სოციალისტურ შეხედულებებს საერთო არაფერი ჰქონდათ პრუდონიზმთანაც, რომელიც 1860-იან წლებში უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული კომუ-

---

[208] А. М. Деборин. Социально-политические учения нового времени, т. II, с. 6.

[209] ფრიდრიხ ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 307—308.

[210] იხ. В. П. Волгин. Очерки социалистических идей. Первая половина XIX века, с. 85. ამავე დროს დასავიწყებელი არაა, რომ „უტოპისტები უტოპისტები იყვნენ იმიტომ, რომ მათ არ შეეძლოთ სხვა რაიმე ყოფილიყვნენ იმ დროს, როცა კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ ასე სუსტად იყო განვითარებული" (ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 315). „კაპიტალისტური წარმოების უმწიფარ ვითარებას, კლასების უმწიფარ მდგომარეობას, უმწიფარი თეორიები შეეფერებოდა" (იქვე, გვ. 304).

ნიზმისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართული რევოლუციური დემოკრატიის წარმომადგენლებმა 60-იან წლებშივე გააკამტვერეს პრუდონის შეხედულებანი, ისინი მაინც ცოცხლობდნენ ბოსლეველის თანამედროვე ქართულ პრესასა და განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

პრუდონს გაგონებაც არ სურდა პოლიტიკური ბრძოლისა, რაც, სხვათაშორის, ხელს არ უშლიდა მას უშუალო მონაწილეობა მიეღო ამ მოძრაობაში. სოციალური რევოლუციის მიზანი და საშუალება მისი ცნობილი ფორმულით ასე იყო განსაზღვრული: „პოლიტიკური ბრძოლა — მიზანია, ეკონომიკური ბრძოლა — საშუალება"[211]. პოლიტიკური მოღვაწეობისაგან თავშეკავება, პოლიტიკისადმი გულგრილობა და ინდიფერენტულობა პოლიტიკურ საკითხებში, პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის კავშირის ძალდატანებითი და ლოგიკურად გაუმართლებელი გადაწყვეტა, — აი პრუდონის შეხედულების ერთ-ერთი ნიშან-თვისება, რასაც ქართულ პრესაში თავს ესხმოდა ბოსლეველი.

როგორც ვიცით, პრუდონი ამტკიცებდა, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პოლიტიკურ ბრძოლას და მას ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლიაო მუშათა კლასისათვის. ბურჟუაზიული პოლიტიკური რეჟიმის არსებობის პირობებში, პრუდონის აზრით, პოლიტიკის აბსოლუტური უგულებელყოფის გზით, ყოველგვარი რევოლუციური ბრძოლების გარეშე იყო შესაძლებელი მუშათა და მშრომელთა განთავისუფლება ეკონომიკური ჩაგვრისაგან, შესაძლებელი იყო სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის დამყარება.

უკეთესი მომავლის დამყარებისათვის საჭირო იყო ყველასათვის თანაბარი საკუთრების დამკვიდრება, ინდივიდუალურ წვრილ მეურნეობათა განმტკიცება, რომლის დროსაც თითოეული მუშა არის საქონლის მწარმოებელი და მფლობელი. საქონელთა მიმოქცევა ხდება ე. წ. გაცვლით, ანუ სახალხო ბანკის საშუალებით. ეს გაცვლა ხდება ღირებულების მიხედვით, რაც პრუდონის აზრით დედამიწაზე მარადიული სამართლიანობის დამყარება იყო. მუქთი კრედიტი, რომელსაც იძლეოდა სახალხო ბანკი, იყო წვრილი მეურნეობის არსებობის უებარი საშუალება. მაგრამ პრუდონის მტკიცების საწინააღმდეგოდ, პროლეტარიატი „პოლიტიკურ რევოლუციას" კვლავაც უყურებს როგორც ეკონომიკური გადატრიალების მიღწევის ყველაზე მძლავრ საშუალებას[212].

---

[211] დაწვრ. იხ. Г. В. Плеханов, Социализм и политическая борьба, М., 1959, с. 38.

[212] Г. В. Плеханов. Социализм и политическая борьба, М., 1959, с. 44 — 45.

პარიზის კომუნამ და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ძლიერ შეარყია პრუდონიზმი. მან ცხადი გახადა პრუდონიზმის რეაქციული ხასიათი და უსაფუძვლობა. ის გზადაგზა გააკრიტიკა ბოსლეველმა და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პრუდონისტული და ბაკუნისტური პოლიტიკური ინდიფერენტიზმის მავნე თეორიებს დაუპირისპირა პოლიტიკური ბრძოლის აქტუალობის, სოციალიზმისა და პოლიტიკის განუყრელობის თეორია.

მართალია, როგორც ცნობილია, ანარქიზმს საქართველოშიც აღმოაჩნდა საერთაშორისო განმათავისუფლებელ მოძრაობაში ტონის მიმცემი ლიდერთაგანი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პრუდონის რეაქციულ შეხედულებებს[213] ქართულ პუბლიცისტიკაში ბოსლეველის გარდაც ბევრი ავტორი აკრიტიკებდა — თერგდალეულებიდან დაწყებული ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის წარმომადგენლებით დამთავრებული. როგორც ცნობილია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1848 წლისა და 1871 წლის რევოლუციებს ევროპაში არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ და უტოპი-

---

213 ადგილის სიმცირის გამო უურადღებას გავამახვილებთ პრუდონის მხოლოდ იმ შეხედულებებზე, რომლებიც ქართულ პუბლიცისტიკაში გზადაგზა იქნა გაკრიტიკებული და გაბათილებული. ამ მხრივ ნიშანდობლიეა პრუდონის მცდელობა, დაამტკიცოს „ხალხის ერთიანობა და განუყრელობა“ იმ აზრით, რომ ხალხი თითქოსდა კლასებად არ იყოფა. მოცემული თვალსაზრისით პრუდონისათვის დამახასიათებელია „ხალხის კულტი“. მისთვის ასევე ნიშანდობლიეა წვრილბურჟუაზიული გლეხური მასის არა რევოლუციური, არამედ კონსერვატიული მხარის თუ მისწრაფებათა იდეოლოგობა, იქამდეც კი, რომ გლეხურ მასას იცავდა კომუნისტებისაგან, რომლებიც მიწის წართმევით და ძალდატანებითი ექსპროპრიაციით ემუქრებიანო.

პრუდონი ადანაშაულებს ყოველგვარ ხელისუფლებას და პოლიტიკურ პარტიებს: „ხელისუფლება ტირანიის იარაღი და ციტადელიაო, ხოლო პარტია — მისი სიცოცხლე და აზრი“. „ყველა პარტია უკლებლივ აბსოლუტიზმის ნაირსახეობაა და ადამიანები თავისუფალნი ვერ გახდებიანო, ვიდრე პოლიტიკურ კატეხიზისში ხელისუფლებაზე უარის თქმა ვერ შეცვლის ხელისუფლებისადმი რწმენას“. მისი ლოზუნგი იყო: არც მონარქია, არც არისტოკრატია და არც თუნდაც დემოკრატია. „ადამიანის მიერ ადამიანის მართვა — მონობაა“. დემოკრატია, პრუდონის სიტყვით, „არა თუ მმართველობის ყველაზე სრულყოფილი ფორმაა, არამედ ხალხის სუვერენიტეტის უარყოფის, მისი სიკვდილის მთავარი მიზეზია“, „დემოკრატია შენიღბული არისტოკრატიაა“, „დემოკრატია ოსტრაკიზმია“, „დემოკრატია აბსოლუტიზმის ფორმაა“, „დემოკრატია რეტროგრადულია და წინააღმდეგობრივი“, „დემოკრატია უსუსურია გადაწყვიტოს სოციალური საკითხი“, „დემოკრატია მონარქიაზე ძვირი ჯდება“ და ა. შ. (იხ. Ю. Стеклов, Прудон, отец анархии (1809—1865), Петроград, 1919 და სხვ.). ანარქისტების დევიზი იყო: „ავტონომიური პიროვნება ავტონომიურ თემში“. მათი აზრით, რევოლუციას უნდა მოესპო „კანონები“, დაეტოვებინა მხოლოდ „ხელშეკრულებები“ (იხ. Г. В. Плеханов, Социализм и политическая борьба, с. 20.). სტატიას არ გავაგრძელებთ იმაზე თუ როგორაა გაანალიზებული პრუდონიზმი მარქსიზმის კლასიკოსთა ქმნილებებში.

ურ-სოციალისტურ სისტემებზე, არ მიენიჭებია მათთვის პოლიტიკური ხასიათი.

საგანგებოდ გასათვალისწინებელია, რომ არც პრუდონისტთა ამ არაპოლიტიკურ, რეაქციულ სოციალისტურ თეორიასთან და არც ბლანკიზმთან ბოსლეველის სოციალისტურ შეხედულებებს საერთო არაფერი აქვს.

ახლა გავიხსენოთ როგორ ჩამოყალიბდა ფრანგული პოლიტიკური, მაგრამ ე. წ. შეთქმულებითი ტაქტიკის გზით სოციალიზმის განხორციელების ბლანკისტური თეორია[214].

ბლანკი, რომელიც კომუნიზმის დაჯერებული მომხრე იყო. მაგრამ მარქსიზმამდე ვერ ამაღლდა, ცნობდა, რომ სოციალიზმი გაეთიშველია პოლიტიკურ ბრძოლასთან, რომ სოციალიზმის განხორციელება აუცილებლად მოითხოვს რევოლუციურ ბრძოლას, რევოლუციას და სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობას. მაგრამ ბლანკი აღიარებდა, რომ წარმატება რევოლუციურ ბრძოლაში მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი შექმნილია ხალხის მასებისაგან მოწყვეტილი შეთქმულებითი ორგანიზაცია შეიარაღებული აჯანყებისათვის და ხელისუფლების

---

214 ბლანკი ფრანგული უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი მიმზიდველი და ავტორიტეტული წარმომადგენელია, რომელმაც კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლას 50 წელი მიუძღვნა. კარბონარების შეთქმულების ორგანიზაციის მონაწილე, სამჯერ დაიჭრა პოლიციასთან და ჯართან ქუჩის შეჯახებებში. ბლანკის რწმენით, უსამართლობის მოსპობა მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიას შეუძლია. მისი იდეალი და მიზანი იყო სოციალური თანასწორობის დამყარება. „ხალხს არა ჰყავს უფრო ვერაგი მტერი, ვიდრე რელიგია" — ირწმუნებოდა ბლანკი. მართალია, იგი იცნობდა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მოღვაწეობას და მათ ზოგიერთ ნაშრომს, მაგრამ მაინც ვერ გაიგო მეცნიერული კომუნიზმის მნიშვნელობა სოციალისტური რევოლუციისათვის. ბლანკი არ ფლობდა სოციალიზმის თეორიას და მან თავის ხანგრძლივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, საკუთარ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ბევრი შეცდომა დაუშვა.

შეცდომებთან ერთად არაა დასაეწყებელი მატერიალისტისა და ათეისტის, ბლანკის. თავდადება კომუნიზმის საქმისათვის, მისი მგზნებარე ტემპერამენტი, რაც საშუალებას აძლევდა ბევრ მხრივ უფრო ამაღლებულიყო თავისი დროის სხვა მოაზროვნეებთან და მოღვაწეებთან შედარებით (იხ. В. П. Волгин. Французский утопический социализм. М., 1960, с. 336—337, 363.). ჯეროვნად ანგარიშვასაწევია ისიც, რომ 1848 წელს, სახელდობრ, მის პარტიას უწოდა კ. მარქსმა რევოლუციური პროლეტარიატის პარტია (К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. VIII, II изд., с. 126).

1848 წლის შემდეგ ბლანკის, როგორც სოციალისტური მოძრაობის ბელადის, მოღვაწეობას უკვე არ ჰქონდა ადრინდელი მნიშვნელობა. მისმა მიმდევრებმა აითეისეს და დაიცვეს ყოველივე მოძველებული და დრომოქმული ბლანკის მოძღვრებაში, რის გამოც ისინი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მუშათა და სოციალისტურ მოძრაობაში უარყოფით როლს ასრულებდნენ.

ხელში ჩასაგდებად. ბლანკიზმში მართალია პოლიტიკური ბრძოლა, რევოლუციური მოქმედება, სოციალისტური დიქტატურის დამყარება არ იყო უგულებელყოფილი, მაგრამ ამ თეორიის სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციური მოძრაობა დაყვანილი იყო კონსპირაციული შეთქმულებითი ორგანიზაციის მოქმედებამდე, არ ემყარებოდა მუშათა კლასისა და მშრომელთა მასობრივ მოძრაობას. ბლანკსა და მის თანამოაზრეებს, რომლებიც კოლოსალურ ენერგიას ავითარებდნენ რევოლუციური გადატრიალების მოსახდენად, რომლებიც წარმატებით ქმნიდნენ კონსპირაციულ ორგანიზაციებს, მაგრამ რომლებიც ყოველთვის მარცხდებოდნენ, არ ესმოდათ, რომ რევოლუციის გამარჯვებისათვის მარტო მამაც თავდადებულ მოღვაწეთა მცირერიცხოვანი კოჰორტები არ კმარა, არამედ აუცილებელია, რომ რევოლუციის პერიოდში საქმე გექონდეს მის განსახორციელებლად ხალხის მასების ენერგიის ჩინებულ დარაზმვასთან.

ბოსლეველის ნაწერების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალიზმის განხორციელების ბლანკისტური, შეთქმულებითი თეორიის უსაფუძვლობა მისთვის ნათელი იყო.

როგორც აღიარებულია, სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის საკითხში ბოსლეველი ძლიერ არ სცილდება რუსი რევოლუციონერი ხალხოსნების გაგებას, იგი ნაროდოვოლელია, რაც იმ დროის კვალობაზე წინ გადადგმული ნაბიჯია[215]. ამასთან, მან, ნაროდოვოლელთა მსგავსად, ვერ შეძლო პრობლემის ბოლომდე სწორად გადაწყვეტა: მხოლოდ იმის აღიარება, რომ პოლიტიკა უკუქმედებს ეკონომიკაზე, არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ პრობლემა მართებულად გადაწყვეტილიყო და ამით რევოლუციური მოძრაობა მიზანსწრაფულად წარმართულიყო.

მაგრამ, ამასთანავე, საგანგებოდ გასახაზია პუბლიცისტის დამსახურებაც. მას ესმოდა, რომ რევოლუციური პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია პოლიტიკური ბრძოლების წარმოება, რომ პოლიტიკა სოციალიზმის განხორციელების მთავარი და ძირითადი იარაღია, რომ პოლიტიკის უგულებელყოფის თეორიის განხორციელება სოციალიზმის დამარცხებას ნიშნავს. ეს მოსაზრებანი ნათლად და მკაფიოდ

---

[215] Г. И. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, ч. II, с. 163—167.

როგორც ცნობილია, „მოვლენების ლოგიკამ“ რუსი რევოლუციონერები „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის სახით, აიძულა ცდილიყვნენ მოეპოვებინათ პოლიტიკური ბალენა და თვით ბატონობაც კი, როგორც ეკონომიკური რევოლუციის ერთ ყველაზე მძლავრი ფაქტორთაგანი (იხ. Г. В. Плеханов. Социализм и политическая борьба, с. 61).

გამოთქმული აქვს ბოსლეველს გ. მაიაშვილის წინააღმდეგ მიმართულ სტატიებში, ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით.

VII

1882 წელს „ივერიის“ სამ (7,8,9) ნომერში გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის ხალხსნური მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლის გიორგი ზდანოვიჩ-შაიაშვილის გახმაურებული სტატიების სერია საერთო სათაურით „წერილი ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, რომელიც ცნობილი „50-ის პროცესის“ ერთ-ერთმა გმირმა გადასახლებაში დაწერა. ხსენებულ სერიას გამოეხმაურა 80-იანი წლების არაერთი მოღვაწე, მათ შორის ბოსლეველი, რომელმაც მის საპასუხოდ 1882—1883 წლებში 9 „კრიტიკული მიმოხილვა“ დაწერა, თუმცა გამოქვეყნებას მხოლოდ 3 ეღირსა (გაზ. „შრომა“ 1882, № 48, 1883, № 1, № 3).

გ. მაიაშვილის „წერილების“ სერიაში, ისევე როგორც ბოსლეველის საპასუხო „კრიტიკულ მიმოხილვაში“, დავა გაიშალა უმთავრესად საზოგადოდ ეკონომიკისა და პოლიტიკის, ეკონომიკური ურთიერთობისა და პოლიტიკური მდგომარეობის ურთიერთგავლენის პრობლემაზე, რასაც დაუკავშირდა საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი სხვა საკითხის მეტ-ნაკლები სიღრმე-სისწორით განხილვა.

გ. მაიაშვილის თვალსაზრისი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ხალხის ლიტერატურა“ უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცევდეს საზოგადოების „ეკონომიკურს მდგომარეობას, ეკონომიკურს განწყობილებას და ეკონომიურს ურთიერთშორისობას საზოგადოების წევრთა და წოდებათა შორის“. ლიტერატურა, უწინარეს ყოვლისა, თავის ძალღონეს და საშუალებას უნდა ახმარდეს „ეკონომიურის საგნების გამოკვლევასა“ და „ვრცლად ფილოსოფიურად შესწავლას“. თუ ეს ასე არ ხდება და საზოგადო მოღვაწენი ჯეროვნად ვერ იცნობენ თავის ერის მატერიალურ მდგომარეობას, „მის ეკონომიურს დარდსა და ვარამს“ და ეკონომიური ცვლილებების სასიკეთოდ არ მეცადინეობენ, ისე ვერაფერს მნიშვნელოვანს ვერ მიაღწევენ. უამპირობოდ საზოგადოების მოქმედებას, „შეიძლება ძლიერ კეთილსინდისიერსა და სარგებლობით გამოწვეულს, არავითარი სანატრელი შედეგი არ ექნება“.

ყოველ საზოგადოებრივ მოძრაობას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ხალხის ცხოვრების უკეთეს პირობებში ჩაყენება, ყოველი მოღვაწე უნდა მეცადინეობდეს საზოგადოებაში სამართლიანი ეკონომიკური ურთიერთობა დაამყაროს, რომ საზოგადოების ერთი წევრი მეორის შრომითა და გარჯის ნაყოფით არ ცხოვრობდეს, „რომ საზო-

გადოების უმცირესის ნაწილის გამდიდრებას უმრავლესობის გაღარიბება და ნივთიერად გაღატაკება არ მოსდევდეს“.

საზოგადო მოღვაწეს ხალხი მხოლოდ მაშინ გაუგონებს და გაყვება, როდესაც მასებს ელაპარაკება მათთვის „გასაგებ საგნებზედ, ე. ი. ეკონომიურს საგნებზედ“. ამიტომაა, რომ ევროპის ლიტერატურა, მხატვრობითი, ბელეტრისტული და მეცნიერული“ XIX საუკუნეში ასე ძალუმად მისდგომია „ეკონომიკური კითხვებისა და საგნების გამოკვლევასა და შემუშავებას და ამ მხრივ თავის ნაწარმოების გატარებას ხალხის ცნობიერებაში“.

„ეკონომიკურ კითხვებთან შედარებით“ პოლიტიკურ კითხვებს სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. კიდევ მეტი, პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებაზე მეცადინეობა მხოლოდ ზიანის მომტანია, რადგან საზოგადო მოღვაწეთა „მიმართულებასა და მისწრაფებას“ ცრუ ხასიათს აძლევს, მათივე მოქმედების უმთავრეს „საგანს ღონესა და ენერგიას უკარგავს[216].

გ. მაიაშვილის ამ თვალსაზრისს აკრიტიკებს ბოსლეველი, რომელიც თავის „კრიტიკულ მიმოხილვაში“ შენიშნავს, რომ „მაიაშვილი თავის „წერილში“ აქა-იქ უბრუნდება პოლიტიკასაც და, თითქო უნებურად, აღიარებს პოლიტიკური წყობილების გავლენას ეკონომიურის ურთიერთშორისობის და განწყობილების ხასიათზედაც“, თუმცა ამას მხოლოდ, ასე ვთქვათ, ხათრისათვის შვრება, რომ მისგან ქებულს საზოგადო მოღვაწეებს არ აწყენინოს და არც ნამეტანი უკიდურესობა

---

216 ეკონომიკური ფაქტორისა და პოლიტიკური წყობილების (ისევე, როგორც პოლიტიკური ბრძოლის) მნიშვნელობის შეფასებისას ასეთსავე შეცდომებმა და გაუგებრობებმა იჩინა თავი რუსეთის სინამდვილეშიც, რის თაობაზეც გ. ვ. პლეხანოვი წერდა (1883): არსებობს კიდევ ერთი გაუგებრობა „სოციალურ ურთიერთობათა გარდაქმნის საქმეში პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ეფუძნება საკაცობრიო კულტურის განვითარებაში ეკონომიკური ფაქტორის როლის მარქსისტული შეხედულების მცდარ გაგებას. ეს შეხედულება ხშირად ბევრმა იმ აზრით გაიგო, რომ „კაპიტალის“ ავტორი პოლიტიკურ წყობილებას საკუთარი მცირე მნიშვნელობას ანიჭებს, მას თვლის მეორეხარისხოვან კერძო რამედ, რომელიც ყურადღებას არ იმსახურებს და რომელიც არ შეიძლება იყოს არა მარტო ნაყოფიერი მოღვაწეობის მიზანი, არამედ საშუალებაც კი“. „არც თუ იშვიათად და ისიც დღემდე შეიძლება ჩვენთან შეეხვდეთ „მარქსისტებს“, რომლებიც სწორედ ამ საფუძველზე უგულებელყოფენ სოციალიზმის პოლიტიკურ ამოცანებს. ეკონომიკური ურთიერთობანი, ამბობენ ისინი, უდევს საფუძვლად ყოველგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. ამ ურთიერთობათა ცვლილება არის მიზეზი ყოველგვარი პოლიტიკური გარდაქმნისა“ (იხ. Г. В. Плеханов. Социализм и политическая борьба, М., 1959, с. 37). გასაკვირი არაა, რომ სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილ წარმომადგენელს, გ. მაიაშვილს, რომელიც რუსეთშივე იყო გადასახლებაში, ასეთსავე აზრი განევითარებინა.

დასწამონ მას მსჯელობაში". „წერილის" საზოგადო ხასიათი და აზრი, — განაგრძობს ბოსლეველი, — სრულებით უარყოფს პოლიტიკური წყობილების ზეგავლენას ხალხის ეკონომიურ ურთიერთობაზე. მაიაშვილს, ბოსლეველის შთაბეჭდილებით, პოლიტიკურ საგნებზე ლაპარაკი წყლის ნაყვად მიაჩნია, „რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩვენის ცხოვრების ეკონომიურად განკარგებისათვის"[217].

ბოსლეველი არ ეთანხმება მაიაშვილს პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის გაგებაში, პირველი მეორეს საყვედურობს პოლიტიკური წყობილების გავლენის შეუფასებლობას. ამასთან, ბოსლეველი თავს იზღვევს „ეკონომიურის კითხვების" შეუფასებლობის საყვედურისაგან და დასძენს, რომ სურს მკითხველი დაარწმუნოს, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევს თვითონ ეკონომიკურ ფაქტორს: „ჩვენც, გ. მაიაშვილის თანახმად დარწმუნებული ვართ, ყოველს პოლიტიკურ მოძრაობას კაცობრიობის ისტორიულს ცხოვრებაში, ყოველს რევოლუციას სარჩულად უდევს ყველაზე მეტად ეს მიზეზი. — ეკონომიურად დამონავებული მდგომარეობა იწვევს საზოგადოებაში თანამედროვე ეკონომიურისა და პოლიტიკური წყობილებით უკმაყოფილებას, დრტვინვას და სურვილს, რომ ძირითადი ცვლილება მოხდეს"[218]. ადამიანის ყოველგვარ მეცადინეობას, „ცნობიერს თუ ინსტიქტურს", ბოსლეველის განმარტებით, „თავის მიზნად, თავის დაბოლოებითს საგნად ყველგან და ყოველთვის ჰქონია და აქვს ქვეყნიურის ცხოვრების გაუმჯობესება და რიგიანად, ასატანად მოწყობა მისი, როგორც მატერიალურად ისე სულიერად"[219].

ეკონომიკური ნიადაგი, ბოსლეველის შეფასებით, მართლაცდა დიდ ძალასა და მნიშვნელობას ანიჭებს „მისგანვე გამოწვეულს ხალხის მოძრაობას", რაც ნათლად და თვალსაჩინოდ ჩანს თანამედროვე მოძრაობაში, რომელსაც „თავის კლანჭებში ჩაუყენებია თითქმის მთელი კაცობრიობა და რომელსაც „სოციალისტურს" მოძრაობას ეძახიან". მისი თქმით, „სოციალიზმი" თანამედროვე ეკონომიურის ურთიერთშორობის პირმშო შვილია", ამ მოძრაობის მიზანია ეკონომიკური ურთიერთობის შეცვლა ისე, რომ ყოველი ადამიანი თავის შრომის ნაყოფს იმკიდეს.

ეკონომიკური მიზეზი, ბოსლეველის გაგებით, მარტო ახლანდელ სოციალისტურ მოძრაობას არ უდევს საფუძვლად. ამგვარი ნიადაგი გააჩნდა მოძრაობას ძველად და შუასაუკუნეებში, ეკონომიკური წყო-

---

217 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, წერილები, გვ. 162.

218 იქვე.

219 იქვე, გვ. 163.

ბილების შეცვლის სურვილმა იმსხვერპლა სახალხო გმირები გრაკ-ხები, ამასვე ემსახურებოდა რომის იმპერიაში „დაბალი ხალხისა და მონების“ მრავალგზის აჯანყება, ეკონომიკურმა მიზეზებმა გამოიწვია გლეხთა აჯანყება შუასაუკუნეების გერმანიაში.

ამრიგად, ბოსლეველი მაიაშვილს ეთანხმება იმაში, რომ „ყოველი პოლიტიკური მოძრაობა გამომდინარეობს ხალხის ეკონომიურის მდგომარეობიდან და მხედველობაში უნდა ჰქონდეს თავდაპირველად ეკონომიური სამართლიანობის დამყარება საზოგადოებრივს ცხოვრებაში“. პირველი მეორეს იმაშიც არ ედავება, რომ მოძრაობა უფრო ცხოველია და ძლიერი, როდესაც იგი დამდგარია ეკონომიურს ნიადაგზედ“ და, ბოლოს, ბოსლეველის თქმით, ისიც ცხადია, რომ „ყოველს საზოგადოებრივს მოღვაწეს თავისი მოღვაწეობის საგნად უნდა ჰქონდეს... ხალხის ეკონომიურის ცხოვრების განკარგება“[220].

როგორც ვხედავთ, ბოსლეველი აღიარებდა, რომ ყოველ დიდ კლასობრივ მოძრაობას ეკონომიკური ფაქტორი იწვევს, რომ დიდი სოციალური ჯგუფები ისტორიაში ეკონომიკური ვითარებითაა მოყვანილი მოძრაობაში, რომ პოლიტიკა ეკონომიკითაა განპირობებული და მის ზედნაშენს წარმოადგენს.

მაგრამ მისი გაგებით წარსულშიც, ისტორიაშიც, პოლიტიკა ყოველთვის გამოდიოდა, როგორც ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ძირითად საშუალებათა იარაღი. ამიტომ, ეკონომიკური ფაქტორის შეფასების შემდეგ, ბოსლეველი სვამს კითხვას „რა საშუალება უნდა იხმაროს მოღვაწემ, რომ აღნიშნულს და განსაზღვრულს საგანს მიაღწიოს?“ ამ კითხვაზე მაიაშვილის პასუხი მას არ აკმაყოფილებს, რის გამოც ცდილობს მკითხველს დაუმტკიცოს ამ პასუხის ცალმხრივობა და მცდარობა.

ბოსლეველის შეხედულება ამ საკითხზე მოკლედ ასეთია: გ. მაიაშვილის უმთავრესი შეცდომა ისაა, რომ საზოგადო მოღვაწეთა მოქმედებაზე მსჯელობისას მხედველობიდან უშვებს იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელშიც, დროთა ბრუნვის გამო, ჩადგა ქართველი საზოგადოების ცხოვრება და რომლებმაც განსაზღვრეს ხსენებულ მოღვაწეთა მოქმედების ხასიათი და მიმართულება, მათი საზოგადოებრივი იდეალები და მისწრაფებები. გ. მაიაშვილი შეცდა იმიტომ, რომ იგი „არ ხელმძღვანელობს ე. წ.-ს ისტორიულის მეთოდით“, რის გამოც „ერთობ ვიწროდ და ერთმხრივად სჯის“ „იმ ისტორიულს მოღვაწეებზედ, რომელნიც ხედავდნენ თავიანთი ერის პოლიტიკურს მდგომარეობას და რომელნიც, მდგომარეობით შემსჭვალულნი, თავიანთის

---

220 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 164.

სამოქმედო პროგრამის ქვაკუთხედად სდებენ დაცემულის ვინაობის კვლავ აღდგინებას"[221].

მხოლოდ ისტორიული მეთოდით მსჯელობა, რაშიც ისტორიული მოვლენებისადმი მარქსისტული მიდგომა უნდა ივარაუდებოდეს, იძლევა შესაბამის ვითარებაში გარკვევის საშუალებას და სასურველი პოლიტიკური მდგომარეობისათვის მოქმედების გეზს; ეს მეთოდი თვალნათლივ წარმოგვიდგენს „ერთს უმთავრეს ფაქტორს, რომელიც ეხმარება ცხოვრებას და რომელიც, მაშასადამე, შესაძლებლად ხდის ცხოვრებაში ეკონომიურის სამართლიანობის დამყარებასაც"[222].

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ცენზურაგამოვლილ „მიმოხილვაში" ამ ფაქტორად პოლიტიკური ბრძოლაა ნაგულისხმევი.

ბოსლეველი ცდილობს გაარკვიოს თუ რატომ ხდება, რომ ხანდახან საზოგადო მოღვაწენი პოლიტიკური მდგომარეობის გარდა ივიწყებენ ყოველივე იმას, რისი შეცვლისთვისაც ისინი იღვწიან თავდაპირველად. ცენზურულ პირობებში იგი იძულებულია ამ კითხვაზე ქარაგმულად უპასუხოს: ეს იმიტომ ხდებაო, რომ ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ზოგჯერ ისეთი ეპოქა დგება, როცა იგი მოკლებულია ცხოვრების რიგიანად მოწყობის შესაძლებლობას. ამგვარ ვითარებაში, რაშიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის უქონლობაა ნაგულისხმევი, „საზოგადოებრივი მოღვაწე ცნობიერად და ხალხი უფრო ინსტიქტურად თავდაპირველად იბრძვის ამ პირობებისათვის (ცენზურისაგან ამოღებული ადგილი...)"[223], ანუ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ამ გარემოების გაუთვალისწინებლობასაც საყვედურობს ბოსლეველი გ. მაიაშვილს და ცდილობს თავისი მოსაზრების დასაბუთებას „ცხოვრებიდან ამოღებული ცოცხალი ფაქტებით და ისტორიის მოწმობით".

ბოსლეველი აკრიტიკებს მაიაშვილს, რომელსაც გარიბალდის ბრძოლა ავსტრიის ბატონობისაგან იტალიის გასანთავისუფლებლად სასიკეთო მოვლენად არ მიაჩნდა. გ. მაიაშვილის განცხადებით, „დღეს უფრო მოუთმენელ მდგომარეობაშია იტალიელი ხალხი, ვინემ მაშინ, როდესაც იგი იყო ავსტრიის მფლობელობის ქვეშ" (ე. ი. 1860-იან წლებამდე). ამასთან დაკავშირებით ბოსლეველი შენიშნავს: „მართალია, იტალიაში ერთი სთესს და მეორე იმკის; მართალია, იქ კიდევ არ დამყარებულა სანატრელი ეკონომიური მდგომარეობა... მაგრამ ის კიდევ უფრო მართალია, რომ საზოგადოებრივს მოღვაწეს და თვითონ

---

221 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 164—165.

222 იქვე, გვ. 165.

223 იქვე.

ხალხსაც დღეს შეძლება აქვს უსამართლო სამართლიანობა მოსპოს და უკეთესი ურთიერთშორისობა ჩამოაგდოს ცხოვრებაში, რომელსაც მოკლებული იყო, როცა ავსტრია ჯალათად უდგა იტალიის სასიქადულო მოქალაქეთ, იტალიის ხალხის ტვინის მოძრაობას, იტალიის ხალხის სიცოცხლის მაჩვენებელ სუნთქვას"[224]. აქ მკითხველს ასოციაციით წარმოუდგება იმჟამინდელი საქართველოს მდგომარეობა ცარიზმის მფლობელობაში.

ბოსლეველის შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი თვითონაც ცდება, როცა ქართველი ხალხის სოციალური თავისუფლების მოპოვება საქართველოს მიერ ეროვნული თავისუფლების მოპოვებამდე შეუძლებლად მიაჩნია. რაკი მაიაშვილის რწმენით, ჯერ უნდა შეიცვალოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო პოლიტიკური მდგომარეობა თავისთავად შეიცვლება, ბოსლეველი ცდილობს ამის საპირისპიროდ დაემყაროს პროფ. გულდს, რომლის აზრითაც ეკონომიური ურთიერთობის არსებაზე დიდი გავლენა აქვს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას; იშველიებს პროფ. ვაგნერსაც, რომლის აზრით ერის ეკონომიური განვითარება დამოკიდებულია კანონმდებლობის მდგომარეობაზე, რომელიც ადამიანთა ეკონომიური მოქმედების საფუძვლად და რეგულატორად ჩნდება. ასე ცდილობს ბოსლეველი გააბათილოს მაიაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმად სამოქალაქო, საკანონმდებლო უფლების მოსაპოვებლად თავდაპირველად აუცილებელია ეკონომიკური ცვლილების მოხდენა, რადგან „პოლიტიკური და ეროვნული მოვლენა პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ეკონომიურის მდგომარეობისას"

ამის საწინააღმდეგოდ ბოსლეველი იმოწმებს ევროპის ხალხთა მოძრაობის ფაქტებს და კ. მარქსის ავტორიტეტს, რომლის მიხედვით შუშა ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, ურომლისოდაც კაპიტალისტებს ვერ შემუსრავს[225]. ერთი სიტყვით, ბოსლეველი მართებულად ასაბუთებს, რომ „მხედველობაში მისაღებია ის ზეგავლენა, რომელიც აქვს პოლიტიკას ეკონომიკაზედ"[226].

ბოსლეველი უსაყვედურებდა მაიაშვილს იმას, რომ მას არ ესმოდა პოლიტიკური მოძრაობის, პოლიტიკური რევოლუციის როლი ხალხის ეკონომიკური განთავისუფლების საქმეში, რომ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა დაუსახავს მიზნად, ის, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს და მშრომელი მასების დამრაზმავი პოლიტიკურ

---

224 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 166.
225 იქვე, გვ. 171—172.
226 იქვე, გვ. 170.

ბრძოლებში. ბოსლეველი შენიშნავდა, „ჩვენ გვინდა ფაქტებით დავაჯეროთ იგი (ე. ი. მაიაშვილი. — გ. მ.) იმ ცხოვრებითს ჭეშმარიტებაზედ, რომ პოლიტიკური თვითმდგომარეობა პირველი პირობაა ცხოვრების ყოველმხრივის გაუმჯობესებისათვის[227]“. ამ მოსაზრების დადასტურებაა, ბოსლეველის აზრით, მთელი მსოფლიო ისტორია, ის დიდი სოციალური მოძრაობანი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ წარსულში.

თავის თანამედროვე ევროპის ისტორიაში ბოსლეველი ამჩნევს იმას, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლები, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანად მიისწრაფვიან პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისა და გაფართოებისათვის, რათა პოლიტიკური დემოკრატია გამოყენებული იქნეს მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ბოსლეველი აღნიშნავს, რომ სადაც პოლიტიკური მონობაა და არ არსებობს პოლიტიკური თანასწორობა, იმ ქვეყნებში შეუძლებელია მუშათა კლასისა და მშრომელების ეკონომიკური მდგომარეობის განკარგებაზე ფიქრი და რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებაც. ამიტომაა, რომ მუშათა კლასის პროგრამებში, ბოსლეველის აზრით, პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა. „რად ვერ გაუგია ბატ. მაიაშვილს ის ერთობ უბრალო ფაქტი, რომ საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში საზოგადოებრივი მოღვაწენი ამ პოლიტიკურს უფლებას ხმარობენ ხალხის ეკონომიურის მდგომარეობის განკარგებისათვის და მეცადინეობენ, რომ ამ უფლებათა საშუალებით მუშა ხალხი თავის ოფლის ნაყოფის მესაკუთრედ გახადონ?!“

იგი განაგრძობს: „სხვადასხვა ხალხთა საზოგადოებრივსა და სახელმწიფო წესსა და წყობილებას რომ დაუკვირდეს კაცი, ყველგან ერთს მოვლენას შენიშნავს, რომ ეგ წესი და წყობილება შეუქმნია იქაურს საზოგადოების შეძლებულს ნაწილს თავის სასარგებლოდ“, ამასთანავე შენიშნავს, რომ „სახელმწიფოს ნება და საგანი განისაზღვრება მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილისაგან, რომელიც ეკონომიურად უკეთეს მდგომარეობაში ჩამდგარა. ისტორიის შესწავლა იმასაც გვეუბნება, რომ სადაც ეკონომიური ბატონ-ყმობა არსებობს, იქ პოლიტიკურის უფლებებით პრაქტიკულად სარგებლობა საეჭვოა, რომ ვისაც ეკონომიკურის და პოლიტიკურის მხრით ღრმა ცვლილებების მოხდენა მოესურვება ცხოვრებაში, ყოველთვის ყველაზედ პირველად ნივთიერად შეძლებულს ნაწილს საზოგადოებისას უსარგებლია [ცენზურა]. ამავე მოვლენას წარმოადგენს გერმანიაც. გერმანელი მუშა პოლიტიკურის უფლებებით კი სარგებლობს, მაგრამ ამ უფლებათა ვერც იგი დაუხსნია ბურჟუაზიის ექსპლოატაციისაგან. ეს ასეა, მაგ-

227 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 166.

რამ ეს ფაქტები ამტკიცებენ თუ არა იმ აზრს, რომ პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებაზედ ზრუნვა წყლის ნაყვა იყოს და ეს უფლება ხალხს არ ეხმარებოდეს ეკონომიურს კეთილდღეობის მოპოვებაში?... ბატ. მაიაშვილი „კის“ გვეუბნება, მაგრამ ეს აზრი შემცდარია და ამ შეცდომის გამოსააშკარავებლად საკმაოა მივიღოთ მხედველობაში ის ზეგავლენა, რომელიც აქვს პოლიტიკას ეკონომიკაზედ...“[228].

მოყვანილ ამონაწერებში, ჩვენი აზრით, შეიმჩნევა მარქსისტული ლიტერატურის გავლენა. დებულება, რომ პოლიტიკა ისტორიაში გაბატონებული კლასების მიერ გამოყენებული იქნა ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად და მოწინააღმდეგე კლასების მორჩილებაში მოსაყვანად, პირველად რუსულ მარქსისტულ ლიტერატურაშ დაასაბუთა მარქსიზმის პიონერმა რუსეთში გ. პლეხანოვმა თავის ადრინდელ მარქსისტულ შრომაში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“.

როგორც ცნობილია, ხალხოსნები პოლიტიკურ ბრძოლას უარყოფდნენ, ხოლო ისინი ვინც მათგან „ნაროდნაია ვოლიას“ ორგანიზაციაში გაერთიანდა, მას ცნობდნენ მხოლოდ ინდივიდუალური ტერორის სახით, შეთქმულ ინტელიგენტთა ვიწრო წრის შეთქმულების ფორმით, რითაც მიზნად ისახავდნენ ცარიზმის დამხობას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. ხალხოსნები მარქსიზმის მოწინააღმდეგენი იყვნენ და ხელს უშლიდნენ მასების რევოლუციურად განათლებას, რის გამოც აუცილებელი იყო მათი ჩამოშორება რუსეთის რევოლუციური მოძრაობისაგან.

ხალხოსნობა საბოლოოდ ვ. ი. ლენინმა გაანადგურა. მაგრამ მის იდეურ განადგურებაში უდიდესი როლი შეასრულა გ. ვ. პლეხანოვმა, რომელიც პირველი გამოვიდა ხალხოსანთა მავნე და არამეცნიერული მტკიცებების წინააღმდეგ.

1883 წელს ჟენევაში დაწერილ ბროშურაში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ გ. პლეხანოვმა გააკრიტიკა ხალხოსნობა. ბროშურას ეპიგრაფად წარუმძღვარა კ. მარქსის სიტყვები: „ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა“. ამით გ. პლეხანოვი ხალხოსნებს უმტკიცებდა, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი და წარმატებული პოლიტიკური ბრძოლა, როცა ის კლასობრივი ბრძოლა იქნება და არა შეთქმულ ინტელიგენტთა გამოსვლა არსებული წყობილების წინააღმდეგ.

გ. პლეხანოვმა განმარტა პოლიტიკური ბრძოლის კავშირი კლასობრივ ბრძოლასთან, დაასაბუთა, რომ მოძღვრებანი, რომელნიც მუშათა კლასისათვის პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას უარყო-

---

228 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 170.

ფენ, არ შეიძლება იყვნენ მეცნიერულნი, რადგან ისინი მუშათა კლასს ორიენტაციას უკარგავენ და ისტორიის გაკვეთილებსაც უგულებელ-ყოფენ.

გ. პლეხანოვის ბროშურის უდიდესი ღირსება იმაშია, რომ მან რუს მკითხველს გააცნო მარქსიზმის იდეები, რუსეთის სინამდვილი-სადმი მომარჯვებით დაასაბუთა პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლისა და მისი რევოლუციური პარტიის ორგანიზების აუცილებლობა, სოციალიზმის მუშათა მოძრაობასთან შერწყმის აუცილებლობა. ვ. ი. ლენინმა პლეხანოვის წიგნს — „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ — მაღალი შეფასება მისცა. იგი მიუთითებდა: „მსოფლიო სოციალიზმის პირველმა „რწმენის სიმბოლომ“ „კომუნისტურმა მანიფესტმა“ დაადგინა უკვე ის, მას შემდეგ უდავოდ ქცეული ჭეშმარიტება, რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, რომ მუშათა მოძრაობა მხოლოდ მაშინ გადასცილდება ხოლმე ჩანასახობრივი მდგომარეობისა და ბავშვობის სტადიას, მხოლოდ მაშინ ხდება კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ მოძრაობად, როცა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადადის. რუსული სოციალიზმის პირველმა „რწმენის სიმბოლომ“, პლეხანოვის ბროშურამ „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“... დაადასტურა ეს ჭეშმარიტება რუსეთისადმი შეფარდებით და ცხადყო, სახელდობრ, როგორ და სახელდობრ რატომ უნდა გამოიწვიოს რუსეთის რევოლუციურმა მოძრაობამ სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის შეერთება, მუშათა მასების სტიქიური მოძრაობისა და რევოლუციური მოძრაობის შეერთება, კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური ბრძოლის შეერთება“[229].

ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1883 წელს ბოსლეველი პოლიტიკურ ბრძოლას ძირითადად ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორიც მას ეძლევა გ. პლეხანოვის ბროშურაში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“*, რომელიც რუსეთის სინამდვილისადმი მარქსიზმის გამოყენების საუცხოო ნიმუშადაა აღიარებული.

მარქსიზმის გავლენა ბოსლეველზე, როგორც ითქვა, კარგა ხანია აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ხუნდაძე, ფ. მახარაძე და სხვები). ქართული საზოგადოებრივი აზრის თანამედროვე მკვლევართა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაკონკრეტდეს და დასაბუთდეს ბოსლეველზე მარქსიზმის გავლენის საკითხი. ჩვენი აზრით, ეს გავ-

---

229 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „Profession de foi“-ს გამო, თხზ., ტ. 4, გვ. 349.

* მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სავარაუდოა გ. პლეხანოვის უშუალო გავლენა ბოსლეველზე, თუმცა საამისოდ რაიმე ხელშესახები მონაცემები არ გაგვჩნია.

ლენა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება პოლიტიკის არსისა და მისი ფუნქციის გაგების საკითხებში. ე. ბოსლეველის დამსახურება ქართული რეფორმიზმისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან სწორად გაიგო სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის განუყრელობა. ჩვენ აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ განსხვავებით წვრილბურჟუაზიული სოციალისტური მიმდინარეობისაგან, რომლებიც პოლიტიკისადმი გულგრილობით ხასიათდებოდნენ, უარყოფდნენ მას და ფიქრობდნენ კაპიტალიზმის პირობებში მშვიდობიანი ეკონომიკური რეფორმებით ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლებაზე, ბოსლეველი ამტკიცებდა, რომ პოლიტიკა იარაღია, რომლის საშუალებითაც მშრომელებმა თავი უნდა გაინთავისუფლონ ეკონომიკური ჩაგვრისაგან. ვიმეორებთ, დასაბუთება და დაცვა დებულებისა, რომ სოციალიზმი შეიძლება განხორციელებული იქნეს მშრომელთა პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შედეგად, რომ დაჩაგრულ კლასებს არავითარი ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა არ შეუძლიათ თუ ისინი იმყოფებიან, ბოსლეველის ენით რომ ვთქვათ, სხვის პოლიტიკურ ბატონობაში, ამ პუბლიცისტის დიდი დამსახურებაა. ამ დებულების პროპაგანდით ქართულ პრესაში ბოსლეველს კლასობრივი გათვითცნობიერების მაღალ დონეზე აჰყავდა მოძრაობაში ჩაბმული ქვეყნის პროგრესული ძალები.

ამასთან ერთად მთავარი ისაა, რომ ე. ბოსლეველის პუბლიცისტიკაში თითქმის დამაკმაყოფილებლად გამორკვეულია ეკონომიკისადმი პოლიტიკის დამოკიდებულების საკითხი: პოლიტიკა ეკონომიკითაა განპირობებული. ბოსლეველი ერთმანეთისაგან ანსხვავებს რეაქციულ და პროგრესულ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ის ფიქრობს, რომ ევროპასა და რუსეთში არსებული ეკონომიკური ურთიერთობანი თავის ექსპლოატატორული არსით, თავისი ბუნებით რეაქციულია. რომ ამ ურთიერთობათა დამახასიათებელია ის, რომ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი გათიშულია თავის შრომის პროდუქტის მფლობელობისაგან, რომ ის შრომობს, ხოლო მის მიერ შექმნილ პროდუქტს არა მშრომელი კლასები ითვისებენ და მდიდრდებიან.

ჩვენი ავტორი აღიარებს, რომ ევროპასა და რუსეთში ასეთი ეკონომიკური ურთიერთობის დამცველია პრივილეგიური კლასები და მათი პოლიტიკაც მიმართულია ექსპლოატატორულ ურთიერთობათა განმტკიცებისაკენ. ბოსლეველის შეფასებით, პრივილეგიური კლასების პოლიტიკა რეაქციულია და ეწინააღმდეგება ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებას, რომელშიაც ექსპლოატაცია გამორიცხული იქნება. ასეთი რეაქციული პოლიტიკა, რომელიც დრომოჭმული ეკონომიკური ურთიერთობის გამოსახულებაა, ხელს უშლის

საზოგადოებრივ პროგრესს და აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას. ბოსლეველი ფიქრობს, რომ მხოლოდ პროგრესული კლასების პოლიტიკის განხორციელების გზით არის შესაძლებელი ეკონომიკური პროგრესის დაჩქარება, სოციალიზმის მიღწევა.

VIII

როგორც ცნობილია, იმპერიალიზმის იდეოლოგები დღეს სპეკულაციას ეწევიან ტერმინით „დემოკრატია". ბურჟუაზიულ სამყაროში ფორმალურად გამოცხადებულ „თავისუფლებას" უმაღლეს დემოკრატიად ასაღებენ.

რუსმა და ქართველმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა ჯერ კიდევ 1860-იან წლებში დაამტკიცეს, რომ კაპიტალიზმი ანტიხალხური და ანტიდემოკრატიული წყობილებაა. როგორც აღიარებულია, რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა კაპიტალიზმისადმი შეურიგებლობა, ბურჟუაზიული სახელმწიფოსადმი და ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი კრიტიკულ დამოკიდებულება. ძირითადად ამ პოზიციაზე იდგა ბოსლეველიც, არა მარტო თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის გადმონაშთების გადამწყვეტი მოწინააღმდეგე, არამედ საზოგადოდ მშრომელთა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა, რომელიც შენიღბული იყო ლაყბობით „ბურჟუაზიულ თავისუფლებაზე".

ბოსლეველი ბურჟუაზიულ დემოკრატიას დიალექტიკურად აფასებდა: ერთი მხრივ, ამჩნევდა მის ფარისევლობას, იმას, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია მხოლოდ ნიღბავდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და ქონებრივ უთანასწორობას. მას ესმოდა ბურჟუაზიული თავისუფლების ფორმალური ხასიათი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ის არ შეიცავდა ყოველი ადამიანისათვის უმთავრეს თავისუფლებას — კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან თავისუფლებას. პუბლიცისტი ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოების, კერძოდ „მუშა ხალხის" მდგომარეობის მაგალითზე ხედავდა, რომ იქ დემოკრატია მოკლებულია ყოველგვარ მატერიალურ გარანტიას.

მეორე მხრივ, ბოსლეველისთვის ნათელი იყო, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია მთელი თავისი შეზღუდულობითა და არასრულფასოვნებით იყო მშრომელთა რევოლუციური მოქმედების ნაყოფი, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობა, რომელიც კლასობრივ ბრძოლაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის მნიშვნელოვანი მასების მონაწილეობით წარმოიშვა, ნიადაგს ამზადებდა მშრომელთა წარმატებული ბრძოლისა და მათი ნამდვილი განთავისუფლებისათვის. მისთვის აშკარა იყო, რომ ლიბერალიზმი, საერთოდ, ამაოდ ცდილობ-

და დაესაბუთებინა, რომ კაპიტალიზმს თითქოსდა მოაქვს საყოველთაო ჰარმონია, კეთილდღეობა და თავისუფლება. ამასთან, ერთმანეთისაგან კარგად არჩევდა ფეოდალურ სახელმწიფოს და ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თუმცა მისთვის უცხო იყო ამ უკანასკნელის გაზვიადებული გაგება. აქაც თავს იჩენდა ისტორიული პროგრესის ბოსლეველისეული გაგება, კაპიტალიზმის შედარებით პროგრესულობის აღიარება დრომოჭმულ ფეოდალიზმთან შედარებით.

ბოსლეველის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ბურჟუაზიული დემოკრატიის პროგრესულობის აღიარება, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა. მის დიდ პოლიტიკურ გამჭრიახობად უნდა ვაღიაროთ იმის მტკიცება, რომ დემოკრატიზმისათვის ბრძოლა, დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვება და გაფართოება სოციალიზმისაკენ მიმავალი გზაა და აახლოებს მის გამარჯვებას. ვინც ჩვენი პუბლიცისტის ნაწერებს გაეცნობა ის დარწმუნდება იმაში, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში დემოკრატიისათვის ბრძოლა ბოსლეველს გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა. მისთვის ცხადი იყო, რომ დემოკრატიისათვის ბრძოლა პოლიტიკურად ათვითცნობიერებდა მოძრაობაში ჩაბმულ რევოლუციურ ძალებს, რომ დემოკრატიულ თავისუფლებათა გაფართოება მშრომელებს გაერთიანებისა და დარაზმვის საშუალებას აძლევდა. ბოსლეველს ესმოდა, რომ დემოკრატიზმი და სოციალიზმი გაუთიშველია და რომ დიდ შეცდომას უშვებენ განმათავისუფლებელი ბრძოლის ის მოღვაწენი, რომელთაც ეს არ შეუძლიათ გაიგონ. დიდად საინტერესოა, ამასთან ერთად, იმის აღიარება, რომ პოლიტიკის შინაარსი საერთოდ ეკონომიკური ინტერესებითაა ნაკარნახევი, რომ პოლიტიკური მოძრაობანი ეკონომიკური მოვლენებითაა განპირობებული.

ე. ბოსლეველის დიდი დამსახურება ქართული რევოლუციური მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან გაიგო პოლიტიკის კლასობრივი ხასიათი. ჩვენი აზრით, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ პოლიტიკის კლასობრიობის აღიარებაში გამოიხატა მარქსიზმის გავლენა ბოსლეველზე. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ჩვენში მარქსიზმი დაიწყებდა გავრცელებას და მარქსისტულად მოაზროვნე ინტელიგენცია გაჩნდებოდა, ბოსლეველმა გაიგო, რომ ევროპის პოლიტიკური წყობილება შექმნილია პრივილეგიური კლასების მიერ საკუთარი ინტერესების დასაცავად, რომ სახელმწიფო წყობილება კაპიტალისტურ ქვეყნებში ორგანიზებულია ბურჟუაზიის მიერ, მისსავე სასარგებლოდ. ბოსლეველი წერდა: „სხვადასხვა ხალხთა საზოგადოებრივსა და სახელმწიფოს წესსა და წყობილებას რომ დაუკვირდეს კაცი, ყველგან ერთ მოვლენას შენიშნავს, რომ ეგ წესი და წყობილება შეუქმნია იქაურს საზოგადოების შეგნებულ ნაწილს თავის

სასარგებლოდ“, იგი იქვე შენიშნავს, რომ „სახელმწიფოს ნება და საგანი განისაზღვრება მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილისაგან, რომელიც ეკონომიურად უკეთეს მდგომარეობაში ჩამდგარა“[230]. ეს ამონაწერი მრავალმხრივ საყურადღებოა.

ცნობილია, რომ სახელმწიფოს წარმოშობის, მისი არსისა და როლის საკითხი იმ დროისათვის ერთ ურთულეს პრობლემათაგანს წარმოადგენდა. სახელმწიფოს როლისა და დანიშნულების საკითხს ბოსლეველის დროინდელ საზოგადოებაში ისიც ართულებდა, რომ სახელმწიფოს არსის საკითხს ბურჟუაზიის იდეოლოგები აბნელებდნენ. სახელგანთქმულ ლექციაში „სახელმწიფოს შესახებ“ ვ. ი. ლენინი ამბობდა: „სახელმწიფოს საკითხში, სახელმწიფოს მოძღვრებაში, სახელმწიფოს თეორიაში, როცა საკითხს გაეცნობით და მას საკმაოდ ჩასწვდებით, ყოველთვის დაინახავთ სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც იხატება ან თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფოზე არსებულ შეხედულებათა ბრძოლაში, სახელმწიფოს როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში“[231].

ბურჟუაზიის არც ერთ იდეოლოგს არ წამოუყენებია დებულება, რომ სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პრივილეგიური კლასების ინტერესების დამცველია, რომ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმართულია ბურჟუაზიისა და მემამულეების კერძო საკუთრების დაცვისაკენ, რომ სახელმწიფო ზრუნავს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განამტკიცოს ექსპლოატატორული ურთიერთობანი, უზრუნველყოს ბურჟუაზიის თავისუფლება ექსპლოატაციის სფეროში, რომ კლასობრივი ბრძოლებისა და კონფლიქტების დროს გაამაგროს ბურჟუაზიის პოზიცია და მორჩილებაში მოიყვანოს მუშათა კლასი, როდესაც ის იბრძვის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მისი მძიმე შედეგების შეზღუდვისა და შემსუბუქებისათვის. პირიქით, ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები სახელმწიფოს წარმოადგენენ როგორც ზეკლასობრივ კატეგორიას, რომლის დანიშნულებაა საზოგადოებრივი წესრიგისა და ნორმების დაცვა და სხვა ამგვარი მიზნები.

მეორე მხრივ, არც ერთ მარქსამდელ სოციალისტურ სკოლას ზუსტად არ ესმოდა სახელმწიფოს არსი და დანიშნულება ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამ დროისათვის წვრილბურჟუაზიული სოციალისტების, ანარქისტებისა და წინამარქსისტული სოციალიზმის მიერ სახელმწიფოს არსის საკითხი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან სოციალიზმის დამოკიდებულების საკითხი ბურუსით იყო მოცული და არ იყო სწორად გადაჭრილი. დიდ უთანხმოებას იწვევდა აგრეთვე საკითხი სოციალიზ-

230 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, 170.

231 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 555.

მისა და პოლიტიკური ბრძოლის ურთიერთობის შესახებ და აი ასეთ პირობებში, როდესაც მარქსიზმი ჯერ ფართოდ ცნობილი არ არის რუსეთსა და საქართველოში და ის დამახინჯებულადაა წარმოდგენილი, როგორც მარქსის მომხრეების, ისე მისი მოწინააღმდეგეების მიერ, ე. ბოსლეველმა შეძლო ამ ეპოქის უდიადესსა და ურთულეს საკითხში, სახელმწიფოს არსისა და დანიშნულების, სახელმწიფოსთან სოციალისტების დამოკიდებულების საკითხებში ძირითადად სწორად გარკვევა.

ბოსლეველის გაგებით, „პოლიტიკური მდგომარეობა სახელმწიფოსა ...დამოკიდებულია საზოგადოების ეკონომიურს მდგომარეობაზედ იმიტომ, რომ ეკონომიურად უზრუნველყოფილი ნაწილი ყოველთვის ხელმძღვანელობს და მმართველობას იმგვარს ხასიათსა და მიმართულებას აძლევს, როგორიც მას მოუხდება და პოლიტიკურის უფლებითაც ის უფრო სრულად სარგებლობს, ვინემ დანარჩენი ნაწილი, ეკონომიკურად უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნილი. ისტორიულად ცნობილია, — განაგრძობს პუბლიცისტი, — რომ არეულობისა და რევოლუციის შედეგით და ნაყოფით ყოველთვის ნივთიერად შეძლებულს ნაწილს საზოგადოებისას უსარგებლნია და ღარიბსა და ღატაკს კი ერთი, ორი რამე თუ რგებია ამ შედეგისა და ნაყოფისაგან“[232].

ამრიგად, ეკონომიკის დიდი გავლენა პოლიტიკაზე და სახელმწიფოს პოლიტიკურ წესწყობილებაზე ბოსლეველს უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

მეორე მხრივ, იგი ძირითადად მართებულად აფასებს „პოლიტიკური ფორმის ზეგავლენას“ „ეკონომიკურ მდგომარეობაზე“, რითაც იგი ემიჯნება გ. პლეხანოვს, რომელსაც, ბაკუნინის მსგავსად არ ესმოდა პოლიტიკის უკუგავლენა ეკონომიკაზე, ზედნაშენისა ბაზისზე[233]. ბოსლეველის რწმენით, „პოლიტიკური უფლება ერთი მძლავრი იარაღთაგანია, რომლითაც შეიძლება ხალხის ნივთიერის მდგომარეობის გაუმჯობესება“[234].

პუბლიცისტი საკმაოდ მომწიფებული მოაზროვნე აღმოჩნდა იმის გასაგებადაც, რომ ბურჟუა და ფეოდალი, მათ შორის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოკავშირეებად გამოდიან ხალხის ძარცვაში, მშრომელთა მიერ შექმნილ ღირებულებათა განაწილებაში. ე. ბოსლეველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მთელ რიგ საკითხებში სწორ პოზიციას იკავებს და არაერთ საკითხში თავისუფალია ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენისაგან. ქართულ პუბ-

---

232 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 171.

233 Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, ч. II, с. 165.

234 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 173.

ლიცისტიკაში ევროპისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების კლასობრივი არსის ჩვენებით მან დიდად შეუწყო ხელი ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმა სვლას და მასში მონაწილე ძალების პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, — ცხადყო, რომ კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლება მხოლოდ პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვებით შეიძლება. ბოსლეველი ეკუთვნოდა იმ ქართველ რევოლუციონერთა მცირე რიცხვს, რომელთაც ესმოდათ, რომ რუსეთისა და ევროპის პოლიტიკური წყობილებანი ხალხთსაწინააღმდეგო პოლიტიკური დაწესებულებებია და რომ მშრომელებს ამ წყობილების დამსხვრევისა და, როგორც თვითონ ამბობდა, „პოლიტიკური თვითმდგომარეობის“ შექმნის, ე. ი. პოლიტიკური ბატონობის მოპოვების გარეშე არ შეუძლიათ თავი დაიხსნან ექსპლოატაციისაგან. გ. მაიაშვილთან კამათის დროს იგი პირდაპირ აყენებს კითხვას, თუ რა საშუალება უნდა იხმაროს საზოგადო მოღვაწემ იმისათვის, რომ მშრომელმა საზოგადოებამ ეკონომიკურ კეთილდღეობას მიაღწიოს და თვითონვე პასუხობს: მუშათა კლასი მაშინ შემუსრავს ბურჟუაზიის ექსპლოატაციას, თავს გაინთავისუფლებს ეკონომიკურის ჩაგვრისაგან და თვით გახდება მის მიერ შექმნილი მატერიალური სიმდიდრის მფლობელი და გამოიყენებს თავისი ინტერესების შესაბამისად, თუ ის პირველ რიგში შემუსრავს ბურჟუაზიის პოლიტიკურ ბატონობას და სახელმწიფო ძალაუფლებას, როგორც თვითონ იტყოდა, მუშათა კლასი და მშრომელები თავის ნება-სურვილს, ანუ თავის მატერიალურ ინტერესებს დაუმორჩილებენ.

მართალია, ბევრი რამ არ არის გარკვეული ბოსლეველის ნაწერებში სახელმწიფოს როლის შესახებ, პოლიტიკის როლის შესახებ სოციალიზმის გამარჯვების საქმეში, მაგრამ პუბლიცისტმა ერთი რამ ნათლად აჩვენა, კერძოდ ის, რომ მისი თანამედროვე პოლიტიკური რეჟიმები ანტიხალხურია, ანტიდემოკრატიულია და რომ მათი დამსხვრევა აუცილებელია „ეკონომიკური ბატონყმობის“ მოსასპობად. ანარქისტებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ აღიარებს პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას, პოლიტიკურ ბრძოლას თვლის სოციალიზმის დამყარების გადამწყვეტ იარაღად. ვიმეორებთ, მას არ დასცალდა დაწვრილებით გამოერკვია და გაეგო თუ რისთვის სჭირდებათ მშრომელებს საკუთარი სახელმწიფო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის მაინც ახლოს იდგა იმ აზრთან, რომ მშრომელთა სახელმწიფო უნდა გამოყენებულიყო, როგორც იარაღი ეკონომიკური გარდაქმნებისა, როგორც იარაღი ექსპლოატატორული ურთიერთობის ლიკვიდაციისა. მშრომელთა სახელმწიფოს, ბოსლეველის აზრით, უნდა ეზრუნა იმისათვის, რომ მატერიალური დოვლათი, რომელსაც მშრომელები

ქმნიან, ყოფილიყო მათსავე განკარგულებაში და მათ მატერიალურ კეთილდღეობას მოხმარებოდა.

როგორც ვხედავთ, ბოსლეველმა არსებითად შეაფასა ბურჟუაზიული სახელმწიფო და მისი კლასობრივი ხასიათი.

XIX საუკუნის რეფორმების მომდევნო ხანის, მეტადრე 70—80-იანი წლების საზოგადოებრივი ვითარება, კერძოდ, პოლიტიკური ჩაგვრის ველური ფორმები, აგრეთვე ევროპის კლასობრივი ბრძოლების ფაქტები, ბოსლეველის ყურადღების ცენტრში აქცევდნენ პოლიტიკურ პრობლემებს, კერძოდ, სახელმწიფოს როლისა და დანიშნულების საკითხებს კლასობრივ ბრძოლებში. ბოსლეველის უპირატესობა უტოპისტი სოციალისტების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მას არ გაუზიარებია სახელმწიფოს ზეკლასობრიობის ბურჟუაზიული თეორიები. ბოსლეველმა უკუაგდო მოსაზრება, რომლის მიხედვით დემოკრატიისა და სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მისი თანამედროვე პოლიტიკური სისტემების შენარჩუნების პირობებში.

დიდ უტოპისტ სოციალისტებს არ ესმოდათ სახელმწიფოს როლი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ბურჟუაზიულ მოღვაწეთა ფუნქციები და დანიშნულება, ისინი ფიქრობდნენ, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკური მოღვაწენი და დაწესებულებანი შეიძლება გამოყენებულ იქნენ სოციალისტურ მშენებლობაში, რომ ისინი შეიძლება იქცნენ გადამწყვეტ ძალად სოციალიზმის განხორციელების საქმეში. ეს იყო უაღრესად რეაქციული უტოპია, რომლის პროპაგანდას საქართველოს სინამდვილეში შეეძლო დიდად შეეფერხებინა განმათავისუფლებელი მოძრაობა, მაგრამ ბოსლეველის დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან მოგვცა ბურჟუაზიული სახელმწიფოს მკაცრი კრიტიკა და ახსნა როგორც ევროპის სახელმწიფოთა, ისე რუსეთის მონარქიის კლასობრივი ხასიათი.

ბოსლეველს სოციალიზმის გამარჯვებისათვის აუცილებლად მიაჩნდა არსებულ სახელმწიფოებრივ, რეაქციულ პოლიტიკურ დაწესებულებათა დამსხვრევა და სახალხო ხელისუფლების ჩამოყალიბება. მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ დაწესებულებათა პრაქტიკის, აგრეთვე ევროპის სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესწავლამ ბოსლეველი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში სახელმწიფო ძალაუფლება ზეკლასობრივი არ არის, რომ კლასობრივი ბრძოლების დროს იგი არ გამოდის ნეიტრალურ ძალად სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიმართ, რომ მშრომელთა და პრივილეგიურ კლასთა შორის კონფლიქტების დროს სახელმწიფოებრივი ხელისუფლება პრივილეგიური კლასების მხარეზეა და იცავს ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ანტიხალხური ბუნებისაა და ვერ ითმენს ვერავითარ

ცდას მშრომელთა სასარგებლოდ ცვლილება მოხდეს ექსპლოატატორულ ურთიერთობებში.

სახელმწიფოს წარმოშობის საკითხებში ბოსლეველი არ არის გარკვეული, მაგრამ ის შორს დგას ლიბერალურ-მემამულური ბანაკის თეორიისაგან, რომლის მიხედვით სახელმწიფო ძალაუფლება, პოლიტიკური მოღვაწენი, სამხედრო პირები, დიპლომატები და მონარქები ისტორიის შემოქმედია. როგორც ცნობილია, მემამულურ-ბურჟუაზიული იდეოლოგები რუსეთის ცარიზმისა და რუსეთის მონარქიზმის იდეალიზაციას ახდენენ. ისევე როგორც რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებმა, ბოსლეველმა გამოააშკარავა, რომ მეფის ხელისუფლება რუსეთში არის დესპოტური ხელისუფლება, რომელიც ძალმომრეობის ველური ფორმების გამოყენებით იცავს მემამულეთა და ბურჟუაზიის ინტერესებს, რომლის იდეოლოგია რასისტული და უაღრესად რეაქციულია. მისი აპარატი გახრწნილია, ბიუროკრატია ყოველგვარ კანონებს არღვევს, ამ აპარატში გამეფებულია მექრთამეობა, სიცრუე, მძარცველობა და ხიშტები.

დობროლიუბოვთან ერთად, ბოსლეველმა გვიჩვენა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატი საზოგადოებრივი პროგრესის მტერია, რომ იგი ახშობს ყოველგვარ თავისუფლებას, გარდა რეაქციონერთა თვითნებობისა და რომ აქ სახელმწიფოებრივი ინტერესები დაპირისპირებულია ხალხთა მასების ინტერესებთან. ბოსლეველმა გაიზიარა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ის შეხედულება, რომ მეფე რუსეთში და საფრანგეთში, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, არ შეიძლება იყოს ხალხის ინტერესების გამომსახველი, რომ არ შეიძლება გწამდეს მეფეთა კეთილი განზრახვები, რომ ყველა მონარქი, იმპერატორი ყველა ქვეყანაში წარმოადგენს პრივილეგიური კლასების ნების გამოხატვასა და მათი ინტერესების დაცვას.

უნდა შევეხოთ ერთ კერძო საკითხსაც. ე. ბოსლეველის პუბლიცისტიკაში გარკვეულია აგრეთვე პოლიტიკისა და ლიტერატურის ურთიერთდამოკიდებულება, მსოფლმხედველობის როლი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში ის წინ დგას პოლ ლაფარგსა და გ. პლეხანოვზე, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ პოლიტიკა აზიანებს მხატვრულობას. პლეხანოვი, იხილავდა რა გორკის შემოქმედებას, აღიარებდა, რომ გორკის მხატვრულ შემოქმედებას პოლიტიკა ხელს უშლისო. ბოსლეველი აღიარებს, რომ მოწინავე პოლიტიკა და მსოფლმხედველობა ხელს უწყობს მწერალს შექმნას იდეურად გამართული და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების როლი, ბოსლეველის აზრით, იმდენად

უფრო დიდი იქნება და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეში, რამდენადაც მხატვრული ქმნილებანი გაჟღენთილია მოწინავე პოლიტიკური იდეებითა და მსოფლმხედველობით. ლიტერატურა და ხელოვნება იმის მიხედვით აფერხებენ ან აჩქარებენ საზოგადოებრივ განვითარებას, იმის მიხედვით ამტკიცებენ ან არყევენ არსებულ წყობილებას, თუ რამდენად ემსახურებიან პრივილეგიური კლასების ინტერესებს, ან პირიქით, ხელს უწყობენ მშრომელთა მასების თვითშეგნების ამაღლებას, მათი მოძრაობის აღმავლობას, მათი განთავისუფლების მოახლოებას, რამდენადაც ლიტერატურა და ხელოვნება საზოგადოდ მოიცავენ საზოგადოების შესახებ მოწინავე ან რეაქციულ შეხედულებებს, რეაქციულ ან რევოლუციურ მსოფლმხედველობას. ხელოვნების ის ნაწარმოებები, რომლებიც შეგნებულად არიან შექმნილი გაბატონებული კლასების დასაცავად, არსებული ურთიერთობების იდეალიზაციისათვის, აფერხებენ ისტორიულ განვითარებას.

ბოსლეველი აღიარებდა, რომ მწერლის მოწინავე იდეოლოგიით შეიარაღება ხელს უწყობს მას გაშალოს მხატვრული შემოქმედება, შექმნას რეალისტური ნაწარმოებები. ხელს უწყობს მხატვრული ხერხების სრულყოფას, არსებული ვითარების სწორ გაგებას და ათვისებას, ისტორიული ტენდენციების სწორად დადგენას. დიდი მხატვრული ძალის, ლიტერატურისა და ხელოვნების სრულყოფილ ნაწარმოებთა შექმნა, ბოსლეველის სამართლიანი რწმენით, შეიძლება მხოლოდ მაშინ, და უმეტესად მაშინ, თუ მწერლის დიდი მხატვრული შესაძლებლობა და მსოფლმხედველობა ჰარმონიაშია მოყვანილი.

თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენლები უარყოფენ მსოფლმხედველობის რაიმე მნიშვნელობას ხელოვნებისათვის. მსოფლმხედველობა მათი აზრით აღარიბებს და სქემატურს ხდის ლიტერატურასა და ხელოვნებას; ხელოვნება და ლიტერატურა ირაციონალური არის, ის არის განცდები, გრძნობები. ამიტომ არსებულის გამოსახვა გრძნობით, მსოფლმხედველობის კონტროლის გარეშე, ამდიდრებს ლიტერატურისა და ხელოვნების შინაარსს. თითქოს ამის წინააღმდეგ, ბოსლეველი წინასწარ ამტკიცებდა, რომ არა ყველა მსოფლმხედველობა არის მტერი პოეზიისა და მხატვრული შემოქმედებისა, არამედ აზროვნების რეაქციული ფორმები. მისი აზრით, იმდენად დიდია მხატვრული ნაწარმოების ღირებულება, რამდენადაც მრავალგვარია კავშირი მწერლისა და ხელოვანისა საზოგადოების ცხოვრებასა და მოწინავე აზროვნებასთან, რამდენადაც მწერალი და ხელოვანი განთავისუფლებულია აზროვნებისა და შემეცნების ყალბი ფორმებისაგან, რომელსაც ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში აქვს ადგილი.

ისტორიული პროცესის სუბიექტივისტურ გაგებას, რასაც არაერთი ხალხისანი მოღვაწე იცავდა, ბოსლეველმა დაუპირისპირა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების არსებითად მართებული თეორია.

როგორც ცნობილია, უტოპისტმა სოციალისტმა სენ-სიმონმა, უფრო მეტად, ვიდრე ფრანგმა განმანათლებლებმა, მოგვცა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერების იდეა. ისტორიული განვითარება მან განიხილა როგორც ერთიანი პროცესი, რომელსაც საფუძვლად უდევს სულიერი განვითარება, მსოფლმხედველობრივი სისტემების, ფილოსოფიური სისტემების ცვლილება. მაგრამ მეცნიერული „ისტორიული თეორიის" შექმნა სენ-სიმონმა, ფურიემ, კანტმა, ფიხტემ და ჰეგელმა ვერ შესძლეს[235].

ეს დიადი ამოცანა გადაწყვიტა კ. მარქსმა, რომელმაც საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონები აღმოაჩინა. მან „პასუხი გასცა იმ კითხვებზე, რომლებიც უკვე დააყენა კაცობრიობის მოწინავე აზროვნებამ", შექმნა მოძღვრება საზოგადოებრივ ფორმაციებზე, რაც ვ. ი. ლენინმა შეადარა დარვინის მოძღვრებას სახეებზე და მათ წარმოქმნაზე. „როგორც დარვინმა ბოლო მოუღო შეხედულებას ცხოველებისა და მცენარეების სახეებზე, როგორც სრულიად დაუკავშირებელ, შემთხვევითს, „ღვთის გაჩენილ" და უცვლელ მოვლენებზე... ისე მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურ აგრეგატზე, რომელიც შეიძლება ყოველნაირად შეიცვალოს უფროსის ნება-სურვილით (ან, რაც იგივეა, საზოგადოებისა და მთავრობის ნება-სურვილით), რომელიც წარმოიშობა და იცვლება შემთხვევით, და პირველად დააყენა სოციოლოგია მეცნიერულ ნიადაგზე, — შეიმუშავა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება, როგორც მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობისა, და დაამტკიცა, რომ ამგვარი ფორმაციების განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია"[236].

მარქსიზმმა უდიდესი გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მოწინავე აზროვნებაში, კერძოდ ისტორიისა და პოლიტიკის გაგებაში. „ქაოსი და თვითნებობა, რაც აქამდე გამეფებული იყო შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა საოცრად მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ

---

[235] А. М. Деборин. Социально-политические учения нового времени, т. II, с. 6.

[236] ვ. ი. ლენინი, რანი არიან „ხალხის მეგობრები", თხზ., ტ. I, გვ. 153.

ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან, საწარმოო ძალების ზრდის გამო, მეორე, უფრო მაღალი წყობა, — მაგალითად, ბატონყმობიდან ვითარდება კაპიტალიზმი"[237].

მხოლოდ მარქსიზმმა გამოიკვლია წარმოების ერთი წესის მეორეთი შეცვლის კანონზომიერებანი, აღმოაჩინა საზოგადოების განვითარების კანონები. მარქსიზმის გავლენით ბოსლეველმა საინტერესო მოსაზრება გამოთქვა კანონზომიერებაზე, რაც მან დაუპირისპირა ხალხოსნური ჟურნალის, „იმედის" პუბლიცისტებს, რომელთაც „მთელი ისტორია" შემთხვევითობამდე დაჰყავდათ. იგი შენიშნავდა: „...„იმედს" ჰგონია, რომ საზოგადო წარმატება, პროგრესი მოგზაურობს, სხვათა შორის, „გამოუძიებელს ბილიკზედ", რომელიც „მტკიცე კანონზედ არ არის დაფუძნებული"[238]. იმავე ჟურნალს საერთოდ, და სახელდობრ სტ. ჭრელაშვილს პუბლიცისტი საყვედურობს ისტორიული პროცესის შემთხვევითობისადმი დაქვემდებარებას, ისტორიის გამოცხადებას ურიცხვ შემთხვევითობად[239].

ბოსლეველი პასუხობს „იმედს", რომ ადამიანები შემთხვევამ, მოულოდნელმა მოვლენამ კი არ მიაბა „ან გუთანს, ან ურემს, ან ცულს და ან წალდსო". იგი განაგრძობს: „ერთი რომ, შეუბრალებელი ცხოვრება, რომელიც გლეხკაცობას თავზედ აწვა და ყოველს მისს სულიერსა და გონებითს მოთხოვნილებას თესლშივე ხუთავდა, სულაც შემთხვევისა და მოულოდნელის მოვლენის შედეგი არ ყოფილა, არამედ დამოკიდებული იყო ცხოვრების იმ საზოგადო პირობებზედ, რომელმაც, როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც, ერი დაჰყო რამდენიმე წოდებად, რომელთაგან ერთი მეორის ლუკმად გახადა"... იქვე ბოსლეველი კითხულობს: „იქნება „იმედის" რედაქცია იმასაც ჰფიქრობდეს, რომ ნივთიერი მდგომარეობა რომელისამე ერისა არ ემორჩილება ეკონომიურსა და სოციალურს კანონებს?"[240]

ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებზე ბოსლეველი კიდევ უფრო გარკვევით მსჯელობს, როცა ირწმუნება: „ადამიანი მანამ ვერ გამოვა ბუნების მონური მორჩილებიდან და ათასგვარი ცრუმორწმუნეობიდან, სანამ ბუნების კანონები არ შეუსწავლია, სანამ იგი არ დარწმუნდა, რომ ყოველს მოვლენას ფიზიკურს ბუნებაში თავისი კანონი აქვს. სწორედ ამის შემდეგ გახდა კაცი ბუნების პატრონი, — კაცმა დაიმორჩილა ბუნება და ფიზიკური

---

237 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, თხზ., ტ. 19, გვ. 5.

238 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 266—267.

239 იქვე, გვ. 273 და სხვ.

240 იქვე, გვ. 274.

ძალები თავის კერძო ცხოვრებას ამსახურა. მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი ბუნების ძალებთან კაცს გონიერი და ნაყოფიერი ბრძოლა გაემართა და ამ ბრძოლებში გამარჯვება დარჩენოდა, როდესაც ყოველს ბუნების მოვლენას სასტიკად განსაზღვრული კანონი მოუნახა. ერთი სიტყვით, ახლა მხოლოდ გონებით ბრმა იტყვის, რომ ფიზიკურ ბუნებაში რაიმე შემთხვევა, ე. ი. მოულოდნელი მოვლენა, ხდებოდეს, თუნდ ვისმე ბრძანებითაც"[241].

პუბლიცისტი აბათილებს მოსაზრებას, რომ თითქოსდა „კაცის ხორციელსა და სულიერ ცხოვრებაში უზენაესი ძალები მოქმედებდეს და ეს ძალები არავითარ კანონს არ ემორჩილება". სინამდვილეში, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „მეცნიერებამ აქაც გამონახა ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და პსიქოლოგიური კანონები... რომლებიც ექვემდებარება და რომლებითაც განიმარტება ყოველი მომენტი ადამიანის ცხოვრებითის პროცესისა. ამ კანონების საშუალებით მეცნიერება იკვლევს და ცდილობს საზოგადოებრივის ორღანიზმის ცხოვრებასაც"[242].

ბოსლეველი ასე ავითარებს თავის მოსაზრებას საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებზე და მისი გათვალისწინების აუცილებლობაზე: ერთა საზოგადოებრივი ცხოვრება, „მათი ისტორიული ზრდა და პროგრესული მსვლელობა ერთობ რთული საგანია. აქ ერთობ ბევრი ძალები, ბევრი ფაქტორები მოდიან მოქმედებაში" და ისინი ვისიმე ნებას, რაიმე შემთხვევითობასა და უცაბედობას არ ექვემდებარებიან. ხალხის ნივთიერი და სულიერი მდგომარეობა, მისი წინსვლა თუ უკან დახევა და „ხანდახან სიკვდილი, თუ არა ფერისა და ზნის გამოცვლა ხომ მაინც, ხდება არა უცაბედის მოვლენით არამედ იმ კანონების კვალობაზედ, რომელნიც გამოუნახავს სოციოლოგიურს, ეკონომიურს, პოლიტიკურს, ეტნოგრაფიულს, ფიზიკურსა და სხვა მეცნიერებას". დღეს საზოგადოების მოწინავე ნაწილი ყველგან, „მეცნიერებით აღჭურვილი იმას ატეხს თავს, რომ ხალხის ცხოვრება მოაწყოს ისე, როგორც ეს კანონები ითხოვენ, რადგან დარწმუნებულია, რომ მხოლოდ მაშინ დამყარდება შესაძლებელი ბედნიერება უმრავლესობისათვის ქვეყანაზედ და სწორედ იმ ხალხის მომავალია ბევრად თუ ცოტათ უბედურებათა გზას აშორებული, რომელსაც შეუსწავლია და შეუსმენია ამ კანონების ძალა და მათდა მიხედვით სცხოვრობს კიდეც"[243].

ის ერი, რომელიც ფიქრობს, რომ ვითომც „საზოგადოებრივი ორღანიზმის ზრდა და ხალხის ისტორიული ცხოვრება" თუნდაც რამ-

---

241 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 274—275.

242 იქვე, გვ. 275.

243 იქვე.

დენადმე დამოკიდებულია ვისიმე სურვილზე, გნებავთ „შემთხვევაზედ“, ვერასდროს „ვერ აშორდება გადასავარდნებით მოფენილ გზას და დღეს თუ ხვალ ხრამში გადაიჩეხება, და ასეც დაემართათ ძველის დროის ხალხებს“[244]. აი, სწორედ ამიტომ „იმედის“ ქადაგება ისტორიული პროცესის შემთხვევითობაზე მავნებელია, რადგან საზოგადოებას ხელს უშლის ცხოვრებაზე გონიერი აზრი შეიმუშაოს და „ერთხელ გამრუდებული გზა როგორმე გაასწოროს“[245].

ამასთანავე ბოსლეველი შენიშნავს, რომ იგი ფატალიზმს არ ქადაგებს. მისი სიტყვით, „ფატალიზმი, ან და ჩვენებურად ბედის წერა, დეტერმინიზმის ღვიძლი შვილია; ფატალიზმი მხოლოდ იმ კაცს სწამს, რომელსაც ცხოვრების კანონების არა გაეგება რა, რომელსაც მოვლენათა თავიდან აშორება შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ამ მოვლენათა მიზეზად უზენაეს ძალას თვლის... ამგვარმა ცრუ რწმენებამ სწორედ მაშინ დაჰკარგა მნიშვნელობა, როდესაც ბუნების მეცნიერებამ გაიმარჯვა, ე. ი. როდესაც ყოველი მოვლენა განსაზღვრულს კანონს მიაჩემეს“[246]. აქვე შევნიშნავთ: „იმედთან“ ბოსლეველის დავა ცხადყოფს, რომ პუბლიცისტს ბოლომდე არ ესმოდა ფატალიზმსა და სოციალურ დეტერმინიზმს შორის არსებული ღრმა განსხვავება[247]. იგი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ ისტორიული დეტერმინიზმი, ანუ მოძღვრება, რომლის თანახმად ადამიანთა შეგნებული მოქმედება მატერიალური მიზეზითაა განპირობებული, ისტორიული კანონზომიერებაა, არც იმას, რომ დეტერმინიზმის იდეის სოციოლოგიაზე გავრცელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული პროცესის მატერიალისტური გაგებისათვის.

ბოსლეველის თქმით, ადამიანს ბუნებასა და საზოგადოებაში ბევრი წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს, რაც „ცოდვად“ არ ჩაითვლება. საქმე ისაა, რომ „ხალხის განთავისუფლება ეკონომიურის, თუ პოლიტიკურის მონების უღლისაგან, მისის დავარდნილის ცხოვრების გამობრუნება, იმის სათუოშო გამოსვლა შთამომავლობით გადმოსულს სენისაგან, მისი პროგრესი და კულტურა, მისი ისტორიული ცხოვრება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და საიმედო, როდესაც ამათი გამჩენი მიზეზები გამოკვლეულია და მიზეზის გამოცნობა კანონა მოსახერხებელია, თუ მოვლენა შემთხვევითია და უცაბედითია თავისთავად?“ ბოსლეველის რწმენით, ადამიანის მიღწევა ბუნებასთან

---

244 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 275—276.

245 იქვე, გვ. 276.

246 იქვე.

247 Г. И. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономическая мысль..., т. II, с. 158—159

ჭიდილში, მისი წარმატება, მისი გამარჯვება ანტისაზოგადოებრივ ძალებზე წარმოუდგენელია ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების გაგებისა და მომარჯვების გარეშე. „როგორც ფიზიკურის ბუნების ცხოვრებაში, სწორედ ისე სულიერთა ცხოვრებაშიც, — წერდა ბოსლეველი, — ვხედავთ ჩვენ განუწყნარებელს შეტაკებას ბუნების სხვა და სხვა ძალთა შორის და ამ უშველებელს ბრძოლაში გამარჯვებული მხოლოდ ის რჩება, ვინც ამ ძალების მოხმარება იცის, ვისაც შეუძლია, რომ ერთი ძალა მეორეს წინა აღუდგინოს და მით თავი გადაირჩინოს, ე. ი. ვისაც მებრძოლ ძალებთა კანონის ცნობა და გაგება აქვს, უამისოდ ცხოვრებას ხანგრძლივობა და კეთილი შედეგი არ ექნება“[248].

ზემოაღნიშნულიც იმ ცნობილ მოსაზრებას უჭერს მხარს, რომ ბოსლეველმა ძლიერი იერიში მიიტანა შემთხვევითობის, მოულოდნელობისა და სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ[249]. ეს ფაქტიც იმის მაჩვენებელია, რომ ბოსლეველი მარქსიზმის გავლენას განიცდიდა[250].

X

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელმა, ბოსლეველმა, რომელსაც მშობელი ერის დაჩაგრული მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევდა, ფრიად საყურადღებო აზრები გამოთქვა ევროპის ბურჟუაზიის დამპყრობლურ ომებზე და კოლონიურ პოლიტიკაზე, რითაც, პარალელების გავლებით, საქართველოს საატკივარზეც ლაპარაკობდა.

ბურჟუაზიული ლიტერატურა ევროპის სახელმწიფოების მიერ წარმოებული დამპყრობლური ომების იდეალიზაციას ეწეოდა, ამ ომების სოციალურ-პოლიტიკურ მოტივებსა და ეკონომიკურ მიზნებს ფარავდა და აყალბებდა. ასეთ ვითარებაში, რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გაცნობამ და კოლონიურ დაპყრობათა ფაქტების შესწავლამ ბოსლეველს საშუალება მისცა გარკვეულიყო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მიერ წარმოებულ საგარეო ომებში და

---

248 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები გვ. 276—277.

249 ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. გვ. 139.

250 ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების გაგებისა და გამოყენების თაობაზე ბოსლეველის მიერ ჩამოყალიბებული დებულების შეფასებისას მკვლევარი ს. ხუნდაძე წერდა: „საერთო დასკვნით იგი ნასესხები არის მარქსის სოციოლოგიური მოძღვრებიდან და მასთანვე პირველი ცდაც არის ჩვენს ლიტერატურაში საზოგადოებრივი კანონების გამოძებნისა“ (იხ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 2, გვ. 139).

კონკრეტული ფაქტების მოშველიებით ეჩვენებინა მათი მტაცებლური, მძარცველური ბუნება, გამოემჟღავნებინა მსოფლიო კაპიტალიზმის ექსპლოატატორული ბუნება, მისი რეაქციული და რასისტული ნაციონალური პოლიტიკა, ასევე ბურჟუაზიული დამოკიდებულებანი ერთა შორის. გამჭრიახი პუბლიცისტი ამჩნევდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების მძარცველური, ანტიხალხური ბუნება ყველაზე შეუნიღბავად მათ საგარეო პოლიტიკაში ვლინდება. იგი ხედავდა, რომ მაშინდელი ევროპისა და ამერიკის ყველაზე „დემოკრატიული" ქვეყნები, თავის მართლების მიუხედავად, აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს, კოლონიურ ექსპანსიას, დამორჩილებული ხალხების უსირცხვილო ძარცვას.

ბოსლეველი ომისა და კოლონიურ დამპყრობთა საკითხებში არ მოექცა ბურჟუაზიულ იდეოლოგთა, ომის თაყვანისმცემლური თეორიების გავლენის ქვეშ. მან ანგარიში არ გაუწია ბურჟუაზიული ფილოსოფიის დიდ წარმომადგენელთა მეცნიერულ ავტორიტეტს; არ მოექცა ჰეგელის რეაქციული თეორიის გავლენის ქვეშ და ეს იმ დროს, როდესაც ფილოსოფიის ისტორიის ბურჟუაზიულმა წარმომადგენლებმა ჰეგელის სახელი შარავანდედით შემოსეს, ხოლო რუს რევოლუციონერ დემოკრატთა ნაწერები აკრძალული და გაყალბებული იყო.

ჰეგელმა, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთმა ჭეშმარიტად გენიალურმა წარმომადგენელმა, სცნო ბურჟუაზიის უფლება ომებზე და ისინი პროგრესის, საზოგადოების წინსვლის უდიდეს ფაქტორად ჩათვალა. იგი წერდა: „...ომის მაღალი დანიშნულება ისაა, რომ მისი წყალობით ხალხები ინარჩუნებენ ზნეობრივ სიჯანსაღეს. მსგავსად იმისა, როგორც ქარის მოძრაობა ტბას არ აძლევს დალპობის საშუალებას... ასევე ომი იცავს ხალხს ლპობისაგან, რაც ხანგრძლივი და მით უფრო სამუდამო მშვიდობის აუცილებელი შედეგი იქნებოდა". „წარმატებული ომები, — ირწმუნებოდა ჰეგელი, — შინაგან არეულობის განვითარებას ახშობენ და სახელმწიფო ხელისუფლებას განამტკიცებენ... ერები, რომელთა შიგნით არსებობს შეურიგებელი ანტაგონიზმები, შინაგან სიმშვიდეს საგარეო ომების წყალობით პოულობენ"[251]. დიდი მოაზროვნის ამგვარი, უკუღმართი კონცეფცია ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნის ბურჟუაზიულ სოციოლოგთა და სამხედრო თეორეტიკოსთა წრეებში. ომისა და დაპყრობის აპოლოგეტიკა შეიძლება ვიპოვოთ ბურჟუაზიული სამხედრო მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლის კლაუზევიცის ნაწარმოებებშიც[252].

---

[251] Гегель. Сочинения, т. VII, М.—Л., 1934, с. 345.

[252] დაწვრ. იხ. Ю. С. Мелентьев. Революционная мысль России и Запад, М., 1966, с. 112.

ბოსლეველისათვის უცხოა ომებისა და დაპყრობების აპოლოგეტიკა. ომის საკითხს იგი დიალექტიკურად უდგება და მას განიხილავს როგორც ისტორიულ კატეგორიას: ომი პროგრესული ფაქტია, როდესაც ის იწარმოება ხალხის ინტერესების დასაცავად, ხოლო დამპყრობლური ომი, განმათავისუფლებელის საპირისპიროდ, რეაქციული ხასიათისაა. ბოსლეველის ნაწერებში დინასტიური, დამპყრობლური კოლონიური ომები განხილულია როგორც უდიდესი სოციალური უბედურებანი. მისი სამართლიანი აზრით, ასეთ ომებს შეძლებული კლასები აწარმოებენ და მათთვისაა სასარგებლო. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მიერ წარმოებული ომები არის ბურჟუაზიის გამდიდრების საშუალება.

ბოსლეველი ცხოვრობდა იმ ეპოქაში, როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოები ინტენსიურად მისდევდნენ კოლონიური იმპერიების შექმნას და გაფართოებას. ეს იყო ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის აგრესიული კურსის ეპოქა, როდესაც ამა თუ იმ ბურჟუაზიული სახელმწიფოს პრესტიჟი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა კოლონიათა ტერიტორიის სიდიდითა და რაოდენობით. კოლონიების საკითხი არ ჩამოდიოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა პრესის ფურცლებიდან. რამდენადაც კოლონიური დაპყრობები ხორციელდებოდა „სისხლისა და მახვილის“ პოლიტიკით, რამდენადაც ამ დაპყრობებს თან სდევდა ევროპის სახელმწიფოთა მიერ აზიაში, აფრიკასა და სხვა კონტინენტებზე ადგილობრივი მოსახლეობის შეუბრალებელი ჟლეტა, ძარცვა, ადგილობრივ მკვიდრთა მიწებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების მიტაცება, ცხადია, ბურჟუაზიულ იდეოლოგებს ყველაფერი ეს უნდა დაეფარათ და იძულების, მტაცებლობისა და ხალხთა ჟლეტის ბურჟუაზიული მეთოდები გაემართლებინათ. მართლაც, იმ ეპოქაში, რომელშიაც მოღვაწეობა უხდებოდა ბოსლეველს, ბურჟუაზიის იდეოლოგები კოლონიურ საკითხებზე ბევრს წერენ, უაღრესად მრავალფეროვან და ვრცელ ლიტერატურას ქმნიან, რაც მნიშვნელოვანწილად იჭრება რუსულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ქმნიან რასისტულ თეორიებს და ასაბუთებენ, რომ ბურჟუაზიას სრული უფლება აქვს აწარმოოს სისხლისმღვრელი ომები ჩამორჩენილ ხალხთა წინააღმდეგ, რადგან მათ საფუძვლად უდევს ჰუმანური, ცივილიზატორული მიზნები, რომ ამ ომების მიზანია აზიის, აფრიკისა და ამერიკის ძირითადი მოსახლეობის და ხალხების გამოყვანა ველური მდგომარეობიდან და მათში ცივილიზაციის ნაყოფისა და წესრიგის შეტანა. ბოსლეველის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ფარდა ახადა ბურჟუაზიულ სიყალბეებს საქართველოს პირობებში; კონკრეტული ფაქტებით ამხილა ბურჟუაზიული სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსია, ცხადყო,

რომ ისინი დამორჩილებული ხალხების ველური ექსპლოატაციის მეთოდებს ნიღბავენ ფარისევლური თეორიებით ევროპელების „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ, იმის მტკიცებით, რომ თითქოსდა ამ ველურ ხალხებში შეჰქონდათ „ბურჟუაზიული დემოკრატიის არნახული სიკეთენი“.

ბოსლეველმა არა მარტო ამხილა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, არამედ მოგვცა კოლონიალიზმის ბურჟუაზიულ იდეოლოგთა რასისტული თეორიის კრიტიკა. უპირველეს ყოვლისა, მან უკუაგდო მოსაზრება ერების და ხალხების სრულფასოვან და არასრულფასოვან ხალხებად დაყოფისა, გამოამჟღავნა სიყალბე იმ თეორიისა, რომელიც ხალხების ჩამორჩენას ხსნიდა არა ისტორიული მოვლენებით, არამედ რასისტული თვალსაზრისით. მან მკაცრად გაილაშქრა აღმოსავლეთის ქვეყნების, აზიის ქვეყნების ბურჟუაზიულ სახელის გამტეხთა წინააღმდეგ, მიუთითა, რომ ე. წ. აზიისა და აღმოსავლეთის ქვეყნები წარმოადგენდნენ წარსულში უდიდესი კულტურის მქონე ქვეყნებსა და თუ ისინი თავის განვითარებაში შეფერხდნენ, ამის მიზეზია არა მათი ბიოლოგიურ-რასისტული ნიშნები, არამედ არახელსაყრელი ისტორიული პირობები, რომლებშიაც ამ ხალხებს მოუხდათ ცხოვრება.

კოლონიალურ დაპყრობათა ისტორია მიუთითებს იმას, რომ ევროპის ბურჟუაზიას ამ ქვეყნებში შეაქვს არა ცივილიზაცია, არა წესრიგი, არამედ ძალმომრეობა, ადამიანურ უფლებათა შეზღუდვა და ხელყოფა, რათა ყოველგვარი ადამიანურის ჩახრჩობის, დესპოტური რეჟიმებისა და სისხლიანი დიქტატურის გამოყენების გზით თავისუფლად ძარცვონ ე. წ. ჩამორჩენილი ქვეყნები და გამდიდრდნენ ამ ქვეყნების ხალხების მუქთი შრომის ხარჯზე.

სუსხიანი ცარისტული ცენზურით შეეიწროებული პუბლიცისტი დაუნდობლად აკრიტიკებდა დასავლეთის ქვეყნების კოლონიალურ ექსპანსიას და დაპყრობილი ქვეყნების ჩაგრულ ხალხებს ესარჩლებოდა. დასავლეთის ქვეყნებზე ამგვარი მსჯელობისას მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთის სინამდვილე, „ხალხთა საპყრობილეში“ შექმნილი ვითარება. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მისი წერილი დაბეჭდილი 1883 წელს გაზეთ „შრომაში“ (№ 22) „მანელის“ ხელმოწერით. ახლა, ბოსლეველის ნაწერების კრებულში, ეს წერილი დასათაურებულია „ამ მე-19 საუკუნის დამდეგს“[253]. ამ წერილის მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკისადმი. აღსანიშნავია, რომ ეს წერილი ბაირონის შესანიშნავი სიტყვებით იწყება:

---

253 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 320—325.

Земля, как рай... Увы! Зачем она —
Прекрасная—злодеям предана?"

წერილის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „ასე მოსთქვამდა მე-19 საუკუნის დამდეგის ერთი უდიდესი მსოფლიო პოეტთაგანი".

ბოსლეველს აღნიშნული აქვს, რომ დაუდგრომელი ბაირონი „შავი ფიქრების კაცი იყო" და „სხვის სატირალს სტიროდა მისი პატიოსანი გული". მის პოეტურ წარმოდგენაში მხოლოდ ბუნება იყო „დახატული საუკუნო მყუდროებისა და მშვიდობის სამეუფეოდ, დედამიწა კი გამოსახული ქონდა დიდ, თვალუწვდენელ ასპარეზად, სადაც ვითომც, ენებას, ძალადობას და ოხვრა-კვნესას აღემართა თავისი საშინელი ტახტი... თუ ბუნება ბრწყინვალეა და შვებით სავსე, მის მაგიერ ადამიანები აღსავსენი არიანო ბოროტებით, სიკვდილით და ჯოჯოხეთით"[254].

ბოსლეველი კითხულობს, თუ ეს ქვეყანა ბურჟუაზიის ბატონობამ ხალხთა მასებისათვის ტანჯვის ასპარეზად გადააქცია, ბაირონის შემდეგ ძალადობისა და კვნესის სამყარო ხომ არ შეცვლილა შვებისა და თავისუფლების სამყაროდ. იგი ასკვნის, რომ ბაირონის შემდეგ სიცოცხლე და სამოთხე ცის ქვეშ არ დამყარებულა, რომ ბაირონის გარდაცვალების შემდეგ მსოფლიო ბურჟუაზიამ დაიწყო „დასავლეთის გამაცივილიზაციებელი სხივის შენათება" აღმოსავლეთში", ე. ი. დაიწყო კოლონიურ დაპყრობათა პოლიტიკის ინტენსიური განხორციელება.

ბოსლეველი წერს: „განსვენებული ბაირონი და მისთანანი, რასაკვირველია, ვერც კი წარმოიდგენდნენ იმ ბედნიერს დროს, როდესაც აღმოსავლეთშიაც კი, „где нежность чувств с их буйностью близка, где ястреб тих, горлица дика", შენათებდა დასავლეთის ვამაცივილიზებელი სხივი და იქაც, „где люди с безжалостной душой", სადაც ადამიანის გულში მხოლოდ ერთს გრძნობას, შურისძიებას, მოუფრთხნია დედამთილივით, ცხოვრება ველურთა გადასხვაფერდებოდა!... აბა, რა მანქანების ძალი მოაფიქრებდა ბაირონს, რომ განათლებული ფრანცუზი ვიღაც ტონკინელებისა და კოხინხინელებისათვის მოიცლიდა და მათს გაადამიანებას მოახმარდა დროსა და მეცადინეობას. ვერ წარმოიდგენდა, რასაკვირველია, და ან თუნდაც წარმოედგინა, მე ვიცი, შაინც კარგს არას მიაწერდა ფრანცუზების მეცადინეობას და ჭაპანწყვეტას: იტყოდა, ესეც თავისებური ბარბაროსობაა და „მზაკვრის ალბიონის შვილობა" გახლავსთო!... კი, ბატონო, ასე იტყოდა, მე რომ მისი ხასიათი ვიცი... მე კი ამას არ ვიტყვი, თქვენც არ მომიკვდეთ, არ ვიტყვი!... ერთი იმიტომ, რომ ფრანცუზი ცივილი-

254 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 320.

ზაციის მნათედ ითვლება, მეორეც მიტომ, რომ იგი ფრანცუზები თავისუფლების მომფენია ქვეყანაზედ, თუნდაც დაუპატიჟებელს თათარს კი არ მოგვაგონებს, რადგან მისს რაღაც მოგონილს თავისუფლებას არავისათვის ხეირი არ დაუყრია და არც აწი დააყაროსო, მოგახსენებენ ქვეყნის რომ დიალ ერთგული მწვრთნელები, და მესამედ იმიტომ, რომ... ჰო, მიტომ რომ... აქ კი სტოპ! — როგორც იტყვიან მატროსები!...“[255]

ბოსლეველი ააშკარავებს და ამათრახებს დასავლეთის სახელმწიფოების ველურ კოლონიურ პოლიტიკას და მის შედეგებს, კატეგორიულად აცხადებს, რომ აღმოსავლეთის ხალხებს სასიკეთოს არაფერს უქადის დასავლეთის სახელმწიფოების მიერ მყუდროების მოშლა, ასევე დასავლეთში „მოგონილი ცივილიზაცია“.

„ჰო, იმას მოგახსენებდით, — განაგრძობს ბოსლეველი, — რომ დასავლეთს განუზრახავს აღმოსავლეთში ცივილიზაციის სხივები მოფანტოსო, მათი ცხოვრებაც ევროპულად მორთოსო... მე, თქმა არ უნდა, მჯერა ყოველივე ეს; მე ისიც კი მჯერა, რომ ოდესმე თხა მგელს ყურით დაიჭერს; რატომ არა, ვითომ შეუძლებელი რა უნდა იყოს ქვეყანაზედ!... მაგრამ, მაინც განმიზრახავს გულსა შინა ჩემსა ერთი ფილოსოფიური კითხვა მივცე ჩემს თავს: რა სარგებლობა ექნებათ აღმოსავლეთს და სამხრეთს ევროპულად ცხოვრების მოწყობით? ღმერთმა ჩემი თავი ნუ განახოსთ ცოცხალი ათასი წლის შემდეგ, თუ აქედან ხეირი რამე გამოუდნეს აღმოსავლეთსა და სამხრეთს!... ვითომ ამბობენ, რომ, ასე ვსთქვათ, აღმოსავლეთური სისტემა, სოციალური და პოლიტიკური, მთელს ხალხს ერთის მსხვერპლად რაცხსო და დასავლეთის სისტემას კი უმრავლესობის ინტერესი აქვსო საგნადო. მაგრამ ეს სულ ტყუილია, ბატონებო. ტყუილი... არ მიჯერით განა? კარგი, ვნახოთ გადაყლაპავთ თუ არა ირლანდიის ტოლა ბურთს. პირში რომ ჩაგჩარონ!... ინგლისის კუნძულები მე მგონია ზულუსებით და ბაშიბუზუკებით არ არიან დასახლებულნი, მე ცოდვილი იმასაც ვფიქრობ, რომ ამ კუნძულზედ კანონები „ათას მტარვალს“ არ დაუწერია „სისხლის მელნით“, მაგრამ, იქნება მოგეხსენებოდესთ, რომ კანონი „рыжих варваров“ ირლანდიის ქვეყანას, ირლანდიელებს არ ასაკუთრებს... ესეც უნდა დავივიწყოთ, რომ ეს რაღაც ევროპული პრინციპიაო, თუ რაღაც ოხერი სისტემა, შფოთისა და დავიდარაბის მეტს არას იძლევა, სადაც კი ეს დაწყევლილი პრინციპი გაერევა, იქ უსათუოდ უნდა აიმღვრეს წყალი, უნდა ადგეს ერთი უშველებელი ღელვა მყუდრო ცხოვრების ზღვაზედ. შეიქმნება ერთი ტალღების

---

255 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 320—321.

ცემა, ხეთქება და მერე ვინ იცის ვის მოხვდება. ხომ მოგეხსენებათ, მოქნეული და მოზომილი არავის გაუგონიაო!...“

ინგლისის მიერ ირლანდიის ჩაგვრის ხატოვან ასახვასთან ერთად, ბოსლეველი დასცინის „გვიან შობილი გერმანიის იმპერიის“ კოლონიური პრეტენზიების ქადაგად ჩამოვარდნილ პანგერმანისტებს, რომელთაც 1870—1880-იანი წლების ზღურბლზე სცადეს იმის დასაბუთება, რომ გერმანიას უფრო ღირსეული ადგილი ეკუთვნის „ლურჯი ცის ქვეშ“. იგი ასე მიმართავს მკითხველს: „აი თუნდ გერმანია! ის აქამდის იყო თავისთვის მყუდროდ, ახლა კი ხედავთ რა ამბავები არა ხდება! ვილაც რიხტერიაო, თუ ბამბერგერიო გამოსულან და ჰქადაგებენ — ჩვენი ხელი უნდა სჩანდესო!... ერიჰაა! შეურეკა ბიძა ჩემმაო... სწორედ ამას ქვიან!... ბატონო რიხტერო, თუ ყველგან შენ უნდა გაურიო ხელი, მაშ ბისმარკი და მისი პირდაპირი რაღა იქნებიანო?... არა, ბატონებო, არც მყუდროების ამღვრევა უნდათ აღმოსავლეთელებს და არც თქვენი მოგონილი ცივილიზაცია! უმაგისოდაც იოლად წაველენ „ძველებურთა, მათებურთა!“[256]

ასევე გაკიცხა ბოსლეველმა ინგლისის კოლონიური პოლიტიკა, რომლითაც აღფრთოვანებული იყო ზოგი ქართველი ლიბერალი. ბოსლეველს არა მარტო იმიტომ არ მოსწონდა ინგლისის ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომ ის მხარს უჭერდა მშრომელთა ექსპლოატაციას და სიღატაკეს, არამედ იმიტომაც, რომ ის საერთაშორისო ასპარეზზედაც გამოდიოდა როგორც სხვა ერების მჩაგვრელი და დამმონაველი. თავის კრიტიკულ მიმოხილვებში იგი ხაზს უსვამდა, რომ ინგლისის ბურჟუები სჩაგრავენ და ავიწროებენ მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებს და არ ცდილობენ ითამაშონ ცივილიზატორული როლი, რომ ისინი არ ღებულობენ მხედველობაში ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესებს, არ აწესებენ ამ ქვეყნებში არავითარ დემოკრატიულ რეჟიმს და სულაც არ ფიქრობენ დაპყრობილ ხალხთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. ასეთი პოლიტიკა ერთა შორის აჩაღებს განხეთქილებას და ამზადებს პირობებს კოლონიური იმპერიების დანგრევისათვის. „მაგრამ რა გამოდის აქედან? შეგიძლიათ კაცს ხმა ჩაუწყვიტოთ, შეგიძლიათ სხვადასხვა საჭიროებაზედ ლაპარაკის ნება არ მისცეთ, მაგრამ ამით თავის დღეში არ შეგიძლიათ მოსპოთ ეს საჭიროება, რომლის გამომთქმელიც იგი ხმა არის. ამ გვარს ძალდატანებითს პოლიტიკას, როგორც ისტორია მოგვითხრობს, ყოველგან და ყოველთვის მხოლოდ შური, მტრობა და განხეთქილება აღუძრავს სახელმწიფოს წევრთა შორის და სხვა არაფერი. სლავიანების მტრობა ავსტრიისა და სათათრეთისადმი და ირლანდიელებისა ინგლისისადმი ამის მაგალითად გა-

256 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 321—322.

მოგვადგება. ამავე მაგალითს გვაძლევს ერთის ერის სხვადასხვა წოდებათა შორის განხეთქილებაც. სიყვარული და ერთგულება მხოლოდ სიყვარულითა და ერთგულებით მოიგება"[257].

ბოსლეველი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მისი დრო არის დრო ნაციონალური მოძრაობისა და მან პასუხი უნდა გასცეს ნაციონალურ კითხვას, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ნაციონალური საკითხი, ამის შესახებ იგი ვრცლად მოგვითხრობს ერთ-ერთ „კრიტიკულ მიმოხილვაში", სადაც გადმოცემულია ერნესტ რენანის სიტყვა „რა არის ნაცია", წარმოთქმული 1882 წელს პარიზის უნივერსიტეტში. ამ სიტყვას, ბოსლეველის თქმით, „განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენ — ქართველებისათვის". პუბლიცისტის მსჯელობაზე დაკვირვება უეჭველს ხდის მის მცდელობას — ფრთხილი მინიშნებით ასახოს რუსეთის მფლობელობაში შესული საქართველოს ეროვნული ხსნის პერსპექტივა, ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის განწირულობა. ამ მიზანმიმართულების შესაბამისად ბოსლეველი გადმოსცემს ე. რენანის შეხედულებას ერზე და ეროვნულ ურთიერთობაზე მრავალეროვან სახელმწიფოში. იგი წერს: „რენანი ისტორიულის ფაქტებით ამტკიცებს იმ აზრს, რომ ერის შედგენისათვის, სახელმწიფოს სხვადასხვა ნაწილების ერთად შეხორცებისათვის და შეზრდისათვის სრულიადაც არ კმარა არც საზოგადო ენა, არც სარწმუნოება და არც მოდგმაო. ადამიანთა გუნდს მხოლოდ მაშინ დაერქმევა ერი, როდესაც მათ ერის ისტორიულის ცხოვრებით უცხოვრიათ და ახლაც „სურსთ" ერთად ცხოვრებაო"[258]. ჩვენი პუბლიცისტი არაფერს ამბობს ერის რენანისეული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ.

ბოსლეველი იყო ბურჟუაზიული სახელმწიფოს კოლონიური პოლიტიკის დაუძინებელი მტერი. კოლონიურ რეჟიმს ბოსლეველი კიცხავდა, როგორც ერთა ჩაგვრისა და უუფლებობის განსახიერებას. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შორს იდგა ბურჟუაზიული დეკოლონიზაციის თეორიიდან. პუბლიცისტს ღრმად სწამდა, რომ ბურჟუაზიული ონავრები სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ეტანებიან არა იმიტომ, რომ იქ ცივილიზაცია და განათლება შეიტანონ, განავითარონ ხალხების ეკონომიკა და კულტურა, უზრუნველყონ ამ ხალხების ძირითადი მასების სასიცოცხლო ინტერესები, არამედ იმისთვის, რომ ცეცხლითა და მახვილით დაამყარონ იქ რეაქციული პოლიტიკური რეჟიმები, შეძლონ ხალხების ძარცვა და მაღალი მოგების მიღება.

ბოსლეველი კარგად ხედავდა თუ როგორ იქმნებოდა კოლონიური იმპერიები XIX საუკუნის ბოლოს. კარგად ამჩნევდა ამ იმპერიების

---

257 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 208.

258 იქვე, გვ. 204.

შექმნის ეკონომიკურ საფუძვლებს, იმას, რომ ამ იმპერიებში ერთი ძლიერი ერია გაბატონებული, სხვები კი თავისუფლებას მოკლებული და დაჩაგრული, რომ ამგვარი იმპერიები ბატონობისა და უსასტიკესი ჩაგვრის სისტემაა.

მაგრამ მას ღრმად სწამდა, რომ კოლონიური იმპერიები დაიშლებოდა ჩაგრულ ხალხთა დარტყმებისაგან. ჩვენი ავტორი ქართველ მკითხველს უხსნიდა, რომ ერთა შევიწროებისა და განადგურების ველური პოლიტიკა განწირულია დასაღუპავად, რომ ეს ასე იყო კაცობრიობის ისტორიულ წარსულში და ასე იქნება მომავალში: „რა შედეგი მოსდევს საზოგადოდ ძალდატანებითს პოლიტიკას, რომელიც ძალად უყრის თავს რამდენიმე სხვადასხვა ხალხს და ადგენს ერთ სახელმწიფოს? რა ბედი მოელის იმ სახელმწიფოს, რომელიც ასეთ ძალად შეყრილს, დამონავებულს ხალხებს თავისუფალ ცხოვრებას არ აძლევს და ფიქრობს მათს ეროვნულ მოსპობას ვითომ იმიტომ, რომ მათგან როგორმე ერთი ერი შეადგინოს? ამის პასუხს გვაძლევს ისტორია, სად არის ახლა ერთხელ დიდებული სახელმწიფო ასურეთისა, ბაბილონისა, ეგვიპტისა, ალექსანდრე მაკედონელისა და კარლოს დიდისა. რამ წარხოცა იგინი დედამიწის ზურგიდან? ეს სახელმწიფოები გაანადგურა, აღმოფხვრა ყველაზედ უმეტესად იმან, რომ სახელმწიფო გინა დამპყრობელი ხალხი მხოლოდ თავის თავს იცნობდა და მისთვის სხვა ხალხები არ არსებობდნენ. მათგან ერთის მტკიცე სახელმწიფოს, ერთის ერის შედგენა შეუძლებელი იყო, რადგან ერთი ხალხი მეორე ხალხის განსხვავებულს ჩვეულებას, ზნეს, გონებისთსა და ზნეობითს მხარეს, ისტორიას, ცხოვრებას არ აღირსებდა და არც შესაფერის პატივს სცემდა“[259].

ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციას ბოსლეველი სოციალიზმს უკავშირებდა. იგი წერდა, რომ სოციალიზმი თავის საფუძვლებში არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ბურჟუაზიული ჩაგვრისა და შოვინიზმის იდეოლოგიას ერთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობებით ცვლის.

ბურჟუაზიული ურთიერთობისას, რომელიც ეროვნულ ჩაგვრას სახელმწიფოებრივ პოლიტიკად აქცევს, ეროვნული შევიწროებისა და დევნის პირობებში, ერთა ძმობა და მეგობრობა შეუძლებელია. ბოსლეველი შენიშნავდა, რომ დამპყრობელი ერის სახელმწიფოებრივი ძლიერებაც არ შეიძლება იყოს მტკიცე, რადგან იგი მემამულურ-ბურჟუაზიულ სინამდვილეში ეროვნულ ჩაგვრას ემყარება. ბოსლეველი წერდა: „სხვადასხვა ხალხთაგან ერის შედგენა, გინდ სახელმწიფოსი, მხოლოდ მაშინ არის საფიქრებელი, როდესაც ამათ აქვთ საზო-

259 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 204.

გადო წარსული და ახლა ერთად ცხოვრების სურვილი და ეს კიდევ მაშინ მოხდება, როდესაც ერთი მეორისაგან არ იჩაგრება; რომელი სახელმწიფოც ამ ნაციონალურის პრინციპებით არ ხელმძღვანელობს ის, ისტორიის მოწმობით, ადრე თუ გვიან დაიშლება, თუ არ აღიფხვრა მთლად. შეიძლება ეს ჰეშმარიტება ბევრს არ ეამოს, მაგრამ რა გაეწყობა: ისტორიულმა კანონმა მორიდება არავისი არ იცის...“[260]

როგორც ამ შესანიშნავი და ნათელი სიტყვებიდან ჩანს, კოლონიური იმპერიების დანგრევის აუცილებლობა, კაპიტალისტური კოლონიური სისტემის დაშლა ბოსლეველს ისტორიულ კანონად მიაჩნდა. მოცემული პარალელებით ბოსლეველი მიანიშნებს ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის უპერსპექტივობაზე, მკითხველს არწმუნებს მრავალეროვანი იმპერიის დანგრევის გარდუვალობაში. იგი კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფს საერთოდ ეროვნული ჩაგვრის უდღეურობასა და განწირულობას. საამისოდ ყურადღების ცენტრში აქცევს ოსმალეთის მიერ თავის ქვეშევრდომ სლავთა ჩაგვრას. აღნიშნავს, რომ ოსმალეთი ქვეშევრდომი სლავების კანონიერ და ბუნებრივ მოთხოვნილებებს „ავის თვალით უყურებდა. ყოველს თავისუფალ მოძრაობას, რომელიც კი სლავიანების, როგორც ერის, სიცოცხლის ნიშანს მოასწავებდა, წინ აღუდგებოდა; სათათრეთს ფეხ-ქვეშ ჰქონდა გაგდებული სლავიანების გრძნობა, გული, მაგრამ რა ნაყოფი მოიტანა ამგვარმა მტარვალობამ? მხოლოდ ის, რომ დაჰბადა ანტაგონიზმი, მძვინვარე მტრობა თათრებსა და სლავიანებს შორის, რომელსაც თან მოჰყვა დევნულების განთავისუფლება და მდევნელის სიკვდილამდე მისუსტება“[261].

პუბლიცისტს მოჰყავს ინგლისის მიერ ირლანდიის ჩაგვრის მაგალითიც, რაც ცხადყოფს, რომ „რკინისა .და სისხლის“ პოლიტიკის პრინციპს, რასაც პირველი მეორის მიმართ იყენებდა, „საბოლოოდ წაუხდა მაზანდა, დაუვარდა სახელი გონიერის კაცების თვალში უკანასკნელად ნაპოლეონ პირველის დამხობით და დღეს ამ პოლიტიკას მხოლოდ ყლაპვის მადით დაბრმავებულები თუ ჩასციებიან“...

ე. რენანის ავტორიტეტზე დაყრდნობით, ბოსლეველი ცდილობს დაასაბუთოს ერების დამოუკიდებელი არსებობის კანონიერება და სამართლიანობა. ერთი ერის მეორესთან შეერთება მხოლოდ მაშინ მიაჩნია მისაღებად, როცა შესაერთებელი ერის მოსახლეობა თანახმაა. პუბლიცისტის სიტყვით, „ერს როგორც ყოველს ცოცხალ არსებას, როგორც, ვთქვათ, ადამიანს, — აქვს საზოგადო-კაცობრიულის მხარეს გარდა თავისი განსხვავებული მხარე, თავის საკუთარი ინტერესი აწმ-

---

260 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 205.

261 იქვე, გვ. 205.

ყოში და მომავალში, მას აქვს თავისი საკუთარი იდეალი და დანიშნულება სხვა ერთა შორის, რომელსაც განახორციელებს იგი ერთგვარის თავისებურების საშუალებით; ამიტომ ყოველ ერს აქვს მინიჭებული ღვთისა და ბუნებისაგან სრული უფლება იცხოვროს, განვითარდეს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი განსაკუთრებული ტანის აგებულება; ყოველ ერს აქვს თავისუფლება განაგრძოს პროგრესული მსვლელობა იმ გზაზედ, რომელიც მიუჩნევია მისთვის მისს წარსულს და საზოგადოდ იმ პირობებს, რომლებშიც სცხოვრობდა იგი წინეთ და სცხოვრობს ახლაც. ვინც ამ თავისუფალს მსვლელობას, განთავისუფლებას მტრულად შეხვდება, იგი რენანის აზრით, მოვალეა ღვთისა და კაცობრიობის წინაშე, რადგან მას განუზრახავს ცოცხალი არსების მოკვლა. იგი მოვალეა ცივილიზაციის წინაშე, მოვალე არის მომავლის წინაშე, რადგან იმას ამ ცივილიზაციის ერთი მხარეთაგანი მოუსპია, რომელიც სწორედ განხორციელდებოდა, რომ იგი ერი არ მომკვდარიყო"[262].

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ბოსლეველი თავს დასტრიალებს საკუთარ სამშობლოს ბედ-იღბალს, მშობელ ხალხს, რომელსაც ცარიზმი გადაგვარებითა და გადაშენებით ემუქრებოდა.

ე. რენანის შეხედულება ერზე და ერების ურთიერთობაზე ბოსლეველს „ახალი დროის საქმედ" მიაჩნდა: არათუ ძველი დროისათვის, არამედ საშუალო საუკუნეებისათვისაც უცხო იყო ამგვარი შეხედულებები. „წინეთ ფილოსოფოსებიც კი მონობას ჰქადაგებდნენ და ამართლებდნენ კაცობრიობისა და პროგრესის სახელით ერთი ერისაგან შეორეს ერის დამონავებას. ეს ცრუ და მავნებელი აზრი დაარღვია ახალმა დრომ, ბუნების მეცნიერებათა განვითარებამ, რომელმაც ადამიანის შეხედულება ცხოვრებაზედ და საზოგადოდ ქვეყნიერებაზედ რადიკალურად, ძირითადად შესცვალა"[263].

ბოსლეველი დაიმედებულია, რომ ეს შეხედულება მოქალაქეობრიობას მოიპოვებს, როცა დამონავებული ხალხები გათვითცნობიერდებიან და შეარყევენ „ძალუმად თანამედროვე წყობილებას და აუწყებენ ქვეყანას ახალ მოძღვრებას". იგი ჩივის იმის გამოც, რომ ერის ინტერესები სახელმწიფოს ინტერესებს დაუმორჩილეს, რომ „ყოველისფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ეროვნებას გზა შეუკრეს"[264], რომ ამის თაობაზე კრინტის დაძრა „სახელმწიფოს საფუძველის გამონგრევის ნიშნად მიაჩნიათ" და ამ ხმას, ამ გოდებას თუ მხედველობაში ღებულობენ „მხოლოდ იმიტომ, რომ დამადუმებელი წამალი გა-

---

262 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 206.

263 იქვე.

264 იქვე, გვ. 207.

მოუნახონ"[265]. პუბლიცისტი ერთა შორის ურთიერთობაში ძალადობას და ჩაგვრას გმობს და ამგვარი მოქმედების შესაძლებელი უარყოფითი შედეგებით იმუქრება.

ბოსლეველის განსაზღვრით, ყოველი ერი ემსახურება საკაცობრიო საქმეს, „ყველა აძლევს ბანს იმ დიდს კონცენტრში, რომელიც კაცობრიობის უძვირფასესი და უძლიერესი საქმეა"[266]. რომელიმე ერი „იმდენად იხსენიება ისტორიაში, რამდენადაც მას შეუტანია თავის მხრით, თავის საკუთარი, თავისთავად ნაღვაწი საზოგადო კაცობრიულს ცხოვრებაში, რამდენადაც იგი შეადგენს თავისთავადს ნაწილს კაცობრიობის ორღანიზმში. თუ ერს საკუთარი ცხოვრება არა აქვს და ამ საკუთარის ცხოვრებით საზოგადო კაცობრიულს ცხოვრებას არ ეხმარება, იგი როგორც ურგები წევრი კაცობრიობისა, გაქრება დედა-მიწის ზურგზედ"[267]. ავტორი ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს ერების წვლილს საკაცობრიო კულტურის საგანძურში და მართებულად აღნიშნავს, რომ ერი, რომელიც ამ საგანძურში წვლილის შეტანას შეწყვეტს, განწირულია დასაღუპავად.

ბოსლეველის ნაწერების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მეფის ხელისუფლება მას მიაჩნია პრივილეგიური კლასების ინტერესების დამცველ მთავრობად, რომელიც უაღრესად ანტიხალხური ბუნებისაა.

1882 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ „კრიტიკულ მიმოხილვაში" ბოსლეველი რუსეთის იმპერიას ახასიათებს როგორც ხალხთა საპყრობილეს, როგორც სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოს... იგი წერს: „ჩვენ კარგად ვიცით, და ამას ახლა და ახლა თვითონ მთავრობაც აღიარებს, რომ რუსეთის ცხოვრება საზოგადოდ სრულიადაც არ წარმოადგენს იმ გვარს ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელია საზოგადოებისათვის, მოქალაქეობრივის გრძნობების აღზრდა და მოქმედებაში მოყვანა. პირიქით, რუსეთის წყობილება და ამ წყობილებისაგან გაჩენილი პირობები ცხოვრებაში პოხიერ საზრდოს აძლევს მხოლოდ მდაბალს, ბინძურს ინსტიქტებს; იგი ზრდის მხოლოდ ქვეყნის მძარცველობას, ბოროტმოქმედებას, პირმოთნეობითს ერთგულებას, ხალხის სიმდიდრის მტაცებლობას და ყოველივე ამით უხვად დაჯილდოებული არ არისო რუსეთი, ცოდვა იქნებოდა ვსთქვათ. რუსეთის აწმყო იმისთანა პირობებით გარემოცულია, რომ ნამდვილის ქვეყნის მუშას, საერო საქმის მოციქულს ხელში ჯოხი უნდა ეჭიროს მუდამ და ეგვიპტელ ებრაელსავით სამგზავროდ მზად უნდა იყოს"[268].

---

265 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 207—208.
266 იქვე, გვ. 206.
267 იქვე, გვ. 213.
268 იქვე, გვ. 218.

რუსეთის იმპერიაში დამკვიდრებული ქაოსისა და ბოროტებათა უფრო მკაფიოდ ასახვა ალბათ ძნელიცაა.

ბოსლეველის სიტყვით საქართველოს ცხოვრება ძველად შედარებით უხიფათო იყო, ახლა კი ხიფათით სავსეა, ძველად „საქართველოს საქმეს“ თავისი საიმედო მოღვაწენი ჰყავდა და ქართული კულტურის ყველა სფერო „ვითარდებოდა, მდიდრდებოდა, ქართველის ტვინი იხსნებოდა კანონიერად დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მდიდრდებოდა ცოდნით; მისი სულიერი ძალები ხუნდმოჭერილი არ იყვნენ“, ახლა კი პირიქითაა, რადგან „ქართული ენა, ქართული ჩვეულება, ზნე, შკოლა, ერთი სიტყვით, ქართული ეროვნება თავის განსხვავებულის თვისებით ხორც-მეტად არის ცნობილი რაღაც საზოგადო ორგანიზმისა, რომელიც რაც უფრო მალე მოიჭრება, ისა სჯობიაო“[269]. საზოგადოების მოწინავე წრე მთელ თავის ძალღონეს იმას უნდა ახმარდესო, რომ „ჩვენში ეგ მტრული ხუნტი, ეგ მოწინააღმდეგე პირობები თავიდან მოვიშოროთო“[270].

ძველ დროს, როცა ქვეყანა დამოუკიდებელი იყო, — წერდა ბოსლეველი, — საზოგადო, საერო საქმე პატივში იყო, მაშინ „ყველასათვის ცხადი იყო საგანი თავდადებისათვის, გმირობისათვის და კიდეც ჩნდებოდნენ ცხოვრებაში თავდადებულები და გმირები, სამსხვერპლო თვალსაჩინოდ იყო აღმართული, მსხვერპლს აზრი ჰქონდა ყველასათვის — მსხვერპლის შემწირველნიც ჩნდებოდნენ, მსხვერპლიც იწირებოდა“[271]. XIX საუკუნეში „ქვეყანა სხვა პირობებში ჩავარდაო“. საზოგადოებას ხელიდან გაეცალაო ის, „რაც აძლევდა მას ერთსულოვნებას. ქვეყანას და მის შვილებს შორის ჩადგა მესამე პირი... მათ შორის დადვა განუვალი უფსკრული... საზოგადოების წევრთა ცხოვრებითი ინტერესები უფრო და უფრო დაშორდნენ ერთმანეთს და შეიქმნენ წინააღმდეგნი“. იოლი მისახვედრია, რომ „ქვეყანასა და მის შვილებს“ შორის ჩამდგარი „მესამე პირი“ — ცარიზმის ადმინისტრაციაა.

ბოსლეველი მშობელ ხალხს მიანიშნებდა სამშობლოსათვის, ეროვნული არსებობისათვის თავდადების საჭიროებაზე. საამისოდ პუბლიცისტი მკითხველს სანიმუშო მაგალითებს უსახელებს, — აღტაცებით აქებს სამხრეთ ამერიკის მოსახლეობის განმათავისუფლებელ მოძრაობას ესპანეთის წინააღმდეგ, ირლანდიის ბრძოლას ინგლისის წინააღმდეგ, ბალკანეთის სლავებისა — თურქეთის წინააღმდეგ, პოლონელი ხალხისა — ცარიზმის წინააღმდეგ. მას ხიბლავს პოლონეთის

---

269 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 219.

270 იქვე, გვ. 220.

271 იქვე, გვ. 186—190.

საზოგადოება, რომელიც „საკუთარ ბედს თავისი ქვეყნის ბედთან აკავშირებს“.

ბოსლეველი ასევე განადიდებს სამშობლოსათვის თავდადებულ პოპულარულ მოღვაწეებს, რომელთაც მამულისათვის „ჭირი ლხინად უჩანთ“. ასეთების ნიმუშად ასახელებს ვაშინგტონს, ფრანკლინს, გარიბალდის...

პუბლიცისტი საყვედურს გამოთქვამს ჩვენი ცნობილი „ძველი თაობის“ მიმართ, რომლის ამარა ქვეყნის ბედი რომ დარჩენილიყო „ჩვენ ისიც აღარ ვიქნებოდით, რაც ახლა ვართ“. სამაგიეროდ მისი სიმპათიები „ახალგაზრდობის“ („ახალი თაობის“) მხარეზეა, რადგან მან თავისთავზე მიიღო „ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი ენა და ეროვნება“.

ეროვნულად შეგიწროებულ სამშობლოს ბედით შეშფოთებულ პატრიოტ პუბლიცისტს ვერ აკმაყოფილებდა სხვადასხვა თაობის ქართველ მოღვაწეთა მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოჩენილი თავდადება, რის გამოც უკიდურესობაში ექცეოდა — ამ მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენლის ერთგვარ შეუფასებლობასაც იჩენდა.

ბოსლეველის რწმენით, სამშობლოსათვის თავდადებულ პატრიოტებს ზრდის „თვით ცხოვრების პირობები და მათ შორის აღზრდა, როგორც ერთი იმ პირობათაგანი“. მისი თქმით, „ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია თავისი საკუთარი ინტერესი საზოგადო ინტერესთან ერთ-ჰყოს, თავის სამშობლოს მაჯის-ცემას მთლად თანა-უგრძნოს. მხოლოდ მაშინ უერთდება იგი მჭიდროდ თავის მამულს ზნეობითის კავშირით. მხოლოდ მაშინ ხედავს იგი თავისთავს თავის ერში, როგორც სარკეში, როდესაც ზედმიწევნით და ყოვლის მხრით იცნობს იგი მშობლიურს ქვეყანას, თავის ერთხორცს ხალხს, — და ასე რა გააცნობს კაცს თავის ქვეყანას, თუ არა ეროვნული აღზრდა“[272].

კვლავაც ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ კოლონიურ ჩაგვრაში მოქცეული ხალხების მდგომარეობამ ასახვა ჰპოვა ბოსლეველის მრავალ სტატიასა და ფელეტონში. მან კარგად იცოდა, რომ იმ დროს ამ ქვეყნებში განმათავისუფლებელი მოძრაობა სუსტი იყო, ან სავსებით არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ბოსლეველს სწამდა, რომ ეს დროებითი მოვლენაა და ბურჟუაზიულ-კოლონიალური ურთიერთობების დანგრევის ეპოქა დადგებოდა დაჩაგრულ ერთა ჩაგრული ნაწილის გამოღვიძებისთანავე.

ზემოთ ჩვენს მიერ განხილულ საკითხებზე ბოსლეველის მსჯელობა ყოველთვის უზადო და შეუმცდარი არც შეიძლება ყოფილიყო,

---

272 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 191.

თუნდაც იმჟამინდელი ვითარების თავისებურებათა გავლენის ძალითაც.

საქმე ისაა, რომ ბოსლეველის ხანმოკლე პუბლიცისტური მოღვაწეობა ქრონოლოგიურად. ძირითადად 1881—1885 წლებს მოიცავს, ე. ი. მეორე რევოლუციური სიტუაციის მომდევნო სუსხიანი რეაქციის ავადმოსახსენებელ ხანას, როცა ცარიზმი იმპერიაში შემავალი ერების გათიშვისა და ასიმილაციის პოლიტიკას ადრინდელზე უფრო სასტიკი და ულმობელი მეთოდებით ახორციელებდა. ამ დროს, სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგვარი შენელების შთაბეჭდილების ძალითაც, ბოსლეველი ბოლომდე ვერ გაერკვა ამ მოძრაობის უმთავრეს ამოცანებში, იმპერიაში შემავალი ერებისა და ხალხების ინტერნაციონალური საბრძოლო ერთიანობის მნიშვნელობაში, იმაში, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირველესი ამოცანა იყო ხალხთა სოციალური თავისუფლების მოპოვება, რასაც ეროვნული თავისუფლების დამკვიდრებაც მოჰყვებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი გამოჩენილი მოღვაწისაგან განსხვავებით, ბოსლეველი შეცდომით ფიქრობდა, რომ მშობელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი გზაა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რომლის გამარჯვებას ხალხის სოციალური თავისუფლებაც უნდა მოჰყოლოდა. ამდენად, ბოსლეველი ვერ ამაღლდა სრულიად რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის აუცილებლობის გაგებამდე.

ამის მიუხედავად, გადაჭარბების გარეშე ასაღიარებელია, რომ ბოსლეველმა, თავის დროის კვალობაზე, უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრებები ჩამოაყალიბა დამპყრობლურ (უსამართლო) და განმათავისუფლებელ (სამართლიან) ომებზე, დიდი სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის, ასევე მრავალეროვან სახელმწიფოში ერთა ურთიერთობისა და ეროვნულ ჩაგვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ საკითხების უმეტესობის ბოსლეველისეული ინტერპრეტაცია მოწმობს, რომ მოაზროვნე მარქსისტული მოძღვრების კეთილმყოფელ გავლენას განიცდიდა. ამ გარემოების ძალითაც, ბოსლეველის მიერ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხებზე ჩამოყალიბებულმა არაერთმა მოსაზრებამ დროის გამოცდას გაუძლო, დღემდე შეინარჩუნა გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა. საკმარისია აქცენტი გავაკეთოთ მარტო იმაზე, რომ მან, როგორც არაერთმა სხვა მოწინავე მოაზროვნემ, 1880-იანი წლების დამდეგს იწინასწარმეტყველა კოლონიზატორების ასიმილატორული პოლიტიკის გარდუვალი განწირულობა, კოლონიური იმპერიების უცილობელი „დანგრევა“.

ეს მაშინ, როცა მსოფლიოს დღევანდელი ჟანდარმის აშშ-ის კოლონიური პოლიტიკის თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმა ბევრი ვერაფერი გაუგეს თანამედროვე ისტორიული პროცესის მიმდინარეობას და ისინი ფიქრობენ, რომ ატომსა და რაკეტულ ტექნიკას უნარი შესწევთ შეაჩერონ ისტორიული პროგრესი, — იმპერიალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული აზიის, აფრიკის და სხვა კონტინენტების ხალხები კვლავ დაიმონონ და ამ ქვეყნებში კოლონიზატორებისათვის სანუკვარი ძარცვა-გლეჯისა და ერთა ჩაგვრის რეჟიმი აღადგინონ.

XI

ბოსლეველი საუცხოოდ იყო ორიენტირებული საკრედიტო სისტემის მექანიზმის მოქმედებაში. მას ძირითადად სწორად ესმოდა კრედიტის როლი კაპიტალისტურ საზოგადოებაში და კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა განვითარებაში, რაც მით უფრო ანგარიშგასაწევია, რომ მოცემულ საკითხზე XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში არაერთი უკუღმართი მოსაზრება ჩამოყალიბდა და, რაც მთავარია, კრედიტის მარქსისტულმა თეორიამ ჩვენში მხოლოდ 90-იანი წლებიდან ჰპოვა ერთგვარი გავრცელება. ეს მაშინ, როცა კრედიტის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული „თეორიები" ფართოდ გავრცელდა.

ისიც ასაღიარებელია, რომ კრედიტის მნიშვნელობა ახალი ხანის საქართველოში დღემდე არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანი, რაც მით უფრო საკვირველია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს საქართველო საკრედიტო დაწესებულებათა ფართო ქსელით დაიფარა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას, რაც ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიულ პროგრესსაც საგნობრივად ასახიერებდა, თან ახლდა კრედიტის როლის ამაღლება ქვეყნის ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, საკრედიტო სისტემის სიძლიერე იყო კაპიტალისტური ხანის საქართველოს საწარმოო ძალთა, მეტადრე, მის შრეწველობის წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობა. მან ხელი შეუწყო, კერძოდ, წარმოების ერთპიროვნული ფორმებიდან კოლექტიურზე (აქციონერულზე) გადასვლას, რასაც თან მოჰყვა მძლავრი სამრეწველო ფირმების მიერ მსხვილი ინდუსტრიული საწარმოების დაარსება, სარკინიგზო მშენებლობა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაფართოება, საქალაქო მშენებლობისა და ცხოვრების საგრძნობი აღმავლობა და სხვ. მოცემული გარემოება მხედველობიდან არ გამორჩათ ბურჟუაზიული ხანის ქართველ პუბლიცისტებს, მათ შორის

ე. ბოსლეველს, რომელმაც ამ საკითხზე ფრიად საყურადღებო მოსაზრებები განავითარა.

როგორც ცნობილია, კრედიტის როლი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ყოველმხრივ გამოიკვლია კარლ მარქსმა. კრედიტის უმთავრესი ფუნქციები ზოგად ხაზებში ასეთია: 1. ის ახდენს კაპიტალის გადანაწილებას და ხელს უწყობს მოგების ნორმის გათანაბრებას. 2. იწვევს მიმოქცევის ხარჯების დიდ ეკონომიას. 3. წარმოადგენს კაპიტალის ცენტრალიზაციის მძლავრ იარაღს. 4. მნიშვნელოვნად აჩქარებს კაპიტალის დაგროვებასა და კონცენტრაციას, რაც XIX საუკუნის რეფორმების მომდევნო ხანის საქართველოს მაგალითზეც დასტურდება. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვება საწარმოო ძალთა ჩქარი განვითარება, წარმოების დონის მკვეთრი დაცილება მოხმარების დონისაგან, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება.

გავარკვიოთ, როგორ ხორციელდება კრედიტის საშუალებით კაპიტალის გადანაწილება. როგორც ვიცით, საწარმოო კაპიტალი ყოველთვის არის გარკვეული ნატურალური ფორმის მატარებელი, ამიტომ მისი გადატანა უშუალოდ ერთი დარგიდან მეორეში შეუძლებელია. სასესხო კაპიტალი, რომელიც თავისუფალ ფულად კაპიტალს წარმოადგენს, შეიძლება გამოყენებული იქნეს წარმოების ყველა სფეროში.

მართლაც, კაპიტალისტურ ბანკებში თავმოყრილი თავისუფალი ფულადი კაპიტალი მიედინება წარმოების რენტაბელურ დარგებში. კრედიტი ახდენს კაპიტალის გადანაწილებას, ამით იწვევს მოგების ნორმის გათანაბრებას. მაგრამ კრედიტი არა მარტო ამ უნარის გამო იწვევს წარმოების შეუფერხებელ განვითარებას, არამედ იმ მხრივაც, რომ მისი საშუალებით გადაილახება ინდივიდუალური კაპიტალისტების კაპიტალის განსაზღვრულობა. თითოეული მრეწველი კაპიტალისტის განკარგულებაში მყოფი ფულადი კაპიტალი საკმარისი როდია, რომ ცალკეულმა კაპიტალისტმა სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში ახალი წარმოების ორგანიზაცია შეძლოს. და აი, სასესხო კაპიტალი ამ უკმარისობას გადალახავს, რადგან კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა მობილიზაციას ახდენს და ცენტრალიზაციას უკეთებს თავისუფალ ფულად კაპიტალს და ნაწილობრივ ფულად შემოსავალს; ამ პატარა მდინარეებს აერთებს ერთ უმძლავრეს ნიაღვრად.

ფულადი კაპიტალის მობილიზაციით და ცენტრალიზაციით, ასევე მოსახლეობის ფულადი შემოსავლების მობილიზაციით კაპტალისტური საკრედიტო სისტემა ქმნის სასესხო კაპიტალის ფონდს, რომელიც დიდია მოცულობით და რომელსაც აქვს უნარი ამის გამო დაუყონებლივ გააფართოოს ძველი წარმოებანი და შექმნას სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში ახალი მსხვილი წარმოებანი.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საქართველოში 1880—1900-იან წლებში საკრედიტო სისტემის მეშვეობით თავისუფალი ფულადი კაპიტალის მობილიზაციისა და ცენტრალიზაციის გზით ჩადგა მწყობრში მოპოვებითი და დამმუშავებელი მრეწველობის მრავალი დარგის საწარმო. ეს შეეხება ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობას, თბილისის მანქანათმშენებელ საწარმოებს, თამბაქოს, ტყავეულის, ფეხსაცმლისა და ქეჩის მსხვილ ფაბრიკებს. არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ სამხრეთ (ალავერდის, ახტალის, შამბულის), ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ხოდის, ერგიისა და ჭინკათხევის) სპილენძის მსხვილი სამრეწველო საწარმოები ფრანგული და ინგლისურ-ამერიკული სააქციო კაპიტალით მოქმედებდა, ხოლო ამიერკავკასიის მაგისტრალური რკინიგზა უპირატესად ინგლისური სააქციო კაპიტალით შენდებოდა.

კრედიტის მეორე ფუნქცია მდგომარეობს მიმოქცევის ხარჯების ეკონომიაში; ეს ეკონომია ეხება პირველ რიგში ლითონის ფულებს, რომლის მიმოქცევა გაბატონებული იყო მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის ეპოქაში. კრედიტის საშუალებით ფულის ეკონომია მიმოქცევაში სამი გზით ხდება: 1. სავალო ვალდებულებათა ურთიერთ დაფარვის გზით. 2. ფულის მიმოქცევის სიჩქარის გზით. 3. ლითონის ფულის საკრედიტო ფულით შეცვლის გზით.

მარქსი მიუთითებდა, რომ კრედიტის განვითარება, საკრედიტო მეთოდებით ფულის ეკონომია საშუალებას აძლევს კაპიტალისტურ წარმოებას გამოვიდეს იმ ვიწრო ფარგლებიდან, რომელშიც ის ჩაყენებული იქნებოდა, ოქროსა და ვერცხლის მოპოვების შედარებით განსაზღვრულობის გამო, რომ არ ყოფილიყო კრედიტი. კრედიტი ხელს უწყობს აგრეთვე მიმოქცევის სხვა ხარჯების ეკონომიასაც, ხელს უმართავს არამწარმოებლური კაპიტალის შემცირებას და საწარმოო კაპიტალის ზრდას[273], რასაც საქმე მოგების ნორმის და მასის გადიდებისაკენ მიჰყავს. შემდეგ კრედიტი არის მძლავრი საშუალება კაპიტალის ცენტრალიზაციისა, რომელსაც ის აღწევს წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაციით და სააქციო საზოგადოებათა წარმოქმნით.

კრედიტის ფართოდ გამოყენება მსხვილ კაპიტალისტებს საშუალებას აძლევს სწრაფად გააფართოონ წარმოება, სრულყონ მისი ტექნიკა, შეამცირონ წარმოების ხარჯები. კრედიტი „თავდაპირველად მალულად მოიპარება როგორც დაგროვების მორიდებული დამხმარე და უხილავი ძაფებით იზიდავს ინდივიდუალური, ანდა შეკავშირებული კაპიტალისტების ხელში საზოგადოების ზედაპირზე დიდ ან პატა-

---

[273] З. Я. Брегель. Ссудный капитал и кредит, М., 1955, с. 118.

რა მასებად დაქსაქსულ ფულად სახსრებს; მაგრამ იგი მალე ხდება ახალი და საშინელი იარაღი საკონკურენციო ბრძოლაში და, ბოლოს, იქცევა უზარმაზარ სოციალურ მექანიზმად კაპიტალთა ცენტრალიზაციისათვის"[274]. ამ დებულების სისწორე საუცხოოდ დასტურდება ახალი ხანის საქართველოს სამრეწველო ცხოვრების კერძო მაგალითზეც.

კრედიტი არის აგრეთვე კაპიტალის დაგროვების მძლავრი საშუალება, ზედმეტი ღირებულების დამატებით კაპიტალად გადაქცევის გზით. აქ საქმე იმაშია, რომ თითოეულ კაპიტალისტს მხოლოდ მაშინ შეუძლია გააფართოოს წარმოება, როდესაც საკუთარ წარმოებაში შექმნილი ზედმეტი ღირებულება იმ სიდიდეს მიაღწევს, რაც აუცილებელია წარმოების გაფართოებისათვის, ამას კი დიდი დრო უნდა. კრედიტი თავიდან იცილებს კაპიტალის კონცენტრაციის ამ შეზღუდულობას. დიდი ფულადი კაპიტალი, რომელთაც თავს უყრის ბანკი, შეიძლება ზედმეტი ღირებულების კაპიტალიზაციის მიზნით დაუბრკოლებლივ გადასროლილ იქნას იმ დარგებში, რომლებშიაც წარმოება გაფართოებას ელის. მაგრამ კრედიტი დაგროვებას აჩქარებს არა მარტო ფულადი კაპიტალის მობილიზაციით, არამედ ფულადი შემოსავლებისა და საზოგადოების სხვადასხვა კლასების და ფენების დანაგროვების მობილიზაციის გზით. რომ კრედიტი არა, აღნიშნული ფულადი საშუალებები უქმად დადებული განძი იქნებოდა.

ყველა ამ გარემოების გამო კაპიტალისტური კრედიტი დამორჩილებულია თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონს და აქტიურ როლს თამაშობს მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფაში. მომსახურეობას უწევს რა კაპიტალისტურ კვლავწარმოებას და ანვითარებს რა აჩქარებულად საწარმოო ძალებს, იგი, მეორე მხრივ, იწვევს კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავებას. ის აძლიერებს მუშათა კლასის ექსპლოატაციას, რითაც ამძაფრებს კაპიტალისტური საზოგადოების ძირითად კლასობრივ ანტაგონიზმს, წინააღმდეგობას ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის. მუშათა კლასის ექსპლოატაციის გაძლიერებას კრედიტი ორი გზით იწვევს. 1. კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესების დაჩქარებით და 2. უშუალოდ, რამდენადაც მუშები სამუშაო ძალას კრედიტში აძლევენ კაპიტალისტებს, ხელფასს ღებულობენ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, რაინი იძულებულნი ხდებიან კაპიტალისტებისაგან კრედიტის გზთ მიიღონ მოხმარების საშუალებანი. საარსებო საშუალებათა კრედიტით გაცემის დროს კაპიტალისტები თავიანთ საქონელს მუშებს მომატებულ ფასებში აძლევენ. ამგვარი ფაქტები დამახასიათებელია საქართველოს ახალი ხანის სამრეწველო საწარმო-

---

274 კარლ მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 789—790.

თათვის, რომელთა უმეტესობა მუშების მოხმარების საგნებს, ხელოვნურად მომატებულ ფასებში, კრედიტის სახით აძლევდა.

ამრიგად, კრედიტისა და ვაჭრობის საშუალებით მუშები განიცდიან ექსპლოატაციას როგორც მომხმარებლები. კრედიტის მიერ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა გამწვავება გამოიხატება ეკონომიკური კრიზისების გამძაფრებაში, რასაც კრედიტი იწვევს შემდეგ გარემოებათა გამო: 1. კრედიტი იწვევს საქონელთა ჭარბი წარმოების ფორსირებას, რამდენადაც ის თავისუფალ ფულად კაპიტალსა და დანაზოგებს კაპიტალისტური წარმოების სამსახურში აყენებს. ამ გზით კრედიტი ხელს უწყობს წარმოების ნახტომისებურ განვითარებას, მის გაფართოებას და მას დიდად აშორებს მოხმარების ვიწრო ფარგლებს, ეს უკანასკნელი კი კაპიტალიზმის დროს მშრომელთა სიღატაკითაა განპირობებული. 2. კრედიტი აძლიერებს კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა დარგების არაპროპორციულ განვითარებას, განსაკუთრებით წარმოების საშუალებათა წარმოების აჩქარებულ განვითარებას, რაც საქართველოსთვის უცხო იყო. იწვევს რა ერთ და იმავე დროს კაპიტალისტური წარმოების განვითარებასა და ამ განვითარებაში დისპროპორციულობას, იგი ხელს უწყობს ეკონომიკური კრიზისების მომწიფებას. კრედიტი ანვითარებს სპეკულაციას. 3. კრედიტი ქმნის ფიქტიურ, ე. ი. ყალბ მოთხოვნას საქონელზე. ამით, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ჭარბი წარმოების გაძლიერებას, მეორე მხრივ, ნიღბავს მას.

როგორ გავიგოთ ყველაფერი ეს წარმოების აღმავლობის პერიოდში, როცა კაპიტალისტები ყიდულობენ ერთმანეთისაგან საქონელს, ფაქტიური მოთხოვნა, დაფუძნებული კრედიტზე, გარკვეულ დრომდე ნიღბავს გადახდის უნარიანი მოთხოვნის უქონლობას და ქმნის მაღალი კონიუნქტურის მოჩვენებითობას. ამით კრედიტი ბიძგს აძლევს წარმოების შემდგომ ზრდას, მაშინ როცა ადგილი აქვს საქონელთა სიჭარბეს მის მალულ ფორმაში.

ამრიგად, კრედიტი აძლიერებს ჭარბწარმოებას და ამწვავებს ეკონომიკურ კრიზისებს. ის გვევლინება არა მარტო შინაგანი წინააღმდეგობის გამწვავების ფაქტორად, არამედ საერთაშორისო წინააღმდეგობებისაც... კრედიტი არა მარტო ანვითარებს კაპიტალიზმის საწარმოო ძალებს და იწვევს მის ყველა წინააღმდეგობის გამწვავებას, ამავე დროს გვევლინება სოციალიზმისათვის მატერიალურ წანამძღვართა მომზადების ერთ-ერთ ფაქტორად. კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა ორმაგ როლს თამაშობს. პირველ რიგში ის მომსახურებას უწევს კაპიტალისტურ კვლავწარმოებას, ხელს უწყობს მის გაფართოებას და ამის შედეგად ამძაფრებს კაპიტალისტური საზოგადოებისათვის თანდაყოლილ ყველა წინააღმდეგობას. ამასთან ერთად, კრედიტი ამზადებს მატერიალურ წინაპირობებს კაპიტალიზმიდან სო-

ციალიზმზე გადასასვლელად, ხოლო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ არის კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი. ასეთია მოკლედ კრედიტის როლი კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებაში და კომუნისტურ მშენებლობაში[275].

ბოსლეველის პუბლიცისტიკაში განხილულია კრედიტის როლი კაპიტალიზმის პირობებში საერთოდ და კერძოდ საქართველოში. უნდა შევნიშნოთ, რომ მისი ზოგიერთი მოსაზრება საზოგადოდ კრედიტის როლზე კაპიტალიზმის პირობებში და კრედიტის განვითარების შედეგების შესახებ საქართველოში მთელ რიგ სწორ დებულებებს შეიცავენ და განსხვავდებიან მცდარი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიებისაგან. ბოსლეველის ნაწერებში აღიარებულია, რომ კრედიტი ხელს უწყობს კაპიტალისტური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას — „საქონლის მიქცევა-მოქცევას", „ეხმარება წარმოების გაძლიერებას", მაგრამ არ „იწვევს მშრომელი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ დებულების აღიარებით ბოსლეველი დაუპირისპირდა წვრილბურჟუაზიულ თეორიებს, რომლებიც ქართველ მკითხველში ქმნიდნენ ილუზიებს, რომ თითქოს სამომხმარებლო და საწარმოო დანიშნულების კრედიტის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელთა, განსაკუთრებით წვრილი წარმოების მდგომარეობის გაუმჯობესებაში. იგი აგრეთვე შორს იდგა სამიწათმოქმედო კრედიტის როლის მემამულური თეორიისაგან და თვლიდა, რომ საქართველოს პირობებში იგი ვერ გახდება მიწის შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის, უკეთ მემამულური მეურნეობის, აყვავების საფუძველი. მოვიყვანოთ ამონაწერი ბოსლეველის „კრიტიკული მიმოხილვიდან". იგი წერდა: „ისიც ვიცით, რომ კაპიტალი და კრედიტი ეხმარება წარმოების გაძლიერებას საზოგადოდ; არც იმაზედ ვართ უარს, რომ ბანკისაგან ხელის გამართვით ნაწარმოები ხელიდგან ხელში გადადის და საქონლის მიქცევა-მოქცევა მწარმოებელთა შორის ძლიერდება; ყველა ეს ანბანია პოლიტიკო-ეკონომიურის მეცნიერებისა და მტკიცდება სხვადასხვა ხალხის ცხოვრებიდგან. თუნდაც ამასაც შევნიშნავთ..., რომ წარმოების გავრცელება, განვითარება კრედიტისა და კაპიტალის შემწეობით და საქონელთა გაძლიერებული გარდასვლ-გარდმოსვლა მწარმოებელთა შორის კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მუშა დაბალი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა ჰყავის. თუ არ დაგვიჯერებთ გავბედავთ და გეტყვით, რომ ინგლისის ვაჭრობა, მისი აღებ-მიცემობა, ყოველგვარი

---

[275] დაწვრ. იხ. З. Я. Брегель. Судный капитал и кредит, с. 124 — 126.

წარმოება და ფულის სიმდიდრე სამაგალითოა, მაგრამ ინგლისის მუშა, რომელსაც თავის ხელით შეუქმნია ყოველი ეს, ამიტომ კარგს მდგომარეობაშია?!...[276]

ბოსლეველის გაგებით, ჩვენში საადგილმამულო ბანკი დასცილდა თავისი უმთავრესი ფუნქციების შესრულებას: „თვითონ ბანკები, ფულების გასესხებით, დიდი ხანია დაშორდა თავის პირდაპირ მოვალეობას, იმ საგანს, რომლისთვისაც ფიქრობდნენ დამფუძნებლები კრედიტის მოხმარებას ჩვენში". შემდეგ განმარტავს: „კრედიტი ჩვენში იხმარება არა ადგილმამულის შესაძენად და შესამუშავებლად ახალი სისტემით, არა მეურნეობის გასაუმჯობესებლად, არამედ ტანის დასამშვენებლად თავად-აზნაურთაგან და სახლების ასაგებად ვაჭართაგან. ბანკი დაწესდა ჩვენი არა მიწისმფლობელისა და მიწის მუშაკებისათვის", არამედ უცხო ტომის ვაჭართათვის, „რომელთა ხელშიაც გადადის საქართველოს ყველა ქალაქები და სოფლის მამულებიც გადავლენ, თუ ბანკი მშვიდობით იქნება"[277].

როგორც ვხედავთ, პუბლიცისტი ამჩნევს თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების ოპერაციების „არამწარმოებლურ" მიმართულებას, საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესში ვაჭართა და მეწარმეთა ეკონომიკურ გაბატონებას საქალაქო ცხოვრებაში, მათ მიერ სოფლად მამულების შესაძენად კაპიტალის დაბანდების ტენდენციას, რაც მემამულური მიწათმფლობელობის მასშტაბს ამცირებდა, უპირველეს ყოვლისა, სასაქონლო მიწათმოქმედების საუკეთესო რაიონებში. ბოსლეველის პროგნოზი არც მაშინ იყო უსაფუძვლო, როცა ირწმუნებოდა. რომ „ბანკიდან ფულის გამოტანა ჩვენში გააჩენს და გააძლიერებს ეგრეთ წოდებულის კაპიტალისა და შრომის დაცილებას"[278], ანუ მათ შორის წინააღმდეგობას გამწვავებს. ამავე დროს, ბოსლეველმა ალღო ვერ აუღო იმას, რომ თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკები არ იყო ჩვეულებრივი ტიპის საკრედიტო ორგანოები, რომ ორივე ბანკი „უაღრესად თავისებური დაწესებულება იყო", რომ „1875—1876 წლებში მათი დაარსება და საქმიანობა განსაზღვრა საქართველოს ცხოვრების იმდროინდელმა, უაღრესად თავისებურმა პირობებმა"[279]

შემთხვევითი არაა, რომ ბანკის საკითხით თავიდან დაინტერესდნენ ქართველი დემოკრატი მოღვაწეები — თერგდალეულები, რომელ-

---

276 ბ ო ს ლ ე ვ ე ლ ი, ნაწერები, გვ. 227.

277 იქვე, გვ. 211—212.

278 იქვე.

279 დაწვრ. იხ. პ. რ ა ტ ი ა ნ ი. ილია ჭავჭავაძე, პოლიტიკურ-ეკონომიური შეხედულებანი, თბ., 1957, გვ. 164.

თაც ეს დაწესებულება უნდოდათ „საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე). მათ ბანკი მიაჩნდათ, „ერთის მხრივ, ქართველი ხალხის ცხოვრების მშვიდობიანი გარდაქმნის ერთ-ერთ საშუალებად, — „სამართლიანი საზოგადოების“ დამყარების საშუალებად, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართული კულტურის გადარჩენის, ძალადობისაგან მისი დაცვისა და შემდგომი განვითარების ერთ-ერთ საშუალებად; მათთვის ბანკი იყო მთელი ქართველი ერისათვის სასარგებლო საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ქართველი ხალხის, მისი ყველა წოდების (კლასის) ეკონომიკური გაძლიერებისა და საერთო ეროვნული კულტურულ-საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმიანობისათვის“[280].

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელები — თერგდალეულები ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად აარსებდნენ არა მარტო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებებს, არამედ აგრეთვე სამეურნეო-საკრედიტო დაწესებულებებს, რითაც ქვეყნის სამეურნეო წინსვლას და ეკონომიკურ აღორძინებას ესწრაფვოდნენ. ასეთ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ისინი „ხალხის თვითმოქმედ ორგანოებად“ თვლიდნენ.

საყოველთაოდ ცნობილია დიდი ილიას თაოსნობით მოქმედი თბილისის საადგილმამულო ბანკის მიერ ქართული საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებებისა და ეკონომიურად შევიწროებული მოსახლეობისათვის (განურჩევლად წოდებისა) გაწეული ნივთიერი დახმარება. აკი ამ ბანკის ფინანსიური მხარდაჭერით სულდგმულობდნენ ჩვენი სკოლები, თეატრი, ქართული პრესა, სხვა საქველმოქმედო დაწესებულებები. ერთი სიტყვით, საადგილმამულო ბანკები ჩვენში ხელს უწყობდნენ ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების ზრდა-განვითარებას. ბოსლეველმა ჯეროვნად ვერ გაითვალისწინა ხსენებული ბანკების საგრძნობი როლი რეფორმის შემდგომი პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე ის, რომ გასული საუკუნის 70—80-იან წლებში ჩვენში ბანკის ირგვლივ გაჩაღებული ბრძოლა კლასთა ინტერესების დაპირისპირებას გამოხატავდა, რომ ამ შეჯახებაში ერთ მხარეზე იდგა ბანკის დემოკრატიული ხელმძღვანელობა, ხოლო მეორე მხარეზე თავადაზნაური ლიბერალები.

ყოველივე ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, უეჭველია, რომ საკრედიტო სისტემის მექანიზმის მოქმედების ბოსლეველისეული შეფასება კრედიტის მარქსისტული თეორიის გაგების მცდელობის ანარეკლია.

---

280 პ. რ ა ტ ი ა ნ ი. ილია ჭავჭავაძე... გვ. 158—159.

დასკვნები

XIX საუკუნეში, როცა ქართული კულტურა აღმავლობის გზას ადგა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვადასხვა ეტაპისა და ნაკადის წარმომადგენლები, რომელთა დაფასებისათვის გასაღებს იძლევა „მემკვიდრეობის“ ლენინური მოძღვრება.

XIX საუკუნის 70—80-იანი წლების საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობა მოღვაწეთა ახალი ნაკადით შეივსო. მათ შორის გამოირჩევა ქართული დემოკრატიული ლიტერატურული და პოლიტიკური პუბლიცისტიკის შესანიშნავი წარმომადგენელი ევსტათი მჭედლიძე — ბოსლეველი, რომელმაც ხანმოკლე სოცოცხლეში (31 წლისა დაიღუპა) ბევრი მოასწრო და მდიდარი იდეური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი პუბლიცისტიკა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდა და მოწინავე რუსული და ევროპული აზროვნების მიღწევებითაც საზრდოობდა.

ბოსლეველის ნაწერებისათვის ძირითადად დამახასიათებელია გასული საუკუნის 60—80-იანი წლების ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკის მაღალი ღირსება. მისი მრავალჟანრიანი თუ მრავალთემიანი პუბლიცისტიკა ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხებზე კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან ავითარებდა მატერიალისტურ-განმანათლებლურ თვალსაზრისს, რეალისტურად ასახავდა მშრომელი ხალხის ცხოვრების აქტუალურ საჭირბოროტო ფაქტებსა და მოვლენებს. თავისი დროის მოწინავე ესთეტიკური და პოლიტიკური შეხედულებების დამცველის, ბოსლეველის, პუბლიცისტიკა სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ხალხის ცხოვრება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრიზმაში გადატეხილი.

*
* *

ბოსლეველი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოაზროვნე, თავისი ეპოქის შვილია და მისი ნაფიქრის მრწამსს შესაბამისი ეპოქის

რეალური ცხოვრება განსაზღვრავდა. მეცნიერული სოციალიზმი, როგორც ცნობილია, ისტორიას მატერიალისტურად ხსნის, კაცობრიობის სულიერ ისტორიას განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ნაყოფს. ამიტომ ამა თუ იმ მოღვაწის ნააზრევის კვლევისას ჯეროვნად ანგარიშგასაწევია ის, რომ იდეების განვითარება საგნების განვითარებას შეესაბამება და არა პირიქით, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ აღნაგობის, ანუ წყობის, მისი განვითარების ამა თუ იმ ძიმართულების მთავარი მიზეზია საწარმოო ძალთა მდგომარეობა და მისი შესაბამისი საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა.

როცა მოაზროვნის იდეური მემკვიდრეობა ზემოაღნიშნულის გაუთვალისწინებლად განიხილება, დავიწყებას ეძლევა ის, რომ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება თვითონ განაპირობებს მათი შეხედულებების რაობას, ანგარიში არ ეწევა იმას, რომ „სამოქალაქო საზოგადოების ანატომია უნდა ვეძებოთ მის ეკონომიკაში", რომ წარმოების წესი განსაზღვრავს, საერთოდ, არა მარტო „სოციალურ უძრაობას" (ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათსა და შინაარსს მოცემულ ქვეყანაში ამა თუ იმ მომენტში), არამედ „სოციალურ მოძრაობასაც" (ე. ი. საზოგადოების ისტორიულ მსვლელობას მთლიანად). ამიტომ ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ნააზრევის შეფასებისას ამოსავალია ამ წააზრევის „წარმოების პირობები და მწარმოებლები", — ამ ნააზრევის საფუძვლები, ადგილობრივი, აგრეთვე მსოფლიო ვითარება.

ისტორიის მატერიალისტური გაგება პიროვნების ნააზრევის კვლევისას უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმ ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ნათლად წარმოდგენას, რომელმაც მისი შეხედულებანი წარმოშვა, როგორც საზოგადოების გარკვეული ფენის, წოდების თუ კლასის ინტერესების განსახიერება. უამპირობოდ პიროვნების ნააზრევი ობიექტურად ვერ შეფასდება.

ზემოხსენებული გაგებიდან გამომდინარე, ბოსლეველის ეპოქა, ე. ი. XIX საუკუნის 70—80-იანი წლები, ანუ, უფრო ზუსტად, მეორე რევოლუციური სიტუაციისა და მისი მომდევნო ხუსხიანი რეაქციის ხანა საქართველოში, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება შეფასდეს როგორც გარდამავალი ეპოქის დასასრული, როცა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობანი, გადმონაშთის სახით, კვლავაც ინარჩუნებენ არსებობას, ხოლო კაპიტალისტურ ურთიერთობათა გამარჯვებისა და განმტკიცების პროცესი არაა დასრულებული, სამრეწველო და აგრარული კაპიტალიზმი არაა საბოლოოდ დამკვიდრებული.

საზოგადოების ფეოდალური წოდებრივი სტრუქტურის დაშლის ბაზაზე ბურჟუაზიული კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება არაა საკმაოდ მასშტაბური და შორს წასული, რის გამოც დაქირავებულ „მუშათა მასა“ ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ინტერესების მქონე „კლასად თავისთავად“, მით უფრო „კლასად თავისთვის“. პროლეტარიატის მასა ჯერ არაა გამოყოფილი რევოლუციური ბრძოლის ავანგარდად. გლეხობა, ქონებრივი დიფერენციაციის მიუხედავად, ჯერ კიდევ არაა დაშლილი და ასპარეზზე გამოდის როგორც ერთიანი კლასი. კლასობრივი ბრძოლის ძირითადი შინაარსია არა იმდენად მუშათა ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რამდენადაც გლეხობის ბრძოლა მემამულეებისა და საერთოდ კაბალური ურთიერთობების წინააღმდეგ.

ამდენად, 1880-იანი წლების დამდეგისათვის საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, კლასობრივ-წოდებრივ ძალთა განლაგების მხრივ, რამდენადმე ჰგავს პირველი რევოლუციური სიტუაციისა და რეფორმების წინანდელ ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის კრიზისის ვითარებას, იმ სიტუაციას, როცა კლასობრივი ბრძოლის ძირითადი შინაარსია გლეხობის ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ, როცა ჩვენში პროლეტარიატი არ არსებობს, როგორც საერთო დემოკრატიისაგან გამოყოფილი რევოლუციური ძალა და ამ ბრძოლის გადამწყვეტ ძალას გლეხობა წარმოადგენს, როცა „დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთ გაუთიშველ, განუყოფელ მთელს“ წარმოადგენს. ამავე დროს, გლეხობის ბრძოლა 1860-იან წლებში ბატონყმობის წინააღმდეგაა მიმართული, 1870—1880-იან წლებში კი მისი მახინჯი გადმონაშთების წინააღმდეგ.

ჩვენი დაკვირვებით, 1880-იანი წლების დამდეგისათვის, საქართველოს სინამდვილეში, საზოგადოებრივ მოძრაობასა და აზროვნებაში დემოკრატიზმი და სოციალიზმი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გათიშული, თუმცა მათ განუყოფელ მთლიანობას საფუძველი ეცლება კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესის გაძლიერების კვალდაკვალ, რასაც თან ახლავს მუშათა მასების სპორადული გამოსვლების დაწყება და მათი სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველი შეხედულებების აღმოცენება, როგორც დაწინაურებული კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის გავლენით, ისე ადგილობრივ ნიადაგზე.

1880-იანი წლების დამდეგს საქართველოში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, როგორც გლეხური რევოლუციური მოძრაობის თეორიული გამოხატულება, განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა იდეოლოგიურ მიმდინარეობებთან თანაარსებობდა. მისთვის დამახასიათებელია ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიკური წყობილების კრიტიკა, შეურიგებელი ბრძოლა ექსპლოატაციის დასაცავად მოწოდებული პოლიტიკური იდეების, ორგანოებისა და მთელი პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

მეორე რევოლუციური სიტუაციისა და მისი მომდევნო სუსხიანი რეაქციის პერიოდში მოწინავე ქართული პრესა და მისი საუკეთესო წარმომადგენლები თავგამოდებით იგერიებდნენ რეაქციის შემოტევას. მტკიცედ იდგნენ სამშობლოს სადარაჯოზე — ცარიზმის ვერაგულ პოლიტიკას ააშკარავებდნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე იდეებს ქადაგებდნენ, მშრომელთა ინტერესებს რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან იცავდნენ.

ამ ეპოქის შვილია ლიტერატურის კრიტიკოსი და პუბლიცისტი ბოსლეველი. მისი თეორიული ძიება წარიმართა თავისებურ იდეოლოგიურ ვითარებაში, როცა რევოლუციურ ხალხოსნობაში თავს იჩენდა ლიბერალური ტენდენციების გაბატონება, წარმოქმნას იწყებდა რუსული მარქსიზმი. მოცემულ ეპოქაში რუს მარქსისტებსა და ხალხოსნებს შორის ბრძოლა გამწვავდა. რუსეთში მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი იყო გიორგი პლეხანოვი, რომლის შეხედულებებს პოლიტიკასა და პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობაზე იზიარებდა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის არაერთი მოღვაწე. მეორე მხრივ, საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში გამოითქვა მარქსიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებანი და გარკვეული გავლენით სარგებლობდნენ რეფორმისტულ-რევოლუციურ-სოციალისტური იდეები.

ასეთ სიტუაციაში, ბოსლეველის იდეური მიმართულება, როგორც ცნობილია, ყალიბდებოდა, ერთი მხრივ, ხალხოსნობის, ხოლო, მეორე მხრივ, მარქსიზმის გავლენით. იგი წარმოგვიდგება რევოლუციონერ დემოკრატად, არა პროლეტარიატის, არამედ მთელი მშრომელი მასების, უპირატესად გლეხობის, იდეოლოგად.

ბოსლეველი ვერ გახდა და იმ ვითარებაში ვერც გახდებოდა პროლეტარული რევოლუციონერი. მან ვერ გაიგო პროლეტარიატის ისტორიული მისია, რამაც განაპირობა მისი პოზიციის სისუსტე. მარ-

თალია, მან დააყენა ბურჟუაზიული დემოკრატიის დაძლევის საკითხი, მაგრამ ვერ გაიგო, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით.

ლიტერატურის კრიტიკოსმა, ბოსლეველმა, დემოკრატიული სოციალისტური ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის მოწინავე პოზიციებიდან განიხილა და გაიაზრა მხატვრული შემოქმედების პრინციპული საკითხები: ლიტერატურის არსი და დანიშნულება, მსოფლმხედველობა და მხატვრული შემოქმედება, პოეზია და მისი თავისებურება, „წმინდა ხელოვნების" კრიტიკა, რეალიზმისათვის ბრძოლა, რომანტიზმის კრიტიკა, ლიტერატურული კრიტიკის არსი და მოწოდება, ჟანრების თეორიის კითხვები.

ბოსლეველის რწმენით, ხელოვნებისა და ლიტერატურის საგანია — ამქვეყნიური სინამდვილე, ადამიანების ცხოვრება, მოწოდება — ამქვეყნიური სინამდვილის რეალისტური ასახვა, შეცნობა, საზრუნავი — ისტორიული პროგრესის დაჩქარება. მისი გაგებით, მწერალი მოვალეა ხალხს ემსახურებოდეს, ააშკარავებდეს „ცხოვრებაში დაბუდებულ ბოროტებას და სიმახინჯეს", მას მიზეზ-შედეგობრივად ხსნიდეს, იღვწოდეს საზოგადოების მორალური და ზნეობრივი აღზრდისათვის, პერსპექტივას სახავდეს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ლიტერატურული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის მიმართების განხილვისას ბოსლეველი დაასკვნიდა, რომ უშინაარსო, უიდეო ლიტერატურა არავითარ მხატვრულობას და მაღალ ესთეტურობას არ ბადებს, რომ ლიტერატურული შედევრი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი იდეისა და მხატვრულობის ერთიანობაა, შინაარსისა და ფორმის მთლიანობაა.

ბოსლეველის შეხედულებით, თანამედროვე ლიტერატურას, როშელიც ხალხის აწმყოსა და მომავლისთვის უნდა ზრუნავდეს, ევალება ცარიზმის არსებითი კრიტიკა, მისი მოსპობის აუცილებლობის დასაბუთება, სოციალური იდეალის დახატვა და მისი განხორციელების, ანუ არსებული ვითარების უარყოფის გზის ჩვენება, ახლისათვის მებრძოლი ძალების ხასიათისა და რევოლუციური შინაარსის გამომზეურება.

კრიტიკოსის შეფასებით, ლიტერატურა საზოგადოების რევოლუციური ძალების სულიერი იარაღია, ის იდეოლოგიის ერთ-ერთი სახეობაა, გარკვეული ფორმით სახეებით აზროვნებაა. ხალხური, ჰუმა-

ნისტური მხატვრული ლიტერატურა ადამიანის სულიერი და მორალური აღმზრდელია, მისი ესთეტიკური გემოვნების ჩამომყალიბებელია.

უმნიშვნელო თემის ლიტერატურა და „წმინდა ხელოვნება", ბოსლეველის გაგებით, არ არის ნამდვილი ხელოვნება და ლიტერატურა. მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ხალხის ძირეული ინტერესები არ არის გამოხატული, არ ტოვებს არავითარ კვალს და არარაობაა წმინდა ესთეტიკური, მხატვრულობის აზრით. ბოსლეველი უიდეობის, „ზეკლასობრიობის", მისტიკური მოძღვრების მოწინააღმდეგეა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ქართველ სამოციანელთა მსგავსად, იგი თვლის, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშანია არა მარტო ცხოვრების ასახვა, მისი ახსნა, არამედ ცხოვრების მოვლენებზე მსჯავრის გამოტანა. ლიტერატურის კრიტიკოსს სჯეროდა, რომ იდეურ მხატვრულ ლიტერატურას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია თავისუფლებისათვის მებრძოლი მასებისათვის.

კრიტიკის თეორეტიკოსის აზრით, ლიტერატურის ზრდაში კრიტიკას ის მნიშვნელობა აქვს, რაც ყმაწვილის აღზრდაში გონიერ და საქმის მცოდნე პედაგოგს. მეორე მხრივ, კრიტიკა, თუკი ის პირუთვნელია და მიუდგომელი, მკითხველ საზოგადოებას ეხმარება ლიტერატურული ნაწარმოების ავ-კარგის გაგებაში.

თავისი ესთეტიკური მსოფლმხედველობით ბოსლეველი სამოციანელ ქართველ რევოლუციონერ დემოკრატებს ენათესავება.

ბოსლეველის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების შეფასების თვალსაზრისით საგანგებო ინტერესს იმსახურებს მისი დამოკიდებულება ისტორიული პროცესის თუ თანადროული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტებისა და მოვლენებისადმი, სახელდობრ, იმის დადგენა თუ როგორ ესმოდა მას ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი, ბურჟუაზიული დემოკრატია, სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი, საზოგადოების კლასობრივ-წოდებრივი სტრუქტურა, კლასობრივი ბრძოლა და სოციალიზმი, პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობა, კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული აქციები და კოლონიალური ექსპანსია და სხვ. ამ საკითხების კვლევას ართულებს მეორე რევოლუციური სიტუაციის მომდევნო ხანის რეაქციისდროინდელი ცენზურის სიმკაცრე, რომლის კვალი ზოლად გასდევს ჩვენი პუბლიცისტის მიერ იმ დროს გამოქვეყნებულ ნაწერებს.

ბოსლეველი ინტერესს იჩენდა სახელმწიფოებრივი წყობილების ბუნებისა და ფორმისადმი. მას ესმოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს

ექსპლოატატორული კლასობრივი ხასიათი, ასევე მისი ისტორიულად პროგრესულობა ფეოდალურ აბსოლუტურ სახელმწიფოსთან შედარებით; უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რომ დასავლეთის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით რომანოვების აბსოლუტიზმი სახელმწიფო წყობილების უფრო რეაქციული ფორმაა.

კაპიტალიზმისადმი შეურიგებლობა, ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი კრიტიკული დამოკიდებულება ბოსლეველის ნააზრევის ძლიერი მხარეა. ამ პოზიციიდან იგი გმობდა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს, რომელიც იმის დასაბუთებას ლამობდა, რომ თითქოსდა კაპიტალიზმს მოაქვს საყოველთაო კეთილდღეობა, ჰარმონია, თავისუფლება. პუბლიცისტს ესმოდა, რომ ბურჟუა, ისევე როგორც ფეოდალი, ხალხის მტერია, რომ ხალხის ინტერესები ორივეს წინააღმდეგ ბრძოლას მოითხოვს. ის ამჩნევდა, რომ ხალხის მასების მონაწილეობით მწვავე ბრძოლებში შობილი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობა ნიადაგს ამზადებდა წარმატებული ბრძოლისათვის და ნამდვილი თავისუფლებისათვის.

ყოველივე ამაში გამოიხატა მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის გავლენა ბოსლეველზე, რომლის შეხედულებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმჟამინდელი საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

დემოკრატიის მატერიალურ გარანტიაზე ფიქრისას, ბოსლეველი იმის გაგებას მიუახლოვდა, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია დაძლეული უნდა იქნეს ექსპლოატაციის მოსპობით. ამაში გამოვლინდა დიდ რუს რევოლუციონერ დემოკრატთა გავლენა ჩვენს პუბლიცისტზე.

მართალია, ბოსლეველის, როგორც გლეხური დემოკრატის, კრიტიკული მიდგომა კაპიტალიზმისადმი, ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი გარკვეული შეზღუდულობით ხასიათდებოდა, ამის მიუხედავად მისი ანტიკაპიტალისტური შეხედულება პროგრესს მოასწავებდა 1880-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზრის წინსვლაში, თუმცა ჩვენში სახელოვანი თერგდალეულები იყვნენ კაპიტალიზმის პირველი, ღრმა კრიტიკოსები. ჩვენი პუბლიცისტი ვერ ამაღლდა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიამდე, მაგრამ მაინც უკუაგდო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული წარმოდგენები კაპიტალიზმზე. კაპიტალიზმის მისიის, ასევე საწარმოო ძალთა განვითარებაში ბურჟუაზიის როლის ბოსლეველისეული გაგება მარქსიზმის ფუძემდებელთა გავლენით ჩამოყალიბდა.

კაპიტალიზმის კრიტიკა ბოსლეველმა სისტემად ვერ ჩამოაყალიბა, კაპიტალიზმის კრიტიკიდან მის სრულ უარყოფამდე ვერ მივიდა, თუმცა მიუახლოვდა იმის გაგებას, რომ კაპიტალიზმი არაა მარადიუ-

ლი, რომ მისი მოსპობა აუცილებელია, რამდენადაც გარდაუვალია ახალი, სამართლიანი წყობილების — სოციალიზმის დამყარება. ამის გაგებას იგი მარქსიზმის გავლენით მიუახლოვდა.

*

ბოსლეველი მშრომელებს, მათ შორის მუშებს, ექომაგებოდა. მუშათა კლასის არსებობას იგი თვალს ადევნებდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში. პროლეტარიატზე მის მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებში ვერ ვხვდებით მოსაზრებას ამ კლასის როგორც მშრომელთა ბელადისა და მოწინავე სოციალისტური კლასის თაობაზე.

ბოსლეველის ნაწერებიდან არ ჩანს, რომ საქართველოს პირობებისათვის იგი მარქსიზმის გამოყენებას გამორიცხავდა. გ. მაიაშვილის მოსაზრებას, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის შედეგად პოლიტიკური მდგომარეობა თავისთავად იცვლებაო, ბოსლეველმა დაუპირისპირა „1847 წლის მანიფესტის“ ფუძემდებლური დებულება: მუშა ხალხმა უსათუოდ უნდა მოიპოვოს პოლიტიკური უფლებანი, რომ კაპიტალისტების უღელი შემუსროს.

ჩვენი პუბლიცისტის ცენზურაგავლილი ნაწერები, როგორც აღინიშნა, არ იძლევიან იმის ზუსტად დადგენის საშუალებას, თუ რას გულისხმობდა იგი მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური უფლებების მოპოვებაში, — პროლეტარიატის შემდგომ ბრძოლას დემოკრატიული უფლებების გაფართოებისათვის ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში თუ ბრძოლას პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის, თუმცა რაკი ლაპარაკია „კაპიტალისტების უღლის შემუსვრაზე“, საფიქრებელია, რომ იგი პროლეტარიატის ხელისუფლებისათვის ბრძოლას გულისხმობდა. ამასთან ერთად, ბოსლეველის ნაწერებში ხშირად ვხვდებით უაღრესად რადიკალურ, გაბედულ აზრებს „საყოველთაო აჯანყებაზე“, „რევოლუციაზე“, მოწოდებას სოციალური და ეროვნული ჩაგვრის „ძალდატანებით მოსპობაზე“, რაც ასევე იმას უფრო უჭერს მხარს, რომ პუბლიცისტს არ აკმაყოფილებდა პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში დემოკრატიული უფლებების გაფართოებისათვის.

სწორი არ ჩანს მოსაზრება, რომლის თანახმად ბოსლეველს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალი, დამაჯერებლობას მოკლებულია რეფორმისტ-სოციალისტთა კატეგორიისადმი მისი მიკუთვნებაც.

*

ბოსლეველს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა რეფორმებზე საერთოდ და რუსეთის იმპერიაში გატარებულ გარდაქმნებზე კერძოდ. მისი აზრით, ყოველი რეფორმა პირდაპირი ბუნებრივი შედეგია ცხოვრებისა, რომელიც ხალხს თვითონ ამზადებს რეფორმისათვის. პუბლიცისტმა აღნიშნა XIX საუკუნეში ჩვენში „ზემოდან“ გატარებული რეფორმის უმთავრეს განმაპირობებელ ფაქტორთა და მიზეზთა უმეტესობა და მისი კლასობრივი შეზღუდულობა („ნახევრად გაკეთებული საქმე“, გარდაქმნის „მხოლოდ დაწყება“), თან ის შეაფასა, როგორც წინ გადადგმული „ერთი ნაბიჯი“. მეორე მხრივ, რეფორმისადმი ფორმაციული გარდატეხის კუთხით მიდგომისას, ის განიხილა არა როგორც „ნაბიჯი“, არამედ როგორც „ნახტომი“, „კავშირის გაწყვეტა წარსულის ცხოვრებასთან“ (ე. ი. ფეოდალურ ურთიერთობასთან). არც ის გამორჩა მხედველობიდან, რომ რეფორმებმა არ მოსპო ჩაგვრის სისტემა, რომ მათ ექსპლოატაციის ერთი ფორმა მეორეთი შეცვალეს.

მთავარი კი ისაა, რომ ეპოქალური მნიშვნელობის გარდატეხა დაბალი საფეხურიდან მაღალზე გადასვლა, ანუ ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა, პუბლიცისტს ესმოდა როგორც ნახტომისებრი აღმასვლა, რაც საზოგადოების პროგრესის ბუნებრივი ისტორიული პროცესის გამოხატულებად მიაჩნდა. ამ გარდატეხის გაგებაში მისთვის უცხო იყო ევოლუციის ვულგარული თეორია.

რეფორმის ბოსლეველისეული გაგება ცხადყოფს, რომ ის არ იყო მისი იდეალი. ვფიქრობთ, რომ ბოსლეველი იყო არა რეფორმისტი სოციალისტი, არამედ მშრომელთა ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის მომხრე რევოლუციონერი უტოპისტი სოციალისტი.

*

უტოპიური სოციალიზმის იდეების აღმოცენება ჩვენშიც ორგანულად დაუკავშირდა კაპიტალიზმის გარიჟრაჟს და მისთვის ნიშანდობლივი ექსპლოატაციის ფორმების დანერგვას, თუმცა ამ იდეების ჩასახვა-განვითარებაში კაპიტალისტურად დაწინაურებული ქვეყნების მატერიალური და სულიერი ცხოვრების გავლენის ძალაც საგრძნობი იყო.

ქართული უტოპიური სოციალიზმი საერთოდ ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა. მას წინ უსწრებდა და ასაზრდოებდა დიდი რუსი

რევოლუციონერი დემოკრატების ნააზრევი, თერგდალეულთა სულიერი ჰეგემონიის ხანის იდეური მემკვიდრეობა, „ჰუმანიზმის“ და „განმანათლებლობის“ იდეები. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა ბოსლეველი, სუბიექტურად გლეხობის იდეოლოგი, სოციალიზმის იდეების დამცველი. მისი იდეური მემკვიდრეობის მშვენებაა მარქსიზმის გავლენით განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. მარქსიზმის კეთილმყოფელი ზეგავლენით, ბოსლეველი საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობას სოციალისტურ მიზნებს უსახავდა.

ბოსლეველისათვის სოციალიზმი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის მაღალი ფორმა, რომელიც გამორიცხავდა მასების სიღატაკეს. სოციალიზმი მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა, სადაც არ არსებობს კერძო საკუთრება, ამ უკანასკნელისათვის თანდაყოლილი ანტაგონიზმი და ექსპლოატაცია. სოციალიზმისას წარმოების საშუალებები და საკუთრივ წარმოება საზოგადოების განკარგულებაშია, შრომა საზოგადოების ყველა წევრის მოვალეობაა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის წყაროა. პუბლიცისტის რწმენით, კაცობრიობის ისტორიაში პირველად სოციალიზმი ახორციელებს პრინციპს: „ვინც არ მუშაობს, არც უნდა სჭამდეს“. მისი შეხედულების მოუმწიფებლობა გამოვლინდა სოციალისტური იდეების სუსტ ეკონომიკურ დასაბუთებაში. ამასთან, ბოსლეველის მსოფლმხედველობის უძლიერესი მხარეა პოლიტიკური აქტივობა. სოციალისტური იდეების განხორციელებას იგი რევოლუციური პოლიტიკური გარდაქმნის გზით ცდილობდა და არა რეფორმის მეშვეობით.

საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, 1880-იანი წლების დამდეგს, ფრიად საგულისხმოა ბოსლეველის მიერ პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის („პარტიის“) ჩამოყალიბების იდეის წამოყენება.

ბოსლეველის ნაწერებში სოციალიზმი ვრცლად არაა დახასიათებული და ამიტომ ძნელი გასარკვევია მის სოციალიზმსა და მარქსისტულ სოციალიზმს შორის არსებული განსხვავება. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ სოციალიზმის განხორციელების გზებსა და საშუალებებზე მის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები შეიძლება შეფასდეს როგორც რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებებიდან მარქსისტულზე გარდამავალნი.

ბოსლეველის პოლიტიკური სოციალიზმი რიგ შემთხვევებში წინ უსწრებს მარქსამდელი სოციალიზმის სისტემებს.

თავისი რევოლუციურ-პოლიტიკური სოციალიზმის იდეებით ბოსლეველი ხელს უწყობდა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრა-

ობის რევოლუციური შეგნების გამოღვიძებას, ნიადაგს ანოყიერებდა ჩვენში ყველაზე მოწინავე იდეოლოგიის — მარქსიზმის გამარჯვებისათვის.

*

როგორც ცნობილია, სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის საკითხში ბოსლეველი ახლოსაა რევოლუციონერ ხალხოსანთა, სახელდობრ, ნაროდოვოლელთა გაგებასთან, რაც იმ დროის კვალობაზე წინ გადადგმული ნაბიჯია. ამასთან, ნაროდოვოლელთა მსგავსად, იმის აღიარება, რომ პოლიტიკა უკუქმედებს ეკონომიკაზე, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ პრობლემა მართებულად გადაწყვეტილიყო და ამით რევოლუციური მოძრაობა მიზანსწრაფულად წარმართულიყო.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საგანგებოდ აღსანიშნავია პუბლიცისტის დამსახურება: მან ცხადყო, რომ რევოლუციური პოლიტიკის გასატარებლად აუცილებელია პოლიტიკური ბრძოლა, რომ პოლიტიკა სოციალიზმის განხორციელების მთავარი და ძირითადი იარაღია, რომ პოლიტიკის უგულებელყოფის თეორია სოციალიზმს მარცხს განუმზადებს. ეს მოსაზრებანი ბოსლეველმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა გ. მაიაშვილის „წერილების“ სერიის წინააღმდეგ მიმართულ „კრიტიკულ მიმოხილვებში“.

ბოსლეველი აღიარებდა, რომ პოლიტიკა ეკონომიკითაა განპირობებული და მის ზედნაშენს წარმოადგენს, რომ ისტორიულად ყოველი პოლიტიკური მოძრაობა გამომდინარეობს ხალხის ეკონომიკური მდგომარეობიდან და მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ეკონომიკური სამართლიანობის დამყარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი გაგებით, პოლიტიკა კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე გამოდიოდა როგორც ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ძირითად საშუალებათა იარაღი.

ფრიად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 1883 წელს ბოსლეველი პოლიტიკურ ბრძოლას ძირითადად ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც მას მიეცა გ. პლეხანოვის ბრწყინვალე ბროშურაში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, რომელიც ვ. ი. ლენინმა რუსეთის სინამდვილეში მარქსიზმის გამოყენების საუცხოო ნიმუშად, რუსული სოციალიზმის პირველ „რწმენის სიმბოლოდ“ აღიარა.

მარქსიზმის გავლენა ბოსლეველზე, რაც კარგა ხანია ხაზგასმულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვენი დაკვირვებით, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა პოლიტიკის არსისა და მისი ფუნქციის გაგებაში. პუბლიცისტის დამსახურება ქართული რევოლუციური აზრისა და გან-

მათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან სწორად გაიგო სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის განუყრელობა.

ბოსლეველის პუბლიცისტიკაში მრავალმხრივაა შეფასებული პოლიტიკის მნიშვნელობა, მათ შორის პოლიტიკის მიმართება ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. მისი შეხედულებით, საზოგადოებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელობა იმდენად დიდია, მისი შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეში იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც მხატვრული ქმნილებანი გაჟღენთილია მოწინავე პოლიტიკური იდეებითა და მსოფლმხედველობით. პუბლიცისტმა საერთოდ საფუძვლიანად გაიაზრა და გააცნობიერა პოლიტიკის კლასობრივი ხასიათი,. რაც მან მარქსიზმის გავლენით შეძლო.

განსხვავებით წვრილბურჟუაზიული სოციალისტური მიმდინარეობებისაგან, რომლებიც პოლიტიკისადმი გულგრილობით ხასიათდებოდნენ, უარყოფდნენ მას და ფიქრობდნენ კაპიტალიზმის პირობებში მშვიდობიანი ეკონომიკური რეფორმებით ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლებას, ბოსლეველი ამტკიცებდა, რომ პოლიტიკა იარაღია, რომლის საშუალებითაც მშრომელებმა თავი უნდა გაითავისუფლონ ეკონომიკური ჩაგვრისაგან. ამ მოსაზრების პროპაგანდით (ქართულ პრესაში) პუბლიცისტს კლასობრივი გათვითცნობიერების მაღალ დონეზე აჰყავდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმული ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრივი ძალები.

*

ბოსლეველს ესმოდა, რომ ბურჟუაზიულ სამყაროში ფორმალურად გამოცხადებულ „თავისუფლებას“ უმაღლეს დემოკრატიად ასაღებდნენ. იგი ბურჟუაზიულ დემოკრატიას დიალექტიკურად აფასებდა: ერთი მხრივ, ამჩნევდა მის ფარისევლობას, იმას, რომ ეს დემოკრატია მხოლოდ ნიღბავდა ქონებრივ უთანასწორობას და კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. მას ესმოდა ბურჟუაზიული თავისუფლების ფორმალური ხასიათი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის არ შეიცავს ყოველი ადამიანისათვის უმთავრეს თავისუფლებას, — ექსპლოატაციისაგან თავისუფლებას, რომ ეს დემოკრატია მოკლებულია ყოველგვარ მატერიალურ გარანტიას. მეორე მხრივ, ფეოდალურ რეჟიმთან შედარებით, ბურჟუაზიული დემოკრატიის პროგრესულობის აღიარებისას, მისთვის უცხო იყო ამ უკანასკნელის გადაჭარბებული შეფასება.

ბოსლეველისთვის ცხადი იყო, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია მთელი თავისი შეზღუდულობითა და არასრულფასოვნებით იყო მშრომელთა რევოლუციური მოქმედების შედეგი, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობა, რომელიც კლასობრივ ბრძოლაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის მნიშვნელოვანი მასების მონაწილეობით წარმოიშვა, პირობებს ამზადებს მშრომელთა შემდგომი ბრძოლებისათვის და ნამდვილი თავისუფლების მოპოვებისათვის. დემოკრატიისათვის ბრძოლას, დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებასა და გაფართოებას, პუბლიცისტის აზრით, საქმე მიჰყავს სოციალიზმისაკენ, ის აახლოებს მის გამარჯვებას, მით უფრო, რომ მისთვის ბრძოლა რევოლუციურ ძალებს პოლიტიკურადაც ათვითცნობიერებს.

*

ისტორიის სუბიექტივისტურ გაგებას, რასაც ხალხოსნური ჟურნალის — „იმედის" — არაერთი პუბლიცისტი იცავდა, ბოსლეველმა დაუპირისპირა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების არსებითად სწორი გაგება. როგორც ცნობილია, მარქსიზმის გავლენით, მან ჩვენში პირველმა აიმაღლა ხმა შემთხვევითობის, მოულოდნელობისა და სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ, სცადა ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა დახასიათება.

პუბლიცისტი გაემიჯნა ისტორიაში პიროვნების როლის გაზვიადების სუბიექტივისტურ თვალსაზრისს, იგი არ ცნობდა ხალხოსნურ-ლავრისტულ დებულებას, რომ თითქოსდა კრიტიკული პიროვნება ისტორიის ყოვლისშემძლე შემოქმედია. პუბლიცისტის ნააზრევში ნათლად მოჩანს ისტორიულ პროცესში პიროვნების როლის ღრმა გაგება.

*

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლის, ბოსლეველის, ნააზრევის განუყოფელი ნაწილია ყოველგვარი ჩაგვრისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. მასში ერთმანეთთან შეხამებულია ღრმა პატრიოტიზმი და თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი, მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და სხვა

ხალხების ჭეშმარიტი პატივისცემა, ეროვნული ჩაგვრისადმი შეურიგებლობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განდიდება.

პუბლიცისტს გული შესტკიოდა კაცობრიობის ბედზე, მის მომავალზე, მას ებრალებოდა არა მარტო მშრომელი, არამედ საერთოდ ყველა ჩაგრული ხალხი. ეტრფოდა რა ერთა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ძალადობისა და ყოველგვარი ჩაგვრის სამუდამო მოსპობას, ბოსლეველი გამოდიოდა ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების დამპყრობლური ომებისა და კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ.

ომებს პუბლიცისტი დიალექტიკურად განიხილავდა, როგორც ისტორიულ კატეგორიას: ეროვნულ-განმათავისუფლებელ ომს პროგრესულ მოვლენად თვლიდა, ხოლო დამპყრობლურს, როგორც უდიდეს სოციალურ უბედურებას, რეაქციულად. მისი სამართლიანი აზრით, დამპყრობლურ ომებს გაბატონებული კლასები აწარმოებენ და ისინი მხოლოდ მათთვისაა სასარგებლო.

ბოსლეველმა კონკრეტული ფაქტებით ამხილა ბურჟუაზიული სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსია, ცხადყო, რომ ისინი დაპყრობილი ქვეყნების ხალხების ველურ ექსპლოატაციას ნიღბავენ ფარისევლური თეორიებით ევროპელების „ცივილიზატორული მისიის“ შესახებ, იმის მტკიცებით, რომ თითქოსდა ამ ველურ ხალხებში შეჰქონდათ „ბურჟუაზიული დემოკრატიის არნახული სიკეთენი“.

მოაზროვნე შორს იდგა ბურჟუაზიული დეკოლონიზაციის თეორიისაგან. მან მოგვცა კოლონიალიზმის ბურჟუაზიულ იდეოლოგთა რასისტული თეორიის კრიტიკა, გამოააშკარავა იმ მოსაზრების სიყალბე, რომ თითქოსდა ბურჟუაზიას უფლება აქვს აწარმოოს სისხლისმღვრელი ომები ჩამორჩენილ ხალხთა წინააღმდეგ, რომ ამ ომების მიზანია აზიის, აფრიკის, ამერიკის ძირითადი მოსახლეობა და ხალხები გამოყვანილი იქნენ ველური მდგომარეობიდან და შეტანილი იქნეს მათში ცივილიზაციის ნაყოფი და წესრიგი. პუბლიცისტმა გადაჭრით დაგმო ერების სრულფასოვან და არასრულფასოვან ხალხებად დაყოფა, გამოამჟღავნა იმ თეორიის უნიადაგობა, რომელიც ხალხების ჩამორჩენას ხსნიდა არა ისტორიული პირობებით, არამედ რასისტული თვალსაზრისით.

ბოსლეველი დაპყრობილი ქვეყნის ჩაგრულ ხალხებს ესარჩლებოდა. დასავლეთის ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის კრიტიკისას მას მხედველობაში ჰქონდა რუსეთის სინამდვილე, „ხალხთა საპყრობილეში“ შექმნილი ვითარება. მას ღრმად სწამდა, რომ კოლონიური იმპერიები დაიშლებოდა ჩაგრულ ხალხთა დარტყმებისაგან. კოლონიური იმპერიების დანგრევას, კაპიტალისტური კოლონიალური სისტემის დაშლას იგი ისტორიულ კანონად მიიჩნევდა. მისი წინასწარმეტყ-

ველებით, ბურჟუაზიული კოლონიური ურთიერთობების დანგრევის ეპოქა დადგებოდა დამორჩილებულ ერთა ჩაგრული ნაწილის გამოღვიძებისთანავე.

ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციას პუბლიცისტი სოციალიზმს უკავშირებდა. მისი აზრით, სოციალიზმი თავის საფუძველში არის ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ბურჟუაზიული ჩაგვრისა და შოვინიზმის იდეოლოგიას ერთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობით ცვლის.

ბოსლეველმა, თავისი დროის კვალობაზე, უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრებები ჩამოაყალიბა დამპყრობლურ (უსამართლო) და განმათავისუფლებელ (სამართლიან) ომებზე, კოლონიალურ პოლიტიკაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე, ეროვნულ ურთიერთობებზე მრავალეროვან სახელმწიფოებში, ეროვნული კულტურების მნიშვნელობაზე და ა. შ. ამ საკითხების უმეტესობის ბოსლეველისეული ინტერპრეტაცია მოწმობს, რომ იგი მარქსიზმის გავლენას განიცდიდა. ყოველივე ამით პუბლიცისტი მშობელ ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებით აიარაღებდა.

•

ბოსლეველს სწორად ესმოდა კრედიტის როლი და ფუნქციები კაპიტალისტურ საზოგადოებაში და კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა განვითარებაში, ეკონომიკური კრიზისის გამწვავებაში. საკრედიტო სისტემის მექანიზმის მოქმედების ბოსლეველისეული შეფასება კრედიტის მარქსისტული თეორიის თავისებურად გათვალისწინებას ეფუძნება.

მარქსიზმის გარკვეული გავლენის მიუხედავად, ბოსლეველი ვერ ჩაითვლება მარქსისტული მიმდინარეობის წარმომადგენლად საქართველოში. იგი მარქსიზმთან ერთად ხშირად ეყრდნობოდა მის საწინააღმდეგო თვალსაზრისსაც: მაგალითად, მარქსიზმის გავლენით, აღიარებდა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას,

მაგრამ მარქსის დებულებებს ეკლექტურად უერთებდა საწინააღმდეგო (ფ. ლასალის, ჯ. მილის და სხვათა) შეხედულებებს. თავისი დროის ქართული სინამდვილის ჩამორჩენილობის შედეგად და სიცოცხლის ხანმოკლეობის გამოც, ბოსლეველი ვერ ამაღლდა მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე. იგი განეკუთვნებოდა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმდინარეობას, რომელსაც ჩვენში სათავე დაუდეს სახელოვანმა თერგდალეულებმა. ეს ნაკადი 1870—1880-იან წლებშიც ხელს უწყობდა მშრომელთა პოლიტიკურ გათვითცნობიერებას, ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი პროგრესული ძალების ორგანიზებას.

БОСЛЕВЕЛИ

Резюме

В монографии с использованием архивных и иных источников, а также специальной литературы исследуется жизнь и деятельность известного грузинского публициста 1870—1880-х годов Е. С. Мчедлидзе (Бослевели), его эстетические и общественно-политические взгляды.

*

Публицистическая деятельность Е. С. Бослевели совпала с периодом второй революционной ситуации и последовавшей за ней реакции. С социально-экономической точки зрения Грузия того времени находилась на завершающем этапе переходного периода, когда феодально-крепостнические порядки — в виде пережитков — продолжали существовать, а процесс утверждения капиталистических отношений еще не был завершен и «масса рабочих» не сложилась еще в самостоятельный класс наемных тружеников, сознающих свои коренные интересы, в пролетариат способный выделиться из общедемократического движения в авангард революционной борьбы. Несмотря на социальную дифференциацию, крестьянство в этой борьбе выступало еще как единый класс. Содержание классовых конфликтов определяла тогда не столько борьба рабочих против буржуазии, сколько борьба крестьянства против феодальных пережитков и кабальных отношений. Поэтому расстановка классовых сил в Грузии в 1870-х — начале 1880-х годов схожа с существовавшей во время первой революционной ситуацией конца 50-х — начала 60-х годов XIX века, когда основным содержанием классовой борьбы было движение крестьянства против крепостничества, когда демократизм и социализм сливались в сознании грузин в одно неразрывное целое. В 1870-х — начале 1880-х годов в грузинском освободительном движении и общественной мысли эти

понятия все еще не отделились окончательно друг от друга, но их единство — по мере развития капитализма и углубления процесса формирования рабочего класса — приобретали различие. К началу 1880-х годов революционно-демократическая идеология, как теоретическое выражение крестьянского революционного движения, сосуществовала в Грузии с другими идеологическими направлениями освободительного движения. Мы вынуждены были вкратце сказать обо всем этом, так как иной раз при исследовании истории грузинской общественной мысли рассматриваемого периода не учитываются социально-экономические условия, а также расстановка классовых сил, определявшие характер и направление общественных воззрений.

*

Выразитель чаяний крестьян Грузии 70-х — начала 80-х годов, Е. Боблевели, за короткий срок своей жизни (погиб на 31 году жизни) оставил богатое идейное наследие, возникшее на местной почве, но впитавшее в себя также достижения передовой русской и западно-европейской общественной мысли.

*

Е. Боблевели, как литературный критик, исходя из теоретических посылок корифеев материалистической эстетики (Лессинга, Дидро, В. Г. Белинского, Н. Г. Чернышевского, Н. А. Добролюбова, И. Г. Чавчавадзе, А. Р. Церетели и др.), по вопросам теории искусства и литературы пропагандировал материалистические и просветительские воззрения. Он стоял на позициях критического реализма и его занимали принципиальные вопросы художественного творчества: сущность и назначение литературы, мировоззрение и художественное творчество, теория жанров и др. Значительное место он уделял критике «чистого искусства», критике романтизма. Он стремился познать сущность и призвание литературной критики. Боблевели был убежден, что современная ему грузинская литература должна обличать черты существующего строя и доказать неизбежность его падения, наметить пути борьбы с ним, нарисовать социалистический идеал и указать на силы, способных к его воплощению в жизнь.

Рассматривая соотношение формы и содержания в художественном произведении, Боблевели пришел к выводу, что пустая и безыдейная литература не имеет никакой

художественной ценности, что литературным шедевром является единство общественно значимой идеи и высоких художественных средств, целость формы и содержания. По его мнению, литература является средством духовного воспитания революционных сил общества, одной из разновидностей идеологии, формой мышления образами. Литература, не трактующая общественно-значимую тему, как и «чистое искусство», нельзя считать, утверждал он, истинным произведением литературы и искусства. Художественное произведение, не выражающее коренные интересы народа, не оставляет следа. Противник безыдейности, «надклассовости», мистицизма в литературе и искусстве, Бослевели, верил в высокое значение литературной критики для развития литературы и воспитания читателя.

•

Теоретические искания Бослевели протекали в своеобразной духовной обстановке, когда, с одной стороны, в революционном народничестве стали преобладать либеральные тенденции, а с другой стороны, начал зарождаться русский марксизм, вызывая между ними ожесточенную борьбу. Многие деятели грузинского освободительного движения разделяли передовые взгляды выдающегося теоретика русского марксизма Г. В. Плеханова. Одновременно в освободительном движении Грузии пользовались влиянием реформистские социалистические идеи. В этих условиях Бослевели сформировался как революционный демократ, идеолог борющегося грузинского крестьянства.

•

Социально-политические взгляды Бослевели изложены в его очерках, заметках, статьях, посвященных таким значительным явлениям и фактам прошлого и современной ему жизни как феодализм, буржуазные реформы, капитализм, буржуазная демократия, классовый характер государства, сословно-классовая структура общества, классовая борьба и социализм, взаимоотношение политики и экономики, колониальная экспансия капиталистических держав, их агрессивная политика и т. д. Исследование общественно политических взглядов Бослевели, сформулированных в опубликованных им работах, осложняется тем, что, изуродованные цензурой периода реакции, они не могли быть доведены до логического конца.

Бослевели понимал классовую природу буржуазного государства, его эксплуататорский характер, а также его историческую прогрессивность по сравнению с абсолютистским государством. Понимание роли буржуазии в развитии производительных сил у Бослевели сформировалось под влиянием идей великих русских революционных демократов, а также марксизма, как и отношение к буржуазной демократии. Он признавал относительную прогрессивность буржуазной демократии, но ему была чужда преувеличенная ее оценка. Бослевели понимал, что эта демократия маскировала капиталистическую эксплуатацию и имущественное неравенство.

Для Бослевели было ясно, что буржуазная демократия в значительной мере была результатом революционных действий трудящихся, отстаивавших свои права, что буржуазная государственность подготовляет условия для борьбы трудящихся во имя завоевания подлинной свободы. Буржуазная демократия, считал он, должна быть преодолена уничтожением эксплуатации.

Бослевели не смог привести свою критику капитализма в стройную систему, не смог от критики капитализма перейти к его полному отрицанию. Под влиянием марксизма он, однако, приблизился к пониманию того, что капитализм не вечен, что его сменит социализм. Бослевели, правда, не думал о пролетариате, как о вожде трудящихся и передовом социалистическом классе. В то же время ссылаясь на «Коммунистический манифест», он доказывал: рабочий класс обязательно должен завоевать политические права, чтобы уничтожить ярмо капиталистов. И публицист горячо выступал в защиту интересов пролетариата, всех трудящихся.

Что касалось реформы вообще и, в частности, реформы, проведенной в Грузии, его мнение сводилось к следующему: всякая реформа является прямым, естественным результатом развития страны; реформы, проведенные в Грузии, были ограниченными — «одним шагом», но в то же время «скачком», «разрывом связи с прошлой жизнью». Публицист подчеркивал, что реформы не уничтожили в Грузии систему угнетения, что они заменили одну форму эксплуатации другой.

Иногда утверждают, что Бослевели не имел четко сформулированного общественно-политического идеала, а порой причисляют его к категории социалистов-реформистов. Это, как явствует из его работ, неверно.

*

Грузинский утопический социализм возник не на пустом месте. Его идейным предшественником и источником являлось великое наследие русских революционных демократов, грузинских шестидесятников — «тергдалеульцев» и немеркнущие идеи гуманизма и просветительства. Все это впитал в себя Бослевели, испытавший на себе одновременно животворное влияние марксизма. Поэтому он ставил перед освободительным движением Грузии социалистические задачи. Социализм, считал Бослевели, такая высокая форма общественных отношений, которая исключает нищету и частную собственность, несущую в общество антагонизм и эксплуатацию. При социализме и средства производства и само производство находятся в распоряжении общества; труд является обязанностью всех членов общества и источником общественного благоденствия. Публицист был глубоко убежден, что в истории человечества, впервые лишь при социализме будет осуществлен принцип: «кто не работает, тот не ест».

Сильнейшей стороной мировоззрения Бослевели является обоснованность идеи политической активности. Осуществление социалистических идеалов мыслилось им путем революционных политических преобразований, а не посредством реформ. Политический социализм Бослевели зачастую оставлял далеко позади себя разного рода демократические системы социализма. Незрелость взглядов Бослевели выразилась в недостаточной экономической аргументированности его социалистических идей.

В целом взгляды Бослевели о путях и средствах осуществления социализма должны рассматриваться как переходные от революционного демократизма к марксизму. Своими идеями революционно-политического социализма Бослевели способствовал подъему революционной сознательности масс, подготовке почвы для победы в Грузии самой передовой идеологии — марксизма.

*

В вопросах политической борьбы Бослевели более всего близки взгляды революционных народников, а именно народовольцев, что по тем временам являлось шагом вперед. По мнению Бослевели, политика на протяжении всей истории человечества неизменно выступала в качестве основного средства и орудия удовлетворения экономических интересов. И в этом вопросе Бослевели испытывал влияние марксизма. Примечательно, в частности, что в 1883 году

Бослевели, придавая политической борьбе важное значение, как бы солидаризировался с идеями Плеханова, которые тот в том же году изложил в своей блестящей брошюре «Социализм и политическая борьба».

Влияние марксизма на Бослевели в свое время было уже отмечено в научной литературе. По нашему наблюдению, оно сказалось прежде всего в понимании им сущности и функции политики. Заслугой грузинского публициста в развитии грузинской революционной мысли является именно то, что он правильно понял нерасторжимость социализма и политической борьбы.

Субъективистскому пониманию истории, которое отстаивал не один публицист народнического журнала «Имеди», Бослевели противопоставил по существу правильное понимание объективных законов общественного развития. Под влиянием марксизма он, как известно, первым в Грузии выступил против теории случайности, субъективной социологии и предпринял попытку охарактеризовать закономерности развития природы и общества. Бослевели не признавал народнического, лавровского утверждения, будто критическая личность является всесильным творцом истории, обнаруживал в своих публицистических работах верное понимание роли личности в историческом процессе.

*

Статьи Бослевели пронизаны глубоким патриотизмом и последовательным интернационализмом. Любовь к родине, мечта видеть ее свободной, а свой народ освобожденным от всякого угнетения сочетается у Бослевели с искренним желанием блага всему человечеству, с сочувствием к угнетенным нациям и народностям.

Бослевели мечтал об окончательном уничтожении насилия и всех видов угнетения в отношениях между нациями и государствами, выступал против захватнических войн и колониальной экспансии европейских стран. Войны публицист рассматривал диалектически: национально-освободительную войну он считал прогрессивным явлением, а захватническую — как явление реакционное, как величайшее социальное зло.

Опираясь на конкретные факты, Бослевели разоблачал экспансионистскую политику буржуазных государств, которые беспощадную эксплуатацию покоренных народов прикрывали фарисейскими теориями о «цивилизаторской миссии» европейцев и т. д. При этом он имел в виду и политику царизма. Разрушение колониальных империй, разложение колониальной системы Бослевели считал историческим зако-

ном, а уничтожение национального угнетения он связывал с социализмом. Публицисту была чужда буржуазная теория деколонизации.

Бослевели принадлежат чрезвычайно интересные для его времени суждения о справедливых и несправедливых войнах, высказывания по вопросам теории и практики национально-освободительного движения, проблеме национальных отношений в многонациональном государстве, рассуждения о значении национальной культуры. В большинстве своем это еще одно свидетельство того, что Бослевели испытывал влияние марксизма.

*

Да, Бослевели бесспорно испытывал определенное влияние марксизма. Тем не менее его нельзя признать представителем марксистского течения в Грузии. Не поняв историческую миссию пролетариата, он не стал и в условиях тогдашней Грузии не смог стать марксистом — пролетарским революционером. Это обусловило слабость его позиции. Поставив вопрос о преодолении буржуазной демократии, Бослевели, однако, не понимал, что это возможно только при диктатуре пролетариата. Нередко он эклектически объединял марксистские положения с положениями великих буржуазных мыслителей (Ф. Лассал, Дж. Ст. Милль и др.).

В результате социально-экономической отсталости Грузии 70-х — 80-х годов и того, что за свою короткую жизнь Бослевели не успел освоить полностью идеи марксизма, он не смог подняться до овладения диалектическим методом материализма Маркса и Энгельса. Бослевели принадлежал к революционно-демократическому течению освободительного движения в Грузии, начало которому было положено славными грузинскими шестидесятниками, которые способствовали росту политического самосознания трудящихся, сплочению сил борющихся против царизма, особенно по мере влияния на них в последующие годы учения марксизма, о чем и говорят деятельность и труды Бослевели.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა	3
შ ე ს ა ვ ა ლ ი	6
რევოლუციური სიტუაციიდან სუსხიანი რეაქციისაკენ	26
ხანმოკლე ცხოვრების გზა	48
ესთეტიკური შეხედულებანი	70
საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი	91
დასკვნები	174
Бослевели (резюме)	190

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სგ 3064

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი მ. ხურცილავა
ტექრედაქტორი რ. საჯაია
კორექტორი ც. ქიტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 12.12.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.6.86;
ქაღალდის ზომა 90×60 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,5;
პირობითი საღებავ-გატარება 12,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11, 0;

უე 10254; ტირაჟი 2400; შეკვეთა № 805;

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Маргиани Григорий Николаевич

БОСЛЕВЕЛИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1986

1986 წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცემს:

ჯ. ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველას საისტორიო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები.

ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა.

ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქტუალური პრობლემები.